კლაივ სთეიფლზ ლიუისი

ეს ქრისტიანოგაა

BIBLIOTHECA CHRISTIANA
თბილისი 1996

CLAVES STAPLES LEWIS

MERE CHRISTIANITY
London 1943

ქართულად თარგმნეს

ლუსუმ მაისურაძემ

და

ნინო ნაკუდაშვილმა

რედაქტორები:

ანრი მარტენი

მალხაზ სონღულაშვილი

© ქართული გამოცემისათვის:
BIBLIOTHECA CHRISTIANA, 1996

წიგნი გამოიცა ნორვეგიული ორგანიზაციის:
THE NORWEGIAN MISSION TO THE EST-ის დახმარებით

რედაქტორებისგან

ჩვენთვის დიდი პატივია, ქართველ მკითხველს შევთავაზოთ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანი მწერლის საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოები. ჩვენთვის მისი გაცნობა დიდი აღმოჩენა იყო. იმედი გვაქვს, იგი თქვენც დიდად გაგამდიდრებთ. წიგნის სათაურის გადმოქართულებაზე ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ მისი სიტყვა-სიტყვით გადმოღება (Mere Christianity – „უბრალო ქრისტიანობა") გააბუნდოვანებდა წიგნის ნამდვილ აზრს. ამიტომ ავირჩიეთ უფრო დინამიური სახელწოდება, რაც ზუსტად გადმოსცემს ავტორის ჩანაფიქრს.

ავტორის მიზანს არ წარმოადგენდა, რომელიმე კონკრეტული ქრისტიანული მიმდინარეობის მოძღვრების გადმოცემა. ამ წიგნში გადალახულია ყველა დენომინაციური დაბრკოლება და წარმოჩენილია ქრისტიანობის გულის-გული, ანუ ის, რაც ყველა ქრისტიანისთვის: კათოლიკესთვის, მართლმადიდებლისთვის და პროტესტანტისთვის ერთია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიუისი მკითხველს უდიდესი ერუდიციის პოზიციიდან ელაპარაკება, ეს წიგნს მოსაწყენს და ძნელადგასაგებს არ ხდის. პირიქით, ავტორი ღმერთისა და კაცის ურთიერთობებზე საოცარი სიცხადით ლაპარაკობს, რაც წიგნის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ეს წიგნი ყველას დაგვეხმარება არა მარტო ქრისტიანული მოძღვრების შემეცნებაში, არამედ იმის გააზრებაშიც თუ რა არის ქრისტიანული ცოლ-ქმრობა, მეგობრობა, მსახურება, ურთიერთობა, ქცევა.

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოკიდებული განუზომლად დიდია კსლიუისის როგორც ქრისტიანობის აპოლოგეტისა და მასწავლებლის გავლენა ბრიტანეთში. უჩვეულო იყო ლიუისის ნაღვაწი წინად და უფრო იშვიათია ახლა. მისი გავლენა და მნიშვნელობა გასცილდა ბრიტანეთის სანაპიროებს და მთელს მსოფლიოს მოედო. რადიოგადაცემათა სერიალებითა და თავისი წიგნებით ლიუისმა შესძლო ხატოვანად და ახლებურად უსაზღვროდ დიდი პუბლიკის წინაშე გამოემზეურებინა ქრისტიანული სახარების ძირითადი მოძღვრება. ლიუისის სტილი, კერძოდ კი მისი პირუთვნელობა სტუდენტებისთვის, მოსწავლე ახალგაზრდებისთვის, მშრომელი ხალხისათვის და მოხუცებულთათვისაც კი გამოწვევასაც წარმოადგენდა და, ავდროულად, გამხნევებასაც.

ეჭვგარეშეა, ლიუისის ქრისტიანობაზე მოქცევის მოდუსი წარმოადგენდა იმ მეთოდის სათავეს, რომელსაც იგი მიმართავდა ქრისტიანობის აზრის გადმოსაცემად. ამბავი მისი ქრისტიანობაზე მოქცევისა, რომელიც წარმოადგენდა ოქსფორდელ მეცნიერებთან და ამხანაგებთან საუბრობის შედეგს, უკვე ლეგენდად გავრცელდა ბრიტანეთის სანაპიროების მიღმაც.

ყოველივე ამას თუ მოვუსართავთ ლიუისის, როგორც ინგლისელი მეცნიერისა და კულტუროლოგის დაკვირვებებს, და მის ფანტასტიკაში დაწერილ მოთხრობებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი საუკუნის ქრისტიანული აპოლოგეტიკის დარგში. ძალზე სასიამოვნოა, რომ მისი ნაწერები ახლა ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, სადაც ცხოვრების უამრავი ასპექტი გარდასახვის პროცესშია. იმედია, ლიუისის მიერ ეს აპოლოგეტიკური ნაწარმოების მეშვეობით საღათ გადმოცემული ქრისტიანობის აზრი კიდევ ერთხელ ჭეშმარიტად ააყღერებს ქრისტეს მოძღვრებას ახალსა და ცვალებად წუთისოფელში.

ღირსი კანონიკი **სტივენ პლატენი,**
კენტერბერიის მთავარეპისკოპოსის მდივანი
ეკლესიათა შორის ურთიერთობის საქმეში.

ავტორის წინასიტყვაობა

ის, რაზეც ამ წიგნშია საუბარი, თავდაპირველად რადიოგადაცემათა სერიალის მასალას წარმოადგენდა, შემდეგ კი სამ დამოუკიდებელ წიგნად გამოქვეყნდა: „რადიოსაუბრები“ (1942), „ქრისტიანული საქციელი“ (1943) და „პიროვნების მიღმა“ (1944). წერილობით ვარიანტში ცოტათი განვავრცე ის, რაც მიკროფონში იყო ნათქვამი, თუმცა ტექსტს არსებითი ცვლილება არ განუცდია. რადიოსაუბარი, ჩემი აზრით, ხმამაღლა წაკითხულ ლიტერატურულ ნარკვევს არ უნდა ჰგავდეს. ის სწორედ რომ საუბარი უნდა იყოს და თანაც ძალზე გულწრფელი. ამიტომაც გამოვიყენე ჩემს საუბრებში ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ყველა ის ფორმა, რომელთაც ჩვეულებრივ ვხმარობ ხოლმე ლაპარაკის დროს. წერილობით ვარიანტში კი ლიტერატურული ფორმებით შევცვალე საუბრისას გამოყენებული სამეტყველო ხერხები და ყველა ის ადგილი, სადაც ხმის ტონალობით ვუსვამდი ხაზს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობას, კურსივით გამოვყავი. ახლა ვთვლი, რომ ეს შეცდომა იყო — ზეპირი მეტყველების წერის ხელოვნებასთან შერწყმის არასასურველი ჰიბრიდი. მთხრობელმა უნდა გამოიყენოს თავისი ხმის ტემბრი განსაზღვრული ადგილების ხაზგასასმელად და გამოსაყოფად, რადგან თავად საუბრის ჟანრი ითხოვს ამას, მაგრამ მწერალმა არ უნდა მიმართოს კურსივს ამავე მიზნებით. იგი ფლობს სხვა, საკუთრივ მწერლობისათვის დამახასიათებელ საშუალებებს და საკვანძო სიტყვების გამოყოფისას სწორედ ამ საშუალებებით უნდა სარგებლობდეს.

წინამდებარე გამოცემაში უკუვაგდე სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, ისეთი, როგორიცაა კურსივი, და გადავამუშავე ის წინადადებები, სადაც ისინი გვხვდებოდა, იმედია, რადიოსაუბრებისათვის დამახასიათებელი იმ „ნაცნობი“ და „უბრალო“ ინტონაციისათვის ზიანის მიუყენებლად. აქა-იქ

რაღაც დავუმატე, ზოგან, პირიქით, გამოვაკელი, იქიდან გამომდინარე, რომ თავდაპირველი ვარიანტი, როგორც გაირკვა, შეცდომით გაიგეს, და თავად მეც, ჩემი აზრით, დღეს უფრო უკეთ მესმის საუბრის საგანი, ვიდრე ათი წლის წინ მესმოდა.

მსურს მკითხველი გავაფრთხილო, რომ მე ვერაფრით დავეხმარები იმათ, ვინც ორ ქრისტიანულ „დენომინაციას" შორის მერყეობს. თქვენ ვერ მიიღებთ ჩემგან რჩევას იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გახდეთ — ანგლიკანური, მეთოდისტური, პრესვიტერიანული თუ რომის-კათოლიკური ეკლესიის წევრი. ამ საკითხს შეგნებულად ავუარე გვერდი (ზემოთ მოყვანილი ჩამოთვლაც ანბანურ რიგს მისდევს). საკუთარ პოზიციას არ ვმალავ, მე ჩვეულებრივი რიგითი წევრი ვარ ინგლისის ეკლესიისა, მაინცდა მაინც არც „მაღლისა" და არც „დაბლისა"[1], მაგრამ ამ წიგნში არ ვცდილობ ვინმე ჩემს მხარეზე გადმოვიპირო.

იმ დღიდან, რაც ქრისტიანი გავხდი, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საუკეთესო და ერთადერთი დახმარება, რაც შემიძლია ჩემს ურწმუნო მოყვასს გავუწიო, არის განმარტება და დაცვა იმ რწმენისა, რომელიც ყველა ქრისტიანისათვის მისაღებია. საკმარისი მიზეზები მაქვს იმისათვის, რომ ამგვარ თვალსაზრისზე ვიდგე.

ჯერ ერთი, ის, რაც ქრისტიანებს სხვადასხვა ჯგუფებად თიშავს, თეოლოგიიდან და ისტორიიდან იღებს სათავეს და ეს საკითხები სჯობს, რომ სპეციალისტებს მივანდოთ განსახილველად. მე დავიბნეოდი ამგვარ სიღრმეებში და უმალ აქეთ დამჭირდებოდა შველა, ვიდრე იქით მივეხმარებოდი ვინმეს.

მეორეც, ვფიქრობ, უნდა ვაღიაროთ, რომ თეოლოგიური დისკუსიები ძნელად თუ მოიზიდავს ადამიანს ქრისტიანულ ოჯახში. წერილობითი თუ ზეპირი კამათი უფრო დააფრთხობს მოსაქცევად გამზადებულს, ვიდრე მიიზიდავს მას. ჩვენი განსხვავებული შეხედულებანი მხოლოდ იმათი თანდასწრებით უნდა განვიხილოთ, ვინც უკვე ირწმუნა, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი და იესო ქრისტე მისი მხოლოდშობილი ძეა.

---

[1] ლიუისი გულისხმობს აქ ე.წ. „მაღალ" და „დაბალ ეკლესიას" — ორ მიმდინარეობას ანგლიკანურ ეკლესიაში (აქ და შემდგომ შენიშვნები რედაქციისა).

და ბოლოს, მე მგონია, რომ გაცილებით მეტი ნიჭიერი ავტორია დაკავებული საკამათო საკითხების განხილვით, ვიდრე იმის დაცვით, რასაც ბაპტერი „უბრალო“ ქრისტიანობას უწოდებს. ჩემი აზრით, სწორედ იმ სფეროში, სადაც მე შემეძლო უკეთ მელვაწა, ყველაზე მეტად საჭირო იყო ამგვარი მოღვაწეობა, და ამიტომაც შევუდექი მას.

რამდენადაც მახსოვს, სწორედ ამ მოტივს ეფუძნებოდა ჩემი საქმიანობა და მოხარული ვიქნები, თუ მკითხველი არ გამოიტანს შორს მიმავალ დასკვნებს ჩემი დუმილიდან ზოგიერთ საკამათო საკითხზე. დუმილი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე მომლოდინეს პოზიცია მიჭირავს, თუმცა ხანდახან ეს ასეცაა. ქრისტიანს ზოგჯერ ისეთი კითხვა ებადება, რომლის პასუხიც ჩვენ არა გვაქვს, ზოგიერთ კითხვაზე, თავად სასუფეველშიც რომ დავსვათ იგი, უკეთეს შემთხვევაში, იმგვარ პასუხს მივიღებთ, ერთხელ ჩვენზე გაცილებით დიდმა შემკითხველმა რომ მიიღო: „შენ რა გაღელვებს? შენ მე გამომყევი!“[1] თუმცა არსებობს იმგვარი კითხვებიც, რომელთან დაკავშირებითაც მე სრულიად გარკვეული პოზიცია მიჭირავს, მაგრამ დუმილს ვამჯობინებ. მე ხომ იმისათვის არ ვწერ, რომ „ჩემი რელიგია“ გაგაცნოთ, მე ქრისტიანობის არსის განმარტებას ვცდილობ, რომელიც ისეთია, როგორიც არის, ასეთი იყო ჩემს დაბადებამდე და არ არის დამოკიდებული ჩემს მოწონება-არმოწონებაზე.

ზოგიერთებს დაუსაბუთებელი დასკვნები გამოაქვთ იმ ფაქტიდან, რომ მე ნეტარ ქალწულ მარიამზე ვლაპარაკობ მხოლოდ იესო ქრისტეს ქალწულის მიერ შობასთან დაკავშირებით. მიზეზი ნათელია. უფრო მეტის თქმა საკამათო საკითხთა სფეროში შემიყვანდა. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანულ პრობლემატიკაში ეს ყველაზე დელიკატური საკითხია. რომის-კათოლიკური ეკლესია თავის შეხედულებებს ამ საკითხზე მხოლოდ გულწრფელი რელიგიური რწმენისათვის დამახასიათებელი თავგამოდებით კი არ იცავს, არამედ განსაკუთრებული და სავსებით ბუნებრივი სიფიცხითაც, რადგან აქ თავს იჩენს ის რაინდული მგრძნობელობა, რომლითაც ადამიანი თავისი დედისა ან საცოლის პატივს

---

[1] იხ. იოან. 21,22.

უფრთხილდება. ძალზე ძნელია, ოდნავ მაინც გაემიჯნო ათ შეხედულებებს ისე, რომ უმეცრად ან მწვალებლად არ მოაჩვენო თავი. და პირიქით, პროტესტანტთა საპირისპირო შეხედულებანი ამ საკითხზე გამოწვეულია იმ გრძნობებით, რომელთაც ღრმა მონოთეიზმში აქვთ ფესვები გადგმული. რადიკალური პროტესტანტული ფრთის წარმომადგენლებს ეჩვენებათ, რომ საფრთხის ქვეშ დგება თავად განსხვავება შემოქმედსა და ქმნილებას შორის (როგორი წმიდაც არ უნდა იყოს ქმნილება) და ამით მრავალღმერთიანობის აღორძინებას ეყრება საფუძველი. ძნელია, ოდნავ მაინც არ დაეთანხმო მათ და მწვალებელზე უფრო უარესად — წარმართად — არ მიგიჩნიონ. თუკი არსებობს ამქვეყნად იმგვარი თემა, რომელსაც შეუძლია დაღუპოს წიგნი „უბრალო" ქრისტიანობაზე და რომელიც აბსოლუტურად უსარგებლოა მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია, რომ ქალწულის ძე არის ღმერთი — ეს სწორედ ქალწულ მარიამზე არსებული განსხვავებული შეხედულებები გახლავთ.

ჩემი დუმილიდან იმასაც კი ვერ დაასკვნით, მნიშვნელოვნად მიმაჩნია თუ არა მე ეს საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ თავად საკითხი ამ პრობლემის გადამწყვეტი მნიშვნელობის თაობაზე არის სადავო. ერთ-ერთი პუნქტი, რომლის ირგვლივაც კამათობენ ქრისტიანები, გახლავთ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი უთანხმოებანი. როდესაც ორი სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანი კამათს იწყებს, მალე, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი ეკითხება მეორეს: „განა ასე მნიშვნელოვანია ეს კონკრეტული საკითხი?" მეორე ჩვეულებრივ პასუხობს: „მნიშვნელოვანია!? რა თქმა უნდა, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს!"

ეს ყველაფერი იმისათვის მოგახსენეთ, რომ განმემარტა, თუ როგორი წიგნის დაწერა ვცადე და არა საკუთარი შეხედულებების მისაჩქმალად თუ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. ჩემს შეხედულებებს მე არ ვმალავ, ბიძია ტობის[1] სიტყვებით რომ ვთქვათ: „ისინი საერთო ლოცვანშია ჩაწერილი".

---

[1] ცნობილი ინგისელი მწერლის ლორენს სტერნის (1713-1768) „ტრისტან შენდის ჩანაწერების" ერთერთი გმირი.

არსებობდა იმის საშიშროება, რომ ქრისტიანობის არსად წარმომედგინა ის, რაც ინგლისის ეკლესიის ან, უფრო უარესი, პირადად ჩემთვის მისაღები მოძღვრებისთვის არის დამახასიათებელი. ეს საფრთხე რომ თავიდან ამეცილებინა, ამ წიგნის მეორე ნაწილის თავდაპირველი ვარიანტი ოთხი ეკლესიის, კერძოდ, ანგლიკანური, მეთოდისტური, პრესვიტერიანული და რომის-კათოლიკური ეკლესიების, ღვთისმსახურებს დავუგზავნე და ვთხოვე კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვათ. მეთოდისტმა მიიჩნია რომ მე არასაკმარისად ვლაპარაკობ რწმენაზე, კათოლიკემ ჩათვალა, რომ ღრმად შევტოპე, როცა ვაცხადებ, თეორიები გამოსყიდვის თაობაზე არც თუ ისე მნიშვნელოვანია-მეთქი. დანარჩენში ხუთივე შევთანხმდით. სხვა ნაწილები ამგვარი შემოწმებისათვის არ დამიგზავნია, რადგან თუ ისინი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდნენ ქრისტიანთა შორის, ეს ცალკეულ ინდივიდებსა და სკოლებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა იქნებოდა და არა დენომინაციებს შორის არსებული განსხვავებები.

რამდენადაც შემიძლია განვსაჯო კრიტიკული შენიშვნებისა და მრავალრიცხოვანი წერილების მიხედვით, წინამდებარე წიგნმა, რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას სხვამხრივ, ერთი ფუნქცია მაინც შეასრულა — წარმოდგენა მისცა მკითხველს ზოგადად ქრისტიანობაზე. ამრიგად, მან შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს იმ თვალსაზრისის დაძლევაშიც, რომ თუ გვერდს ავუვლით ყველა სადავო საკითხს, ხელში გაურკვეველი და უფერული რწმენა შეგვრჩება. სინამდვილეში მათ გარეშეც შეიძლება საკმაოდ ნათლად და გარკვევით წარმოვაჩინოთ ქრისტიანული რწმენა, რომელიც იმგვარი უფსკრულითაა გამიჯნული არაქრისტიანული რელიგიებისაგან, რომ დენომინაციათა შორის არსებული ყველაზე სერიოზული განსხვავებები მასთან სახსენებელიც კი არაა. შეიძლება გაერთიანების საქმე წინ ვერ წავწიე, მაგრამ, იმედი მაქვს, ის მაინც ვაჩვენე, თუ რატომ უნდა გავერთიანდეთ. სიმართლე გითხრათ, მე იშვიათად შევხვედრივარ ლეგენდარული შეუწყნარებლობის გამოვლინებებს სხვადასხვა თემში გაერთიანებულ მორწმუნე ქრისტიანთა მხრიდან. მტრულად, როგორც წესი, ის ადამიანები არიან განწყობილნი, რომლებიც შუალედურ ჯგუფებს ეკუთვნიან, როგორც ინგლისის ეკლესიის, ისე სხვა დენომინაციების

ფარგლებში, ანუ ისინი, ვინც მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევენ არცერთი თემის შეხედულებებს. სწორედ ეს მამშვიდებს, რადგან ქრისტიანული თემების ძირითადი ბირთვები, სადაც მათი ჭეშმარიტი შვილები არიან თავმოყრილნი, ნამდვილად ახლოს დგანან ერთმანეთთან მოძღვრების მხრივ თუ არა, სულიერად მაინც. ეს კი მოწმობს, რომ ყოველი დაჯგუფების სათავეში დგას რაღაც, ანდა ვიღაც, ვინც საწინააღმდეგო შეხედულებების, ტემპერამენტში არსებული განსხვავებებისა და ურთიერთდევნის ხსოვნის მიუხედავად, ერთსა და იმავეს ლაპარაკობს.

ეს იყო, რაც მოძღვრებაზე დუმილის შესახებ მინდოდა მეთქვა. მესამე ნაწილში, სადაც ზნეობის საკითხებზეა ლაპარაკი, ასევე ავუარე გვერდი ზოგიერთ რამეს, მაგრამ ამჯერად სხვა მიზეზების გამო. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა რიგითი ჯარისკაცი ვიყავი პირველ მსოფლიო ომში, ანტიპათიით განვიმსჭვალე უსაფრთხო შტაბებში მოკალათებული ადამიანების მიმართ, რომლებიც მოწოდებებსა და დარიგებებს ადგენდნენ მათთვის, ვინც ფრონტის ხაზზე იბრძოდა. ამიტომ არ ვაპირებ ბევრ ლაპარაკს ცდუნებებზე, რომლებიც თავად არ განმიცდია. ალბათ, არ არსებობს ისეთი ადამიანი, ერთდროულად ყველა ცოდვაში რომ იყოს ჩაფლული. ისე მოხდა, რომ იმპულსი, რომელიც ადამიანებს აზარტულ მოთამაშეებად აქცევს, არ იყო ჩემს ბუნებაში ჩადებული, აქედან გამომდინარე, მე ის სხვა სასარგებლო თვისებებიც მაკლია, რომლებიც გაზვიადებისა და დამახინჯების შემთხვევაში აზარტული თამაშებისაკენ გვიბიძგებენ. ამიტომაც არ მივიჩნევ საკუთარ თავს კომპეტენტურად, ვურჩიო ვინმეს, რომელი აზარტული თამაშია დასაშვები და რომელი — არა; და თუ საერთოდ არსებობს დასაშვები აზარტული თამაშები, მე ამის თაობაზე არაფერი ვიცი. ასევე დუმილით ავუარე გვერდი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების საკითხსაც. მე ქალი არა ვარ და ცოლიც არა მყავს. ამიტომაც ვთვლი, რომ არა მაქვს უფლება მკაცრ პოზიციაზე ვიდგე იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ტკივილს, საფრთხეს და ხარჯებს, რომელთაგანაც თვითონ თავისუფალი ვარ. გარდა ამისა, მე სამოძღვრო სამსახურსაც არ ვეწევი, რომ ეს მევალებოდეს.

შეიძლება სერიოზულად შემომედავონ, და მედავებოდნენ კიდეც, სიტყვა „ქრისტიანის“ ჩემეულ გაგებასთან დაკავშირებით. ქრისტიანს მე ვუწოდებ ადამიანს, რომელიც ქრისტიანობის საყოველთაოდ მიღებულ სწავლებებს იზიარებს. ადამიანები მეკითხებიან: „თქვენ რა უფლება გაქვთ დაადგინოთ, ვინ არის ქრისტიანი და ვინ — არა?“ ან: „იქნებ ბევრი, ვინც ეს სწავლებები ვერ იწამა, უფრო უკეთესი ქრისტიანი აღმოჩნდეს, უფრო ახლო იდგეს ქრისტეს სულთან, ვიდრე ისინი, ვისაც ეს სწავლებები სწამს?“ გარკვეული თვალსაზრისით, ეს მოსაზრება მართალი, ჰუმანური და საგულისხმოა, მაგრამ ამ ბრწყინვალე თვისებების მიუხედავად, ის ვერანაირ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. ჩვენ ვერ დავუშვებთ ენობრივი კატეგორიებით მანიპულირებას ჩვენი ოპონენტების მსგავსად. შევეცდები ჩემი პოზიცია სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყენების მაგალითზე განვმარტო.

სიტყვა „ჯენტლმენი“ თავდაპირველად აღნიშნავდა ადამიანს, რომელსაც თავისი ღერბი და მამული ჰქონდა. ამიტომ ვინმეს ჯენტლმენად მოხსენიება კომპლიმენტი კი არ იყო, არამედ ფაქტის კონსტატაცია. როდესაც ვინმეზე იტყოდნენ, რომ იგი ჯენტლმენი არ არის, ეს უბრალო ინფორმაცია გახლდათ და არა ადამიანის შეურაცხყოფა. მაგალითად, იმ ეპოქაში შეიძლებოდა გეთქვათ, რომ ჯონი მატყუარა ჯენტლმენია; ყოველ შემთხვევაში, ეს არ გაიჟღერებდა იმაზე უფრო პარადოქსულად, ვიდრე დღევანდელი ნათქვამი, რომ სულელი ჯეიმსი მეცნიერებათა მაგისტრია. მაგრამ შემდეგ გამოჩნდნენ ფაქიზი და კეთილგანწყობილი ადამიანები, რომლებმაც თქვეს: „ჯენტლმენისათვის მამული და ღერბი კი არაა მთავარი, არამედ ის, თუ როგორ უჭირავს თავი. ჭეშმარიტი ჯენტლმენი, რა თქმა უნდა ისაა, ვინც ჯენტლმენივით იქცევა. ასე არ არის? ეი. ედუარდი ჯენტლმენია, ჯონი კი — არა.“ ამ ადამიანებს კეთილშობილი ზრახვები ჰქონდათ, მაგრამ მათი სიტყვები სასარგებლო ინფორმაციას არ შეიცავდა. რასაკვირველია, ბევრად სჯობს პატიოსანი, ზრდილი და მამაცი იყო, ვიდრე საკუთარი გერბი გქონდეს, მაგრამ ეს ხომ ერთი და იგივე არ არის. უფრო მეტიც, ყველა როდი გაიზიარებს ამ თვალსაზრისს. სიტყვა „ჯენტლმენი“ ახალი, გაკეთილშობილებული მნიშვნელობით ინფორმაციას კი არ გვაწვდის ადამიანზე, არამედ ხოტბას ასხამს მას.

თუ ვიტყვით, რომ მავანი ჯენტლმენი არ არის, ამით შეურაცხყოფას მივაყენებთ ამ ადამიანს. როდესაც სიტყვა აღწერის საშუალებიდან ხოტბის შემსხმელ საშუალებად გადაიქცევა, ის მხოლოდ მოსაუბრის დამოკიდებულებას გვამცნობს და არა რეალურ ვითარებას (''კარგი საჭმელი'' ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი მოსაუბრეს მოსწონს). ზუსტი და ობიექტური მნიშვნელობისაგან გაწმენდილი სიტყვა ,,ჯენტლმენი'' დღეს მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მოსაუბრეს მოსწონს იგი, ვიზეც ლაპარაკობს. შედეგად ,,ჯენტლმენი'' უსარგებლო სიტყვად გადაიქცა. მოწონების გამომხატველი ისედაც ბევრი სიტყვა გვქონდა და ამ მიზნით მისი გამოყენება საჭირო არ იყო. გარდა ამისა, თუკი ვინმე (მაგალითად, ისტორიულ ნაშრომში) მოისურვებს მის გამოყენებას ძველი მნიშვნელობით, ახსნა-განმარტებაც უნდა დაურთოს, რადგან ეს სიტყვა დღეს აღარ გამოხატავს იმას, რასაც ადრე გამოხატავდა.

ასე რომ, თუ ჩვენ დავუშვებთ სიტყვა ,,ქრისტიანის'' გაკეთილშობილებას ან ,,უფრო ღრმა მნიშვნელობით დატვირთვას'', ეს სიტყვაც მალე დაკარგავს აზრს. პირველ რიგში, თავად ქრისტიანები ვერ შესძლებენ მიუსადაგონ იგი რომელიმე ადამიანს. ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, თუ ვინაა შორს ან ახლოს, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, ქრისტეს სულთან. ჩვენ გულთამხილავები არა ვართ. არც ის შეგვიძლია, რომ განვსაჯოთ, რადგან განსჯა აკრძალული გვაქვს. სახიფათო თავდაჯერებულობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მავანი ქრისტიანია ან არ არის ქრისტიანი, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. სიტყვა, რომელიც არ შეგვიძლია გამოვიყენოთ, უსარგებლო სიტყვად იქცევა. როდესაც ვინმეს ქრისტიანს უწოდებენ, ამით მხოლოდ ის ექნებათ მხედველობაში, რომ მავანი კარგი ადამიანია. ხსენებული სიტყვის ამგვარი გამოყენება ვერ გაამდიდრებს ენას, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს სიტყვა ,,კარგი''. ამავე დროს, სიტყვა ,,ქრისტიანი'' ვეღარ შეასრულებს იმ ნამდვილად სასარგებლო მისიას, რომელსაც ახლა ემსახურება.

ამრიგად, ჩვენ ამ სიტყვის თავდაპირველ ნათელ მნიშვნელობას უნდა დავუჭიროთ მხარი. პირველად ,,ქრისტიანები'' ეწოდათ ,,მოწაფეებს'' ანტიოქიაში. ანუ მათ, ვინც მოციქულთა მოძღვრება მიიღო (საქმე 11,26). უდავოა, ასე ეძახდნენ მხოლოდ მათ, ვინც დიდი სარგებლობა გამოიტანა თავისთვის ამ მოძღვრებიდან. ასევე

უეჭველია, რომ ეს სახელი გავრცელდა არა მათზე, ვინც ყოყმანობდა, მიეღო თუ არა მოციქულთა მოძღვრება, არამედ მათზე, ვინც სწორედ ამაღლებული, სულიერი გაგებით აღმოჩნდა „გაცილებით ახლოს ქრისტეს სულთან". აქ ღვთისმეტყველება და მორალი არაფერ შუაშია, საქმე სიტყვის იმგვარ გამოყენებას ეხება, მისი მნიშვნელობა რომ ყველასთვის ცხადი და გასაგები იყოს. თუ ადამიანი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო, უღირსი ცხოვრებით ცხოვრობს, უფრო მისაღებია, მას ცუდი ქრისტიანი ვუწოდოთ, ვიდრე ვთქვათ, რომ იგი ქრისტიანი არ არის.

ვიმედოვნებ, არცერთ მკითხველს არ მოუვა აზრად, რომ „უბრალო" ქრისტიანობას არსებული ქრისტიანული ეკლესიების აღმსარებლობათა ალტერნატივად ვთავაზობთ. უფრო უპრიანია, ის შევადაროთ დარბაზს, საიდანაც კარები სხვადასხვა ოთახებში გადის. თუკი ამ დარბაზში ვინმეს მოყვანას მოვახერხებ, ჩავთვლი, რომ მიზანს მივაღწიე. მაგრამ ანთებული ბუხრები, სკამები და საზრდო ოთახებშია და არა დარბაზში. ეს დარბაზი მოსაცდელი ადგილია, საიდანაც შეიძლება ამა თუ იმ ოთახში შესვლა. აქ იცდიან, მაგრამ არ ცხოვრობენ. ყველაზე ცუდიც კი ამ ოთახებს შორის (სულერთია, რომელი) საცხოვრებლად უფრო შესაფერისი ადგილია. ზოგიერთი, ალბათ, იგრძნობს, რომ მისთვის დარბაზში უფრო დიდხანს დარჩენაა საჭირო, ზოგი კი მყისვე ამოარჩევს კარს, რომელსაც უნდა მიუკაკუნოს. მე არ ვიცი, რა იწვევს ამგვარ სხვაობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი არავის დააყოვნებს დარბაზში უფრო მეტხანს, ვიდრე საჭიროა. როდესაც ბოლოს და ბოლოს შეხვალთ თქვენთვის განკუთვნილ ოთახში, მიხვდებით, რომ ხანგრძლივმა ცდამ გარკვეული სარგებლობა მოგიტანათ, რომელსაც სხვანაირად ვერ მიიღებდით. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ეს წინარე ეტაპი მოსამზადებელია და არა საბოლოო. უნდა ევედროთ ღმერთს, რომ ნათელში გაგიყვანოთ და დარბაზში ყოფნისას შეძლებისდაგვარად იცხოვროთ იმ წესების თანახმად, რომელიც მთელი სახლისთვის საერთოა. არ უნდა იკითხოთ, თუ რომელი კარია ჭეშმარიტი, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთი მათგანი უფრო მიმზიდველია თქვენთვის თავისი ფერისა თუ ფორმის გამო. ერთი სიტყვით, ის კი არ უნდა ჰკითხოთ თქვენს თავს: „მომწონს თუ არა ეს სამსახური?" არამედ: „ჭეშმარიტია ეს

მოძღვრება? აქაა სიწმიდე? აქეთ მიმითითებს ჩემი სინდისი? რატომ არ მინდა, რომ ამ კარს მივუკაკუნო — სიამაყის, გემოვნების, თუ ამ კონკრეტული მეკარისადმი ანტიპათიის გამო?"

როცა თქვენს ოთახში შეხვალთ, გულმოწყალე იყავით მათ მიმართ, ვინც სხვა კარებში შევიდა და მათ მიმართაც, ვინც ჯერ კიდევ დარბაზში იცდის. თუ ისინი თქვენი მტრები არიან, გახსოვდეთ, რომ მათთვის უნდა ილოცოთ (მათ. 5,44). ეს ერთ-ერთი საერთო წესია მთელი სახლისათვის.

წიგნი პირველი

სიკეთე და გოროტეგა, როგორც გასაღები სამყაროს საზრისის შემეცნებისათვის

1. ადამიანური ბუნების კანონი

ყველას უნახავს, როგორ კამათობენ ადამიანები. ეს ხან სასაცილო სანახაობაა, ხან კი — უსიამო. მაგრამ რანაირადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ის, თუ რას ეუბნებიან მოჩხუბრები ერთმანეთს, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. თქვენ დაახლოებით ამგვარი შინაარსის ფრაზებს მოისმენთ: „მოგეწონებოდათ, თქვენთვის რომ იგივე გაეკეთებინათ?“, „ეს ჩემი ადგილია, მე ის პირველმა დავიკავე“; „დაანებეთ თავი, ის ცუდს არაფერს აკეთებს!“, „მომეცი ფორთოხლის ნაჭერი, მე ხომ გიწილადე ჩემი ფორთოხლიდან!“, „ხომ შემპირდი!?“ ადამიანები, ნასწავლები თუ უსწავლელები, ბავშვები თუ მოზრდილები, ყოველდღე ამბობენ მსგავს რამეს.

აქ საყურადღებოა ერთი რამ: როდესაც ადამიანი მეორე ადამიანს კიცხავს, მას ქცევის გარკვეული წესების დარღვევას საყვედურობს. და ძალზე იშვიათია შემთხვევა, როდესაც წესრიგის დამრღვევი პასუხობს: „ჯანდაბას თქვენი წესები-“ო. პირიქით, ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ არანაირი წესი არ დაურღვევია და თუ დაარღვია, ამისთვის საპატიო მიზეზი ჰქონდა. მაგალითად, იგი იმგვარად წარმოგიდგენთ საქმის ვითარებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა უფლება, მასზე ადრე მისული ადამიანისაგან ადგილის განთავისუფლება მოეთხოვა ან გეტყვით, რომ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რაც მას დანაპირების შესრულებისაგან ათავისუფლებს. ისე ჩანს, რომ ორივე მხარეს მხედველობაში აქვს

რაღაც კანონი, თამაშის გარკვეული წესები, გნებავთ, ზნეობის ან ქცევის ნორმები, რაც თითოეული მათგანისათვის მისაღებია. სინამდვილეში ეს ასეც არის. მათ რომ რაღაც ნორმა არ ჰქონოდათ მხედველობაში, შეიძლებოდა ცხოველებივით დასტაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერ იდავებდნენ და ვერ იკამათებდნენ. კამათის დროს ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ მეორე ადამიანი ცდება. ამგვარ მცდელობას აზრი არ ექნებოდა, თუ წინასწარ არ შევუთანხმდებოდით მოპაექრეს, თუ რა არის საერთოდ „სწორი" და რა — „არასწორი".

ზუსტად ასევე არ ექნებოდა აზრი ფეხბურთელის მიერ წესის დარღვევაზე ლაპარაკს, თუ წინასწარ არ იქნებოდა დადგენილი ფეხბურთის თამაშის წესები.

ამ კანონს ადრე „ბუნებრივს" ანუ ბუნების კანონს უწოდებდნენ. დღეს კი, როცა „ბუნების კანონებზე" ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ მიზიდულობის, მემკვიდრეობითობის ან ქიმიის კანონებს ვგულისხმობთ ხოლმე. მაგრამ როდესაც ძველი მოაზროვნეები სიკეთისა და ბოროტების კანონს „ბუნების კანონს" უწოდებდნენ, მათ მხედველობაში ჰქონდათ „ადამიანური ბუნების კანონი".

ისინი ამგვარად სჯიდნენ: ყველა ფიზიკური სხეული მიზიდულობის კანონს ემორჩილება, ყველა ორგანიზმი ბიოლოგიური კანონებით ცხოვრობს, ადამიანსაც აქვს თავისი კანონი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფიზიკურ სხეულს არ შეუძლია არჩევანის გაკეთება, ის ვერ გადაწყვეტს, დაემორჩილოს თუ არა მიზიდულობის კანონს, მაშინ, როცა ადამიანს აქვს ნების თავისუფლება, ის თვითონ ირჩევს, მისდიოს თუ არა ადამიანური ბუნების კანონს.

ეს აზრი შეიძლება სხვაგვარადაც გამოვხატოთ. თითოეული ადამიანი გამუდმებით იმყოფება რამდენიმე კანონის ზემოქმედების ქვეშ. და მათ შორის მხოლოდ ერთია ისეთი, რომელსაც შეუძლია, რომ არ დაემორჩილოს. როგორც ფიზიკური სხეული, იგი ემორჩილება მიზიდულობის კანონს და ამ რეალობის შეცვლა მას არ ძალუძს. თუ ადამიანს საყრდენის გარეშე დავტოვებთ ჰაერში, მას არ ექნება უფრო მეტი არჩევანის თავისუფლება, ვიდრე ქვას, რომელიც თავად ვერ გადაწყვეტს, დაეცეს თუ არა მიწაზე. როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ადამიანიც ბიოლოგიური კანონების თანახმად ცხოვრობს და ისევე ვერ დაარღვევს მათ თავისი სურვილისა-

მებრ, როგორც ცხოველები ვერ არღვევენ. ასე რომ, ადამიანი უსიტყვოდ ემორჩილება სხვა სხეულებისა და ორგანიზმებისათვის აუცილებელ კანონებს. მაგრამ ის კანონი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანური ბუნებისათვის და რომელიც არ ვრცელდება ცხოველებზე, მცენარეებზე ან არაორგანულ სხეულებზე, ადამიანს თავისი ნების თანახმად შეუძლია დაარღვიოს. ამ კანონს უწოდეს ბუნების კანონი, რადგან ითვლებოდა, რომ თითოეულმა ადამიანმა ის ბუნებრივად, ინსტიქტურად იცის და მისი სწავლა საჭირო არაა.

ძველ მოაზროვნეებს, რასაკვირველია, ესმოდათ, რომ დრო და დრო გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც არაფერი ეცოდინებოდათ ბუნების კანონის თაობაზე, ისევე როგორც ჩნდებიან ხოლმე დალტონიკები ან ადამიანები, მუსიკალური სმენა რომ არ გააჩნიათ; მაგრამ, ამოდიოდნენ რა ადამიანური არსის იდეიდან, თვლიდნენ, რომ ქცევის ნორმები ყველასთვის გასაგები და მისაღები უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, ისინი არ ცდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საყოველთაო შეხედულება ომზე და ნგრევაზე უაზრობად გადაიქცეოდა. რა აზრი აქვს ილაპარაკო მტრის სისასტიკესა და ვერაგობაზე, თუკი არ არსებობს სიკეთე? თუკი ნაცისტებს გულის სიღრმეში ისევე კარგად არ ეცოდინებოდათ, როგორც ჩვენ ვიცით, რომ სიკეთის ხმას უნდა მიჰყვე, თუკი მათ არ ექნებოდათ წარმოდგენა იმაზე, რა არის კარგი და რა — ავი, მაშინ მათ წინააღმდეგ ბრძოლა კი მოგვიწევდა, მაგრამ ჩადენილ ბოროტებაში დადანაშაულების იმდენივე უფლება გვექნებოდა, რამდენიც მათი თმის ფერის გაკილვისა გვაქვს.

ვიცი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილ წესიერი ქცევის კანონს მტკიცე საფუძველი არ გააჩნია, რადგან სხვადასხვა ცივილიზაციებს სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ზნეობაზე.

ეს მცდარი აზრია. განსხვავებული შეხედულებები არსებობდა, მაგრამ მხოლოდ ცალკეულ საკითხზე. თუკი ვინმე გაირჯება და შეადარებს ზნეობაზე არსებულ მოძღვრებებს, რომლებიც ბატონობდნენ, ვთქვათ, ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში და რომში, მას გააოცებს ის ფაქტი, თუ რამდენად ჰგვანან ეს მოძღვრებანი ერთმანეთს და, ამავე დროს, ჩვენს

დღევანდელ შეხედულებებს ზნეობაზე. ამ ფაქტის დამადასტურებელი ზოგიერთი მტკიცება განვაზოგადე წიგნში, რომელსაც „ადამიანის გაუქმება“ ჰქვია, ამჯერად კი მხოლოდ იმას ვთხოვ მკითხველს, რომ დაუფიქრდეს, თუ სადამდე მიგვიყვანდა აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები ზნეობაზე. წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც აღტაცებულნი არიან იმ ადამიანებით, რომლებიც ბრძოლის ველიდან გარბიან, ანდა სადაც ადამიანი ამაყობს იმით, რომ თავისი კეთილისმყოფელები მოატყუა. ასეთივე წარმატებით შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ქვეყანა, სადაც ორჯერ ორი ხუთია. ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ ვის მიმართ არ უნდა იყოს ეგოისტურად განწყობილი — მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ, ირგვლივ მყოფთა მიმართ, თუ საერთოდ ყველა ადამიანის მიმართ. მაგრამ ყველა იზიარებდა იმ აზრს, რომ ყველაზე წინ საკუთარი თავი არ უნდა დააყენო. ეგოიზმი არსად და არასდროს არ ითვლებოდა საქებარ თვისებად.

განსხვავებული თვალსაზრისები არსებობდა იმის თაობაზეც, რამდენი ცოლია საჭირო — ერთი თუ ოთხი. მაგრამ არავინ დაობდა იმაზე, რომ რომელი ქალიც თვალში მოგივა, ყველა გვერდში არ უნდა მოიწვინო.

თუმცა ყველაზე ღირსშესანიშნავი სხვა რამაა. სადაც არ უნდა შეხვდეთ ადამიანს, რომელიც ამტკიცებს, რომ მისთვის სიკეთე და ბოროტება არარსებული მცნებებია, იმწამსვე მოგეცემათ შესაძლებლობა დაინახოთ, თუ როგორ მიუბრუნდება იგი მის მიერვე უარყოფილ პრინციპებს. მას შეუძლია დაარღვიოს თქვენთვის მოცემული პირობა, მაგრამ თუ თქვენ შეეცდებით მასთან დადებული შეთანხმების დარღვევას, სიტყვის თქმასაც ვერ მოასწრებთ, რომ იმწამსვე დაიჩივლებს: „ეს ხომ უსამართლობაა?!“

ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლები შეიძლება ამტკიცებდნენ, რომ ხელშეკრულებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ იმწამსვე გააბათილებენ თავიანთ მტკიცებას, როდესაც განაცხადებენ, რომ ხელშეკრულება, რომლის დარღვევასაც აპირებენ, უსამართლოა. თუ ხელშეკრულებები არაფერს ნიშნავს, თუ არ არსებობს სიკეთე და ბოროტება, ეი. თუ არ არსებობს ადამიანური ბუნების კანონი, მაშინ რა განსხვავებაა სამართლიან და

უსამართლო ხელშეკრულებას შორის? ჩემი აზრით, შუბს ხალთაში ვერ დამალავ და რასაც არ უნდა ამბობდნენ, მათთვის კარგადაა ცნობილი ადამიანური ბუნების კანონის არსებობა.

აქედან გამომდინარე, ჩვენ იძულებული ვართ ვირწმუნოთ, რომ სიკეთე და ბოროტება ნამდვილად არსებობს. დრო და დრო ადამიანები შეიძლება შეცდნენ მათ განსაზღვრაში, როგორც ცდებიან, მაგალითად, რიცხვების შეკრებისა ან გამოკლების დროს, მაგრამ სიკეთისა და ბოროტების არსი იმაზე მეტად არაა დამოკიდებული ვინმეს გემოვნებასა და აზრზე, ვიდრე გამრავლების ტაბულა. ახლა კი, თუ ამ საკითხში მეთანხმებით, შემდეგზე გადავიდეთ. არცერთი ჩვენთაგანი არ იცავს ზედმიწევნით ადამიანური ბუნების კანონს. თუ თქვენს შორის მოიძებნებიან გამონაკლისები, ბოდიშს ვუხდი მათ და ვურჩევ სხვა წიგნი წაიკითხონ, რადგან რაზეც აქ ვაპირებ საუბარს, მათ არ ეხებათ.

ამრიგად, ჩვეულებრივ ადამიანებს დავუბრუნდეთ.

იმედი მაქვს, არასწორად არ გამიგებთ. მე აქ არ ვქადაგებ და, ღმერთია მოწამე, არც სხვაზე უკეთესად გამოჩენას ვცდილობ. მინდა უბრალოდ თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ამა და ამ წელს, ანდა ამა და ამ თვეში, ან, რაც კიდევ უფრო სარწმუნოა — დღეს, მე და თქვენ ვერ შევძელით მოვქცეულიყავით ისე, როგორც გვინდოდა, რომ სხვები მოქცეულიყვნენ. ახსნა და მობოდიშება უამრავი შეიძლება გამოიძებნოს.

მაგალითად, საშინლად დაღლილი იყავით, როდესაც უსამართლოდ მოექეცით ბავშვებს; ის, არც თუ ისე სუფთა საქმე, რომელიც თითქმის დავიწყებული გქონდათ, მაინცდამაინც ისეთ დროს შემოგთავაზეს, როდესაც ძალიან გჭირდებოდათ ფული; რაღაცას შეპირდით თქვენს ძველ ნაცნობს (და არ გააკეთეთ), მაგრამ წინასწარ რომ გცოდნოდათ, ასე დაკავებული იქნებოდით, არ შეიბორკავდით ხელ-ფეხს დაპირებით; რაც შეეხება ცოლის (ან ქმრის), დის (ან ძმის) მიმართ ჩადენილ თქვენს საქციელს, მე რომ მცოდნოდა, თუ როგორ შეუძლიათ მათ ადამიანის გაღიზიანება, აღარაფერი გამიკვირდებოდა. ბოლოს და ბოლოს მეც ხომ ასეთი ვარ. ვერც მე ვიცავ ბუნებრივ კანონს და თუ ვინმე შენიშვნას მომცემს, იმწამსვე მობოდიშებასა და ახსნა-განმარტებებს ვიწყებ. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად საფუძვლიანია ეს ახსნა-განმარტებები,

მთავარი ისაა, რომ ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, თუ რა ღრმადაა ჩვენში ფესვგამდგარი ადამიანური ბუნების კანონი.

თუ ჩვენ არ ვაღიარებთ წესიერი ქცევის ფასეულობას, მაშინ რატომღა ვცდილობთ ასე თავგამოდებით საკუთარი უწესო საქციელის გამართლებას? სინამდვილეში ჩვენ ღრმად გვწამს წესიერებისა და ისე ძლიერ მოქმედებს ჩვენზე ეს კანონი, რომ ვერ შევრიგებივართ მის დარღვევას და ვცდილობთ სხვა ვინმეს ან რამეს გადავაბრალოთ საკუთარი ქცევა.

დაკვირვებისართ, რომ ახსნა-განმარტებას მხოლოდ ცუდ საქციელს ვუძებნით ხოლმე? ცუდ საქციელს ვხსნით მხოლოდ იმით, რომ ვიყავით დაღლილები, შეშფოთებულები ან მშივრები. კარგ ქცევას კი არ ვუძებნით გარეგან მიზეზებს: ის მხოლოდ ჩვენს დამსახურებად მიგვაჩნია.

ამრიგად, ორ რამეს მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება: პირველი — ადამიანი თვლის, რომ უნდა მისდიოს ქცევის გარკვეულ ნორმებს. მეორე — სინამდვილეში ის ასე არ იქცევა. ადამიანებმა იციან ბუნებრივი კანონი და არღვევენ მას. ამ ორ ფაქტზეა დაფუძნებული, როგორც საკუთარი თავის, ისე ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნება.

2. ზოგიერთი საწინააღმდეგო მოსაზრების გამო

თუ ეს ორი ფაქტი ასე მნიშვნელოვანია, მაშინ მოდით, სანამ წინ წავიწევდეთ, ცოტა ხნით კიდევ შევაჩეროთ მათზე ყურადღება. როგორც მიღებული წერილებიდან ჩანს, არიან ადამიანები, რომლებსაც ვერ გაუგიათ, თუ რა არის წესიერი ქცევის ნორმები, ბუნებრივი ანუ ზნეობრივი კანონი.

ერთ-ერთი მკითხველი მწერს: „იქნებ ის, რასაც ზნეობრივ კანონს უწოდებთ, მხოლოდ ჯოგური ინსტინქტია? ხომ არ განვითარდა იგი ჩვენში სხვა ინსტინქტების მსგავსად?“

კი, ბატონო, მე არ უარვყოფ ჩვენში ჯოგური ინსტინქტის არსებობას, მაგრამ ეს ის არაა, რასაც მე ზნეობრივ კანონს ვუწოდებ. ყველამ ვიცით, რომ ინსტინქტი — დედობრივი სიყვარული, სქესობრივი ლტოლვა თუ შიმშილის განცდა — ადამიანს გარკვეული

ქმედებებისაკენ უბიძგებს. მართალია, ზოგჯერ სწორედ ჯოგური ინსტინქტი აღვიძებს ჩვენში მეორე ადამიანის დახმარების სურვილს, მაგრამ სურვილი არ არის მოწოდება, რომ, გინდა თუ არა, უნდა გააკეთო ეს. დავუშვათ, თქვენ გესმით საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის ყვირილი. ამ დროს შეიძლება ერთდროულად ორი განცდა დაგეუფლოთ, პირველი — დახმარების სურვილი (ჯოგური ინსტინქტის გავლენით) და მეორე — თავის გარიდების სურვილი (თვითგადარჩენის ინსტინქტის გავლენით). ამავე დროს, ამ ორი იმპულსის გვერდით, თქვენ საკუთარ თავში მესამე განცდასაც აღმოაჩენთ, რომელიც გკარნახობთ, რომ დასძლიოთ თვითგადარჩენის ინსტინქტი და მისდიოთ იმ გულისკარნახს, ადამიანის დახმარებისაკენ რომ გიბიძგებთ. იმპულსი, რომელიც წყვეტს, თუ რომელ ინსტინქტს უნდა დაემორჩილოთ, არ შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი იყოს. ისევე როგორც ნოტები მიგითითებენ, თუ რომელ კლავიშს უნდა დაარტყათ ხელი, მაგრამ თავად არ წარმოადგენენ კლავიშებს. მელოდიას ზნეობრივი კანონი გვკარნახობს, ჩვენი ინსტინქტები კი მხოლოდ კლავიშებია.

კიდევ ერთი გზა არსებობს იმის საჩვენებლად, რომ ზნეობრივი კანონი ერთ-ერთი ჩვენი ინსტინქტთაგანი არ არის. თუ ორი ინსტინქტი ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ჩვენს ცნობიერებაში მათ გარდა არაფერი არ არის, მაშინ, ცხადია, მათ შორის უფრო ძლიერი გაიმარჯვებს. თუმცა როდესაც განსაკუთრებული სიმძაფრით შევიგრძნობთ ზნეობრივი კანონის ზემოქმედებას, ის შედარებით სუსტი იმპულსის მიყოლისაკენ გვიბიძგებს. თქვენ, ალბათ, ის უფრო გინდათ, რომ საფრთხეში არ ჩაიგდოთ სიცოცხლე, ვიდრე ის, რომ დასახრჩობად განწირულ ადამიანს მიეშველოთ, მაგრამ ზნეობრივი კანონი მის დასახმარებლად გიბიძგებთ. იგი ხშირად გვეუბნება: შეეცადე, გააძლიერო სწორი იმპულსი.

ჩვენ ხშირად გვიწევს ჯოგური ინსტინქტის გაძლიერება იმით, რომ წარმოსახვის ძალით ვაღვიძებთ ცნობიერებაში სიბრალულის გრძნობას, რათა გვეყოს ძალა კეთილი საქმის საკეთებლად. რასაკვირველია, ინსტინქტურად როდი ვმოქმედებთ, როცა ამ მოთხოვნილების სტიმულირებას ვახდენთ. შინაგანი ხმა, რომელიც გვეუბნება: „შენს ჯოგურ ინსტინქტს სძინავს, გააღვიძე იგი!“ — არ შეიძლება თვითონ იყოს ჯოგური ინსტინქტი.

ამ საკითხს შეიძლება მესამე მხრიდანაც შევხედოთ. ზნეობრივი კანონი რომ ერთ-ერთი ჩვენი ინსტინქტთაგანი იყოს, მაშინ ყოველთვის შევძლებდით ჩვენს არსებაში იმ იმპულსის მოძიებას, რომელიც თანხმობაში იქნებოდა წესიერი ქცევის ნორმებთან. მაგრამ ამგვარი იმპულსი არ არსებობს. ჩვენ ვერ ვპოვებთ ჩვენში ისეთ იმპულსს, რომლის ჩახშობაც ან, პირიქით, სტიმულირება არ დასჭირვებოდეს ზნეობრივ კანონს. შეცდომა იქნებოდა ჩაგვეთვალა, რომ ზოგიერთი ჩვენი ინსტინქტი, მაგალითად, დედობრივი სიყვარული ან პატრიოტიზმი — დადებითია და სწორი, ხოლო ზოგი, ვთქვათ, სქესობრივი ლტოლვა და აგრესია — უარყოფითი. უბრალოდ ცხოვრებაში უფრო ხშირად იმგვარ ვითარებებს ვაწყდებით, როდესაც სქესობრივ ლტოლვასა და აგრესიას უნდა ამოვდოთ ლაგამი, ხოლო დედობრივი სიყვარულისა და პატრიოტული გრძნობის შეკავება შედარებით ნაკლებად გვიწევს. თუმცა გარკვეულ სიტუაციაში ცოლიანი კაცის ვალია, გააღვიძოს საკუთარ თავში სქესობრივი იმპულსი, ხოლო ჯარისკაცისა — სტიმული მისცეს მასში არსებულ აგრესიას, მეომრულ ინსტინქტს.

მეორე მხრივ, არსებობს იმგვარი ვითარებებიც, როდესაც საჭიროა ჩავიხშოთ სიყვარული საკუთარი შვილებისა და ქვეყნისადმი, რომ უსამართლოდ არ მოვექცეთ სხვა ბავშვებსა და სხვა ქვეყნების მცხოვრებლებს. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი იმპულსები. დავუბრუნდეთ კვლავ პიანინოს მაგალითს. არ არსებობს კლავიატურაზე „სწორი“ და „არასწორი“ კლავიშები. მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ბგერის გამოცემა იყო საჭირო, შეიძლება ჩავთვალოთ მისი ხმიანობა „სწორად“ ან „არასწორად“. ზნეობრივი კანონი არ არის არც რომელიმე ინსტინქტი და არც სხვადასხვა ინსტინქტთა ნაერთი. ეს არის ის, რაც ჩვენს ინსტინქტებს წარმართავს (უწოდეთ მას, თუ გნებავთ, სათნოება ან ზნეობრივი ქცევა) და ცხოვრებასთან შესაბამისობაში მოჰყავს ისინი.

სხვათა შორის, ამ ფაქტს სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ყველაზე საშიში, რაც ადამიანმა შეიძლება მოიმოქმედოს, ერთ-ერთი იმპულსის ამორჩევა და ყველა სიტუაციასა და გარემოებაში მის მიმართ ერთგულება გახლავთ. არ არსებობს იმგვარი ინსტინქტი, რომელიც აბსოლუტურ ორიენტირად დასახვის

შემთხვევაში, დემონად არ აქცევდეს ადამიანს. შეიძლება ფიქრობთ, რომ ინსტინქტი, რომელიც სიყვარულით გმსჭვალავთ მთელი კაცობრიობის მიმართ, ამგვარ საშიშროებას გამორიცხავს, მაგრამ იცოდეთ, ცდებით. საკმარისია, უგულებელყოთ სამართლიანობა და აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულებებს არღვევთ და სასამართლოში ცრუ ჩვენებებს იძლევით „კაცთმოყვარეობიდან გამომდინარე". ეს კი საბოლოოდ სასტიკ და ვერაგ ადამიანად გაქცევთ.

წერილებში ზოგჯერ ასეთ კითხვასაც მისვამენ: „იჭნებ ის, რასაც თქვენ მორალურ კანონს ეძახით, სინამდვილეში საზოგადოებრივი შეთანხმებაა და ჩვენ მას სწავლის შედეგად ვითვისებთ?" ვფიქრობ, რომ მსგავსი კითხვა ზოგიერთ რამეზე მცდარი წარმოდგენის შედეგია. ისინი, ვინც ამგვარ კითხვას სვამენ, თვლიან, რომ ის, რაც მშობლებისა ან მასწავლებლებისაგან ვისწავლეთ, აუცილებლად ადამიანის მოგონილი უნდა იყოს. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. ყველა ჩვენგანმა ისწავლა სკოლაში გამრავლების ტაბულა. ბავშვს, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე გაიზარდა, ეს ტაბულა არ ეცოდინება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ გამრავლების ტაბულა მხოლოდ ადამიანთა შეთანხმების შედეგად მიღებული ცხრილია და იგი სხვანაირადაც შეგვიძლია შევადგინოთ, თუკი მოვისურვებთ. ვიზიარებ იმ აზრს, რომ წესიერი ქცევის ნორმებს ჩვენ ისევე ვსწავლობთ მშობლების, მასწავლებლების და მეგობრებისაგან, აგრეთვე წიგნებიდანაც, როგორც ბევრ სხვა რამეს. თუმცა იქიდან, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, მხოლოდ გარკვეული ნაწილი წარმოადგენს პირობით შეთანხმებას, რომლის შეცვლაც ადვილად შეიძლება. მაგალითად, ჩვენ გვასწავლიან, რომ მოძრაობისას გზის მარჯვენა მხარე უნდა გვეკავოს, თუმცა მარცხნივ მოძრაობის წესიც ასეთივე წარმატებით შეგვეძლო აგვეთვისებინა. სხვა საქმეა მათემატიკური წესები, მათი შეცვლა შეუძლებელია, რადგან ისინი რეალურად, ობიექტურად არსებულ ჭეშმარიტებებს წარმოადგენენ.

ახლა უნდა გავარკვიოთ, წესების რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანური ბუნების კანონი.

ორი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ იგი იმავე რიგის მოვლენად მივიჩნიოთ, რომელსაც გამრავლების ტაბულა წარმოად-

გენს. პირველი — როგორც უკვე ავღნიშნეთ, განსხვავებები, რომლებიც სხვადასხვა დროისა და ქვეყნების ზნეობრივ ნორმებს შორის არსებობს, არც თუ ისე არსებითია. მათ შორის არ არის ისეთი მნიშვნელოვანი სხვაობა, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ. ზნეობრიობაზე ყველგან და ყოველთვის ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდათ. მაშინ, როცა უბრალო (ანდა პირობითი) შეთანხმებანი, როგორიცაა ქუჩაში მოძრაობა ან ტანსაცმლის მოდა შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

მეორე — როცა თქვენ სხვადასხვა ხალხის ზნეობრივ წარმოდგენებს შორის არსებულ განსხვავებებზე ფიქრობთ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ერთი ხალხის ზნეობა მეორისაზე უკეთესი ან უარესია? გარკვეული ცვლილებების შეტანა ხომ არ არის საჭირო მათი გაუმჯობესების მიზნით? თუ არა, მაშინ ზნეობრივ პროგრესზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პროგრესი ხომ უკეთესისაკენ ცვლილებაა და არა უბრალო შეცვლა. თუ არც ერთი ზნეობრივი კოდექსი არ არის მეორეზე უკეთესი ან უარესი, მაშინ აზრი არა აქვს ცივილიზებული საზოგადოების ზნეობის ველურების მორალურ კოდექსზე და ქრისტიანული ზნეობის ნაცისტების ზნეობაზე უფრო მაღლა დაყენებას.

სინამდვილეში ჩვენ, რა თქმა უნდა, მიგვაჩნია, რომ ერთი ზნეობრივი კოდექსი მეორეზე უკეთესია. ჩვენ გვჯერა, რომ ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეცვალათ თავიანთი დროის ზნეობრივი წარმოდგენები, რომლებიც ე.წ. რეფორმატორები ანდა პიონერები იყვნენ, უკეთესად ესმოდათ ზნეობრივი პრინციპების მნიშვნელობა, ვიდრე მათ თანამედროვეებს. და რაკი ეს ასეა, როდესაც აცხადებთ, რომ ერთი ზნეობრივი კოდექსი მეორეზე უკეთესია, მხედველობაში გაქვთ გარკვეული სტანდარტი, რომელსაც უსადაგებთ ამ ზნეობრივ კოდექსებს და ამ ნიადაგზე გამოგაქვთ დასკვნა.

სტანდარტი, რომელიც საზომად გემსახურებათ, უნდა განსხვავდებოდეს იმისაგან, რის გაზომვასაც ვაპირებთ. მოცემულ შემთხვევაში ორ განსხვავებულ ზნეობრივ კოდექსს თქვენ ადარებთ რომელიღაც ჭეშმარიტ ზნეობას და ამით აღიარებთ, რომ იმგვარი რამ, როგორიცაა ჭეშმარიტი სამართლიანობა, რეალურად არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანის

შეხედულებები უკეთ მიესადაგება მას, ზოგისა კი შედარებით ნაკლებად. ანდა, მოდით, ამგვარად განვსაჯოთ. თუ თქვენი ზნეობრივი წარმოდგენები უფრო სწორია, ვიდრე ნაცისტებისა, ეი. არსებობს რაღაც ჭეშმარიტი ზნეობრივი ნორმა, რომელსაც თქვენ საზომად იყენებთ. თქვენი წარმოდგენა ნიუ-იორკზე ჩემს წარმოდგენასთან შედარებით სწორი ან არასწორი იმდენად შეიძლება იყოს, რამდენადაც ნიუ-იორკი რეალური ქალაქია და მისი არსებობა არ არის იმაზე დამოკიდებული, თუ რას ფიქრობს ნებისმიერი ჩვენგანი. თუ თითოეული ჩვენთაგანი იტყოდა სიტყვა „ნიუ-იორკს" და იგულისხმებდა უბრალოდ „ქალაქს, რომელსაც ჩემს წარმოსახვაში წარმოვიდგენ", როგორ იქნება, რომ ერთ-ერთ ჩვენგანს მეორეზე უფრო სწორი წარმოდგენა ჰქონდეს? აქ საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი იყოს სწორ და არასწორ წარმოდგენაზე. იგივე შეიძლება ითქვას წესიერი ყოფა-ქცევის ნორმაზე. რასაც თითოეული ხალხი მოიწონებს, ის იქნება მისი ნორმა, ამიტომ აზრი არ ექნება იმაზე ლაპარაკს, რომ ერთი ერი მეორეზე სწორედ იქცევა. არც იმის თქმას აქვს აზრი, რომ მსოფლიო ზნეობრივად უფრო უმჯობესდება თუ უარესდება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მართალია, ადამიანთა განსხვავებული შეხედულებანი წესიერ ქცევაზე ხშირად გვაიძულებს დავეჭვდეთ ქცევის ჭეშმარიტი კანონის არსებობაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ განსხვავებებზე ვფიქრობთ, მის რეალურ არსებობას ადასტურებს.

და ბოლოს, ნება მომეცით, კიდევ რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ხსენებულ განსხვავებებს აზვიადებდნენ იმის გამო, რომ ვერ ხედავდნენ სხვაობას ზნეობრივ წარმოდგენებსა და ფაქტების ინტერპრეტაციებს შორის. მაგალითად, ერთმა კაცმა მკითხა: „სამასი წლის წინ ინგლისში ჯადოქრებს ხოცავდნენ. იყო თუ არა ეს იმის გამოვლინება, რასაც თქვენ ადამიანური ბუნების კანონს, ანდა წესიერი ქცევის ნორმებს ეძახით?" დღეს ჩვენ ჯადოქრებს არ ვხოცავთ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი არსებობა არ გვჯერა, მაგრამ რომ გვჯეროდეს, რომ მიგვაჩნდეს, თითქოს ჩვენს გვერდით არსებობენ ადამიანები, რომლებმაც სული ეშმაკს მიჰყიდეს და მის სანაცვლოდ ზებუნებრივი ძალა მიიღეს, რასაც სხვების საზიანოდ, კერძოდ, მეზო-

ბლის მოსაკლავად, მის ჭკუაზე შესაშლელად ან ცუდი ამინდის გამოსაწვევად იყენებენ, ყველანი ერთხმად ვალიარებდით, რომ ასეთი ადამიანები სასიკვდილო განაჩენს იმსახურებენ; ისინი ხომ ბილწი მოღალატეები არიან? მოცემულ შემთხვევაში მორალურ პრინციპებში კი არა გვაქვს განსხვავება, არამედ ფაქტის შეფასებაში.

ის გარემოება, რომ ჩვენ ჯადოქრების არსებობა აღარ გვწამს, შესაძლებელია, ადამიანური ცოდნის სფეროში მომხდარ დიდ პროგრესზე მეტყველებდეს, მაგრამ ის, რომ ჩვენ შევწყვიტეთ ჯადოქრების გასამართლება, რომელთა არსებობაც აღარ გვჯერა, არ შეიძლება ზნეობრივ პროგრესად მივიჩნიოთ. თუ ადამიანმა ხაფანგების დადგმა შეწყიტა, რადგან დარწმუნდა, რომ მის სახლში თაგვები აღარ არიან; ეს მის ჰუმანურობაზე როდი მიუთითებს.

3. კანონის რეალურობა

ახლა მე დავუბრუნდები იმას, რაზეც პირველ თავში ვსაუბრობდი, კერძოდ ადამიანისათვის ჩვეულ ორ საინტერესო თავისებურებას. პირველი ის გახლავთ, რომ თითქმის ყველა ადამიანი თავს ვალდებულად თვლის, დაიცვას ქცევის გარკვეული წესები, ზნეობრივი კოდექსი ანუ იგივე ბუნების კანონი.

ადამიანისათვის ჩვეული მეორე თავისებურება კი ის არის, რომ სინამდვილეში იგი ამ წესებს არ იცავს. ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ მიმაჩნია მე ამგვარი ვითარება უცნაურად, რადგან მათ იგი სავსებით ჩვეულებრივად ეჩვენებათ. იქნება მე ძალზე მკაცრი ვარ ადამიანთა მოდგმის მიმართ? ბოლოს და ბოლოს თქვენ იტყვით, რომ ის, რასაც მე სიკეთისა და ბოროტების კანონის დარღვევას ვუწოდებ, უბრალოდ ადამიანური ბუნების არასრულყოფილებაზე მეტყველებს და ან რატომ უნდა ველოდეთ ადამიანებისაგან სრულყოფილებას? ამგვარი რეაქცია იმ შემთხვევაში იქნებოდა სწორი, მე რომ ზუსტად ვცდილობდე იმის აწონ-გაზომვას, თუ რამდენადა ვართ დამნაშავე იმაში, თავად რომ არ ვიქცევით ისე, როგორც, ჩვენი აზრით, სხვები უნდა იქცეოდნენ. მაგრამ მე სულ სხვა განზრახვა მაქვს, დანაშაულის განსჯა

კი არ მსურს, არამედ ჭეშმარიტების დადგენა. ამ თვალსაზრისით კი თავად აზრს იმის თაობაზე, რომ ჩვენ ისეთები არა ვართ, როგორებიც უნდა ვიყოთ, გარკვეულ შედეგებამდე მივყავართ.

რომელიმე საგანი, მაგალითად, ქვა ან ხე, არის იმგვარი, როგორიც არის და უაზრობაა იმაზე ლაპარაკი, რომ იგი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. თქვენ, რა თქმა უნდა, შეიძლება ჩათვალოთ, რომ ქვას „არასწორი" ფორმა აქვს, რადგან არ გამოგადგებათ ბაღის მოსართავად, ანდა, რომ ეს „ცუდი ხეა", ვინაიდან საჩრდილობლად არ ვარგა. მაგრამ ამ დროს მხოლოდ იმას გულისხმობთ, რომ ეს ხე ან ქვა თქვენი მიზნებისათვის არ გამოგადგათ და აზრადაც არ მოგივათ მათი დადანაშაულება, რადგან იცით, რომ ამინდისა და ნიადაგის თავისებურების გამო ეს ხე სხვანაირი ვერ გაიზრდებოდა; იგი „ცუდია" იმიტომ, რომ ბუნების კანონებს ემორჩილება, ისევე როგორც „კარგი" ხე.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნების კანონი, კერძოდ, გარემო პირობების გავლენა ხის ზრდაზე, შეიძლება არც კი მივიჩნიოთ კანონად, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით. როდესაც ვამბობთ, რომ ვარდნის დროს ქვა ემორჩილება მიზიდულობის კანონს, ვგულისხმობთ, რომ „ქვები ყოველთვის ასე იქცევიან". ქვა მისთვის დადგენილ კანონს კი არ ასრულებს, უბრალოდ მიწაზე ეცემა. თქვენ არა გაქვთ საფუძველი იფიქროთ, რომ ამ ფაქტებს მიღმა იმალება რაღაც, კერძოდ, გარკვეული კანონი იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოხდეს, იმისაგან განსხვავებით, რაც სინამდვილეში ხდება.

ქვებთან და ხეებთან დაკავშირებით, ბუნების კანონები მხოლოდ ადასტურებენ იმას, რაც სინამდვილეში ხდება. სულ სხვა რამ გახლავთ წესიერი ქცევის კანონი. ეს კანონი არ აღნიშნავს იმას, „რასაც ადამიანები სინამდვილეში აკეთებენ", როგორც მოგახსენეთ, არც ერთი ადამიანი არ ემორჩილება მას მთლიანად, ბევრი მათგანი კი საერთოდ უგულებელყოფს მის ნორმებს. მიზიდულობის კანონი გამცნობთ, თუ რა დაემართება ჩამოვარდნილ ქვას; ზნეობრივი კანონი კი იმის მაცნეა, რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა და რა — არა. ერთი სიტყვით, ადამიანური ქცევის ფაქტებს მიღმა დგას რაღაც ძალა. თქვენ ხედავთ ფაქტებს (ადამიანები იქცევიან ასე ან ისე), მაგრამ თქვენ იცით კიდევ რაღაც (ისინი ამგვარად

უნდა მოქცეულიყვნენ). რაც შეეხება ადამიანის გარშემო არსებულ დანარჩენ სამყაროს, აქ ფაქტებს მიღმა არც არაფერია საძიებელი. ელექტრონები და მოლეკულები გარკვეული სახით მოქმედებენ, აქედან გამომდინარეობს გარკვეული შედეგები და აქ, როგორც სჩანს, ყველაფერი მთავრდება. მაგრამ როცა ადამიანები იქცევიან გარკვეული სახით, აქ არაფერი არ მთავრდება, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ისინი სხვაგვარად უნდა იქცეოდნენ.

ეს გარემოება საკმაოდ უცნაურია და ადამიანები მას სხვადასხვა ახსნას უძებნიან. ერთ-ერთი ახსნა ასეთია: როდესაც ამბობთ, რომ ადამიანი ისე არ უნდა იქცეოდეს, როგორც იქცევა, დაახლოებით იგივეს გულისხმობთ, რასაც „არასწორი ფორმის ქვასთან" დაკავშირებით გულისხმობდით: მისი ქცევა თქვენ ხელს გიშლით. თუმცა ამგვარი ახსნა საკმაოდ არადამაკმაყოფილებელია. ადამიანმა, რომელმაც მოხერხებული ადგილი დაიკავა კუპეში, რადგან იქ თქვენზე ადრე მივიდა, და თავხედმა მგზავრმა, რომელიც თქვენს ზურგს უკან გაძვრა იმ ადგილისაკენ და იქიდან თქვენი პორტფელი ჩამოხსნა, ერთნაირი უსიამოვნება შეგიქმნათ, მაგრამ მეორეს ამტყუნებთ, პირველს კი — არა. მე არ ვბრაზობ, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე წამით გავღიზიანდე, როცა ვინმე შემთხვევით დამიდებს ფეხს, მაგრამ მრისხანება მიპყრობს, როდესაც შეგნებულად ცდილობენ ჩემს წაქცევას, თუნდაც არაფერი გამოუვიდეთ. ამ დროს პირველმა გარკვეული ზიანი მომაყენა, მეორემ კი ვერ მოახერხა.

ხანდახან საქციელი, რომელიც მე ცუდად მიმაჩნია, სულაც არ მაყენებს ზიანს და, პირიქით, შეიძლება ჩემთვის სასარგებლოც იყოს. ომის დროს ორივე მხარე მოხარულია ისარგებლოს მოღალატის სამსახურით მოწინააღმდეგის ბანაკიდან. სიამოვნებით ღებულობენ ამ სამსახურს და ზოგჯერ მასში ფულსაც იხდიან, მაგრამ მოღალატეს მაინც ყველა ზიზღით უყურებს. ამიტომ თქვენ ვერ დაარქმევთ სხვა ადამიანების საქციელს წესიერს, როცა მხოლოდ პირადი სარგებლიანობის კრიტერიუმით ხელმძღვანელობთ. ხოლო რაც შეეხება ჩვენს საკუთარ წესიერებას, ვფიქრობ, არავინ არ განიხილავს მას, როგორც პირადი სარგებლიანობის მომტან ქცევას. წესიერება ნიშნავს იმას, რომ ოცდაათი შილინგი იკმარო იქ, სადაც სამი ფუნტის მიღება შეგეძლო; კეთილსინდი-

სიერად შეასრულო დავალება, როცა იოლად შეგიძლია მასწავ-ლებლის მოტყუება; თავი დაანებო ქალიშვილს და არ ისარგებლო მისი სისუსტით; არ გაექცე საფრთხეს; შეასრულო დანაპირები, როცა მისი დავიწყება უფრო იოლია; სიმართლე თქვა მაშინაც კი, როცა ეს სხვების თვალში სულელად გამოგაჩენს.

ზოგი იტყვის, რომ, მართალია, წესიერ ქცევას ყოველთვის არ მოაქვს მყისიერი სარგებლობა, მაგრამ ის მომგებიანია საბოლოო ჯამში მთელი კაცობრიობისათვის. და ეს ასეც არის. ადამიანები ძირითადად საღად აზროვნებენ. მათ ესმით, რომ ბედნიერად და უსაფრთხოდ თავი მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში შეიძლება იგრძნო, სადაც ყველა პატიოსნად იქცევა. სწორედ ამიტომ ცდი-ლობენ ისინი წესიერად მოიქცნენ. რასაკვირველია, უსაფრთხოე-ბისა და ბედნიერების საწინდარი მხოლოდ პატიოსანი, სამართ-ლიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობებია ადამიანთა და კაცთა შორის. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება გახლავთ, მაგრამ მას არ ძალუძს სიკეთისა და ბოროტების პრო-ბლემის გადაჭრა.

როცა ვკითხულობთ: „რატომ არ უნდა ვიყო ეგოისტი?“ ამგ-ვარ პასუხს ვიღებთ: „იმიტომ, რომ ასე სჯობს საზოგადოებისათ-ვის“. ამის შემდეგ ჩნდება ახალი კითხვა: „რატომ უნდა ვიზრუნო საზოგადოების კეთილდღეობაზე, თუ ამას პირადად ჩემთვის არა-ვითარი სარგებლობა არ მოაქვს?“ მაგრამ ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი არსებობს: „იმიტომ, რომ ეგოისტი არ უნდა იყო“. როგორც ხედავთ, ისევ იქ მივედით, საიდანაც დავიწყეთ. ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტების კონსტატირებას ვახდენთ. კითხვაზე: „რისთვის თამაშობენ ფეხბურთს?“ — პასუხი: „იმისათვის, რომ გოლები გაიტანონ“ — საკმაოდ უაზრო მეჩვენება, რადგან გო-ლების გატანა თამაშის არსია და არა მისი მიზეზი. ეს პასუხი გეუბ-ნება, რომ „ფეხბურთი — ფეხბურთია“, რაც, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ რა აზრი აქვს ამის თქმას? მსგავსი უაზრობა იქნებოდა, ადამიანისათვის, რომელიც კითხულობს, თუ რატომ უნდა მოი-ქცეს წესიერად, გვეპასუხა: „იმიტომ, რომ სარგებლობა მოუტანო საზოგადოებას“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — იმიტომ, რომ არ უნდა იყო ეგოისტი, საკუთარ თავზე შეყვარებული (საზოგადოება ხომ საბოლოო ჯამში „სხვა ადამიანებისაგან“ შედგება) და უნდა

იყო წესიერი, უანგარო ადამიანი. უანგარობა ხომ წესიერი ქცევის შემადგენელი ნაწილია. ფაქტიურად თქვენ ამბობთ, რომ წესიერი ქცევა — ეს წესიერი ქცევაა. ასეთივე წარმატებით შეგეძლოთ განგეცხადებინათ: „ადამიანები უანგარონი უნდა იყვნენ."

მეც სწორედ აქ უნდა შევჩერდე. ადამიანები უანგარონი, სამართლიანები უნდა იყვნენ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მართლაც უანგარონი არიან, ან მოსწონთ უანგარობა, ეს ნიშნავს, რომ ისინი ასეთები უნდა იყვნენ. ზნეობრივი კანონი ანუ ადამიანური ბუნების კანონი მხოლოდ ადამიანთა საქციელის კონსტატირებას როდი ახდენს, მიზიდულობის კანონის მსგავსად, რომელიც მძიმე ობიექტების ვარდნის ფაქტს აფიქსირებს. ის არც უბრალო გამონაგონია, რადგან ჩვენ მისი დავიწყება არ შეგვიძლია. მისი უგულებელყოფის შემთხვევაში უმეტესი ნაწილი იმისა, რასაც ადამიანებზე ვფიქრობთ და ვამბობთ, უაზრობად იქცეოდა. იგი არაა უბრალო განაცხადი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სხვა ადამიანები, ჩვენ რომ გვასიამოვნონ. ვინაიდან ე.წ. ცუდი ანდა უპატიოსნო ქცევა ყოველთვის როდი გვაყენებს უსიამოვნებას, ხანდახან ის, პირიქით, ჩვენთვის სასარგებლოცაა. აქედან გამომდინარე, ადამიანური ბუნების კანონი, ანუ სიკეთისა და ბოროტების გამიჯნვა, ობიექტურად არსებული და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული რეალობაა.

თუმცა ეს წესი ან კანონი არ გვევლინება ობიექტურ ფაქტად, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მაგალითად ისეთად, როგორიც ჩვენი ქცევის ფაქტია. ამას კი სხვა რეალობის არსებობის აღიარებასთან მივყავართ. კერძოდ, ცხადი ხდება, რომ ადამიანურ ქცევას განაგებს ფაქტებს მიღმა არსებული და მათზე აღმატებული კანონი, რომელიც არცერთ ჩვენგანს არ შეუდგენია, მაგრამ მის ზემოქმედებას ყველანი განვიცდით.

4. რა იმალება ბუნებრივ კანონს მიღმა

ახლა მოდით, შევაჯამოთ ის, რაზეც ვისაუბრეთ. ქვებისა და ხეების შემთხვევაში „ბუნებრივი კანონი" მხოლოდ სიტყვის მასალაა. როცა ვამბობთ, რომ ბუნება გარკვეულ კანონებს ემორჩი-

ლება, ვგულისხმობთ, რომ ის იქცევა ან თავს ავლენს გარკვეული სახით.

ე.წ. „კანონები“ ვერ გამოდგებიან კანონებად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ისინი ბუნების მოვლენებზე მაღლა არ დგანან. ადამიანის შემთხვევაში კი სხვა ვითარება გვაქვს. ადამიანური ბუნების კანონი, ანუ სიკეთისა და ბოროტების კანონი, ადამიანური ქცევის ფაქტებზე მაღლა დგას. ამ შემთხვევაში ფაქტებს მიღმა იმალება რაღაც ძალა, კერძოდ კანონი, რომელიც ჩვენ არ მოგვიგონია, მაგრამ მისი შესრულება აშკარად გვმართებს.

ახლა კი გავარჩიოთ, თუ რას გვეუბნება ეს ფაქტი სამყაროზე, რომელშიც ვცხოვრობთ. მას აქეთ, რაც ადამიანებმა ისწავლეს აზროვნება, მათ დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რას წარმოადგენს სამყარო და როგორ წარმოიშვა იგი. ამის თაობაზე იმთავითვე ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი გაჩნდა. პირველი ე.წ. მატერიალისტური თვალსაზრისი გახლავთ, რომლის მიმდევრებიც თვლიან, რომ მატერია და სივრცე უბრალოდ არსებობენ, ყოველთვის არსებობდნენ და არავინ იცის, რატომ; მატერიამ, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონების მიხედვით მოქმედებს, შემთხვევით წარმოშვა ჩვენნაირი მოაზროვნე ქმნილებანი. რომელიღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რომლის ალბათობაც პირველზე ნაკლებია, ერთ-ერთ პლანეტაზე სიცოცხლისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტები და ტემპერატურა გაჩნდა; ასე გაცოცხლდა მატერიის ნაწილი, რომელიც შემთხვევითობათა გრძელი ჯაჭვის გავლის შემდეგ ისეთ მაღალორგანიზებულ არსებებად ჩამოყალიბდა, როგორებიც მე და თქვენა ვართ.

მეორე თვალსაზრისი რელიგიური გახლავთ. ამ თვალსაზრისის თანახმად, ხილული სამყაროს წარმოშობის მიზეზი რაღაც გონიერ საწყისში უნდა ვეძიოთ. ამ გონს გააჩნია ცნობიერება, აქვს თავისი მიზნები და გემოვნება (უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ რამეს, სხვებთან შედარებით). რელიგიური თვალსაზრისის მიხედვით, სწორედ ამ გონმა შექმნა სამყარო, ნაწილობრივ რაღაც მიზნებისათვის რომლებიც ჩვენთვის უცნობია, ნაწილობრივ კი იმისათვის, რომ თავისი მსგავსი (მასავით მოაზროვნე) არსებები წარმოექმნა. ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ ორივე

ეს თვალსაზრისი უხსოვარი დროიდან არსებობდა და არცერთი მათგანის დამტკიცება არ ხერხდება მეცნიერული გზით. მეცნიერული ცოდნა ცდის საფუძველზე მოიპოვება. მეცნიერი საგნებისა და მოვლენების ქცევას აკვირდება. ნებისმიერი მეცნიერული მტკიცება, როგორი რთულიც არ უნდა იყოს იგი, საბოლოო ჯამში ამგვარ სახეს იღებს: „15 იანვარს, ღამის 2 საათსა და 20 წუთზე, მე მივმართე ტელესკოპი ცისაკენ და დავინახე ესა და ეს“, ანდა: „მე ჭურჭელში ჩავდე ამა და ამ ნივთიერების გარკვეული რაოდენობა, გავახურე გარკვეულ ტემპერატურამდე და მივიღე ესა და ეს“. არ იფიქროთ, თითქოს მეცნიერების წინააღმდეგი ვიყო, მე მხოლოდ მის ძირითად პრინციპს გიხსნით. რაც უფრო სწავლულია ადამიანი, მით უფრო იოლად დამეთანხმება, რომ სწორედ ესაა მეცნიერება და ამას ეფუძნება მისი სარგებლიანობა და აუცილებლობა. მეცნიერების საკვლევი საკითხი არ გახლავთ ის, თუ რატომ არსებობენ საერთოდ მისი შესწავლის ობიექტები და რა დგას მათი არსებობის მიღმა. თუკი ხილული სინამდვილის მიღმა „რაღაც“ დგას, მაშინ ის ან საერთოდ უცნობი დარჩება ადამიანებისათვის, ან რაიმე განსაკუთრებული გზით შეატყობინებს მათ თავის არსებობას. იმის მტკიცება — არსებობს თუ არა ეს „რაღაც“ — მეცნიერების კომპეტენციაში არ შედის. ნამდვილი მეცნიერები არასოდეს იკვლევენ ამ საკითხს, მხოლოდ სახელმძღვანელოებიდან ამოკითხულ მონაცემებს ჩაბღაუჭებული ჟურნალისტები და პოპულარული რომანების ავტორები ცდილობენ ამგვარი ილუზიის შექმნას. ჯანსაღი აზრი გვკარნახობს: იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეცნიერება იმდენად სრულყოფილი გახდება, რომ სამყაროს თითოეულ შემადგენელ ნაწილს ახსნის, კითხვები: „რატომ არსებობს სამყარო?“, „რატომ იქცევა იგი ასე და არა სხვანაირად?“ და „რა აზრი აქვს მის არსებობას?“ — პასუხგაუცემელი დარჩება.

მდგომარეობა სრულიად უიმედო იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა. სამყაროში არის ერთი არსება, რომლის შესახებაც უფრო მეტი ვიცით, ვიდრე გარედან დაკვირვების წყალობით გვეცოდინებოდა. ეს არსება ადამიანია. ჩვენ არა მარტო ვაკვირდებით ადამიანებს, თვითონ ვართ ადამიანები. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გაგვაჩნია ე.წ. შინაგანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც ვიცით, რომ ადამიანები გრძნობენ ზნეობრივი კანონის ზემოქმე-

დებას, რომელიც მათ არ დაუდგენიათ. მაგრამ ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად ვერ ივიწყებენ მას და ემორჩილებიან მის მოთხოვნებს. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ გარემოებას: ყველა, ვინც გარედან დაიწყებდა ადამიანის შესწავლას, ისე როგორც ელექტროობას ან კომბოსტოს ვსწავლობთ, და ვისაც არ ეცოდინებოდა ჩვენი ენა და შესაბამისად, ჩვენგან შინაგან ინფორმაციას ვერ მიიღებდა, ადამიანის ქცევაზე უბრალო დაკვირვების შედეგად ვერასოდეს მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ზნეობრივი კანონი გვაქვს. ან როგორ შესძლებდა ამ ფაქტის აღმოჩენას? დაკვირვება ხომ მხოლოდ იმას წარმოაჩენდა, რასაც ვაკეთებთ, ზნეობრივი კანონი კი გვეუბნება, რა უნდა ვაკეთოთ. ასევე, რაღაც რომ იმალებოდეს ჩვენი დაკვირვებისათვის მისაწვდომ ფაქტებს მიღმა, როცა ქვების ვარდნას ან ამინდს ვიკვლევთ, მაშინ, როგორც გარედან დამკვირვებლებს, ამ „რაღაცის“ აღმოჩენის იოტისოდენა იმედიც არ უნდა გვქონოდა.

კითხვა ამგვარად სხვა განზომილებაში გადაინაცვლებს. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, შემთხვევით, თავისთავად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე იქცა სამყარო იმად, რადაც გვევლინება, თუ მის მიღმა დგას რაღაც ძალა, რომელიც აქცევს მას იმად, რასაც წარმოადგენს? ვინაიდან ეს ძალა, თუკი იგი საერთოდ არსებობს, არ შეიძლება იყოს დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი ფაქტი, რადგან თავად გვევლინება ფაქტების მიზეზად, დაკვირვების შედეგად მისი აღმოჩენა შეუძლებელია. მხოლოდ ერთადერთი მოვლენა მიგვითითებს, რომ ფაქტებს მიღმა რაღაც არსებობს და ეს მოვლენა ჩვენ ვართ. მხოლოდ ჩვენივე თავი მიგვანიშნებს, რომ ეს „რაღაც“ მართლა არსებობს. მოდით ამ საქმეს სხვა კუთხიდანაც შევხედოთ. სამყაროს მიღმა რომ რაღაც მაკონტროლებელი ძალა არსებობდეს, ის სამყაროს შემადგენელი ელემენტის სახით ვერ წარმოგვიდგებოდა, ისევე როგორც არქიტექტორი, რომლის პროექტითაცაა სახლი აშენებული, ვერ იქნება კედელი, კიბე ან ღუმელი ამ სახლში. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება გვქონოდა, ისაა, რომ ეს ძალა თავს გამოამჟღავნებდა ჩვენში გარკვეული გავლენის ან ბრძანების სახით, რომელიც ჩვენი ქცევის გარკვეული მიმართულებით წარმართვას შეეცდებოდა. ხომ ვგრძნობთ ამგვარ გავლენას ჩვენში? ხომ აღვიძებს გარკვეულ ეჭვებს ეს აღმოჩენა?

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პასუხის მიღების იმედი შეიძლებოდა გვქონოდა, დადებითად უპასუხებს ამ კითხვას. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც პასუხს ვერ ვიღებთ, ვიცით, რატომ ხდება ეს. დავუშვათ ვინმემ მკითხა: „როდესაც ხედავთ ცისფერ უნიფორმაში გამოწყობილ ადამიანს, რომელიც ქუჩას მიუყვება და ყოველ სახლთან ქაღალდის პაკეტს ტოვებს, რატომ გგონიათ, რომ ამ პაკეტებში წერილები უნდა იყოს?“ მე ასე ვუპასუხებდი: „იმიტომ, რომ ყოველთვის, როდესაც იგი ჩემს სახლთან ტოვებს მსგავს პაკეტს, მე მასში წერილს ვპოულობ“. თუ ეს ადამიანი შემეპასუხებოდა: „კი მაგრამ, თქვენ ხომ არასოდეს გინახავთ ის წერილები, რომლებსაც, თქვენი აზრით, სხვები ღებულობენ?“ მე მივუგებდი: „რა თქმა უნდა, ისინი ხომ ჩემთვის არ გამოუგზავნიათ. მე ვხვდები, რა დევს პაკეტში, რომლის გახსნის უფლებაც არა მაქვს, იმ პაკეტის ანალოგიით, რომელიც შემიძლია გავხსნა.“

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით. ერთადერთი პაკეტი, რომლის გახსნის უფლებაც მაქვს, ადამიანია, და როდესაც ამას ვაკეთებ, განსაკუთრებით, როდესაც ვხსნი ერთ კონკრეტულ ადამიანს, რომელსაც „მეს“ ვუწოდებ, აღმოვაჩენ, რომ „მე“ თავისთავად კი არ ვარსებობ, არამედ რაღაც კანონს ვექვემდებარები. რაღაცას ან ვიღაცას სურს, რომ ასე ვიქცეოდე და არა სხვანაირად. მე, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ თუ ქვაში ანდა ხეში შეღწევას შევძლებ, იქაც რაღაც აბსოლუტურად იდენტურს აღმოვაჩენ, ისევე როგორც არ მიმაჩნია, რომ ჩემს ქუჩაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ისეთსავე წერილებს ღებულობს, როგორსაც მე. მე შემეძლო, მაგალითად, აღმომეჩინა, რომ ქვა ვალდებულია დაემორჩილოს მიზიდულობის კანონს. „წერილების ავტორი“ მე უბრალოდ მეუბნება, რომ დავემორჩილო ჩემს ანუ ადამიანური ბუნების კანონს, მაშინ, როცა ქვას იგი აიძულებს, დაემორჩილოს მისი ბუნების კანონებს. ასე სჩანს, ორივე შემთხვევაში მოქმედებს „წერილების ავტორი“, ძალა, რომელიც ფაქტებს მიღმა დგას და სიცოცხლეს მართავს.

არ გეგონოთ, რომ ძალიან ვჩქარობ. ჯერ ას კილომეტრზედაც არ მივახლოებივარ იმას, თუ როგორ განმარტავს ღმერთს ქრისტიანული თეოლოგია. ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, შეიძლება ამგვარად ჩამოვაყალიბოთ: არსებობს რაღაც, რაც მართავს

სამყაროს და ეს ჩემში იმ კანონის სახით მყლავნდება, რომელიც აღმძრავს სიკეთის საკეთებლად და განმაცდევინებს სინდისის ქეჯნას ჩადენილი ბოროტების გამო. ვფიქრობ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ძალა, უპირველეს ყოვლისა, გონის მსგავსია, რადგან გონის გარდა ჩვენ მხოლოდ მატერიას ვიცნობთ, ისეთი მატერიის წარმოდგენა კი, რომელიც მითითებებს იძლევა, ძალზე ძნელია. თუმცა სათუოა, რომ ეს ძალა ზუსტად შეესატყვისებოდეს გონს, ჩვენი წარმოდგენით, ასევე ნაკლებად შეესატყვისება იგი ადამიანს, როგორიც იგი არის.

ვნახოთ, შევძლებთ თუ არა, რომ შედარებით უკეთ განვმარტოთ ეს ძალა მომდევნო თავში. აქვე უნდა გაგაფრთხილოთ: უკანასკნელ ასწლეულში მრავალი მეტისმეტად თავისუფალი ფანტაზია გაჩნდა ღმერთის თემაზე. მე თქვენთვის მსგავსი რამის შემოთავაზებას არ ვაპირებ.

შენიშვნა: მოკლე და ლაკონური რომ ვყოფილიყავი, სამყაროს წარმოშობის მხოლოდ მატერიალისტურ და რელიგიურ თეორიებზე ვისაუბრე. თუმცა საჭირო იყო შუალედური თვალსაზრისიც მეხსენებინა. ეს გახლავთ ე.წ. „სასიცოცხლო ძალის“ ფილოსოფია ანუ იგივე შემოქმედებითი ევოლუცია. ეს თეორია განსაკუთრებული მახვილგონიერებით ბერნარდ შოუს ნაწარმოებებშია გაშუქებული. მისი მომხრეები ვარაუდობენ, რომ ის ცვლილებები, რომელიც განიცადა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლემ მისი უმდაბლესი ფორმებიდან უმაღლეს გამოვლინებამდე (ადამიანამდე), შემთხვევითი კი არ იყო, მათ სიცოცხლის მიზანმიმართული ძალა წარმართავდა.

როდესაც ადამიანები ამგვარ ძალაზე ლაპარაკობენ, უფლება გვაქვს ვიკითხოთ, გააჩნია თუ არა, მათი აზრით, ამ ძალას გონება? თუ პასუხი დადებითია, მაშინ „გონი, რომელიც ბადებს სიცოცხლეს და წარმართავს მას სრულყოფისაკენ“, სინამდვილეში იგივე ღმერთია. ასე რომ, ეს თეორია რელიგიურ თვალსაზრისს უტოლდება.

თუ ეს ძალა მოკლებულია გონიერ საწყისს, მაშინ რანაირად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ გონების არმქონე „რაღაც“ სრულყოფისაკენ მიისწრაფის ან რაიმე მიზანი აქვს? განა ამგვარი ლოგიკა ჩიხში არ მოგვამწყვდევს?

შემოქმედებითი ევოლუციის თეორია იმითაა მიმზიდველი, რომ იგი არ ართმევს ადამიანს ღვთის რწმენას, მაგრამ ათავისუფლებს მას იმ პასუხისმგებლობისაგან, რაც ღმერთის არსებობის ფაქტიდან გამომდინარეობს. როცა შესანიშნავი ჯანმრთელობა გაქვთ, მზეც კაშკაშებს და არ გინდათ იფიქროთ, რომ მთელი სამყარო მხოლოდ ატომების მექანიკური თამაშია, სასიამოვნოა რაღაც უდიდესი საიდუმლო ძალის წარმოდგენა, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოედინება და თქვენც თან მოჰყავხართ. მეორე მხრივ, თუ რაიმე ცუდის ჩადენა გსურთ, ბრმა სიცოცხლის ძალა, რომელიც გონებასა და ზნეობას მოკლებული გახლავთ, თქვენს ზრახვებში არ ჩაერევა, როგორც ის აბეზარი ღმერთი ერევა, რომლის შესახებაც ბავშვობაში გიამბობდნენ. სიცოცხლის ძალა ერთგვარი სათამაშო ღმერთია. თქვენ შეგიძლიათ, მის ტალღაზე გადაერთოთ, როცა მოისურვებთ, თავად კი საერთოდ არ შეგაწუხებთ. ე.ი. თქვენთან რჩება რელიგიურ განცდასთან დაკავშირებული ყველა სიამოვნება, პასუხს კი არაფერზე არ აგებთ. სასურველის რეალობად წარმოდგენის თვალსაზრისით ეს თეორია მართლაც უდიდესი მიღწევაა.

5. ჩვენ შეწუხების საბაბი გვაქვს

უკანასკნელ თავში ჩვენ იმ დასკვნაზე შევჩერდით, რომ მატერიალური სამყაროს მიღმა არსებობს რაღაც ან ვიღაც, რომელიც ზნეობრივი კანონის მეშვეობით გვმართავს. ვგონებ, როდესაც ამ პუნქტამდე მივედით, ზოგიერთი თქვენგანი ვინძლო შეწუხდა კიდეც. შეიძლება ისიც გაიფიქრეთ, რომ მე ბოროტად გაგეხუმრეთ, რადგან გულმოდგინედ ვნიღბავდი „რელიგიურ მოძღვრებას", რათა ის ფილოსოფიისათვის დამემსგავსებინა. შეიძლება, თქვენ მზად იყავით, იქამდე გესმინათ ჩემთვის, სანამ ფიქრობდით, რომ რაღაც ახლის თქმას ვაპირებდი. მაგრამ თუ ეს ახალი ისევ და ისევ რელიგიაა, რას იზამ, კაცობრიობამ ეს უკვე სცადა და არავის ძალუძს დროის უკან დაბრუნება. მათ, ვინც ამგვარად ფიქრობს, სამი რამ მინდა ვუთხრა.

პირველი — იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა დროის უკან დაბრუნება. ხუმრობად ჩათვლიდით, თუ ვიტყოდი, რომ საათის ისრების უკან გადაწევაა საჭირო? ეს ხომ საკმაოდ გონივრული წინადადებაა იმ შემთხვევაში, როცა საათი წინ გარბის.

თუმცა თავი დავანებოთ საათისა და ისრების მაგალითს. ჩვენ ყველანი პროგრესისაკენ მივისწრაფით. „პროგრესი" კი მიზანთან მიახლოებას ნიშნავს და თუ თქვენ სიარულისას სხვა მხარეს გადაუხვიეთ, ამ შემთხვევაში წინსვლა დანიშნულ ადგილამდე ვერ მიგიყვანთ. ასეთ სიტუაციაში 180 გრადუსით შემობრუნება და სწორ გზაზე გასვლა იქნებოდა პროგრესი, ყველაზე პროგრესულად კი ის ადამიანი მოგვევლინებოდა, ვინც უფრო სწრაფად დაბრუნდებოდა უკან. ამის დანახვა ადვილად შეიძლებოდა მათემატიკის შესწავლისას. თუკი დასაწყისშივე არასწორად შეკრიბეთ რიცხვები, მაშინ რაც უფრო სწრაფად აღიარებთ ამას და უკან დაბრუნდებით, რათა ყველაფერი ახლიდან დაიწყოთ, მით უფრო ჩქარა იპოვით სწორ პასუხს. სიჯიუტესა და შეცდომის დაუნახაობაში არაფერია პროგრესული.

თუკი ჩაუფიქრდებით თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობას, ცხადი გახდება, რომ კაცობრიობა უდიდეს შეცდომას ჩადის. ჩვენ არასწორ გზას ვადგავართ. და თუ ეს ასეა, აუცილებლად უკან უნდა შემოვბრუნდეთ. ამ შემთხვევაში უკან დაბრუნება აუცილებელია წინ წასასვლელად.

მეორე: მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩემი მსჯელობა არც თუ ისე რელიგიური და დამრიგებლურია. ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ რომელიმე კონკრეტული რელიგიის და მით უმეტეს ქრისტიანული სარწმუნოების ღმერთისაგან. ჯერ მხოლოდ იმ ვიღაცას თუ რაღაცას მივუახლოვდით, ზნეობრივ კანონს მიღმა რომ დგას; ჯერ არც ბიბლიას ვიშველიებთ და არც საეკლესიო დოგმატებს, მხოლოდ იმის გაგებას ვცდილობთ, შეგვიძლია თუ არა ამ საიდუმლო არსების საკუთარი ძალებით შეცნობა. აქ კი მთელი გულახდილობით მინდა განვაცხადო: ის, რასაც აღმოვაჩენთ, თავზარდამცემად იმოქმედებს ჩვენზე. ორი ფაქტი ამოწმებს ამ საიდუმლო ძალის არსებობას.

უპირველეს ყოვლისა, მისგან შექმნილი სამყარო. სამყაროზე დაკვირვება კი აუცილებლად მიგვიყვანდა იმ დასკვნამდე, რომ ეს

საიდუმლო არსება უდიდესი შემოქმედია (სამყარო ხომ ჭეშმარიტად მშვენიერია), მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა გვეღიარებინა, რომ იგი შეუბრალებელი და ადამიანის მიმართ მტრულად განწყობილიცაა (სამყარო ხომ ძალზე სახიფათო და თავზარდამცემი ადგილია).

გარდა ამისა, ამ საიდუმლო ძალის არსებობაზე მიუთითებს ჩვენს ცნობიერებაში ჩადებული ზნეობრივი კანონი. ეს ფაქტი კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი, რადგან ის შინაგან ინფორმაციას გვაწვდის. ზნეობრივი კანონი უფრო მეტს გვამცნობს ღმერთზე, ვიდრე სამყაროზე დაკვირვება, ზუსტად ისევე, როგორც უკეთესად ვეცნობით ადამიანს მისი საუბრის მოსმენისას, ვიდრე მის მიერ აშენებული სახლის ჭვრეტის დროს.

ამ მეორე ფაქტის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხილული სამყაროს მიღმა მყოფი არსება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანთა წესიერ ქცევას, მათ „პატიოსან თამაშს", უანგარობას, სიმამაცეს, გულწრფელ რწმენას და სამართლიანობას. აქ კი უნდა დავეთანხმოთ ქრისტიანული და ზოგიერთი სხვა რელიგიის მტკიცებას, რომ ღმერთი კეთილია. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ. ზნეობრივი კანონი არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ღმერთი კეთილი, დამთმობი, ლმობიერი და კეთილმოსურნეა, ჩვეულებრივი გაგებით.

ზნეობრივი კანონი სულაც არ გახლავთ დამთმობი. ის სწორი გზით სიარულს გვიბრძანებს და არ ენაღვლება რამდენად მტკივნეული, სახიფათო და ძნელია ამ ბრძანების შესრულება. თუ ღმერთიც ამგვარია, მაშინ მას ლმობიერს ვერ ვუწოდებთ.

ჯერჯერობით აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ „კეთილ" ღმერთში ჩვენ მიმტევებელ ღმერთს ვგულისხმობთ. მიტევება მხოლოდ პიროვნებას ძალუძს, ჩვენ კი ჯერ არ მიგვიღწევია იმის მტკიცებამდე, რომ ღმერთი პიროვნებაა, ჯერ მხოლოდ იმ დასკვნამდე მივედით, რომ იგი უფრო მეტად გონს ჰგავს, ვიდრე სხვა რაიმეს. თუ ეს ძალა მხოლოდ უპიროვნო, უგრძნობი გონიერი საწყისია, მაშინ უაზრობა იქნებოდა მისთვის დახმარებისა ან მიტევებისათვის მიგვემართა, ისევე როგორც არ ექნებოდა აზრი გვეთხოვა გამრავლების ტაბულისათვის, რომ შეენდო ჩვენთვის არასწორი ანგარიში. არც იმაზე ლაპარაკსა აქვს აზრი, რომ არსებობს

ასეთი ღმერთი — პიროვნულ ნიშნებს მოკლებული აბსოლუტური სიკეთე — რომელიც არც მოგწონს და არც რამედ აგდებ. აზრი იმიტომ არა აქვს, რომ თქვენი შინაგანი „მეს" ერთი ნაწილი ამ ღმერთის მხარეზე დგას და გულწრფელად ეთანხმება მას სისასტიკის, სიხარბის, სივერაგისა და ანგარების განსჯაში. შეიძლება გინდოდათ, ამ შემთხვევაში იგი უფრო დამთმობი ყოფილიყო, მაგრამ გულის სიღრმეში იცით, რომ თუ სამყაროს მიღმა არსებული ძალა წარბშეუხრელად არ ამხელს უღირს საქციელს, ის სიკეთე აღარ იქნება. მეორე მხრივ, იმასაც ვაცნობიერებთ, რომ თუ არსებობს აბსოლუტური სიკეთე, მაშინ მას უნდა სძაგდეს უდიდესი ნაწილი იმისა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

აი, ამგვარ საშინელ და გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებით. თუ სამყაროს აბსოლუტური სიკეთე არ მართავს, მაშინ ყველა ჩვენი მცდელობა ამაოა. მაგრამ თუკი აბსოლუტური სიკეთე არსებობს, ჩვენ ყოველდღე ვუპირისპირდებით მას და არც იმის იმედია, რომ ხვალ უკეთესები გავხდებით. ე.ი. არ შეგვიძლია ვიცხოვროთ არც ამ სიკეთის გარეშე და არც მასთან თანხმობაში.

ღმერთი ჩვენი ერთადერთი ნუგეშია, ამავე დროს არაფრისა ისე არ გვეშინია, როგორც მისი. ყველაზე მეტად იგი გვესაჭიროება და ყველაზე უფრო დიდი გულმოდგინებით სწორედ მას ვემალებით. იგია ჩვენი ერთადერთი მოკავშირე, ჩვენ კი მისი მტრები ვართ. ზოგიერთების აზრით, აბსოლუტურ სიკეთესთან პირისპირ შეხვედრა მხოლოდ უდიდესი სიამოვნებაა. ასეთი ადამიანები კარგად უნდა დაფიქრდნენ, რადგან ისინი დღემდე რელიგიობანას თამაშობენ. სიკეთე ან უდიდესი უსაფრთხოებაა ან უდიდესი საფრთხე, ეს იმის მიხედვით, თუ როგორ მოვეკიდებით მას. ჩვენ კი უკვე არასწორად მოვეკიდეთ მას.

ახლა მესამე პუნქტს მივადექით. როცა ჩემთვის საინტერესო საგანთან მიახლოების შემოვლითი გზა ავირჩიე, თქვენი გაცურება როდი მსურდა. უბრალოდ მგონია, რომ იმ ადამიანებთან, ვისთვისაც უცხოა ის, რაზეც მე გესაუბრეთ, აზრი არა აქვს ქრისტიანობაზე ლაპარაკს. ქრისტიანობას (როგორც მე ვიცი) არაფერი აქვს სათქმელი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ცუდს ვერაფერს ხედავენ თავიანთ ცხოვრებაში და ვერ ხვდებიან, რომ მონანიება ესაჭიროებათ. როდესაც იმას გააცნობიერებთ, რომ ნამდვილად არ-

სებობს ზნეობრივი კანონი, ისევე როგორც არსებობს მის მიღმა მყოფი ძალა, თქვენ კი დაარღვიეთ ეს კანონი და არასწორად მოიქეცით ამ ძალასთან ურთიერთობისას, მხოლოდ მაშინ და არც ერთი წამით ადრე მიეცემა თქვენთვის ქრისტიანობას აზრი.

ექიმის რჩევებს მაშინ ითვალისწინებთ, როდესაც იცით, რომ ავად ხართ. თუ ხვდებით, რამდენად გამოუვალია თქვენი მდგომარეობა, დაიწყებთ იმის გაცნობიერებას, რაზეც ქრისტიანები ლაპარაკობენ, რადგან ისინი გვთავაზობენ ახსნას, თუ რატომ გვძულს და გვიყვარს ერთდროულად სიკეთე. ისინი განმარტავენ, რანაირად შეიძლება იყოს ღმერთი ზნეობრივ კანონს მიღმა არსებული უპიროვნო გონი და, ამავე დროს, პიროვნებაც. ისინი გვიყვებიან, თუ როგორ შესრულდა ჩვენს მაგივრად ზნეობრივი კანონის ის მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც ჩვენ არ შეგვეძლო; როგორ იქცა ღმერთი ადამიანად, რათა ჩვენთვის ღვთაებრივი სასჯელი აეცდინა. ეს ძველი ამბავია და თუ მასში ჩაღრმავება გსურთ, უფრო კომპეტენტურ წყაროებს უნდა მიმართოთ. მე კი მხოლოდ ერთს ვითხოვ თქვენგან — პირისპირ შეხედოთ ფაქტებს, რათა ნათელი გახდეს თქვენთვის ის კითხვები, რომლის პასუხსაც ქრისტიანობა გვთავაზობს. ეს ფაქტები კი თავზარს გვცემენ. მე ვისურვებდი, უფრო სასიხარულო რამ მეთქვა, მაგრამ სიმართლის თქმა უფრო აუცილებლად მიმაჩნია. რასაკვირველია, მთლიანად ვიზიარებ იმ აზრს, რომ ქრისტიანობა საბოლოო ჯამში გამოუთქმელი ნუგეშის წყაროა, მაგრამ ის ნუგეშით კი არ იწყება, არამედ იმ განგაშითა და შეწუხებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და რისი გვერდის ავლითაც ნუგეშს ვერ მივაღწევთ. რელიგიაში, ისევე როგორც ომში და სხვაგან ნუგეში მარტოოდენ ძიებით არ მიიღწევა. ჭეშმარიტების ძიებას თუ დაიწყებთ, შეიძლება ნუგეშიც მოიპოვოთ, მაგრამ თუ მხოლოდ ნუგეშს ეძებთ, ვერც მას იპოვით და ვერც ჭეშმარიტებას. ხელში მხოლოდ ცარიელი სიტყვები და განსჯა შეგრჩებათ, რაც თავიდან შეიძლება ჭეშმარიტებადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ბოლოს სასოწარკვეთა არ აგცდებათ. ჩვენ უკვე განვიკურნეთ იმ ვარდისფერი ოცნებებისაგან, რომლებიც ომის წინა პერიოდში გვქონდა შემთანხმებლურ საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ახლა რელიგიური ილუზიებისაგანაც უნდა განვიკურნოთ.

წიგნი მეორე

რა სწამთ ქრისტიანებს

1. ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ღმერთზე

მე მთხოვეს, თქვენთვის ქრისტიანთა რწმენის შესახებ მომეთხრო. დავიწყებ იმით, თუ რისი რწმენა არ არის მათთვის სავალდებულო. თუ ქრისტიანი ხართ, სულაც არ არის აუცილებელი გჯეროდეთ, რომ ყველა სხვა რელიგია თავიდან ბოლომდე მცდარია. მხოლოდ ათეისტს მიაჩნია, რომ ნებისმიერ რელიგიას ერთი უზარმაზარი შეცდომა უდევს საფუძვლად. ქრისტიანს შეუძლია იფიქროს, რომ ყველაზე უცნაური რელიგიაც კი შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. როცა ათეისტი ვიყავი, თავს ვაჯერებდი, რომ ადამიანთა უმრავლესობა მუდამ ცდებოდა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, ქრისტიანობაზე მოქცევამ კი მეტი შემწყნარებლობის უნარი შემძინა. თუმცა, ცხადია, ქრისტიანს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ იქ, სადაც ქრისტიანობა არ ეთანხმება სხვა რელიგიებს, სწორედ ქრისტიანობაა მართალი, სხვები კი ცდებიან. ისევე, როგორც მათემატიკაში: ამოცანას მხოლოდ ერთადერთი სწორი ამოხსნა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არასწორი პასუხებიდანაც ზოგი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე სხვები.

კაცობრიობა ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: უმრავლესობად, რომელსაც ღმერთის ან ღმერთების არსებობა სწამს, და უმცირესობად, რომელსაც საერთოდ არ სწამს ღმერთი.

ქრისტიანები, ბუნებრივია, უმრავლესობას ეკუთვნიან — ისინი ერთ ბანაკში არიან ძველ რომაელებთან, თანამედროვე ველურებთან, სტოიკოსებთან, პლატონისტებთან, ინდუსებთან, მაჰმადიანებთან და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად და დასავლეთევროპულ მატერიალიზმს უპირისპირდებიან.

თავის მხრივ, ღვთის რწმენის მქონე ადამიანებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება იმასთანაა დაკავშირებული, თუ როგორი ღმერთი წარმოადგენს მათი რწმენის საგანს. ერთნი თვლიან, რომ ღმერთი სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას; რაიმეს „კარგად" ან „ცუდად" მხოლოდ ჩვენი ადამიანური თვალსაზრისიდან გამომდინარე მივიჩნევთ, ამიტომ რაც უფრო ემატება ადამიანს სიბრძნე, მით უფრო ნაკლები სურვილი აქვს, რაღაცას „ცუდი" ან „კარგი" დაარქვას, რადგან მისთვის ცხადი ხდება, რომ ყველაფერს აქვს თავისი „ცუდი" და „კარგი" მხარეები. ერთი სიტყვით, ამგვარი თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ რაც უფრო უახლოვდება ადამიანი ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, მით უფრო საცნაური ხდება მისთვის, რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის არავითარი განსხვავება არაა. მაგალითად, მსჯელობენ ისინი, ჩვენ კიბოს ბოროტებას ვეძახით, რადგან იგი ადამიანს კლავს, მაგრამ ქირურგიულ ოპერაციასაც ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ ბოროტება, რადგან იგი, თავის მხრივ, კლავს კიბოს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კუთხით მივუდგებით.

მეორენი, პირველი თვალსაზრისის საპირისპიროდ, მიიჩნევენ, რომ ღმერთი უდაოდ კეთილი და სამართლიანია, რომ მისთვის სულერთი არ არის, რომელ მხარეზე დადგეს. მას უყვარს სიყვარული, სძულს სიძულვილი და სურს, რომ ჩვენც ამგვარად ვიქცეოდეთ. პირველ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ღმერთი სიკეთისა და ბოროტების მიღმა იმყოფება, პანთეიზმი ეწოდება. მას იზიარებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი. რამდენადაც ვიცი, ამავე აზრს ადგანან ინდუსებიც. განსხვავებული შეხედულებები აქვთ ებრაელებს, მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს.

ამ დიდ განსხვავებას ღმერთზე არსებულ წარმოდგენებს შორის, რომელიც პანთეიზმსა და ქრისტიანობას ახასიათებთ, ჩვეულებრივ მეორე განსხვავებაც მოსდევს. პანთეისტებს სწამთ, რომ ღმერთი განფენილია სამყაროში, ამიტომ სამყარო იგივე ღმერთია და ღმერთი ვერ იარსებებდა სამყაროს გარეშე. ქრისტიანები სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი თვლიან, რომ ღმერთმა ჩაიფიქრა და შექმნა სამყარო ისევე, როგორც ადამიანი ქმნის ფერწერულ სურათს ან მელოდიას. სურათი იგივე არ არის, რაც მხატვარი და მხატვარი არ მოკვდება, თუ მისი სურათი განადგურდება. თქვენ

შეიძლება თქვათ, რომ „მან საკუთარი სულის ნაწილი ჩადო ამ სურათში“, მაგრამ ამ სიტყვებში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ ქმნილების აზრი და სილამაზე მის გონებაში დაიბადა.

იმედი მაქვს, ახლა ხედავთ, თუ როგორ განაპირობებს პანთეიზმსა და ქრისტიანობას შორის არსებული ერთი განსხვავება მეორეს. თუკი მიგაჩნიათ, რომ სიკეთე და ბოროტება ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაშინ ადვილად მიხვალთ იმ დასკვნამდეც, რომ სამყაროში ყველაფერი ღმერთის ნაწილია. მაგრამ თუ თვლით, რომ ზოგი რამ მართლაც ცუდია, ღმერთი კი არ შეიძლება ცუდი იყოს, მაშინ მსგავსი თვალსაზრისი თქვენთვის მიუღებელი იქნება. ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა გწამდეთ, რომ ღმერთი და სამყარო ერთი და იგივე არაა და ზოგიერთი რამ, რასაც ცხოვრებაში ვაწყდებით ხოლმე, ღვთის ნებას ეწინააღმდეგება. ავთვისებიან სიმსივნესა და სიღატაკესთან დაკავშირებით პანთეისტს შეუძლია თქვას, რომ „თუ მათ ღვთაებრივი თვალსაზრისით შეხედავთ, მიხვდებით, რომ ესეც ღმერთია“. ქრისტიანი კი მიუგებს: „ეს რა წყეული სისულელეა!“ ქრისტიანობა ხომ მებრძოლი რელიგიაა. იგი თვლის, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო — დრო და სივრცე, სიცხე და სიცივე, ყოველგვარი ფერი და გემოს შეგრძნება, ცხოველები და მცენარეები — და ეს ყველაფერი მან იმგვარადვე მოიგონა, როგორც მწერალი თხზავს ხოლმე სიუჟეტს. და კიდევ, ქრისტიანობას მიაჩნია, რომ ბევრი რამ, რაც უფალმა შექმნა, სწორ გზას ასცდა და ღმერთი დაჟინებით მოითხოვს, რომ სწორედ ჩვენ შემოვაბრუნოთ გზააბნეულები.

რა თქმა უნდა, აქ ერთი სერიოზული კითხვა ჩნდება. თუ სამყარო მართლაც კეთილი და სამართლიანი ღვთის მიერ იყო შექმნილი, მაშინ რატომ გადაუხვია მან სწორი გზიდან? მრავალი წლის მანძილზე მე საერთოდ უარს ვამბობდი, ყურში შემეშვა ამ კითხვაზე ქრისტიანთა პასუხი, რადგან ასე ვმსჯელობდი: „რაც არ უნდა ილაპარაკოთ და როგორი ჭკვიანური არგუმენტიც არ უნდა მოიყვანოთ, განა უფრო იოლი არ არის ვაღიაროთ, რომ სამყარო გონიერი ძალის მიერ არ იყო შექმნილი? იქნებ ყველა თქვენი არგუმენტი სინამდვილიდან გაქცევის რთული ცდაა და მეტი არაფერი?“ მაგრამ აქ მეორე სიძნელეს წავაწყდი.

მე ღმერთის არსებობას იქიდან გამომდინარე უარვყოფდი, რომ სამყარო ძალზე სასტიკად და უსამართლოდ მეჩვენებოდა. მაგრამ როგორღა დამებადა თავად სამართლიანობისა და უსამართლობის გამიჯნვის აზრი? ადამიანი ვერ უწოდებს ხაზს მრუდეს, თუკი სწორ ხაზზე წარმოდგენა არა აქვს. რას ვუდარებდი სამყაროს, როდესაც მას უსამართლოდ მივაჩნევდი? თუკი ამ ქვეყნად ყველაფერი ცუდი და უაზროა, მაშინ მე, ნაწილი ამ „ყველაფრისა", რიღათი ვარ აღშფოთებული? წყალში ჩავარდნისას ადამიანი სისველეს იმიტომ შეიგრძნობს, რომ წყლის ცხოველი არაა; თევზს სისველის გრძნობა არ გააჩნია. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო არ მიმეჩნია ობიექტურად ჩემი სამართლიანობის გრძნობა და ჩამეთვალა, რომ ეს მხოლოდ სუბიექტური განცდაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ღმერთის არსებობის წინააღმდეგ მიმართული ჩემი არგუმენტიც გაბათილდებოდა, რომლის მიხედვითაც სამყარო რეალურადაა უსამართლო და არა მხოლოდ ჩემი თვალთახედვის თანახმად.

ამგვარად, იმის დამტკიცების მცდელობამ, რომ ღმერთი არ არსებობს და მთელი ობიექტური რეალობა უაზრობაა, მაიძულა დამეშვა, რომ ობიექტური რეალობის რაღაც ნაწილს მაინც, კერძოდ ჩემს იდეას სამართლიანობაზე, გარკვეული აზრი აქვს. აქედან გამომდინარე, ათეიზმი საკმაოდ პრიმიტიულ თვალსაზრისად იქცევა. სამყაროს რომ აზრი არ ჰქონოდა, ვერასოდეს შევძლებდით ამის აღმოჩენას, ზუსტად ისევე, როგორც ვერ შევნიშნავდით ჩვენს ირგვლივ არსებულ სიბნელეს, თუ სამყაროში სინათლე და მხედველობის მქონე არსებები არ იქნებოდნენ. სინათლე რომ არ არსებობდეს, ბნელში მყოფებადაც არ ვიგრძნობდით თავს.

2. შეჭრა

ამრიგად, ათეიზმი საკმაოდ პრიმიტიული მსოფლმხედველობაა. არსებობს კიდევ ერთი პრიმიტიული თვალთახედვა, რომელსაც „წყალწყალა ქრისტიანობას" ვეძახი. ამ თვალსაზრისის თანახმად, სადღაც ცაში ცხოვრობს კარგი, კეთილი ღმერთი და ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა. რთულ და საშიშ მოძღვრებას ცოდ-

ვასა და ჯოჯოხეთზე, ეშმაკსა და გამოსყიდვაზე არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

უბრალო და მარტივი რელიგიის ძებნა უაზრობაა. ბოლოს და ბოლოს მარტივი საგნებიც კი არ არსებობენ. ისინი მხოლოდ გვეჩვენებიან ამგვარად — მაგალითად, მაგიდა, რომელთანაც ვზივარ. მაგრამ, აბა, ჰკითხეთ სწავლულს, რისგან შესდგება ეს მაგიდა, გამოჰკითხეთ ყველა იმ ატომისა და სხივური ტალღების შესახებ, რომელიც ჩემი თვალის ბადურას ეცემა და ოპტიკურ ნერვსა და ტვინის უჯრედებს აღიზიანებს. თქვენ დაინახავთ, რომ პროცესი, რომელსაც „მაგიდის ცქერას" ვუწოდებთ, იმდენად რთულ და საიდუმლო მოვლენათა ხლართს წარმოადგენს, რომ ძნელად თუ შევძლებთ მის ბოლომდე შეცნობას. როცა ბავშვი ლოცულობს, ეს საკმაოდ უბრალო სანახაობაა თვალისათვის და თუ თქვენ გაკმაყოფილებთ ის, რასაც მზერით აღიქვამთ, და მზად ხართ, აქ დასვათ წერტილი, შესანიშნავია. მაგრამ თუ აქ შეჩერება არ შეგიძლიათ — თანამედროვე მსოფლიო ხომ, როგორც წესი, არაფერზე და არაფრის წინაშე არ ჩერდება ასე იოლად — გსურთ განაგრძოთ მოვლენათა წვდომა და კითხულობთ, თუ რა ხდება ამ დროს სინამდვილეში, სიძნელეებთან შესახვედრად მოემზადეთ. თუ ჩვენ უბრალო საგნებსა და მოვლენაზე ამაღლება გვსურს და უფრო „დიდის" შეცნობა გვინდა, მაშინ არ უნდა ვიწუწუნოთ, რომ რაიმე ამაზე უმეტესი იოლად ჩაწვდომილი არ არის.

ამგვარ სულელურ დავაში ძალზე ხშირად ებმებიან ხოლმე არც თუ ისე სულელი ადამიანები, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ძირს უთხრიან ქრისტიანობას. ჩვეულებრივ ისინი იღებენ ქრისტიანობის ერთ-ერთ ვერსიას, ექვსი წლის ბავშვის ცნობიერებაზე რომაა გათვლილი, და დიდი გამეტებით ესხმიან მას თავს. ხოლო როცა თქვენ ცდილობთ აუხსნათ ქრისტიანული მოძღვრება იმ ჭეშმარიტი სახით, როგორც აღიარებენ მას განათლებული, ზრდასრული ადამიანები, ისინი ჩივიან, რომ თქვენი საუბარი თავბრუს ახვევთ და რომ ეს ყველაფერი ძალზე რთულია, და ღმერთი რომ მართლა არსებობდეს, იგი უეჭველად გაამარტივებდა რელიგიას, რადგან სწორედ სიმარტივესა და უბრალოებაშია მშვენიერება და ა.შ.

ამგვარ ხალხთან სიფრთხილე გმართებთ, ისინი ყოველ წუთს ცვლიან საუბრის თემას და მხოლოდ დროს გაფლანგვინებენ. ყურადღება მიაქციეთ, „ღმერთი გაამარტივებდაო რელიგიას", თითქოს რელიგია შეთხზული რამაა და არა ღვთის გამოცხადება აბსოლუტურად უცვლელი ფაქტებითა და მისი საკუთარი ბუნებით.

ობიექტური რეალობა მხოლოდ რთული კი არ გახლავთ, ის, ჩემი დაკვირვებით, არც თუ იშვიათადაა უცნაური. ხანდახან იგი გაურკვეველი და ბუნდოვანიცაა, ერთი სიტყვით, არაა ისეთი, როგორიც თქვენ გსურთ.

როდესაც თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები მზის გარშემო ბრუნავენ, შეიძლება ლოგიკურად მიიჩნიეთ, რომ ყველა პლანეტა ერთი და იგივე პრინციპითაა შექმნილი, მაგალითად, ისინი ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებულნი, ყველა ერთი ზომისაა და მათ შორის მანძილი თანაბრად იზრდება ან მცირდება, მზისგან მათი დაშორების შესაბამისად. რეალურად კი თქვენ ვერ იპოვით ვერც თქვენთვის გასაგებ რიტმს და ვერც აზრს პლანეტების ზომასა და მათ შორის არსებულ მანძილში; ზოგიერთ მათგანს ერთი თანამგზავრი ჰყავს, ზოგს — ოთხი ან ორი, ან სულაც არც ერთი, ერთ-ერთი მათგანი კი რკალითაა გარშემორტყმული.

ამრიგად, ობიექტური რეალობა იმგვარ გამოცანებს შეიცავს, რომელთა გამოცნობაც ჩვენ არ ძალგვიძს. აი, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რამ მიმიყვანა მე ქრისტიანულ აღმსარებლობასთან. ესაა რელიგია, რომლის გამოგონებასაც თქვენ ვერ შესძლებდით. ქრისტიანობა რომ სამყაროს ჩვენთვის ხელსაყრელ ახსნას გვთავაზობდეს, მაშინ მას ადამიანის გამონაგონად ჩავთვლიდი. ის არ გავს ვოლაცის მიერ შეთხზულ რელიგიას. ქრისტიანობას ისეთივე უცნაური თავისებურებანი ახასიათებს, როგორც რეალურად, ობიექტურად არსებულ საგნებს. ასე რომ, თავი დავანებოთ ბავშვურ ფილოსოფიას და მარტივი პასუხების ძიებას. პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, არ არის მარტივი და მისი იოლად გადაჭრის იმედიც არ უნდა გვქონდეს.

რა არის ეს პრობლემა? ალბათ, ის, რომ სამყაროში მრავალი რამაა აშკარად ცუდი და უაზრო, მაგრამ აქვე იმყოფებიან არსებები, ადამიანები, რომლებმაც ეს ყველაფერი იციან. ამ პრობლემის

თაობაზე ორი თვალსაზრისი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ ქრისტიანული, მიიჩნევს, რომ სამყარო კარგია, მაგრამ არასწორი გზით მიდის, თუმცა მეხსიერებაში კვლავ შემორჩა იმის ხსოვნა, თუ რა გზით უნდა ევლო. მეორე თვალსაზრისი — ე.წ. დუალიზმი — თვლის, რომ სამყაროში არსებულის მიღმა ორი სრულფასოვანი ძალა დგას — სიკეთე და ბოროტება — და რომ სამყარო ბრძოლის ველია, სადაც მიმდინარეობს გაუთავებელი ბრძოლა ამ ორ ძალას შორის. მე პირადად ვთვლი, რომ დუალიზმი, ქრისტიანობის შემდეგ, ყველაზე ადამიანური და გონივრული ჰიპოთეზაა დღეს არსებულთა შორის, მაგრამ მასში არის ერთი სუსტი ადგილი.

ეს ორი ძალა, ანდა ორი სული თუ ორი ღმერთი — კეთილი და ბოროტი — თავიდანვე აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან; ორივენი დასაბამიდან არსებობენ, არცერთ მათგანს არ შეუქმნია მეორე, არცერთს არა აქვს უპირატესი უფლება, ღმერთად იწოდებოდეს, თითოეული, ცხადია, თავის თავს თვლის კარგად მეორეს კი — ცუდად. ერთს უყვარს სიძულვილი და სისასტიკე, მეორეს — სიყვარული და მოწყალება და ორივენი თავიანთ თვალსაზრისზე დგანან. რა გვაქვს მხედველობაში, როცა ერთს სიკეთის ძალას ვუწოდებთ, მეორეს კი — ბოროტებისას? ამით ან იმას ვამბობთ, რომ რატომღაც ერთს ვანიჭებთ უპირატესობას მეორესთან შედარებით — როგორც მაგალითად, შეგვიძლია ლუდი ვამჯობინოთ ლიმონათს, — ანდა ვგულისხმობთ, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ისინი თავიანთ თავზე და რას ვფიქრობთ ჩვენ მათზე, ერთი მათგანი მართლაც არასწორია და ცდება, როცა საკუთარ თავს სიკეთედ მიიჩნევს. თუკი ისა გვაქვს მხედველობაში, რომ პირველი ძალა უბრალოდ უფრო მეტად მოგვწონს, მაშინ სიკეთისა და ბოროტების შესახებ ლაპარაკზე საერთოდ უარი უნდა ვთქვათ. სიკეთე — ეს ისეთი რამაა, რაც უნდა ავირჩიოთ, იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ჩვენ იგი. თუ სიკეთე მხოლოდ იმიტომაა სიკეთე, რომ ჩვენ მისი მხარდაჭერა მოგვივიდა აზრად, მაშინ ამ სახელის ღირსიც არ იქნებოდა. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ-ერთი ამ ძალებიდან — ობიექტური „ბოროტებაა“, ხოლო მეორე — ობიექტური „სიკეთე“.

თუმცა, როგორც კი ამას ვაღიარებთ, სამყაროში მოქმედი ორი ძალის გვერდით მესამე ძალის, ანუ რაღაც კანონისა თუ სტანდარტის, არსებობასაც ვუშვებთ, რომელსაც უნდა მიესადაგებოდეს, ანდა პირიქით ეწინააღმდეგებოდეს, ერთ-ერთი ამ ძალთაგანი. ეს სტანდარტი თუ კანონი ხსენებულ ძალებზე მაღლა უნდა იდგეს და სწორედ იგია ნამდვილი, ჭეშმარიტი ღმერთი. როცა ორი ძალიდან ერთს სიკეთეს ვეძახით, ხოლო მეორეს — ბოროტებას, ამით მხედველობაში გვაქვს ის, რომ ერთ-ერთი მათგანი შეესატყვისება იმ ჭეშმარიტ უმაღლეს ძალას, მეორე კი — არა.

იგივე დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი მსჯელობიდანაც. თუკი დუალიზმი სწორად ასახავს არსებულ ვითარებას, მაშინ ბოროტების ძალას უნდა უყვარდეს საკუთრივ ბოროტება, მაგრამ ჩვენ ვერ ვპოვებთ იმგვარ არსებას, რომელსაც უყვარს ბოროტება იმის გამო, რომ ის ბოროტებაა. პრაქტიკაში ბოროტების ძალას ყველაზე მეტად მაშინ ვუახლოვდებით, როცა სისასტიკის გამოვლინებას ვაწყდებით. ადამიანები სისასტიკეს ორი მიზეზით იჩენენ: ან იმიტომ, რომ სადისტები არიან და მათი მახინჯი ბუნება სიამოვნებას განიცდის სხვის მიმართ სასტიკად მოპყრობისას, ანდა სისასტიკის ფასად მათ რაღაცის მოპოვება სურთ — ფულის, ძალაუფლების, უსაფრთხოების. მაგრამ ფული, სიამოვნება, ძალაუფლება თავისთავად ცუდი რამ არ არის. ბოროტება იქ იჩენს თავს, სადაც ადამიანები სასურველის არასწორი გზით, უპატიოსნო ხერხით ანდა მეტისმეტი რაოდენობით მოპოვებას ცდილობენ.

ეს ადამიანები უზნეონი არიან, მაგრამ აქ სხვა რამაა მთავარი. მე ის მინდა გითხრათ, რომ ბოროტება, თუკი ყურადღებით დაუკვირდებით, თითქმის ყოველთვის გახლავთ უკეთური გზა კეთილი მიზნებისაკენ. თქვენ შეგიძლიათ იყოთ კეთილი სიკეთის გულისათვის, მაგრამ ვერ იქნებით ბოროტი ბოროტების გულისათვის. კეთილი საქმის კეთება მაშინაც შეგიძლიათ, როდესაც სიკეთის მოზღვავებას არ განიცდით და არანაირ კმაყოფილებას არ იღებთ ამ საქმისაგან, რადგან იცით, რომ სიკეთის კეთება გევალებათ და ამიტომ სწორად იქცევით. მაგრამ ჯერ არავის ჩაუდენია სისასტიკე მხოლოდ იმის გამო, რომ ამგვარი ქცევა მიულებელი და არასწორია. ადამიანები სასტიკად იქცევიან მაშინ, როცა ამას მათთვის სიამოვნება ან სარგებლობა მოაქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

ბოროტებას არ სჩადიან მხოლოდ იმის გამო, რომ ის ბოროტებაა. ეს მაშინ, როცა სიკეთის კეთება სწორედ სიკეთის გულისათვის ჩვეულებრივი ამბავია. სიკეთე თვითკმარი ღირებულებაა, ბოროტება კი არასწორად გაგებული სიკეთეა. რაღაც რომ გაფუჭდეს, ჯერ კარგი უნდა იყოს.

სადიზმს ჩვენ სქესობრივ გაუკუღმართებას ვუწოდებთ. მაგრამ სანამ გაუკუღმართების მნიშვნელობას გაიაზრებდეთ, ჯერ ნორმალურ სექსუალობაზე უნდა გვქონდეს წარმოდგენა. გაუკუღმართება შეგვიძლია ავხსნათ ნორმიდან გამომდინარე, მაგრამ ნორმალურს გაუკუღმართებაზე დაყრდნობით ვერ ავხსნით. აქედან გამომდინარე, წარმოდგენა ბოროტ ძალაზე, რომელიც თითქოს სიკეთის თანაბარი ძალაა და უყვარს ბოროტება იმგვარადვე, როგორც კეთილ ძალას სიკეთე, — მხოლოდ და მხოლოდ მირაჟია. ბოროტი ძალა რომ ბოროტად იქცეს, აუცილებელია თავიდან კარგისაკენ ჰქონდეს ლტოლვა, მაგრამ შემდეგ მისკენ სავალი გზა უნდა გაუმრუდდეს. მას საფუძველში კეთილი ზრახვა უნდა ედოს, რათა შემდეგ მისი გაუკუღმართება მოხდეს. სიკეთისაკენ ლტოლვა და კეთილი იმპულსები, რომელიც ამ ძალამ უნდა გააუკუღმართოს, მან მხოლოდ კეთილი ძალისაგან შეიძლება მიიღოს. თუ ეს ასეა, მაშინ ბოროტი ძალა არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს. ის არის იმ სამყაროს ნაწილი, რომელშიც კეთილი ძალა მეფობს და შექმნილია ან მისით ანდა რაღაც სხვა ძალით, რომელიც ორივეზე მაღლა დგას.

შევეცადოთ, გავამარტივოთ ეს მსჯელობა. იმისათვის, რომ წახდეს ბოროტი ძალა უნდა არსებობდეს და ჰქონდეს გონება და ნება. მაგრამ არსებობა, გონება და ნება თავისთავად სიკეთეა. ამგვარად, ბოროტ ძალას ეს ყველაფერი კეთილი ძალისაგან უნდა მიეღო. იმისათვისაც კი, რომ ცუდი გამხდარიყო, ბოროტ ძალას თავისი ოპონენტისაგან უნდა ესესხა ან მოეპარა აუცილებელი თვისებები. ახლა ხომ ცხადი ხდება, თუ რატომ ამბობს ქრისტიანობა, რომ ეშმაკი დაცემული ანგელოზია? ეს ბავშვებისათვის განკუთვნილი უბრალო ზღაპარი როდია. ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც ამოწმებს, რომ ბოროტება პარაზიტია და არა დასაბამიდანვე არსებული და დამოუკიდებელი არსი. საარსებო ძალებს ბოროტება სიკეთისაგან იღებს. ყველაფერი, რაც ცუდ ადამიანს

ბოროტებისაკენ უბიძგებს, თავისთავად სიკეთეა და არა ბოროტება: გაბედულება, გონიერება, სასიამოვნო გარეგნობა, თავად არსებობა. ამიტომაც დუალიზმს, თუ მას მკაცრი საზომით მივუდგებით, საფუძველი არ გააჩნია.

მაგრამ მზად ვარ ვაღიარო, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა ("წყალწყალა ქრისტიანობისაგან" განსხვავებით) გაცილებით ახლოს დგას დუალიზმთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. როდესაც პირველად წავიკითხე მთელი გულისყურით ახალი აღთქმა, გამაოცა იმან, რომ მასში ბევრი ლაპარაკია სამყაროში არსებულ ბნელ ძალაზე, მძლავრ ბოროტ სულზე, რომელიც სიკვდილის, ავადმყოფობისა და ცოდვის უკან დგას. თუმცა, ქრისტიანობის აზრით (დუალისტური თვალთახედვისაგან განსხვავებით), ბნელი ძალა ღმერთის მიერ იყო შექმნილი და დასაწყისში ის კეთილი გახლდათ, მხოლოდ შემდეგ გადაუხვია სწორი გზიდან.

ქრისტიანობა, ისევე როგორც დუალიზმი, აღიარებს, რომ სამყარო ბრძოლის ველია. მაგრამ მას არ მიაჩნია, რომ ორი დამოუკიდებელი ძალა ებრძვის ერთმანეთს. მისი აზრით, ჩვენ სამოქალაქო ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით და სამყაროს იმ ნაწილში ვცხოვრობთ, რომელიც მეამბოხეთა მიერაა ოკუპირებული.

მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია — აი, თურმე რა ყოფილა წუთისოფელი. ქრისტიანობა კი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ჩამოვიდა ამ ტერიტორიაზე მართალი მეფე, მოვიდა, ასე ვთქვათ, ინკოგნიტოდ და საბოტაჟისაკენ მოგვიწოდა. როცა ეკლესიაში მიდიხართ, სინამდვილეში ამ დროს საიდუმლო ცნობებს იღებთ რადიომიმღებით თქვენი მეგობრებისაგან. აი, რატომ უშლის მტერი ხელს ასე გულმოდგინედ ჩვენს ეკლესიაში სიარულს. იგი წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, თამაშობს რა ჩვენს თავმოყვარეობაზე, სიზარმაცესა და ინტელექტუალურ სნობიზმზე. შესაძლებელია, ვინმემ იკითხოს: „იქნებ გსურთ, ჩვენს განათლებულ დროში კვლავ წარმოგვიდგინოთ ძველი ნაცნობი — ეშმაკი — რქებით, ჩლიქებით და სხვა აღჭურვილობით?" არ ვიცი, რა შუაშია აქ განათლებული დრო და არც იმგვარი წვრილმანები მაინტერესებს, როგორიც რქები და ჩლიქებია, მაგრამ პასუხს კი ასეთს მივაგებდი: „დიახ, სწორედ ეგ მსურს". მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემთვის ნაცნობია ეშმაკის გარეგნობა. იმას კი, ვისაც მისი

უკეთ გაცნობა ენატრება, დავამშვიდებ: „ნუ ღელავთ, თუ მისი ახლო გაცნობა გსურთ, აუცილებლად გაიცნობთ, მაგრამ მოგეწონებათ თუ არა — ეს სხვა საკითხია“.

3. გამაოგნებელი ალტერნატივა

ამგვარად, ქრისტიანებს სწამთ, რომ ბოროტი ძალა წუთისოფლის მმართველი გახდა. აქ, რა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. ღვთის ნებით ხდება ეს ყველაფერი? თუ ღვთის ნებით ხდება, მაშინ საკმაოდ უცნაური ღმერთი გვყოლია, იტყვით თქვენ; მაგრამ თუ ბოროტება სამყაროში მისი ნების წინააღმდეგ გამეფდა, როგორ მოხდა ეს, აბსოლუტური ძალაუფლება ხომ ღვთის ხელშია?

თუმცა ყოველმა კაცმა, ვისაც კი ოდესმე რაიმე ძალაუფლება ჰქონია, კარგად იცის, რანაირად შეიძლება, რომ რაღაც-რაღაცეები, ერთი მხრივ, ეთანხმებოდნენ მის ნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, დედამ შეიძლება უთხრას შვილებს: „მე არ ვაპირებ ყოველ საღამოს თქვენი ოთახის დალაგებას, თვითონ უნდა ისწავლოთ მისი მოწესრიგება“. ერთ საღამოს იგი შედის ოთახში და ხედავს, სათამაშო თაგვი, სამელნე და ფრანგული ენის გრამიტიკის სახელმძღვანელო ერთ კუთხეშია მიყრილი. ეს ეწინააღმდეგება მის ნებას, მას ურჩევნია, რომ ოთახი დალაგებული იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც სურს, რომ ბავშვები დამოუკიდებლობას შეეჩვიონ. ეს კი მათთვის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის მიცემას ნიშნავს. მსგავსი მოვლენების მოწმე ვხდებით მმართველობის ნებისმიერ სისტემაში, საშახურში იქნება ეს თუ სკოლაში. როგორც კი რაიმე მოვალეობის ნებაყოფლობით შესრულებას შემოიღებთ, ადამიანთა ნახევარი ამ მოვალეობას არ შეასრულებს. ეს არ შეესაბამება თქვენს სურვილს, თუმცა მსგავსი მდგომარეობა სწორედ თქვენი ნების თანახმად გახდა შესაძლებელი.

შეიძლება, სამყაროშიც იგივე ხდება, ზოგიერთი თავისი ქმნილება ღმერთმა თავისუფალი ნებით დააჯილდოვა. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ აირჩიონ სწორი ან არასწორი გზა. ზოგიერ-

თებს ჰგონიათ, რომ შესაძლებელია შექმნა თავისუფალი არსება, რომელიც არასწორად ვერ მოიქცევა. მე არ შემიძლია ამგვარი არსების წარმოდგენა. თუ ვინმე თავისუფალია სიკეთის კეთებაში, ასევე თავისუფალია იგი ბოროტების ჩადენაშიც. სწორედ თავისუფალმა ნებამ გახადა ბოროტება შესაძლებელი. მაშ, რატომ მისცა ღმერთმა თავის ქმნილებებს თავისუფალი ნება? იმიტომ, რომ თავისუფალი ნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჭეშმარიტი სიყვარული, სიკეთე, სიხარული და ყველაფერი, რაც ღირებულია ამ სამყაროში.

ავტომატ-რობოტებით დასახლებული სამყარო შესაქმნელადაც არ ეღირებოდა. ბედნიერება, რომელიც ღმერთმა მოუმზადა თავის უმაღლეს ქმნილებებს, — ესაა ღმერთთან და ერთმანეთთან თავისუფალი შეერთების ბედნიერება, რასაც სიყვარულისა და აღტაცების ისეთი განცდა ახლავს თან, რომელთან შედარებითაც ყველაზე ამაღლებული ამქვეყნიური სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის მხოლოდ წყალგარეულ რძეს მოგვაგონებს. სწორედ ამიტომ უნდა ჰქონდეთ ქმნილებებს თავისუფლება.

ღმერთმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რაც მოხდებოდა, თუკი ქმნილებები მათთვის მინიჭებულ თავისუფლებას არასწორად გამოიყენებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, თვლიდა, რომ ჩანაფიქრი რისკის გაწევად ღირდა. ჩვენ ხშირად არ ვეთანხმებით ღმერთს, მაგრამ მის წინააღმდეგ წასვლა ძნელია, რადგან ისაა ჩვენი აზროვნების წყარო. შეუძლებელია, რომ თქვენ მართალი იყოთ, ის კი ცდებოდეს, ისევე როგორც ნაკადული ვერ ასცილდება თავის სათავეს. როცა საკამათოდ მიიჩნევთ მის გადაწყვეტილებებს, იმ ძალის წინააღმდეგ გამოდიხართ, რომელიც კამათის უნარით გაჯილდოვებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ იმ ტოტს ჭრით, რომელზეც ზიხართ. თუ ღმერთი თვლის, რომ თავისუფალი ნება ღირს სამყაროში გაჩაღებულ ომად და სწორედ ამიტომ შექმნა არსებები, რომელთაც თავისუფალი არჩევნის გაკეთება შეუძლიათ, და არა სათამაშო მარიონეტები. გამოდის, თავისუფალი ნება მართლაც ფასეული რამ ყოფილა. მხოლოდ იმ სამყაროში შეიძლება ხდებოდეს რაღაც ნამდვილად ფასეული და მნიშვნელოვანი, სადაც ყველაფერი კეთილსა და ბოროტს შორის თავისუფალ არჩევანზეა დაფუძნებული.

როცა გავაცნობიერებთ, თუ რას ნიშნავს ნების თავისუფლება, სისულელედ მოგეჩვენება კითხვა, რომელიც ოდესღაც დამისვეს: „რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი ასეთი დამპალი მასალისაგან?“ რაც უკეთესია მასალა, რომლისაგანაც ქმნილებაა შექმნილი, მით უფრო ჭკვიანი, ძლიერი და თავისუფალია იგი, ამავე დროს, მით უკეთესი იქნება, თუ ის სწორ გზას დაადგება, მაგრამ უფრო უარესი გახდება, თუ მცდარ გზას ამოირჩევს. ძროხას არ შეუძლია იყოს ძალიან კარგი ან ძალიან ცუდი, მაგრამ ძაღლს შეუძლია იყოს უკეთესი ან უარესი; ბავშვს უფრო გამოკვეთილად შეუძლია უკეთესი ან უარესი იყოს, ბავშვზე უფრო მეტად კი ეს მოზრდილ ადამიანს ხელეწიფება. მომდევნო საფეხური გენიალური ადამიანია; ზეადამიანური სული არსებულთა შორის ყველაზე უარესი ან ყველაზე უკეთესი შეიძლება იყოს.

როგორ მოხდა, რომ ღმერთის ქმნილება არასწორ გზას დაადგა? რასაკვირველია, ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ადამიანებს უჭირთ. თუმცა შეიძლება დავუშვათ გონივრული (და საყოველთაოდ მიღებული) ვარაუდი, რომელიც არასწორი გზით სიარულის ჩვენ პირად გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

იმ წუთას როგორც კი თქვენში პირადი „მე“ მეღავნდება, ჩნდება შესაძლებლობა, რომ მისი პირველ ადგილზე დაყენება მოისურვოთ, მოგინდეთ გახდეთ ცენტრი, ე.ი. ფაქტიურად ღმერთი. სწორედ ეს იყო სატანის ცოდვა. ეს ცოდვა ასწავლა სატანამ კაცობრიობას. ზოგიერთები თვლიან, რომ ადამიანის დაცემა როგორღაც სექსუალურ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ეს მცდარი აზრია (დაბადების წიგნში მოთხრობილი ამბავი უფრო იმ ვარაუდისაკენ გვიბიძგებს, რომ ჩვენს სექსუალურ ბუნებას ხრწნა დაცემის შემდეგ შეეხო და უფრო მისი შედეგი იყო, ვიდრე მიზეზი).

სატანამ შთააგონა ჩვენს შორეულ წინაპრებს, რომ მათ შეუძლიათ გახდნენ „როგორც ღმერთები“[1], ყველაფერი თავიანთებურად მოაწყონ, თითქოს თავად იყვნენ საკუთარი თავის შემოქმედნი, გახდნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონები და გამოიგონონ თავისთვის ბედნიერება, ღმერთისაგან მოწყვეტით და

---

[1] იხ.: „...როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი“ (დაბ. 3,5).

მისგან დამოუკიდებლად. ამ განწირული მცდელობიდან წარმოიშვა თითქმის ყველაფერი, რამაც განსაზღვრა ადამიანური ისტორიის ხასიათი — ფული, სიღატაკე, პატივმოყვარეობა, ომები, პროსტიტუცია, სოციალური ფენები, იმპერიები, მონობა; ხანგრძლივი და საშინელი ისტორია ადამიანისა, რომელიც ცდილობს ღმერთის გარეშე იპოვოს ბედნიერების გასაღები.

ეს უიმედო და განწირული ძიებაა. ჩვენ ღმერთმა შეგვქმნა, ისევე როგორც ადამიანი იგონებს მანქანას. ავტომობილის საწვავად ბენზინია გათვალისწინებული და იმ კონსტრუქციით, როგორიც მას აქვს, იგი სხვა საწვავზე არ იმუშავებს. ადამიანი კი ღმერთმა იმგვარად ააგო, რომ სიცოცხლისათვის აუცილებელ ენერგიას ის ღვთისაგან იღებს. ღმერთი ის საწვავია, რომელმაც უნდა აამოძრაოს ჩვენი სული და კვებოს იგი. ამიტომ არ უნდა ვთხოვოთ ღმერთს, მოგვანიჭოს ბედნიერება ჩვენი გემოვნების თანახმად ისე, რომ არ შეგვბოჭოს არავითარი რელიგიით. ღმერთს არ შეუძლია გვიბოძოს ბედნიერება და მშვიდობა მისგან მოწყვეტით, იმიტომ, რომ მის გარეშე ბედნიერება და მშვიდობა უბრალოდ არ არსებობს.

სწორედ ესაა ისტორიის გასაღები. იხარჯება გიგანტური რაოდენობის ენერგია, იბადებიან ცივილიზაციები, იქმნება ბრწყინვალე, კეთილშობილი ორგანიზაციები, მაგრამ ყოველთვის რაღაც არ გამოდის ისე, როგორც საჭიროა. რომელიღაც ფატალური დეფექტის გამო სათავეში ყოველთვის ეგოისტი და სასტიკი ადამიანები აღმოჩნდებიან ხოლმე, მთელი საფუძველი იშლება და ძირს — უბედურებისა და სასოწარკვეთისაკენ — მიექანება. მანქანა ჩერდება. თავდაპირველად ის თითქოს ადვილად ამუშავდება, გაივლის რაღაც მანძილს და იმსხვრევა. ადამიანებს სურთ, რომ მან უხარისხო საწვავით იმუშაონ. აი, რა გვიჭნა ადამიანებს სატანამ.

ღმერთმა რაღა გაგვიკეთა? უპირველეს ყოვლისა, მან სინდისი დაგვიტოვა, რომ გვესმოდეს, თუ რა არის სწორი და რა არასწორი. ისტორიას ახსოვს ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, ხანდახან საკმაოდ შეუპოვრადაც, რომ სინდისის ხმისთვის დაეგდოთ ყური. ეს სრულყოფილად ვერავინ ვერ მოახერხა.

გარდა ამისა, ღმერთმა ადამიანთა მოდგმას მიანიჭა ის, რასაც მე ნათელ ოცნებებს ვუწოდებ. მხედველობაში მაქვს ის უცნაური

ისტორიები (რომლებიც თითქმის ყველა წარმართულ რელიგიაში გვხვდება), სადაც მოთხრობილია მკვდრეთით აღმდგარ ღმერთზე, თავისი სიკვდილით რომ ახალ სიცოცხლეს ანიჭებს ადამიანებს.

და კიდევ, მან გამოარჩია ერთი ერი და ასწლეულების მანძილზე თავისი რჩეული ხალხის ცნობიერებაში ნერგავდა იმ აზრს, რომ თავადაა ერთადერთი ღმერთი და მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ იქცევიან ადამიანები. ეს გამორჩეული ერი ებრაელი ერი იყო და ძველი აღთქმა დაწვრილებით მოგვითხრობს მის ისტორიას.

შემდეგ კი მოხდა გამაოგნებელი რამ. ებრაელ ერში გაჩნდა კაცი, რომელიც იმგვარად ლაპარაკობდა, თითქოს თავად იყო ღმერთი. იგი ამბობდა, რომ შეეძლო ცოდვების შენდობა, რომ დასაბამიდან არსებობდა და ამტკიცებდა, განკითხვის დღეს კაცობრიობის განსასჯელად მოვალო.

აქ ერთი განმარტებაა საჭირო. ნებისმიერ პანთეისტს, მაგალითად ინდუსს, შეუძლია თქვას, რომ ის ღმერთის ნაწილია ან შერწყმულია მასთან; ამაში არაფერია საკვირველი. მაგრამ იმ ადამიანს, რადგან იგი იუდაიზმს აღიარებდა და არა პანთეიზმს, არ შეეძლო ამგვარი ღმერთი ჰყოლოდა მხედველობაში. ებრაელთა გაგებით, ღმერთი ესაა არსება, რომელიც სამყაროს მიღმა იმყოფება; მან შექმნა ეს სამყარო და იგი უსასრულოდ განსხვავდება მისი ქმნილებებისაგან. ასე რომ, ებრაელებისათვის ის, რასაც ეს კაცი ამბობდა, გამაოგნებული იყო.

ზოგიერთი რამ, რასაც ის ამბობდა, ხშირად ჩვენი ცნობიერების მიღმა რჩება, რადგან უკვე იმდენჯერ მოგვისმენია, რომ ხეირიანად ვეღარც კი აღვიქვამთ. მხედველობაში მაქვს განცხადება ცოდვების შენდობის თაობაზე. თუ ეს განცხადება ღმერთისგან არ მოდის, ის უაზროდ და სასაცილოდ ჟღერს. როცა ერთი ადამიანი მეორეს მისთვის მიყენებულ წყენასა და შეურაცხყოფას პატიებს, ეს სავსებით გასაგებია. ფეხი რომ დამადგით, შემიძლია გაპატიოთ, ფული მომპარეთ და ამასაც შეგინდობთ. მაგრამ რას იფიქრებდით ადამიანზე, რომელსაც არავინ შეხებია, არ გაუძარცვავთ, ის კი აცხადებს, შეგინდობთ სხვას რომ ფეხი დაადგით და ფული მოპპარეთო. ამგვარი ქცევა საკმაოდ სულელურად მოგვეჩვენებოდა. თუმცა იესო ზუსტად ასე ლაპარაკობდა. იგი ეუბნებოდა ადამია-

ნებს, რომ ცოდვებს მიუტევებდა, თუმცა ამ დროს არასოდეს ეთათბირებოდა იმათ, ვისაც იმ ცოდვებმა ზიანი მიაყენა. იესო უყოყმანოდ იქცეოდა ისე, თითქოს თავად იყო ის, ვისაც მიაყენეს ყველა წყენა, ვის წინააღმდეგაც ჩაიდინეს ყველა ურჯულოება. ამგვარ ქცევას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ ის მართლაც ღმერთი იყო, ანუ ის, ვისი კანონებიც შეილახა და ვისი სიყვარულიც შერაცხყო ყოველმა ჩადენილმა ცოდვამ. ვინც ასე იქცევა (თუ, რასაკვირველია, ის ღმერთი არ არის), ქვეყანას ანახვებს, რომ ბრიყვია და განდიდების მანიით არის შეპყრობილი, თანაც ისეთი, ჯერ რომ არავის სმენია.

თუმცა (და ეს ნამდვილად საოცარია) მის მტრებსაც კი, როდესაც ისინი სახარებას კითხულობენ, არ ეჩვენებათ, რომ იესო ბრიყვი და განდიდების მანიით შეპყრობილი ავადმყოფია. ქრისტე ამბობს, რომ იგი „მშვიდია და გულით მდაბალი“[1] და ჩვენ გვჯერა მისი, ისე რომ, ვერც კი ვამჩნევთ, სიმშვიდე და თავმდაბლობა ძნელად თუ მიესადაგება მასავით მოლაპარაკე კაცის საქციელს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ გზა გადავუღობო იმ მართლაც სულელურ შენიშვნას, რომელიც არც თუ იშვიათად გვსმენია მავანისა და მავანისაგან: „მე მზად ვარ, იესო ზნეობის დიდ მოძღვრად ვაღიარო, მაგრამ არ მჯერა, რომ ის ღმერთია“. ამის თქმა არ შეიძლება. უბრალო მოკვდავ კაცს, რომ იმისთანა რამეებზე დაეწყო ლაპარაკი, რასაც იესო ლაპარაკობდა, დიდი ზნეობის მოძღვრად ვერ გამოდგებოდა. იგი ან ისეთი ჭკუიდან გადასული უნდა ყოფილიყო, — თავს ლაყე კვერცხად რომ აცხადებს, — ანდა ჯოჯოხეთიდან ამოსული ეშმაკი. თქვენ საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოთ. იგი ან მართლა ღვთის ძე იყო და არის, ან არა და ვიღაც დამთხვეული ან იმაზე უარესია. თქვენ მას ან ხმა უნდა ჩააწყვეტინოთ, როგორც სულელს, უნდა აფურთხოთ მას და მოკლათ კიდეც, როგორც დემონი — ან არა და მის წინაშე უნდა დაემხოთ და აღიაროთ, როგორც უფალი და ღმერთი. ოღონდ უარი თქვით იმ ქედმაღლურ უაზრობაზე, რომ იგი მხოლოდ დიდი მოძღვარი კაცია. იესო ჩვენ ამგვარი ფიქრის საბაბს არ გვაძლევს.

---

[1] იხ. „-ვინაიდან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი“ (მათ. 11,29).

4. სრულყოფილი მონანული

ამრიგად, გამაოგნებელი ალტერნატივის წინაშე ვდგავართ. იესო ან ღმერთია, ან შეშლილი მანიაკი თუ კიდევ უფრო უარესი არა. ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ არც დემონი და არც შეშლილი ის არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, რა დაუჯერებელი და შემაძრწუნებელიც არ უნდა ჩანდეს, უნდა ვაღიარო, რომ ის ღმერთია: ღმერთი ჩამოვიდა მტრისაგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის სახით.

რა მიზნით გააკეთა მან ეს? რასაკვირველია, ჩვენს დასამოძღვრად. თუმცა როდესაც ახალ აღთქმას ან სხვა ქრისტიანულ წიგნს გადაშლით, ნახავთ, რომ იქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი — კერძოდ, მის სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომაზე. ცხადია, ქრისტიანებს სწორედ ეს ფაქტი მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად. მათი აზრით, იესო ამ ქვეყანას ტანჯვისა და სიკვდილისათვის მოევლინა.

სანამ ქრისტიანი გავხდებოდი, მეგონა, ქრისტიანებს პირველ რიგში იესოს საგანგებო სიკვდილის რწმენა ჰმართებდათ. ამ თეორიის თანახმად, ღმერთს სურდა კაცობრიობის დასჯა, რადგან ადამიანებმა მიატოვეს იგი და დიდი მეამბოხის მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ ქრისტემ საკუთარი ნებით იტვირთა ადამიანთა ცოდვა და მათთვის განკუთვნილი სასჯელი. ახლა უნდა ვაღიარო, რომ ეს თეორიაც კი აღარ მეჩვენება სულელურად და უზნეოდ, როგორც ადრე მეჩვენებოდა. მაგრამ მთავარი ეს როდია. მოგვიანებით მივხვდი, რომ არც ეს და არც სხვა თეორია ქრისტიანობის არსს არ გამოხატავენ.

ქრისტიანული რწმენის ცენტრალური იდეა ისაა, რომ ქრისტეს სიკვდილმა რაღაცნაირად გაგვამართლა ჩვენ ღმერთის თვალში და შესაძლებლობა მოგვცა, ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. სხვა საკითხია, როგორ იქნა ეს მიღწეული. ამის შესახებ არა ერთი ვერსია ჩამოყალიბდა, მაგრამ ძირითადად ყველა ქრისტიანი ერთნაირად ფიქრობს. მე მოგახსენებთ, თავად როგორ მიმაჩნია.

ყველა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ თუ დაიღალა და მოშივდა, კარგი სადილი სჭირდება და სადილი სულაც არ არის იგივე, რაც კვების თეორია პროტეინებსა და ვიტამინებზე. ადამიანები სადილს შეექცეოდნენ და თავს მშვენივრად გრძნობდნენ ვიტამი-

ნების თეორიის აღმოჩენამდე კარგა ხნით ადრეც. თუ ეს თეორია ოდესმე დავიწყებას მიეცემა, ეს ხელს არ შეუშლის ადამიანებს კვლავაც გემრიელად მიირთვან თავიანთი სადილი. ქრისტიანობა არ არის თეორიები ქრისტეს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. თეორიები მხოლოდ მის ახსნას ცდილობენ. ყველა ქრისტიანს როდი მიაჩნია მათი არსებობა აუცილებლად. ჩემი საკუთარი ეკლესია, ინგლისის ეკლესია არც ერთ ამგვარ თეორიას არ თვლის ყველაზე სწორად. რომის ეკლესია ამ თვალსაზრისით უფრო შორს მიდის. ჩემი აზრით, ყველა ერთნაირად მიიჩნევს, რომ არსი უსაზღვროდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ის ახსნა, რომელიც თეოლოგების ხელიდან გამოდის. და რომ არც ერთ ახსნას არ შეუძლია ამომწურავ სისრულეზე ჰქონდეს პრეტენზია, მაგრამ როგორც ამ წიგნის შესავალშიც აღვნიშნე, მე მხოლოდ რიგითი მორწმუნე ვარ, ამ საკითხს კი ძალიან შორს მივყავართ. ვიმეორებ, რომ მხოლოდ ჩემი პირადი თვალსაზრისი შემიძლია ამ საკითხზე გაგაცნოთ.

ჩემი აზრით, ის, რასაც თქვენ გთავაზობენ, თეორიები არაა. ბევრ თქვენგანს, ეჭვგარეშეა, წაუკითხავს ჯინსის ანდა ედინგტონის ნაშრომები.[1] როდესაც მათ ატომის ან მისი მსგავსი რაიმეს ახსნა სურთ, უბრალოდ აღწერას მიმართავენ, რის საფუძველზეც წარმოიდგენს ამ საგნებს თქვენი გონება და გარკვეულ ფორმას მისცემს მათ. შემდეგ კი ისინი გაფრთხილებენ, რომ ეს ფორმა სინამდვილეში სულაც არ არის ის, რაც სწავლულებს სწამთ. მათ სწამთ მათემატიკური ფორმულა, ილუსტრაციები კი მხოლოდ იმისათვის გეძლევათ, რომ ფორმულის არსს უკეთ ჩასწვდეთ. ფაქტიურად ჭეშმარიტი მხოლოდ ფორმულაა, დანარჩენი კი მარტოოდენ მისი მიახლოებითი ილუსტრაცია. ამ ილუსტრაციებს მხოლოდ დახმარების მიზნით გვთავაზობენ და თუ ვერ მოვიხმართ, შეგვიძლია გვერდზე გადავდოთ. შეუძლებელია, ატომის არსი სურათებით გადმოიცეს, მისი ჭეშმარიტი გამოხატვა მხოლოდ მათემატიკურ ფორმულებს ძალუძთ.

---

[1] ჯინს ჯეიმს ჰონვუდი (1877 – 1946 წ.წ.) – ინგლისელი ფიზიკოსი და ასტროფიზიკოსი, კოსმოგონიური ჰიპოთეზის ავტორი. ედინგტონ არტურ სტენლი (1882 – 1944 წ.წ.) – ინგლისელი ასტროფიზიკოსი.

ასევე ხდება ქრისტიანობასთან დაკავშირებითაც. ჩვენ გვჯერა, რომ ქრისტეს სიკვდილი ადამიანური ისტორიის ის წერტილია, როდესაც რაღაცამ, რაც სხვა სამყაროს ეკუთვნოდა და ჩვენს წარმოსახვას არ ემორჩილებოდა, თავი გამოავლინა ჩვენს სამყაროში. და თუ არ ძალგვიძს ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ატომი, რომლითაც აგებულია ჩვენი სამყარო, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ დავხატოთ ჩვენს წარმოდგენაში იმისი რეალური სურათი, რაც სინამდვილეში ხდება ქრისტეს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის დროს. უფრო მეტიც, თუ ჩვენ მის შეცნობას მოვახერხებდით, მაშინ თავად ეს ფაქტი დაამოწმებდა, რომ ხსენებული მოვლენა სულაც არაა ის, რადაც თავს გვაჩვენებს, ანუ მიუწვდომელი, ხელთუქმნელი, საგნების ბუნებაზე ამაღლებული და ამ ბუნების ელვისებურად გამჭოლი.

თქვენ იტყვით: „რა სარგებლობას მოგვიტანს ის, რისი გაგებაც არ ძალგვიძს?" ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია. ხომ შეუძლია ადამიანს ისე მიირთვას სადილი, რომ ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერების ათვისების პროცესზე წარმოდგენაც არ ჰქონდეს. ადამიანს შეუძლია მიიღოს ქრისტეს ნაღვაწი იმ შემთხვევაშიც კი, როცა სულაც არ ესმის, როგორ ხდება ეს. ცხადია, კაცი ვერ გაიგებს როგორ ხდება, თუ არ მიიღო.

ჩვენ გვითხრეს, რომ ქრისტე მოკლულ იქნა ჩვენი გულისათვის, მისმა სიკვდილმა დაგვიხსნა ცოდვებისაგან და თავისი სიკვდილით მან სიკვდილს ძალა წაართვა. ესაა ფორმულა. ესაა ქრისტიანობა. ესაა, რაც უნდა გვწამდეს. ხოლო ყველა თეორია იმის თაობაზე, თუ როგორ გახადა ეს ყველაფერი ქრისტეს სიკვდილმა შესაძლებელი, ჩემი აზრით, მეორადია. ისინი მხოლოდ ნახაზებსა და დიაგრამებს წარმოადგენენ, რომლებიც უეჭველად შეგვიძლია უარვყოთ, თუკი არ გვეხმარებიან და რომც გვეხმარებოდნენ, არ უნდა ავურიოთ იმ არსში, რომლის გამოხატვასაც ემსახურებიან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი თეორია იმსახურებს ყურადღებას.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორიის მიხედვით, ღმერთმა იმიტომ შეგვიწყალა, რომ ქრისტემ საკუთარი ნებით იტვირთა ჩვენი სასჯელი. ერთი შეხედვით, ეს აზრი არც თუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება. თუ ღმერთს სურდა, რომ შევეწყალებინეთ, რატომ ისე არ შეგვიწყალა? რა აზრი აქვს სხვათა დანა-

შაულის გამო უდანაშაულოს დასჯას? ჩვენი, ადამიანური, იურისპრუდენციის თვალსაზრისით, ეს უაზრობაა. მაგრამ თუ სხვა კუთხიდან შევხედავთ, მდგომარეობა ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ვიღაც, ვისაც ამის საშუალება აქვს, გადახდის უნარმოკლებული მევალის მაგივრად იხდის ვალს.

ანდა სხვა მაგალითი ავიღოთ: ადამიანი თავისი დანაშაულის გამო განსაცდელში ჩავარდა და საზღაური უნდა გაიღოს. ვინ გამოიხსნის მას, თუ არა საუკეთესო მეგობარი?

რა განსაცდელში ჩავარდა ადამიანი თავისი დანაშაულის გამო? რატომ მოხდა ეს? ადამიანი შეეცადა ყველაფერი თავისებურად მოეწყო, ისე იქცეოდა, თითქოს საკუთარი თავის გარდა არავის ეკუთვნოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ: დაცემული ადამიანი უბრალოდ არასრულყოფილი არსება კი არაა, რომელიც გამოსწორებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს, ესაა მეამბოხე, რომელმაც იარაღი უნდა დაყაროს, ჩაბარდეს, პატიება ითხოვოს, აღიაროს, რომ სწორ გზას გადაუხვია და ცხოვრების ახლიდან დაწყების მზადყოფნა გამოხატოს — ესაა ერთადერთი გამოსავალი. საკუთარი დამარცხების აღიარებასა და უსიტყვო კაპიტულაციას ქრისტიანები მონანიებას უწოდებენ. ეს პროცესი სასიამოვნო სულაც არ გახლავთ. იგი უფრო რთულია, ვიდრე არსებულ მდგომარეობასთან შერიგება. მოინანიო, ნიშნავს უარი თქვა საკუთარ აზრსა და თვითნებობაზე, რასაც ჩვენში საუკუნეების მანძილზე ვნერგავდით. მონანიება საკუთარ წარსულზე უარის თქმას ნიშნავს და რაღაცით სიკვდილს ემსგავსება. მართლაც კარგი ადამიანი უნდა იყო, რომ სინანულამდე მიხვიდე. აქ კი გარკვეული სირთულეს ვაწყდებით. მონანიება ცუდ ადამიანს სჭირდება, ჭეშმარიტი მონანიება კი მხოლოდ კარგ ადამიანს შეუძლია. რაც უფრო ცუდია ადამიანი, მით უფრო მეტად სჭირდება მონანიება, თუმცა მით უფრო ნაკლებადაა მისთვის განწყობილი. მხოლოდ სრულქმნილი ადამიანი შეიძლება მივიდეს სრულყოფილ მონანიებამდე, ასეთი ადამიანი კი მონანიებას არ საჭიროებს.

დაიხსომეთ, რომ მონანიება ნებაყოფლობითი მორჩილებაა და თავისებური სიკვდილიც, ღმერთი მას მოითხოვს თქვენგან მანამდე, სანამ უკან მიგიღებდეთ თავის წიაღში. როცა მონანიებაზე ვლაპარაკობ, ვცდილობ ღმერთთან დაბრუნების გზა გიჩვენოთ.

თუკი ღმერთს მონანიების გარეშე სთხოვთ უკან მიღებას, ეს ნიშნავს, რომ თქვენ გსურთ დაბრუნება დაბრუნების გარეშე. ასეთი რამ კი არ არსებობს.

ამრიგად, ჩვენ უნდა მოვინანიოთ. მაგრამ ჩვენში ჩაბუდებული ბოროტება, რომლის გამოც შეიქნა აუცილებელი მონანიება, მონანიების ნიჭს გვართმევს. შევძლებთ ამ პრობლემის გადაჭრას ღმერთის დახმარებით? დიახ, მაგრამ როგორ გვესმის ღმერთის დახმარება? ცხადია, მხედველობაში გვაქვს, რომ დახმარების მიზნით ღმერთი საკუთარი თავის ნაწილს დებს ჩვენში, თავის გონებასთან გვაზიარებს და ჩვენც ფიქრს ვიწყებთ; სიყვარულს გვიწილადებს და ჩვენც ერთმანეთის სიყვარულის უნარი გვიჩნდება. როდესაც ბავშვს წერას ასწავლით, თქვენ მისი ხელი გიჭირავთ ხელში და მასთან ერთად გამოგყავთ ასოები; მისი ხელი თქვენი წყალობით ხაზავს ასოებს. ჩვენ გვიყვარს და ვაზროვნებთ იმიტომ, რომ ღმერთს უყვარს და აზროვნებს, მას უჭირავს ხელში ჩვენი ხელი. რომ არ დავცემულიყავით, ყველაფერი მშვიდად წარიმართებოდა. ახლა კი, სამწუხაროდ, იმგვარ საქმეში გვინდა დახმარება, რაც ღმერთისთვის, მისი ღვთაებრივი ბუნებიდან გამომდინარე, უცხოა — ესაა დანებება, დამორჩილება, ტანჯვა და სიკვდილი. ამგვარი ქმედებანი ღვთაებრივ ბუნებას არ შეესაბამება. ის გზა, რომლის გასავლელადაც ღმერთის მეგზურობა გვჭირდება, თავად მას არასოდეს გაუვლია. ღმერთს კი მხოლოდ იმას შეუძლია გვაზიაროს, რაც მოეპოვება. ის, რაც ჩვენ გვესაჭიროება, მის ბუნებაში არ არის.

ახლა დავუშვათ, რომ ღმერთი ადამიანად იქცა; ჩვენი ადამიანური ბუნება, რომელსაც ტანჯვა და სიკვდილი ძალუძს, ღვთაებრივ ბუნებას შეერწყა ერთ პიროვნებაში. სწორედ ასეთი პიროვნება შესძლებდა ჩვენს დახმარებას. ღმერთ-კაცი შესძლებდა დაემორჩილებინა თავისი ნება, ეტანჯა და მომკვდარიყო რადგან ადამიანი იყო. ამას იგი სრულყოფილად შეასრულებდა, რადგან ამავე დროს ის ღმერთიც იყო. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ამ პროცესის გავლას, თუ ღმერთი შეასრულებს მას ჩვენში; მისი შესრულება კი ღმერთს მხოლოდ ადამიანად გახდომით შეუძლია. ჩვენი მცდელობა, განვლოთ სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის საფეხური, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება

წარმატებით, როცა ღმერთის სიკვდილში მივიღებთ მონაწილეობას, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი აზროვნების ნაყოფიერებაა დამოკიდებული იმაზე, რომ ის წვეთია მისი გონების ოკეანეში. მაგრამ ჩვენ ვერ მივიღებთ მონაწილეობას ღმერთის სიკვდილში, თუ იგი არ მოკვდება. ის კი არ მოკვდება, თუ ადამიანად არ გადაიქცა. აი, რა თვალსაზრისით იხდის იგი ჩვენს ვალებს და ჩვენს მაგივრად იტანჯება იმის გამო, რისთვისაც სულ არ სჭირდებოდა ტანჯვა.

გამიგია, როგორ ამბობენ ზოგიერთები, რომ თუ იესო იმდენადვე იყო ღმერთი, რამდენედაც კაცი, მაშინ მის ტანჯვასა და სიკვდილს ფასი არა აქვს, რადგან ეს მისთვის ძალიან ადვილი იქნებოდაო. სხვები (სრულიად სამართლიანად) ამგვარ უმადურობას კიცხავენ. თუმცა მე მაოცებს ის, რასაც მსგავსი განცხადება ამოწმებს. ერთის მხრივ, ეს ადამიანები თავისებურად მართლები არიან. შესაძლებელია, ისინი ვერც კი აფასებენ თავიანთი არგუმენტის ძალას. სრული მორჩილება, ტანჯვა და სიკვდილი მარტო ადვილი კი არ იყო იესოსათვის იმის გამო, რომ ის ღმერთი გახლდათ, არამედ შესაძლებელიც მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ შეიქმნა. მიუხედავად ამისა, მართლაც ხომ საკვირველია, რომ ამის გამო მისი მორჩილება, ტანჯვა და სიკვდილი არ მივიღოთ? მასწავლებელს შეუძლია ბავშვს ასოები დააწერინოს, რადგან ის მოზრდილი ადამიანია და წერა იცის. რა თქმა უნდა, მისთვის ადვილია ამ ასოების გამოყვანა და სწორედ ამიტომაც ახერხებს ბავშვის დახმარებას. თუ ბავშვი უარყოფს მის სამსახურს იმ მიზეზით, რომ „მოზრდილებისათვის ეს იოლია", და დაელოდება, რომ მას წერა მეორე ბავშვმა ასწავლოს, რომელმაც ჯერ თავადაც არ იცის ხეირიანად წერა და ამით უსამართლო უპირატესობაც არ გააჩნია, სწავლის საქმე, ვფიქრობ, არც თუ ისე სწრაფად წავა წინ. თუკი სწრაფ მდინარეში ვიხრჩობი, ადამიანს, რომელსაც ფეხი ნაპირზე უდგას, შეუძლია ხელი გამომიწოდოს და გადამარჩინოს. განა ასეთ დროს აღვშფოთდები და ყვირილს მოვრთავ: „არა, ეს უსამართლობაა! თქვენ უპირატესობა გაქვთ! თქვენ ხომ ფეხი ნაპირზე გიდგათ"? ეს „უპირატესობა" — თუ გნებავთ, უწოდეთ მას უსამართლო, — არის ერთადერთი პირობა, რის გამოც შეუძლია მას, დამეხმაროს. თუ დახმარება გჭირდებათ, განა იმას არ უხმობთ საშველად, ვინც თქვენზე ძლიერია?

ესაა ჩემი აზრი გამოსყიდვის თაობაზე. თუმცა ნუ დაივიწყებთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი ილუსტრაციაა. არ აურიოთ ის თავად გამოსყიდვაში. თუ ჩემს მიერ მოყვანილი მაგალითი, ჩემი ილუსტრაციას მარჯვედ არ სთვლით, უყოყმანოდ მოიშორეთ თავიდან.

5. პრაქტიკული დასკვნა

ქრისტემ სრული კაპიტულაციისა და მორჩილების გზა აირჩია. ეს ქმედებანი სრულყოფილი იყო იმიტომ, რომ იესო ღმერთია; კაპიტულაცია და მორჩილება კი იმის გამო გახლდათ შესაძლებელი, რომ იგი, ამავე დროს, კაციც იყო. ქრისტიანული რწმენის მიხედვით, თუ ჩვენ გავიზიარებთ ქრისტეს მორჩილებასა და ტანჯვას, სიკვდილზე მისი გამარჯვების თანამონაწილენი გავხდებით და სიკვდილის შემდეგ ახალ სიცოცხლეს მივიღებთ. იმ ახალ სიცოცხლეში სრულქმნილნი და ბედნიერნი ვიქნებით. თუმცა ეს ყველაფერი ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე მისი მოძღვრების მიმდევრად გახდომის მცდელობა. ადამიანები ხშირად კითხულობენ, თუ როდის დადგება ევოლუციის მომდევნო ეტაპი, როდესაც ადამიანზე გაცილებით მაღლა მდგომი არსება წარმოიშვება. ქრისტიანობის მიხედვით, ეს ეტაპი უკვე დადგა. ახალი არსება ქრისტეში დაიბადა და სიცოცხლის ახალი ფორმა, რომელიც მასში დაიწყო, ჩვენში უნდა გაგრძელდეს.

როგორ უნდა მივიღოთ ეს ახალი სიცოცხლე? გაიხსენეთ, როგორ მივიღეთ ჩვეულებრივი სიცოცხლე. ჩვენ ის სხვებისაგან გვერგო, დედ-მამისა და წინაპრებისაგან, ჩვენი თანხმობის გარეშე და ძალზე საინტერესო პროცესის მეშვეობით, რომელიც ერთდროულად შეიცავს სიამოვნებას, ტკივილსა და საფრთხეს. ამგვარ პროცესს თავად ვერასოდეს გამოიგონებდით. ბავშვობაში ბევრი ჩვენგანი ცდილობდა მის გამოცნობას. ზოგიერთ ბავშვს, როდესაც პირველად უამბობენ ამ პროცესზე, იგი დაუჯერებლად ეჩვენება. მე მესმის მათი, რადგან ეს მართლაც უცნაური პროცესია. ღმერთმა, რომელმაც ეს პროცესი დააწესა, ისიც მოიგონა, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ახალი სიცოცხლე, სიცოცხლე ქრისტეში, და

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ესეც უცნაური პროცესი იქნება. ღმერთს ჩვენთან არ შეუთანხმებია სექსის შექმნის საკითხი და არც ხსნის გზის დადგენას დაგვეკითხება.

სამი რამ ნერგავს ქრისტეს სიცოცხლეს ჩვენში: ნათლობა, რწმენა და საიდუმლოება, რომელსაც ქრისტიანები სხვადასხვა სახელს უწოდებენ — წმიდა ზიარება, მესა, უფლის სერობა. ესენი ჩვეულებრივი და საყოველთაოდ მიღებული საშუალებებია. თუმცა არსებობს განსაკუთრებული შემთხვევებიც, როდესაც ქრისტე და მისი სიცოცხლე ამ აქტებიდან ერთ-ერთის ანდა სამივეს გარეშე შემოდიან ჩვენში. მე არ მაქვს საკმარისი დრო, რომ ამ განსაკუთრებულ შემთხვევებს ჩავუღრმავდე, ამასთან არც თუ ისე კარგად ვიცნობ მათ. როდესაც თქვენ ჩქარობთ აუხსნათ ადამიანს, როგორ მიაღწიოს ლონდონიდან ედინბურგამდე, ალბათ, მატარებელში ჩაჯდომას ურჩევთ. მას შეუძლია, რა თქმა უნდა, იქ გემითა და თვითმფრინავითაც ჩავიდეს, მაგრამ ეს იმ წუთას შეიძლება არც გაგახსენდეთ. მეც არაფერს ვამბობ იმაზე, თუ რომელია ხსენებული სამი აქტიდან ყველაზე არსებითი. ჩემი მეგობარი მეთოდისტი მოინდომებს, რომ უფრო მეტი ვილაპარაკო რწმენაზე, ვიდრე დანარჩენ ორზე. მე ამაზე არ შევჩერდები, ყველა, ვინც კი ქრისტიანულ მოძღვრებას გაზიარებთ, გეტყვით, რომ სამივე მნიშვნელოვანია და ამჟამად ეს ჩვენთვის საკმარისია.

თავად მე ვერ ვხვდები, თუ რანაირად გვანიჭებენ ეს აქტები ახალ სიცოცხლეს, მაგრამ ასევე ძნელია ჩასწვდე იმ კავშირს, რომელიც ფიზიკურ სიამოვნებასა და ქვეყნად ახალი ადამიანის მოვლინებას შორის არსებობს. ისღა გვრჩება, რომ სინამდვილე როგორიც არის, ისეთი მივიღოთ. უაზრობაა გაუთავებელი მსჯელობა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი და რა შეიძლებოდა მისგან მიგვეღო. მართალია, მე არ ვიცი, თუ რატომ უნდა იყოს ეს ასე, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რატომ მწამს, რომ ეს მართლაც ასეა. უკვე განვმარტე, თუ რატომ მჯერა, რომ იესო იყო (და არის) ღმერთი. ეს ისტორიული ფაქტია. ისიც ფაქტია, თუ რას ასწავლიდა იგი თავის მიმდევრებს. იესო ასწავლიდა, რომ ახალი სიცოცხლე სწორედ ამ გზით შემოდის ჩვენში. სხვაგვარად რომ ვთქვა, მე ეს მჯერა, რადგან ქრისტეს ავტორიტეტს ვეყრდნობი. ძალიან გთხოვთ, ნუ შეგაკრთობთ ეს სიტყვა — „ავტორიტეტი". გწამდეს

ვიღაცის ავტორიტეტზე დაყრდნობით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თქვენ გვჯერათ რაღაც, რადგან მის შესახებ ისეთმა პირმა გიამბოთ, ვისაც სრული ნდობის ღირსად თვლით. ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი იმისა, რაც გწამთ, ავტორიტეტისადმი ნდობაზეა დაფუძნებული.

მე მწამს ნიუ-იორკის არსებობა, თუმცა თავად არასოდეს მიხილავს იგი და ვერც აბსტრაქტული არგუმენტების დახმარებით შევძლებ მისი არსებობის დამტკიცებას. ჩემი რწმენა იმ ადამიანთა მონათხრობს ეფუძნება, ვინც ნდობის ღირსად მიმაჩნია. ჩვეულებრივ ადამიანს სჯერა მზის სისტემის, ატომებისა და სისხლის მიმოქცევის არსებობა, რადგან ის სწავლულთა მტკიცებებსა და მათ ავტორიტეტს ეყრდნობა. ავიღოთ თუნდაც ისტორიული ფაქტები — საიდან ვიცით ისინი, თუ არა ისტორიკოსთა მტკიცებებიდან, რომელთა ავტორიტეტსაც ვეყრდნობით? არც ერთ ჩვენგანს არ უხილავს ნორმანთა დაპყრობები ან თუნდაც ვატერლოოს ბრძოლა. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაამტკიცებდა მათ არსებობას მხოლოდ ლოგიკური გზით ისე, როგორც მათემატიკური თეორემები მტკიცდება. ჩვენ გვჯერა ამ ფაქტების არსებობა იმიტომ, რომ მათმა მომსწრეებმა ჩანაწერები დაგვიტოვეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვჯერა მათი არსებობა, ვეყრდნობით რა ამ ჩანაწერებისა და მათი ავტორების ავტორიტეტს. ადამიანს, რომელიც სხვა სფეროებშიც ისევე დაიწყებდა ავტორიტეტებთან კამათს, როგორც ამას რელიგიის სფეროში აკეთებენ, სიცოცხლის ბოლომდე უმეცრად დარჩენა მოუწევდა.

არ იფიქროთ, თითქოს მხოლოდ ნათლობას, რწმენას და წმიდა ზიარებას ვანიჭებ გადამწყვეტ მნიშვნელობას და ქრისტეს კვალზე შედგომა საჭიროდ აღარ მიმაჩნია. თქვენ ბიოლოგიური სიცოცხლე მშობლებისაგან მიიღეთ, მაგრამ თუ არ გაუფრთხილდებით, ყოველ წამს შეიძლება დაჰკარგოთ იგი საკუთარი დაუდევრობისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო. ამასთან გახსოვდეთ, რომ თქვენ კი არ ქმნით, მხოლოდ ინახავთ იმას, რაც სხვისაგან მიიღეთ. სწორედ ამგვარადვე შეიძლება დაკარგოს ქრისტიანმა სიცოცხლე ქრისტეში, თუ გარკვეულ ზომებს არ მიიღებს მის დასაცავად. საუკეთესო ქრისტიანიც კი მხოლოდ კვებავს და ინახავს ამ სიცოცხლეს, რომლის მიღებასაც ის საკუთარი ძალისხმევით ვერასოდეს

შესძლებდა. აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნები. სანამ თქვენი ბუნებრივი სიცოცხლე თქვენს სხეულში იმყოფება, ის განაპირობებს მის ნორმალურ ფუნქციონირებას და დარღვეული ფუნქციების აღდგენას, თუ რაიმე გაგეჭრებათ, გაჭრილი ადგილი შეხორცდება, მაგრამ თუ სხეული მკვდარია, მაშინ ეს შეუძლებელია. ცოცხალი სხეული ზიანდება, მაგრამ მას საკუთარი თავის აღდგენაც შეუძლია, თუმცა ამ მხრივ მისი შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის. ასევე ქრისტიანიც არ გახლავთ ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის სწორად იქცევა, მაგრამ მას შეუძლია მოინანიოს, სულით არ დაეცეს და ყოველი დაბრკოლების შემდეგ ყველაფერი ახლიდან დაიწყოს — იმიტომ, რომ მასში ქრისტეს სიცოცხლე სუფევს. სწორედ ის აღადგენს მას და აძლევს უნარს კვლავ და კვლავ (გარკვეულ ზღვრამდე, რა თქმა უნდა) განვლოს ნებაყოფლობითი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მისტერია ქრისტესთან ერთად.

აი, რატომ განსხვავდებიან ქრისტიანები იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ცდილობენ, რომ კარგები იყვნენ. ეს ადამიანები იმედოვნებენ, რომ საკუთარი ძალისხმევით მიუახლოვდებიან ღმერთს, თუ ის მართლაც არსებობს, თუ არა და, უკიდურეს შემთხვევაში, იმას ხომ მაინც შესძლებენ, რომ სხვა ადამიანებს მოაწონონ თავი კეთილი საქმეებით. ქრისტიანი კი თვლის, რომ მის მიერ ჩადენილი სიკეთე მასში არსებული ქრისტეს სიცოცხლიდან მომდინარეობს. მისი აზრით, ღმერთს იმიტომ კი არ ვუყვარვართ, რომ კარგები ვართ, არამედ თავად გვაქცევს კარგებად იმიტომ, რომ ვუყვარვართ. სათბურის სახურავი კი არ იზიდავს მზეს თავისი ბრწყინვალების გამო, მზე აბრწყინებს მას თავისი სხივებით.

კიდევ ერთი რამის განმარტებაა საჭირო. როცა ქრისტიანები ამბობენ, რომ მათში ქრისტეს სიცოცხლეა, ეს გონებრივ ანდა მორალურ წარმოდგენებზე როდი მიუთითებს. როდესაც ისინი ამბობენ, რომ არიან ქრისტეში ან ქრისტეა მათში, ეს არ ნიშნავს, თითქოს ისინი ქრისტეზე ფიქრობენ ან მის მიბაძვას ცდილობენ. მათ მხედველობაში აქვთ, რომ ქრისტე რეალურად მოქმედებს მათი მეშვეობით, ყველა ქრისტიანი ერთ ორგანიზმს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც მოქმედებს ქრისტე და ჩვენ მისი თითები, მისი სხეულის უჯრედები ვართ.

შესაძლებელია, ეს იყოს ახსნა იმისა, თუ რატომ გადაეცემა ახალი სიცოცხლე არა მხოლოდ გონებრივი, მშვინვიერი აქტების მეშვეობით, მაგალითად ისეთის, როგორიც რწმენაა, არამედ იმგვარი ქმედებების საშუალებითაც, რომლებშიც ფიზიკურად ვართ ჩართულნი, კერძოდ ნათლობისა და წმიდა ზიარების მეოხებით. ეს აქტები მხოლოდ იდეის გადაცემას კი არ ითვალისწინებენ, არამედ ბიძგს აძლევენ ევოლუციის პროცესს, გარკვეულ ბიოლოგიურ თუ ზებიოლოგიურ ფაქტს. ღმერთს არასოდეს განუზრახავს ადამიანის მხოლოდ სულიერ არსებად ქცევა. აი, რატომ მიმართავს იგი ჩვენში ახალი სიცოცხლის გასაღვივებლად ისეთ მატერიალურ საგნებს, როგორიცაა პური და ღვინო. ჩვენ შეიძლება ეს პრიმიტიულად და არასულიერად გვეჩვენება, მაგრამ ღმერთი სხვანაირად სჯის. საკვები ხომ მან გამოიგონა, ღმერთს უყვარს მატერია, რადგან ის მისი ქმნილებაა.

ჩემთვის გამოცანად რჩებოდა კიდევ ერთი რამ: განა საშინელი უსამართლობა არაა, რომ ახალ სიცოცხლეს მხოლოდ ისინი ღებულობენ, ვისაც ქრისტეს მოძღვრების გაცნობისა და მისი რწმენის შესაძლებლობა აქვთ? მაგრამ ღმერთს არ უთქვამს ჩვენთვის, თუ რას უპირებს დანარჩენებს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი მხოლოდ ქრისტეს მეოხებით შეიძლება გადარჩეს, მაგრამ უცნობია, მარტო ქრისტეს მოძღვრების მცოდნენი გადარჩებიან მისი მეოხებით, თუ სხვებიც. ასეა თუ ისე, თუ თქვენ ღობის იქით მოხვედრილების ბედი გაღელვებთ, დიდი უგუნურება იქნებოდა, თავადაც იქ დარჩენილიყავით. ქრისტიანები ქრისტეს სხეულს წარმოადგენენ, ორგანიზმს, რომლის საშუალებითაც ის მოქმედებს, ამიტომ ამ სხეულის ზრდა მას უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. თუ გინდათ ღობის იქით დარჩენილებს დაეხმაროთ, ქრისტეს სხეულს საკუთარი პატარა უჯრედი უნდა შემატოთ, რადგან მხოლოდ მას შეუძლია განწირულთა შველა. ადამიანის შრომის ნაყოფიერების გაზრდას თუ ცდილობთ, საოცარი არ იქნებოდა, რომ მისთვის თითები დაგეჭრათ?

კიდევ ერთი რამის განმარტებაა საჭირო. რატომ ჩამოდის ღმერთი ინკოგნიტოდ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რატომ აარსებს ერთგვარ საიდუმლო საზოგადოებას ეშმაკის წინააღმდეგ? რატომ არ მოგვევლინება იგი მთელი ძალით, რომ

ერთბაშად დაიკავოს ეს ტერიტორია? იქნებ მას საკმარისი ძალა არა აქვს? ქრისტიანები ამბობენ, რომ ერთხელ ის მართლაც მოვა მთელი თავისი ძლიერებით, მაგრამ არავინ იცის, როდის. თუმცა შეიძლება იმის მიხვედრა, თუ რატომ აყოვნებს. მას სურს, რომ ჩვენ ნებაყოფლობით დავდგეთ მის მხარეზე. არა მგონია, დიდი პატივისცემა გამოგვემჟღავნებინა იმ ფრანგის მიმართ, რომელიც დაიცდიდა, სანამ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარები გერმანიას დაიკავებდნენ და მხოლოდ მაშინ განაცხადებდა, რომ ჩვენს მხარეზეა.

სამყაროში ღვთის სუფევა გამეფდება. მაგრამ მე მაინტერესებს, ესმით თუ არა იმ ადამიანებს, რომლებიც ღმერთს ამ წუთისოფლის საქმეში ღია და პირდაპირ ჩარევას სთხოვენ, რა მოხდება, როცა ეს აღსრულდება? ეს ხომ სამყაროს დასასრულის მაუწყებელი იქნება. როცა ავტორი სცენაზე გამოდის, ეს ნიშნავს, რომ სპექტაკლი დამთავრდა.

ღმერთი ემზადება სამყაროს დასაპყრობად. მაგრამ რა სარგებლობას მოგიტანთ იმის თქმა, რომ მის მხარეზე ხართ, მაშინ, როცა მთელი მატერიალური სამყარო თქვენს თვალწინ დნობას და გაქრობას დაიწყებს? რაღაც, რაზეც არასოდეს გიფიქრიათ, შემოვა ამ წუთისოფელში და ყველაფერს შემუსრავს თავის გზაზე. ზოგისთვის სანატრელი, ხოლო ზოგისთვის საშინელი იქნება ეს რაღაც და არცერთ ჩვენგანს აღარ ექნება არჩევანის შესაძლებლობა, რადგან ამჯერად ინკოგნიტოდ როდი მოვა ღმერთი. ეს თავზარდამცემი მოვლენა იქნება, იმდენად არნახული ძალის მქონე, რომ ყოველ არსებაში გამოიწვევს უსაზღვრო სიყვარულს ან ძრწოლას, მაგრამ არჩევანის გაკეთება უკვე გვიან იქნება. უაზრობაა იმის თქმა, რომ უმჯობესია დაწვეთ, როცა ფეხზე ადგომა აღარ შეგიძლიათ. ეს არ იქნება არჩევანის ჟამი. მაშინ ცხადი გახდება, თუ ვისი მხარე ავირჩიეთ, შეგნებულად ვიქმოდით ამას თუ შეუგნებლად. ახლა, დღეს, ამ წუთას ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ღმერთი აყოვნებს, რომ დრო მოგვცეს, მაგრამ ასე უსასრულოდ არ გაგრძელდება. ჩვენ უნდა მივიღოთ ან უარვყოთ იგი.

წიგნი მესამე

ქრისტიანული ქცევა

1. ზნეობის სამი ნაწილი

ერთ მოსწავლეს ჰკითხეს, თუ როგორ წარმოუდგენია მას ღმერთი. მან უპასუხა, რომ, რამდენადაც ესმის, ღმერთი „ის პიროვნებაა, რომელიც ერთავად დაძრწის, რათა ისეთი კაცი გამოიჭიროს, რომელიც არხეინად ატარებს დროს, და როცა გამოიჭერს, მაშინვე აწყვეტინებს". ვშიშობ, რომ სწორედ ამგვარად ესმის ბევრს სიტყვა „ზნეობა": თითქოს ეს არის ის, რაც ხელს გვიშლის სიამოვნების მიღებაში. სინამდვილეში კი ზნეობრივი კოდექსი ის ინსტრუქციაა, რომელიც ადამიანური მანქანის სწორ ფუნქციონირებას განაპირობებს. ზნეობის ყველა ნორმა იქითკენაა მიმართული, რომ გამორიცხოს ნებისმიერი ხარვეზი — მსხვრევა, გადატვირთვა, არეულობა — მანქანის მუშაობაში. აი, რატომ მოსჩანს ერთი შეხედვით, რომ ზნეობა განუწყვეტლივ ერევა ჩვენს ცხოვრებაში და ხელს უშლის ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებების გამომჟღავნებას.

როდესაც რომელიმე მანქანის მართვას სწავლობთ, ინსტრუქტორი განუწყვეტლივ გისწორებთ: „არა, ასე არა, არასოდეს გააკეთოთ ეს," — იმიტომ, რომ მანქანასთან მუშაობისას ყოველთვის გიჩნდებათ სურვილი, მოსინჯოთ ან გააკეთოთ ის, რაც თქვენ ბუნებრივი და ხერხიანი გგონიათ, სინამდვილეში კი ამას შეიძლება მანქანის გაფუჭება მოჰყვეს.

ზოგიერთს ზნეობრივი ნორმებისა და მათი მორჩილების მაგივრად ზნეობრივ „იდეალებზე" და ზნეობრივ „იდეალიზმზე" ლაპარაკი ურჩევნია. ზნეობრივი სრულყოფილება, რასაკვირველია, იდეალია, იმ თვალსაზრისით, რომ მისი მიღწევა ჩვენ არ შეგ-

ვიძლია. ამ გაგებით, ყველაფერი, რაც სრულქმნილია, ჩვენთვის იდეალს წარმოადგენს. ჩვენ არ შეგვიძლია გავხდეთ სრულქმნილი მძღოლები ან ჩოგბურთელები ისევე, როგორც არ შეგვიძლია გავავლოთ სრულყოფილად სწორი ხაზი. მეორე მხრივ, თუ ზნეობრივ სრულყოფილებას „იდეალს" ვუწოდებთ, შეიძლება ადამიანები შეცდომაში შევიყვანოთ. როდესაც ვინმე ამბობს, რომ რომელიღაც ქალი, ბაღი ან გემო მისი იდეალია, მას არ მიაჩნია (თუ, რა თქმა უნდა, მთლად სულელი არ არის), რომ სხვა ადამიანებსაც იგივე იდეალი უნდა ჰქონდეთ. ამგვარ საკითხებში დასაშვებია, რომ სხვადასხვა გემოვნება და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა იდეალი გვქონდეს. მაგრამ ის, რომ იდეალისტი ვუწოდოთ ადამიანს, რომელიც ზნეობრივი ნორმების დაცვას ცდილობს, გარკვეული საშიშროების წინაშე გვაყენებს. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვა მისი გემოვნების საქმეა და ჩვენ არა ვართ ვალდებულნი, გავიზიაროთ ის. მსგავსი აზრი კატასტროფამდე მიგვიყვანდა.

სრულყოფილი ქცევა შეიძლება ისეთივე მიუღწეველი იყოს, როგორც სიჩქარეების სრულყოფილი გადართვა, მაგრამ ეს თავად ადამიანური მანქანის ბუნების მიერ დაწესებული აუცილებელი იდეალია ყველა ადამიანისათვის, ზუსტად ისევე, როგორც სიჩქარეების სრულყოფილი გადართვა გვევლინება იდეალად ყველა მძღოლისათვის, თავად ავტომობილის ბუნებიდან გამომდინარე. უფრო სახიფათო იქნებოდა, მაღალი იდეალების მქონე ადამიანად მიგვეჩნია თავი იმის გამო, რომ ვცდილობთ არასოდეს ვიცრუოთ (იმის მაგივრად, რომ იშვიათად ვიცრუოთ ხოლმე), ან არასოდეს ვიმრუშოთ (იმის მაგივრად, რომ ნაკლებად ვიმრუშოთ ხოლმე), ან არასოდეს გავბრაზდეთ (იმის მაგივრად, რომ გაბრაზებას მოვერიდოთ ხოლმე). ასეთ შემთხვევაში ჩვენ პედანტად და რეზონიერად გადაქცევის საშიშროება გველის, რომელიც თვლის, რომ განსაკუთრებული ადამიანია და იდეალიზმის გამო ქებას იმსახურებს.

მაშინ თქვენ ასეთივე შექების იმედი უნდა გქონდეთ, როდესაც ციფრებს ანგარიშობთ და ცდილობთ ზუსტად დაიანგარიშოთ. უეჭველია, რომ სრულყოფილი თვლა-ანგარიში იდეალია, რადგან ხანდახან, ალბათ, შეცდომებიც მოგდით. თუმცა რა განსაკუთრებული დამსახურებაა ანგარიშის დროს ყურადღებით ყოფნა, განა

სისულელე არ იქნებოდა, პირიქით რომ მოქცეულიყავით, ყოველი შეცდომა ხომ უსიამოვნების მომტანია. ზუსტად ასევე ყოველი ზნეობრივი დანაშაული დიდი უსიამოვნების წყაროდ შეიძლება იქცეს თქვენთვის. როდესაც ჩვენ „იდეალებისა" და „იდეალიზმის" მაგივრად წესებსა და მორჩილებაზე ვლაპარაკობთ, სწორედ ეს გვსურს საკუთარ თავს შევახსენოთ.

ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ. ადამიანური მანქანა მწყობრიდან ორი მიზეზის გამო გამოდის: პირველი, როცა ადამიანები ერთმანეთს შორდებიან ან, პირიქით, როცა ეჯახებიან და სიცრუითა და უხეშობით ერთმანეთს ზიანს აყენებენ. მეორე — როდესაც ადამიანის სულში რაღაც ტყდება, ანუ მისი ნაწილები, მისი ატრიბუტები (მაგალითად ნიჭიერება, სურვილები და სხვა) ერთმანეთში ვერ თავსდებიან, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

ამ აზრს უფრო იოლად ჩავწვდებით, თუ ადამიანებს გარკვეული კურსით მცურავ ხომალდებად წარმოვიდგენთ. ცურვა წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება, თუ ხომალდები არ შეეჯახებიან და არ გადაეღობავენ გზას ერთმანეთს და, ამასთანავე, თუ თითოეული მათგანი ცურვისთვის გამოსადეგია და მათი ძრავები სრულ წესრიგშია. ორივე პირობის დაცვა აუცილებელია. ხომალდები რომ ერთმანეთს შეეჯახონ, მწყობრიდან გამოვლენ. მეორე მხრივ კი, თუ საჭე წესრიგში არა აქვთ, შეეჯახებას თავიდან ვერ აიცილებენ. ანდა წარმოიდგინეთ კაცობრიობა ორკესტრის სახით, რომელიც რაღაც მელოდიას ასრულებს. კონცერტი რომ შედგეს, ორი პირობის დაცვაა საჭირო: ყველა ინსტრუმენტი აწყობილი უნდა იყოს და შესრულებაში შესაფერ მომენტში ჩაერთოს, რათა საერთო ჰარმონია არ დაარღვიოს.

თუმცა ერთი რამ გამოგვრჩა მხედველობიდან, არ გვიკითხავს, თუ საით მიემართება ჩვენი ფლოტი და რომელი მელოდიის დაკვრა სურს ჩვენს ორკესტრს. შესაძლოა, რომ ინსტრუმენტები კარგად იყოს აწყობილი და შესრულებაშიც თითოეული მათგანი თავის დროზე ჩაერთოს, მაგრამ ორკესტრი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თუ მას საცეკვაო მელოდია დაუკვეთეს, ის კი სამგლოვიარო მარშს უკრავს. ცურვა რაც არ უნდა იღბლიანად წარიმართოს, მოგზაურობას წარმატებულს ვერ დავარქმევთ, თუ

ხომალდები კალკუტას მიადგებიან, მაშინ, როცა მათი დანიშნულების პორტი ნიუ-იორკი იყო.

ამრიგად, ზნეობრივი ნორმების დაცვა სამ პირობას ითვალისწინებს: პირველი — პატიოსან თამაშს, ადამიანთა შორის ჰარმონიულ დამოკიდებულებას; მეორე — ადამიანის შინაგან წესრიგს, და მესამე, ადამიანური ცხოვრების საერთო მიზანს, იმას, თუ რისთვისაა შექმნილი ადამიანი, რა კურსით უნდა იცუროს ფლოტმა და რომელი მელოდია აირჩია ორკესტრის დირიჟორმა.

თქვენ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ ჩვენს თანამედროვეებს თითქმის ყოველთვის ახსოვთ პირველი პირობა და ავიწყდებათ მეორე და მესამე. როცა გაზეთებში წერენ, რომ ჩვენ ერებს, კლასებსა და ადამიანებს შორის პატიოსანი ქცევისა და დიდსულოვნებისათვის ვიბრძვით, ეს ნიშნავს, რომ ისინი პირველ პირობაზე ფიქრობენ. როცა ადამიანი მის მიერ განზრახული საქციელის შესახებ ამბობს, რომ „ამაში არაფერია ცუდი, რადგან ის ზიანს არავის აყენებს“ — იგი მხოლოდ პირველ პირობაზე ფიქრობს. ამგვარ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მათი ხომალდის შინაგან მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, იგი სხვა ხომალდებს არ უქმნიდეს შეჯახების საფრთხეს. სრულიად ბუნებრივია, რომ როდესაც ზნეობაზე ფიქრს ვიწყებთ, პირველი, რაც აზრად მოგვდის — საზოგადოებრივი ურთიერთობებია. რატომ? პირველ რიგში, იმიტომ, რომ საზოგადოების დაბალი ზნეობრივი მდგომარეობის შედეგები ჩვენ ყოველდღიურად გვაზარალებენ. ომი, სიღატაკე, მექრთამეობა, სიცრუე, უმუშევრობა და მრავალი სხვა მისი შედეგია. გარდა ამისა, პირველი პუნქტის ირგვლივ არასოდეს კამათობენ. ადამიანები ყველა ეპოქაში იზიარებდნენ იმ აზრს (თეორიულად მაინც), რომ პატიოსანი, კეთილი და სხვისთვის ხელის გამმართავი უნდა იყო. ბუნებრივია, ჩვენც აქედან უნდა დავიწყოთ, მაგრამ თუ აქვე შევჩერდებით, მაშინ საერთოდ არ ექნება აზრი ზნეობაზე მსჯელობას. სანამ მეორე პირობასაც არ დავიცავთ და საკუთარ „მეს“ წესრიგში არ მოვიყვანთ, მანამ მხოლოდ თავს მოვიტყუებთ.

რა აზრი აქვს, გემებს უთხრა, საითკენ მიმართონ საჭეები, მოსალოდნელი შეჯახებისგან თავის ასაცილებლად, თუკი დაძველებული საჭე საერთოდ არ ბრუნავს? რა აზრი აქვს ქაღალდზე ვწეროთ საზოგადოებრივი ქცევის წესები, როცა ვიცით, რომ ჩვენი

სიძუნწე, სიმხდალე, პატივმოყვარეობა და უვარგისი ხასიათი ხელს შეგვიშლიან მათ შესრულებაში? ცუდად არ გამიგოთ, მე იმას არ გთავაზობთ, რომ უარი უნდა ვთქვათ საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესების მცდელობაზე. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ არავითარ სჯა-ბაასს არ ექნება აზრი, სანამ არ შევიცნობთ, რომ მხოლოდ თითოეული ადამიანის ვაჟკაცობასა და უანგარობას ძალუძს აიძულოს ნებისმიერი საზოგადოებრივი სისტემა, შეუფერხებლად იმუშაოს. არც ისე ძნელია, რომ 'თავიდან ააცილო საზოგადოებას სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული დარღვევები, მაგალითად მექრთამეობა და ხულიგნობა, მაგრამ სანამ მექრთამეები და ხულიგნები არსებობენ, რჩება საფრთხე, რომ ისინი ძველი თამაშის გასაგრძელებლად ახალ ბილიკებს დაქნიან. თქვენ ვერ გააუმჯობესებთ ადამიანებს კანონების მეშვეობით, კარგი ადამიანების გარეშე კი არ არსებობს წესიერი საზოგადოება. აი, რატომ ვერ ავუვლით გვერდს მეორე პირობას — ადამიანის ზნეობრივ გარდაქმნას.

ვფიქრობ, აქ ვერ შევჩერდებით. ჩვენ ახლა იმ წერტილს მივუახლოვდით, საიდანაც სამყაროზე არსებული წარმოდგენებიდან გამომდინარე, ქცევის სხვადასხვა ნორმები იღებენ სათავეს. ჩნდება ცდუნება, რომ აქ გავჩერდეთ და მხოლოდ იმ ზნეობრივ ნორმებს დავუჭიროთ მხარი, რომელსაც ყველა გონიერი ადამიანი იზიარებს. მაგრამ ძალგვიძს კი ამის გაკეთება? არ დაივიწყოთ, რელიგია იმგვარ მტკიცებებს შეიცავს, რომლებიც ან შეესატყვისებიან ჭეშმარიტებას ან ეწინააღმდეგებიან მას. თუ ისინი ჭეშმარიტებას შეესაბამებიან, მაშინ ადვილად დავასკვნით, სწორ კურსს ადგას თუ არა კაცობრიობის ფლოტი, თუ არა და, მაშინ სრულიად განსხვავებულ დასკვნებამდე მივალთ. დავუბრუნდეთ იმ ადამიანს, ვინც ამტკიცებს, რომ ქცევა, რომელიც სხვას ზიანს არ აყენებს, არ შეიძლება ცუდი იყოს. მას მშვენივრად ესმის, რომ არც ერთ ხომალდს არ უნდა მიაყენოს ზიანი, ამავე დროს, გულწრფელად სწამს, რომ მისი ხომალდის მდგომარეობა მხოლოდ მისი საქმეა. კითხვა ამგვარად უნდა დავსვათ: არის თუ არა ეს ხომალდი მისი საკუთრება? განა მნიშვნელოვანი არ არის, მე ჩემი გონებისა და სხეულის ნამდვილი ბატონ-პატრონი ვარ, თუ მხოლოდ მდგმური, რომელიც ნამდვილი მესაკუთრის წინაშე აგებს პასუხს? თუ მე სხვამ შემქმნა

საკუთარი მიზნებისათვის, მაშინ მე პასუხს ვაგებ მის წინაშე, რაც არ დამევალებოდა, მე რომ მხოლოდ საკუთარ თავს ვეკუთვნოდე.

გარდა ამისა, ქრისტიანობის მიხედვით, ყველა ადამიანი მარადიულად იცოცხლებს და ეს ან ჭეშმარიტებაა ან სიცრუე. მაშასადამე, თუ მხოლოდ სამოცდაათი წელი უნდა ვიცოცხლოთ, მაშინ შემიძლია რაღაც-რაღაცეებზე თავი არ შევიწუხო, მაგრამ თუ მარადიული სიცოცხლე მიწერია, მაშინ კი უნდა შევწუხდე და საკმაოდ სერიოზულადაც. შესაძლებელია, ჩემი ცუდი ხასიათი თანდათან უარესდება და შურიანობაც განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ ეს იმდენად ნელა ხდება, რომ სამოცდაათი წლის მანძილზე დაგროვილი ცვლილება პრაქტიკულად შეუმჩნეველია. მაგრამ მილიონი წლის განმავლობაში ჩემი უარყოფითი თვისებები საშინელ ურჩხულად მაქცევენ. თუ ქრისტიანობა არ ცდება, მაშინ „ჯოჯოხეთი“ ზუსტი ტექნიკური ტერმინია იმ მდგომარეობის გამოსახატავად, მილიონი წლის შემდეგ რომ შემიქმნიან ჩემი შური და უხეირო ხასიათი.

და კიდევ: ადამიანის უკვდავების პრობლემა განაპირობებს საბოლოო ჯამში დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის დაპირისპირებასაც. თუ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ მხოლოდ სამოცდაათი წელია, მაშინ სახელმწიფო, ერი ან ცივილიზაცია, რომლებმაც შეიძლება ათასი წელიც კი იარსებონ, უეჭველად დიდ ფასეულობას წარმოადგენენ. მაგრამ თუ ქრისტიანობა არ ცდება, მაშინ ადამიანი განუზომლად უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ის მარადმყოფი არსია და სახელმწიფოსა თუ ცივილიზაციის სიცოცხლის ხანგრძლიობა მხოლოდ ერთი წამია ადამიანის სიცოცხლესთან შედარებით.

გამოდის, რომ ზნეობაზე ფიქრისას სამივე პირობა უნდა გავითვალისწინოთ: ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანის შინაგანი მდგომარეობა და ადამიანის ურთიერთობა მის შემქმნელ ძალასთან. პირველი პუნქტის თაობაზე, ალბათ, ადვილად შევთანხმდებით. უთანხმოება მეორე პუნქტიდან იწყება და სერიოზულ ხასიათს იძენს, როცა მესამეს ვუახლოვდებით. სწორედ აქ იჩენს თავს ძირითადი განსხვავება ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ზნეობას შორის. წიგნის დანარჩენ ნაწილში მე ვაპირებ მოვიმარჯვო ქრისტიანული თვალხედვა და დავინახო ზნეობის

სრული სურათი, როგორიც ის იქნება, თუკი ქრისტიანობა ჭეშმარიტია.

2. „კარდინალური სათნოებანი“

წიგნის ეს მონაკვეთი თავიდან მოკლე რადიოსაუბარს წარმოადგენდა. თუ თქვენ ლაპარაკისათვის მხოლოდ ათი წუთი გეძლევათ, იძულებული ხართ ბევრი რამ გასწიროთ ლაკონურობის გულისათვის. როცა ზნეობაზე ვმსჯელობდი, სათქმელი სამ ნაწილად გავყავი (იმ გემების მაგალითზე, დამწკრივებულები რომ მიცურავენ), რადგან მსურდა, რომ საკითხი მთლიანობაში წარმომედგინა და თანაც რაც შეიძლება მოკლედ მელაპარაკა. ქვემოთ მინდა გაგაცნოთ, თუ როგორ ანაწევრებდნენ ამ საკითხს წარსულში სხვა ავტორები. ისინი ძალიან საინტერესოდ აზროვნებდნენ, მაგრამ მათი მეთოდი რადიოსაუბრებისათვის არ გამოდგებოდა, რადგან დიდ დროს მოითხოვდა.

ადრინდელ ავტორთა აზრით, სულ შვიდი სათნოება არსებობს. აქედან ოთხ მათგანს ძირითად (ანუ კარდინალურ) სათნოებად მიიჩნევდნენ, სამს კი — საღვთისმეტყველო სათნოებას უწოდებდნენ. ძირითად სათნოებებს ყველა ცივილიზებული ადამიანი აღიარებს, საღვთისმეტყველო ანუ თეოლოგიურ სათნოებებს კი, როგორც წესი, მხოლოდ ქრისტიანები იცნობენ. თეოლოგიურ სათნოებებზე მოგვიანებით ვისაუბრებ, ახლა კი ოთხი კარდინალური სათნოება მინდა განვიხილო. სხვათა შორის, ამ სიტყვას არაფერი აქვს საერთო რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალებთან, ის წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან, რომელიც კარის ანჯამებს აღნიშნავდა. ამ სათნოებებს კარდინალურს უწოდებენ იმის გამო, რომ ისინი ზნეობის ერთგვარ საფუძველს წარმოადგენენ. ეს სათნოებებია: *კეთილგონიერება, თავშეკავება, სამართლიანობა* და *სიმტკიცე*.

კეთილგონიერება იგივე ჯანსაღი აზროვნებაა. კეთილგონიერი ადამიანი ყოველთვის ფიქრობს იმაზე, თუ რას აკეთებს და რა შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს. ჩვენს დროში ადამიანთა უმრავლესობას კეთილგონიერება სათნოებად არც მიაჩნია. სახარებაში

ქრისტე ამბობს, რომ სასუფეველში მაშინ შევალთ, როცა ბავშვებს დავემსგავსებით. აქედან ქრისტიანებმა გამოიტანეს ის დასკვნა, რომ თუ კარგი ადამიანი ხარ, შეიძლება ბრიყვი იყო და ამით არაფერი დაშავდება. ეს აშკარა გაუგებრობაა. ჯერ ერთი, ბავშვების უმრავლესობა საკმაო კეთილგონიერებას ავლენს იმ საქმეში, რაც მას ნამდვილად აინტერესებს და ხშირად საკმაოდ გააზრებულადაც მოქმედებს. მეორე, როგორც პავლე მოციქული აღნიშნავს, ქრისტეს ის არ უთქვამს, რომ ჩვენ გონებრივი განვითარების მხრივ უნდა დავრჩეთ ბავშვებად.[1] პირიქით: ის მოგვიწოდებდა, რომ ვყოფილიყავით არა მხოლოდ „უმანკონი, როგორც მტრედნი", არამედ „გონიერნი, როგორც გველნი".[2] მას სურს, რომ ჩვენ ბავშვებივით ალალნი, ერთგულნი, მოყვარულნი და მეცადინენი ვიყოთ, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი გონების ყველა უჯრედი მთელი დატვირთვით უნდა მუშაობდეს და საუკეთესო ფორმაში იყოს. როცა ფულს იხდით საქველმოქმედო მიზნებისათვის, უნდა გადაამოწმოთ, სად მიდის თქვენი ფული, თაღლითებს ხომ არ უვარდება ხელში. თუ თქვენი გონება ღმერთზე ფიქრითაა დაკავებული (მაგალითად ლოცვის დროს), ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ იმ ბავშვური წარმოდგენებით უნდა დაკმაყოფილდეთ მასზე, რომელიც ხუთი წლის ასაკში გქონდათ. რასაკვირველია, ღმერთს გონებაშეზღუდული ადამიანებიც უყვარს და ისევე გამოიყენებს მათ, როგორც ყველაზე გონიერთ, მაგრამ მას სურს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა სრულად მოიხმაროს ის გონებრივი შესაძლებლობანი, რომელიც მას ებოძა. მთავარი ის კი არ არის, რომ კარგები და კეთილები ვიყოთ, გონიერების პრივილეგია კი სხვას გადავულოცოთ, არამედ სიკეთესა და სიკარგესთან ერთად იმდენი გონიერებაც უნდა გამოვიჩინოთ, რამდენის ძალაც შეგვწევს. ღმერთს ისევე არ უყვარს ინტელექტუალური დეზერტირება, როგორც ნებისმიერი სხვა სახის დეზერტირება.

მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ ფიქრობთ გახდეთ ქრისტიანი, თქვენ მოგიწევთ მთელი თქვენი არსების, მათ შორის, გო-

---

[1] იხ.: „ძმანო, ნუ იქნებით ყრმანი გონებით; ბოროტებისათვის ყრმანი იყავით, მაგრამ სრულწლოვანნი იყავით გონებით" (1კორ. 14,20).
[2] იხ.: მათ. 10,16.

ნების, გაღება. საბედნიეროდ, ეს მთლიანად აგინაზღაურდებათ: ყველა, ვინც ქრისტიანად გახდომას გულწრფელად ესწრაფვის, მალე შეამჩნევს, რომ მისი გონება თანდათან უფრო მახვილდება. ნაწილობრივ სწორედ ამიტომაც არ არის აუცილებელი საგანგებო განათლება იმისათვის, რომ ქრისტიანი გახდე: ქრისტიანობა თავისთავად განათლებაა. აი, რატომ შესძლო გაუნათლებელმა ბუნიანმა იმგვარი წიგნის დაწერა, რომელმაც მსოფლიო განაცვიფრა.[1]

თავშეკავება — ერთ-ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელთაც, სამწუხაროდ, მნიშვნელობა იცვალეს. დღეს ის, როგორც წესი, სპირტიან სასმელზე უარის თქმას ნიშნავს. მაგრამ იმ დღეებში, როცა მეორე ძირითადი სათნოება „თავშეკავებად" მონათლეს, ის სხვა რამეს ნიშნავდა. თავშეკავება მხოლოდ სასმელს კი არ ეხებოდა, არამედ ყველა სხვა სიამოვნებასაც, მაგრამ მათზე საერთოდ უარის თქმას კი არ გულისხმობდა, არამედ ზომიერების დაცვას. მცდარია ის აზრი, რომ ქრისტიანი არ უნდა სვამდეს, მაჰმადიანობა კრძალავს სპირტიან სასმელებს და არა ქრისტიანობა. რასაკვირველია, საჭიროების შემთხვევაში ქრისტიანმა უარი უნდა თქვას მაგარ სასმელზე, ვთქვათ, მაშინ, როცა იგრძნობს, რომ დროულად ვერ შეჩერდება, ან მაშინ, როცა ლოთობისაკენ მიდრეკილ ადამიანთა წრეში იმყოფება და თავისი მაგალითით შესაძლოა წააქეზოს ისინი. მაშასადამე, ის გარკვეული მიზეზების გამო იკავებს თავს იმისაგან, რასაც ზოგადად არ უარყოფს. ზოგიერთ ადამიანს ასეთი საძაგელი თვისება სჭირს. მას არ შეუძლია უარი თქვას რაიმეზე, თუკი სხვებიც ასევე არ მოიქცევიან. ეს არაა ქრისტიანული გზა. რომელიმე ქრისტიანმა გარკვეული მოსაზრებების გამო, შეიძლება, უარი თქვას ქორწინებაზე, ხორცისა და ლუდის მიღებაზე ან კინოში სიარულზე, მაგრამ როცა ის განაცხადებს, რომ ყველა ასე უნდა მოიქცეს და ზემოდან დაუწყებს მათ ყურებას, ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის არასწორ გზას დაადგება.

დიდი ზიანი მოგვაყენა სიტყვა „თავშეკავების" აზრობრივმა დავიწროვებამ. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ, სმის გარდა, კიდევ

---

[1] აქ იგულისხმება ჯ. ბუნიანის წიგნი „პილიგრიმის მოგზაურობა (*Piligrim's progress*)" (1678-1684 წ.წ.)

ბევრ რამეში შეიძლება იყო თავშეუკავებელი. მამაკაცი, რომელიც თავისი ცხოვრების აზრად გოლფს ან მოტოციკლს გადააქცევს, ქალი, რომელიც მხოლოდ ჩაცმა-დახურვაზე, ბრიჯის თამაშზე ან თავის ძაღლზე ფიქრობს, ისეთსავე თავშეუკავებლობას ამჟღავნებს, როგორც ლოთი, ყოველ საღამოს რომ თვრება. რა თქმა უნდა, მათი თავშეუკავებლობა არც ისე თვალში საცემია — ბრიჯისა და გოლფის თამაშის სიყვარულის გამო ტროტუარზე არ ეცემიან. მაგრამ განა ღმერთი ჩვენი ქცევის გარეგნული გამოვლინებით მოტყუვდება?

სამართლიანობა — მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა როდია. ეს ცნება პატიოსნებას, სიმართლის თქმას, დანაპირების შესრულებას და კიდევ ბევრ სხვა რამეს მოიცავს. ხოლო სიმტკიცე ვაჟკაცობის ორგვარ გამოვლინებას გულისხმობს: ისეთს, რომელსაც საფრთხის პირისპირ დგომა არ ეშინია და ისეთს, რომელიც ადამიანს ტკივილის გადატანის ძალას აძლევს. ალბათ შეამჩნევდით, რომ მეოთხის გარეშე შეუძლებელია დიდხანს უერთგულო პირველ სამ სათნოებას.

კიდევ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: გონივრული მოქცევა და რაღაცისაგან თავის შეკავება არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ კეთილგონიერი და თავშეკავებული ხართ. ჩოგბურთის ცუდმა მოთამაშემ ხანდახან შეიძლება კარგი დარტყმაც მოახერხოს. მაგრამ კარგ მოთამაშეს მხოლოდ იმას ვუწოდებთ, ვისაც თვალები, კუნთები და ნერვები ისე აქვს გავარჯიშებული უთვალავი დარტყმის წყალობით, რომ მათზე დაიმედება ნამდვილად შეიძლება. მოთამაშის ეს ორგანოები ვარჯიშის შედეგად გამომუშავებულ თავიანთ განსაკუთრებულ თვისებებს მხოლოდ ჩოგბურთის თამაშის დროს როდი ავლენენ. მათემატიკოსის გონებისათვის დამახასიათებელი გარკვეული ჩვევები და ხედვის კუთხე მარტო მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას როდი იჩენენ თავს. ასევე ადამიანი, როცა ცდილობს ყოველთვის სამართლიანი იყოს, ბოლოს და ბოლოს გამოიმუშავებს ხასიათის ისეთ თვისებებს, რომელსაც სამართლიანობა ეწოდება. როცა სათნოებაზე ვლაპარაკობთ, სწორედ ხასიათი გვაქვს მხედველობაში და არა ცალკეული ქმედებები.

ამ განსხვავების გაცნობიერება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან როცა ცალკეულ ქმედებებს ხასიათთან ვათანაბრებთ, სამგზის შეიძლება შევცდეთ.

1. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ კარგი საქმე გავაკეთეთ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ და რატომ მოვიქეცით ასე — ნებაყოფლობით თუ იძულებით, ბუზღუნით თუ სიხარულით, ადამიანების წინაშე შიშის თუ თავად საქმის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ კეთილი განზრახვის გარეშე ჩადენილი კეთილი საქმეები არ უწყობენ ხელს ხასიათის იმ თვისების განვითარებას, რომელსაც სათნოებას ვეძახით. არადა სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. ჩოგბურთის ცუდ მოთამაშეს შემთხვევითმა კარგმა დარტყმამ შეიძლება მატჩი მოაგებინოს, მაგრამ კარგ მოთამაშედ გადაქცევაში ვერ მოეხმარება.

2. შეიძლება გვეგონოს, რომ ღმერთი ჩვენგან მხოლოდ გარკვეული წესების შესრულებას მოითხოვს, მაშინ, როცა მას ჩვენი განსაკუთრებულ ადამიანებად გადაქცევა სურს.

3. შეიძლება გვეგონოს, რომ სათნოება მხოლოდ ამქვეყნად გამოსადეგი რამაა და სასუფეველში მისი აუცილებლობა არ არის, რადგან იქ შფოთის მიზეზი არ არსებობს; არც სიმამაცის გამომჟღავნებაა საჭირო, რადგან იქ საფრთხე არ გვემუქრება. შესაძლებელია, ეს ასეც არის და მართლა არ დაგვჭირდება სასუფეველში სამართლიანობისათვის ბრძოლა და ვაჟკაცური საქციელი, მაგრამ იქ ისე ვერ შევაღწევთ, თუ მიწიერ ცხოვრებაში ხასიათის ის თვისებები ვერ გამოვიმუშავეთ, რის განვითარებასაც სამართლიანობისათვის ბრძოლა და სიმამაცე უწყობს ხელს და რაც ადამიანს ღვთისათვის სასურველ არსებად გარდაქმნის. მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ ღმერთი არ შეგვიშვებს სასუფეველში, თუ ხასიათის გარკვეული თვისებები ვერ გამოვიმუშავეთ, უბრალოდ ამ თვისებების გარეშე (მათი ჩანასახიც თუ არ არსებობს ჩვენში) ვერანაირი გარემო პირობები ვერ შეგვიქმნიან „სამოთხეს", ანუ იმ ღრმა, გამოუთქმელ და დიდ ბედნიერებას, რომელიც ღმერთმა გაგვიმზადა.

3. ქცევის საზოგადოებრივი ნორმები

როცა ქრისტიანული ზნეობის იმ ნაწილზე ვსაუბრობთ, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებს ეხება, უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტე სრულიად ახალი ზნეობის საქადაგებლად როდი მოგვევლინა. ახალ აღთქმაში ფორმულირებული ოქროს წესი — მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ[1] — იმის გამოხატულებაა, რასაც გულის სიღრმეში ყველა ჭეშმარიტებად მიიჩნევს. ზნეობის დიდი მასწავლებლები სრულიად ახალ ნორმებს არასოდეს გვთავაზობდნენ, ეს შარლატანებისა და მანიაკების თვისებაა. ვიღაცას უთქვამს: „ადამიანებს ძველის შეხსენება უფრო ხშირად სჭირდებათ, ვიდრე ახლის სწავლებაო". ზნეობის ყველა მასწავლებლის ჭეშმარიტი დანიშნულებაა, რომ კვლავ და კვლავ შეგვახსენოს უბრალო, ძველი პრინციპები, რომელიც ჩვენ მივიწყებული გვაქვს. ზუსტად ისევე, როგორც ვაბრუნებთ ხოლმე ცხენს ბარიერთან, რომლის გადალახვაც მას არ სურს; ასევე ვაიძულებთ ხოლმე ბავშვს, ისევ მიუბრუნდეს გაკვეთილს, რომლის მიფუჩეჩებასაც აპირებდა.

კიდევ ერთი რამე უნდა ვიცოდეთ: ქრისტიანობას არ დაუმუშავებია პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა მისი ოქროს წესის ცხოვრებაში მოქმედებას ("მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ"). ეს წესი პროგრამა არ არის, რადგან ის ყველა დროისა და ხალხისათვისაა განკუთვნილი, პროგრამა კი ყოველთვის კონკრეტული ეპოქისა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის მუშავდება. მისი მოქმედების პრინციპიც სხვაგვარია, როცა ის გეუბნებათ, რომ მშიერი უნდა დააპუროთ, ამ დროს კულინარიის გაკვეთილს არ გიტარებთ. როცა მოგიწოდებთ, რომ ბიბლია უნდა იკითხოთ, თან ძველი ებრაულის, ბერძნულის თუ ინგლისურის გრამატიკას არ გასწავლით. ქრისტიანობას არასოდეს ჰქონია იმის პრეტენზია, რომ გამოედევნა ან შეეცვალა ადამიანური ცოდნის რომელიმე დარგი, ის უფრო წარმმართველი და სახელმძღვანელო პრინციპია, რომელიც ცოდნისა და ხელოვნების ყველა დარგს თავის ადგილს მიაკუთვნებს; ის იმ

---

[1] იხ.: ლუკ. 6,3; მათ. 7,12.

ენერგიის წყაროა, რომელიც ამ დარგებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, თუკი ისინი, რასაკვირველია, მას მთლიანად მიენდობიან.

ადამიანები ამბობენ: „ეკლესიამ უნდა გვიხელმძღვანელოს". ეს, რასაკვირველია, სწორია, თუ მათ ეკლესიაზე სწორი წარმოდგენა აქვთ, და არასწორი, თუ მათი წარმოდგენა ეკლესიაზე მცდარია. ეკლესია მთელი დედამიწის ყველა ჭეშმარიტ და აქტიურ მორწმუნეს მოიცავს. მაშინ თეზისი: „ეკლესიამ უნდა გვიხელმძღვანელოს" ამგვარ შინაარსს იძენს: ის ქრისტიანები, ვისაც შესაბამისი ტალანტი აქვს, ეკონომისტები და სახელმწიფო მოღვაწეები უნდა იყვნენ, ყველა ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე, თავის მხრივ, ქრისტიანი უნდა იყოს და ყველა მათი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ძალისხმევა ახალ აღთქმაში ფორმულირებული ოქროს წესის ცხოვრებაში გატარებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

თუ ეს მართლაც ასე იქნებოდა, თუ ჩვენ, დანარჩენები, მივიღებდით ამგვარ სინამდვილეს, მაშინ საკმაოდ სწარაფად მივაგნებდით ჩვენი სოციალური პრობლემების ქრისტიანულ გადაწყვეტას. მაგრამ სინამდვილეში ეკლესიის ხელმძღვანელობაში უმრავლესობა სასულიერო წრეების მიერ მართვად პოლიტიკურ კურსს ან საეკლესიო მოღვაწეთა მიერ შექმნილ პოლიტიკურ პროგრამას გულისხმობს. ეს სისულელეა. ეკლესიის მსახურები ეს ის ხალხია მთლიანი ეკლესიის წიაღში, რომელმაც საგანგებო განათლება მიიღო და დადგენილია იმ ამბებზე თვალის დასაჭერად, რაც ჩვენ გვეხება, როგორც იმ არსებებს, რომელთაც მარად უნდა იცოცხლონ. ჩვენ კი ვითხოვთ, რომ მათ ისეთ საქმეს მოჰკიდონ ხელი, რაც არასოდეს უსწავლიათ. პოლიტიკა და ეკონომიკა — ეს ჩვენი, რიგითი მორწმუნეების, საქმეა. პროფკავშირულ საქმიანობასა და განათლებას ქრისტიანული პრინციპები პროფკავშირის მუშაკებმა და მასწავლებლებმა უნდა მოარგონ; ისევე როგორც ქრისტიანი მწერლები ქმნიან ქრისტიანულ ლიტერატურას და არა თავისუფალ დროს რომანებისა და პიესების საწერად შეკრებილი ეპისკოპოსები.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ახალი აღთქმა დეტალებში ჩაღრმავების გარეშეც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანული საზოგადოება. შესაძლებელია, ის უფრო მეტსაც გვპირდება, ვიდრე

ველით. ახალი აღთქმა გვეუბნება, რომ ქრისტიანულ საზოგადოებაში ადგილი არ ექნებათ პარაზიტებს: „ვინც არ მუშაობს, ნურც ჭამს“. ყველამ უნდა იშრომოს და სარგებლობა მოიტანოს; ასეთ საზოგადოებას არ დასჭირდებოდა სულელური ფუფუნების საგნები და მით უმეტეს რეკლამა, რომელიც ხალხს ამ საგნების შეძენისაკენ მოუწოდებს. ამ საზოგადოებისათვის უცხო იქნებოდა ამპარტავნობა, ყოყოჩობა, თვალთმაქცობა.

ერთი მხრივ, ქრისტიანული საზოგადოება თანამედროვე „მემარცხენეთა“ იდეალს შეესაბამება. მეორე მხრივ კი, ქრისტიანობა დაჟინებით მოითხოვს მორჩილებას — მორჩილებას (და პატივისცემის გამოხატვას) ყველა ჩვენგანისაგან — სამართლიანად დანიშნული ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, და ცოლებისგან (ვფიქრობ, ეს ძალზე არაპოპულარულია) ქმრების მიმართ.

გარდა ამისა, ეს საზოგადოება სიცოცხლის ხალისით სავსე უნდა იყოს. შეშფოთება და შიში იქ ნორმიდან გადახრა იქნება და არა ჩვეულებრივი რამ. მისი წევრები ერთმანეთის მიმართ, რა თქმა უნდა, თავაზიანები იქნებიან, რადგან თავაზიანობაც ერთ-ერთი ქრისტიანული სათნოებაა.

ასეთი საზოგადოება რომ მართლაც არსებულიყო და იქ მოხვედრა შეგვძლებოდა, ალბათ, საკმაოდ უცნაურ შთაბეჭდილებას დატოვებდა. დავინახავდით, რომ ეკონომიკური პოლიტიკა სოციალისტურს[1] წაგავს და არსებითად პროგრესულია, ოჯახური ურთიერთობები და ქცევის მანერა კი საკმაოდ ძველმოდურად გამოიყურება, შეიძლება, ისინი ცერემონიულად და არისტოკრატიულადაც კი მოგვეჩვენება. თითოეულ ჩვენგანს მოეწონებოდა რაღაც, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩვენთვის იქ ყველაფერი მოსაწონი იყოს.

ასეც იქნებოდა მოსალოდნელი, თუ ჩვენ, ქრისტიანულ პრინციპებზე დაყრდნობით, მთელი კაცობრიობის თანამეგობრობის გენერალური გეგმის შედგენას შევეცდებოდით. ჩვენ ხომ დიდი ხანია დავცილდით ამ გეგმას და თითოეული ჩვენგანი ცდილობს,

---

[1] ლიუისი აქ „სოციალისტურ პოლიტიკას“ დასავლურ გაგებით გულისხმობს, როდესაც კერძო საკუთრება ურყევია, ხოლო სახელმწიფო ცდილობს განახორციელოს ადამიანის მრავალმხრივი სოციალური დაცვა ამა თუ იმ ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხერხის გამოყენებით.

რომ მის მიერ მასში შეტანილი ცვლილებები თვით ხსენებულ გეგმად წარმოგვიდგინოს. ამაში ვრწმუნდებით ყოველთვის, როცა ქრისტიანობის ამა თუ იმ ასპექტთან გვაქვს საქმე, თითოეულს მხოლოდ რაღაც ერთი მხარე მოსწონს, რის უცვლელად დატოვებასაც მოითხოვს, დანარჩენს კი უარყოფს. სწორედ ამიტომ ვერ მივიწევთ წინ; სწორედ ამიტომ ამტკიცებენ ადამიანები, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო იდეალებისათვის იბრძვიან, რომ ქრისტიანული პრინციპების დამკვიდრებას ცდილობენ.

და კიდევ ერთი რამ — ძველმა ბერძნებმა, ძველი აღთქმის ებრაელებმა და შუა საუკუნეების დიდმა ქრისტიანმა მოაზროვნეებმა მოგვცეს ერთი რჩევა, რომელიც სრულიად უგულებელყოფილია თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. ძველები გვაფრთხილებდნენ: არ გასცეთ ფული სარგებლით. პროცენტიანი სესხი კი, რასაც ჩვენ „კაპიტალის დაპანდებას" ვეძახით, დღევანდელი ეკონომიური სისტემის საფუძველთა საფუძველია. აქედან არ ღირს კატეგორიული დასკვნის გაკეთება, რომ ჩვენ ვცდებით. ზოგი ასე მსჯელობს: მოსე, არისტოტელე და ქრისტიანები თვლიდნენ, რომ მევახშეობა უნდა აიკრძალოს, რადგან მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ სააქციონერო საზოგადოებებზე, ამიტომ მათი გაფრთხილება მხედველობაში მისაღები არ არის.

ამ საკითხის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. მე ეკონომისტი არა ვარ და უბრალოდ არ ვიცი, რა ბრალი მიუძღვის ამ სისტემას საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობაში. ეს ზუსტად ის სფეროა, სადაც ქრისტიანი-ეკონომისტი გვჭირდება. მაგრამ უპატიოსნობა იქნებოდა იმის დამალვა, რომ სამი დიდი ცივილიზაცია ერთსულოვნად (ანდა ეს ასე სჩანს ერთი შეხედვით) უარყოფს იმას, რასაც მთელი ჩვენი ცხოვრება ეფუძნება.

და კიდევ, ახალი აღთქმის იმ მუხლში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ყველამ უნდა იშრომოს, ამ შრომის მიზანიც მითითებულია: "...უკეთესია იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისათვის მისაცემად" (ეფეს. 4,28). ქველმოქმედება, ანუ გაჭირვებულებზე ზრუნვა, ქრისტიანული ზნეობის არსებითი ნაწილია. ცხვრებისა და თხების შემაშფოთებელ იგავში[1]

---

[1] იხ. მათ. 25,31-46.

მოცემულია ღერძი, რომლის გარშემოც ბრუნავს ყველაფერი. ახლა ამბობენ, რომ ქველმოქმედება საჭირო არ არის. ჩვენ ისეთი საზოგადოება უნდა შევქმნათ, სადაც ღარიბები არ იქნებიან. შეიძლება, ასეთი საზოგადოება მართლაც უნდა შევქმნათ, მაგრამ თუ ვინმე თვლის, რომ ამის გამო უკვე დღესვე უნდა შევწყვიტოთ საქველმოქმედო საქმიანობა, ის ქრისტიანულ ზნეობას შორდება. არა მგონია, ვინმეს ზუსტად დაედგინოს, თუ რამდენი უნდა გავიღოთ ღარიბებისათვის. შეცდომის თავიდან აცილების მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს, უფრო მეტი უნდა გავცეთ, ვიდრე ვინახავთ. თუ თქვენ კომფორტის, ფუფუნებისა და სიამოვნებისათვის იმდენივეს ხარჯავთ, რამდენსაც თქვენნაირი შემოსავლის მქონე სხვა ადამიანები, მაშინ, როგორც ჩანს, საქველმოქმედო მიზნებისათვის საკმაოდ ცოტას იძლევით. თუ გაცემული თანხა ჩვენს ბიუჯეტს არ აკლდება, ე.ი. არასაკმარისად გავცემთ. რაღაცრაღაცეებზე უარი უნდა ვთქვათ, რომ მათი შესაძენი თანხა ქველმოქმედებას მოვახმაროთ. მე ახლა ჩვეულებრივ ქველმოქმედებაზე ვლაპარაკობ, თორემ როცა ჩვენი ახლობლები და ნათესავები ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში, შეიძლება იმდენის გაღება დაგვჭირდეს, რომ საკუთარი კეთილდღეობაც კი გავწიროთ. ბევრ ჩვენგანს ფუფუნებისა და ფულის სიყვარული კი არ აბრკოლებს, არამედ ხვალინდელი დღის შიში. ეს შიში კი უფრო ხშირად მხოლოდ ცდუნებაა. ხანდახან დიდებისმოყვარეობა გვიშლის ხელს — სხვის დასანახად საჭიროზე მეტს ვხარჯავთ (ფეხის ქირა, სტუმართმოყვარეობა), იმათ კი, ვისაც ნამდვილად სჭირდება, რაც უნდა მიგვეცა, იმაზე ნაკლებს ვაძლევთ.

ახლა კი, სანამ დავამთავრებდე, შევეცდები გამოვიცნო, თუ როგორ იმოქმედა წიგნის ამ მონაკვეთმა მკითხველებზე. ალბათ, მკითხველთა შორის იქნებოდნენ ე.წ. „მემარცხენეები", რომლებიც აღშფოთდებოდნენ იმით, რომ უფრო შორს არ წავედი. საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე ადამიანები კი ჩათვლიდნენ, რომ პირიქით, საკმაოდ შორსაც შევტოპე. რას ვიზამთ, ქრისტიანული საზოგადოების ჩამოყალიბების ჩვენეულ პროექტში მართლაც არის შებრკოლების ლოდი. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობას სულაც არ აინტერესებს, რას ამბობს ქრისტიანობა, ქრისტიანობაში ის მხოლოდ საკუთარი პარტიის

აზრების დასაყრდენს ეძებს. მოკავშირეს იქ ვეძებთ, სადაც გვთავაზობენ ან უფალს, ან მსაჯულს. მეც ასეთი ვარ. წიგნის ამ თავში სიამოვნებით გამოვტოვებდი რაღაც-რაღაცეებს. ქრისტიანული საზოგადოება არ შეიქმნება, სანამ უმრავლესობა მართლაც არ მოვისურვებთ ამას; მოსურვებით კი მხოლოდ მაშინ მოვისურვებთ, როცა სრულად გავხდებით ქრისტიანები. მე უსასრულოდ შემიძლია ვიმეორო ოქროს წესი — „მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ", — მაგრამ ვერ შევასრულებ მას, სანამ მოყვასის სიყვარულს არ ვისწავლი. მოყვასს კი ვერასოდეს შევიყვარებ, სანამ ღმერთის სიყვარულს არ ვისწავლი. ღმერთის სიყვარულს კი მაშინ ვისწავლი, როცა მის მორჩილებას ვისწავლი. ერთი სიტყვით, ეს პრობლემა კვლავ საკუთარ „მეს"-თან გვაბრუნებს, სოციალური საკითხებიდან რელიგიურ საკითხებზე გადავდივართ. ნათქვამია, გრძელი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

4. ზნეობა და ფსიქოანალიზი

უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ვერ შევქმნით ქრისტიანულ საზოგადოებას მანამ, სანამ ადამიანთა უმრავლესობა ქრისტიანი არ გახდება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ დათქმულ დრომდე უარი უნდა ვთქვათ საზოგადოების გარდაქმნაზე. პირიქით, დღესვე უნდა წამოვიწყოთ ერთდროულად ორი საქმე: პირველი — ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ოქროს წესი თანამედროვე საზოგადოებას მოვარგოთ; და, მეორე, ჩვენ თვითონ უნდა ვიქცეთ იმ ადამიანებად, ვინც ამ წესის თანახმად ცხოვრობს. ახლა კი იმაზე მინდა გესაუბროთ, თუ რას ნიშნავს „კარგი ადამიანი" ქრისტიანული გაგებით.

სანამ დეტალებს დავაზუსტებთ, შედარებით ზოგად საკითხებზე უნდა შევჩერდე.

ქრისტიანული ზნეობა თავის თავს იმ ინსტრუმენტად აცხადებს, რომელსაც ადამიანური მანქანის მოწესრიგება ძალუძს. თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, თუ რა საერთო აქვს ქრისტიანობას ფსიქოანალიზთან, ისიც ხომ თითქოს ამავე მიზანს ემსახურება. აქ ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ, ერთი მხრივ,

არსებული სამედიცინო თეორიები და ფსიქოანალიზის ტექნიკა, ხოლო, მეორე მხრივ, ის ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც ფროიდი და სხვა მოაზროვნეები ფსიქოანალიზთან აკავშირებდნენ. ფროიდის ფილოსოფიური შეხედულებები ეწინააღმდეგებიან ქრისტიანობას და მეორე დიდი ფსიქოლოგი იუნგის[1] თვალსაზრისს. როცა ფროიდი ნევროზების მკურნალობაზე ლაპარაკობს, მასთან დავა ძნელია, რადგან იგი თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია, მაგრამ როცა ფილოსოფიური საკითხების განხილვაზე გადადის, დილეტანტს ემსგავსება. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს ვენდოთ მას პირველ შემთხვევაში, მეორეში კი — არა. მეც სწორედ ასე ვიქცევი, მით უმეტეს, რომ არა ერთხელ დავრწმუნდი, როცა თავისი სპეციალობის იქით ჩემთვის ნაცნობ თემებზე საუბრობს (მაგალითად ენათმეცნიერებაზე), ფროიდი საოცარ უვიცობას ამჟღავნებს. თავად ფსიქოანალიზი, მიუხედავად იმ ფილოსოფიური დასაბუთებისა და დასკვნებისა, რომლებსაც ფროიდი და მისი მიმდევრები აკეთებენ, არ ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. მისი მეთოდიკა ბევრ რამეში წააგავს ქრისტიანულ ზნეობას. ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ ყველა მოძღვარი გაეცნობა ფსიქოანალიზის ტექნიკას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ფსიქოანალიზი და ქრისტიანული ზნეობა ყველაფერში როდი თანხვდებიან ერთმანეთს, რადგან ისინი სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან.

როცა ადამიანი ზნეობრივ არჩევანს აკეთებს, აქ ორი სხვადასხვა პროცესი იჩენს თავს. პირველი თავად არჩევანის აქტი გახლავთ. მეორე — ფსიქოლოგიურ განწყობაზე დამოკიდებული სხვადასხვა გრძნობები და იმპულსები; ეს ის ნედლეულია, რომლისაგანაც გადაწყვეტილება იძერწება. არსებობს ორი სახის ნედლეული. პირველს საფუძვლად უდევს გრძნობები, რომელთაც ნორმალურს ვუწოდებთ, რადგან მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს. მეორე სახის ნედლეულს არაცნობიერის დონეზე არსებული გადახრით გამოწვეული არაბუნებრივი გრძნობები განსაზღვრავენ.

---

[1] კარლ გუსტავ იუნგი (1875-1961 წ.წ.) — შვეიცარიელი ფსიქოლოგი და კულტუროლოგი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი.

შიში იმისა, რაც მართლაც საშიშია, პირველი სახის ნედლეულს მიეკუთვნება; ხოლო უგუნური, ვთქვათ კატებისა და ობობების დანახვით გამოწვეული, შიში კი — მეორეს. მამაკაცის ლტოლვა ქალისადმი პირველ სახეობას განეკუთვნება; მამაკაცის მამაკაცისადმი ლტოლვა — მეორეს. რას აკეთებს ფსიქოანალიზი? ის ცდილობს გაათავისუფლოს ადამიანი წინააღმდეგობრივი გრძნობებისაგან, რათა არჩევანის გაკეთების მომენტში მას უფრო კეთილთვისებიანი ნედლეული მიაწოდოს. ზნეობა კი თავად არჩევანს უკავშირდება.

მოდით, ასეთი მაგალითი განვიხილოთ. წარმოიდგინეთ, რომ სამი მამაკაცი ომში წასასვლელად ემზადება. ერთ-ერთი მათგანი განიცდის შიშს, რომელიც ყველა ნორმალურ ადამიანს ახასიათებს საფრთხის წინაშე, მაგრამ ახშობს ამ გრძნობას ზნეობის კარნახით და გამბედავი ხდება. დანარჩენ ორს კი არაცნობიერის დონეზე არსებული გადახრის გამო, ისეთი გაზვიადებული შიშები აქვთ, რომელსაც ზნეობის გავლენით ვერ ჩაახშობ. მათ ნაწილში მიდის ფსიქოანალიტიკოსი, კურნავს მათ არაბუნებრივი შიშისაგან და ისინიც უკვე აღარაფრით განსხვავდებიან იმ პირველი ნორმალური მამაკაცისაგან. ფსიქოლოგიური პრობლემა გადაჭრილია, მაგრამ აქ ზნეობრივი პრობლემა იჩენს თავს. რატომ? იმიტომ, რომ განკურნების შემდგომ ისინი შეიძლება სრულიად სხვადასხვანაირად მოიქცნენ. პირველმა შეიძლება თქვას: „მადლობა ღმერთს, რომ ამ იდიოტური შიშისაგან გავთავისუფლდი. ახლა შემიძლია გავაკეთო ის, რისკენაც ყოველთვის ვისწრაფოდი — მოვიხადო ჩემი ვალი სამშობლოს წინაშე".

მეორემ კი, დასაშვებია, ამგვარად იფიქროს: „ესეც ასე, კარგია, რომ ახლა შედარებით მშვიდად ვგრძნობ თავს ტყვიების ზუზუნში. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის ჩემს განზრახვას. რატომ უნდა გადავეშვა ბრძოლაში, როცა ჩემს მაგივრად სხვამ შეიძლება გააკეთოს ეს? ძალიან კარგი, ახლა ისე შემიძლია გავუფრთხილდე თავს, რომ სხვების ყურადღება არ მივიპყრო".

ეს ორი გადაწყვეტილება ერთმანეთისაგან ზნეობრივი თვალსაზრისით განსხვავდება, ფსიქოანალიზი ამ შემთხვევაში უძლურია. როგორც არ უნდა გააუმჯობესოთ „ნედლეული", თავისუფალ არჩევანთან შეჯახება მაინც მოგიხდებათ, რაც საბო-

ლოო ჯამში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელ ადგილზე აყენებს ინდივიდი საკუთარ ინტერესებს. სწორედ ჩვენი თავისუფალი არჩევანით — და მხოლოდ მისით — განისაზღვრება ზნეობა.

ცუდი ფსიქოლოგიური ნედლეული ცოდვა კი არაა, არამედ ავადმყოფობაა. აქ მკურნალობაა საჭირო და არა მონანიება. ამის გაცნობიერება, სხვათა შორის, ძალზე მნიშვნელოვანია. ადამიანები ერთმანეთს გარეგნული ქცევების მიხედვით აფასებენ, ღმერთი კი იმ ზნეობრივი არჩევანის საფუძველზე სჯის. როცა ადამიანი, რომელიც კატებისადმი პათოლოგიურ შიშს განიცდის, სიბრალულით შეპყრობილი კატის ხელში აყვანას აიძულებს საკუთარ თავს, ადვილი შესაძლებელია, ღვთის თვალში ეს უფრო დიდ ვაჟკაცობად მოსჩანს, ვიდრე ნორმალური ადამიანის მიერ ომში გამოჩენილი სიმამაცე. როდესაც ბავშვობიდანვე ისეთი წამხდარი ადამიანი, რომელსაც ასწავლეს, რომ სისასტიკეში არაფერია ცუდი, თუნდაც სულ ცოტაოდენ სიკეთეს გამოიჩენს ანდა თავს შეიკავებს ისეთი სისასტიკისგან, რომელსაც სხვა დროს იოლად ჩაიდენდა, და არად ჩააგდებს იმას, რომ ამის გამო ამხანაგების დასაცინი შეიქნება, შეიძლება უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ჩვენ, როცა საკუთარ სიცოცხლეს ვწირავთ მეგობრის გულისათვის.

ამ საკითხს შეიძლება სხვა მხრიდანაც მივუდგეთ. ბევრი ჩვენგანი თითქოს კარგი და სანაქებო ადამიანია, მაგრამ უმნიშვნელო ნაწილიც კი არ მოგვაქვს იმ სარგებლობისა, რომლის მოტანაც შეგვეძლო ჩვენი მემკვიდრეობისა და აღზრდის პატრონებს. ასეთი ადამიანები უფრო უარესნი არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ბოროტმოქმედებად მივიჩნევთ. ვინ იცის, როგორ მოვიქცეოდით, ფსიქოლოგიური კომპლექსები, ცუდი აღზრდა და, ამასთან, ჰიმლერის ძალაუფლება რომ გვქონოდა? აი, რატომ ეთქვათ ქრისტიანებს: „არ განიკითხოთ!“[1] როცა ადამიანი არჩევანს აკეთებს, ჩვენ მხოლოდ იმ ნაყოფს ვხედავთ, რომელიც გარკვეული სახის ნედლეულისაგან მიიღება. ღმერთი ნედლეულის ხარისხს კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ იმას, თუ როგორ იქნა იგი გამოყენებული. ფსიქოლოგიურ თავისებურებათა უმრავლესობა ფიზიოლოგიიდან იღებს სათავეს, მაგრამ როდესაც სხეული კვდება, რჩება ჭეშმარიტი,

---

[1] იხ. მათ. 7,1; ლუკ. 6,37.

უხრწნელი ადამიანი, რომელმაც არჩევანი გააკეთა და ახლა პასუხს აგებს იმაზე, თუ როგორ გამოიყენა მისთვის ბოძებული ნედლეული. კეთილი საქმეები, რომელიც ჩვენი სათნოების გამოვლინებად მიგვაჩნდა, თურმე საჭმლის მომნელებელი სისტემის კარგი მუშაობის ნაყოფი ყოფილა და ისინი არ ჩაგვეთვლება; ასევე არ ჩაეთვლებათ სხვებს ბევრი ცუდი საქმე, რომლებსაც სხვადასხვა კომპლექსებისა და ცუდი ჯანმრთელობის გამო სჩადიოდნენ. ღვთის სამსჯავროზე ჩვენ პირველად ვიხილავთ ყველა ადამიანს ისეთად, როგორიცაა ის სინამდვილეში. ჩვენ არა ერთი სიურპრიზი გველოდება.

ზემოთ თქმულს ლოგიკურად მივყავართ მეორე საკითხთან. ადამიანები ქრისტიანულ ზნეობას ხშირად გარიგებასთან აიგივებენ. თითქოს ღმერთი გვეუბნება: „თუ გარკვეულ წესებს დაიცავთ, დაგაჯილდოვებთ. თუ არა და, სხვანაირად მოგექცევით.“ მე ვფიქრობ, ეს ქრისტიანული ზნეობის მცდარი განმარტებაა. როცა თქვენ არჩევანს აკეთებთ, ოდნავ მაინც ცვლით საკუთარი თავის იმ ჭეშმარიტ ნაწილს, რომელიც პასუხს აგებს არჩევანზე. გამოდის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ნელ-ნელა უბიძგებს საკუთარ თავს ზეციურ ან ჯოჯოხეთურ არსებად გადაქცევისაკენ; თქვენ იქცევით ან იმ არსებად, რომელიც ჰარმონიაში იმყოფება ღმერთთან, თავის მსგავს არსებებთან და საკუთარ თავთან, ან ყველას წინააღმდეგ ამხედრებულ დემონად. პირველ კატეგორიაში მოხვედრა ზეცაში სუფევას ანუ სიხარულითა და მშვიდობით ტკბობას, ცოდნისა და ძალის შეძენას ნიშნავს. მეორე კატეგორიის არსებად ყოფნა კი უგუნურებით, შიშით, მრისხანებით, უძლურებით და მარტოობით ტანჯვას გვიქადის. თითოეული ჩვენგანი თავისი ცხოვრების ყოველ მოცემულ მომენტში ან ერთი, ან მეორე მიმართულებით მიექანება.

ამგვარად იხსნება ერთი თავისებურება, რომელიც ყოველთვის მაფიქრებდა ქრისტიან ავტორებთან: ისინი ხან უაღრესად მკაცრებად მეჩვენებოდნენ, ხან კი გადამეტებულად ლმობიერებად და ლიბერალებად. უაღრესი სიმკაცრით ლაპარაკობენ ცოდვიან აზრებზე, მკვლელებსა და გამყიდველებზე საუბრისას კი უცებ ამბობენ: საკმარისია მოინანიონ და მიეტევებათ. მოგვიანებით მიეხვდი, რომ ისინი არ ცდებიან. ისინი ხომ იმ ჭდეზე ფიქრობენ,

რომელსაც ტოვებს თითოეული ჩვენი საქციელი ადამიანური „მეს“ პაწაწინა, მაგრამ უმთავრეს ნაწილზე; ამ ცხოვრებაში მას ვერავინ ხედავს, იმ ქვეყნად კი მისით ვიხარებთ ან დავიტანჯებით საუკუნოდ. ერთ ადამიანს ისეთი მდგომარეობა უჭირავს, რომ მისმა მრისხანებამ შეიძლება ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს; მეორე კი, როგორც არ უნდა განრისხდეს, მხოლოდ დაცინვის საგანი შეიძლება იყოს. თუმცა სულზე აღბეჭდილი პატარა ჭდე, ალბათ, ორივეს ერთნაირი ექნება. თითოეულმა მათგანმა მიაყენა ზიანი საკუთარ თავს და თუ არ მოინანიებენ, მეორედ უფრო გაუჭირდებათ ცდუნებასთან გამკლავება, მრისხანება თანდათან გამძაფრდება. თუმცა, თუკი ორივე გულწრფელად მიუბრუნდება ღმერთს, თითოეული მათგანი შესძლებს თავისი სულის გამრუდებული ნაწილის გასწორებას; მაგრამ თუ ამას არ იზამენ, სამუდამოდ განწირულნი არიან. ჩადენილი საქციელის მასშტაბებს, რანაირადაც არ უნდა გამოიყურებოდნენ ისინი გარედან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

და ბოლოს, კიდევ ერთ რამეზე უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. თუ გახსოვთ, მე ვამბობდი, რომ სწორად აღებულ გეზს მარტო მშვიდობისაკენ კი არა, ცოდნისაკენაც მივყავართ. რაც უფრო კარგი ხდება ადამიანი, მით უფრო ნათლად ხედავს იმ ბოროტებას, რომელიც მასში ჯერ კიდევ არის; ხოლო რაც უფრო ცუდი ხდება, მით უფრო ნაკლებად ამჩნევს მას. ზომიერად ცუდმა ადამიანმა იცის, რომ კარგი არ არის, მაშინ, როცა მთლად წამხდარი კაცი ფიქრობს, რომ ყველაფერი რიგზეა. ეს რომ ასეა, ამაზე ჯანსაღი აზრიც მიგვითითებს. თქვენ მაშინ გესმით, რა არის ძილი, როცა ფხიზლობთ და არ გძინავთ. არითმეტიკულ შეცდომებს მაშინ ამჩნევთ, როცა თქვენი გონება ზუსტად და ნათლად მუშაობს; შეცდომების დაშვებისას თქვენ მათ ვერ ამჩნევთ. მემთვრალეობის ბუნება მხოლოდ ფხიზელმა შეიძლება შეიცნოთ და არა მთვრალმა. კარგმა ადამიანებმა სიკეთეც იციან რა არის და სიავეც; ცუდები კი ვერც ერთს ვერ ამჩნევენ.

5. სექსუალური ზნეობა

ახლა უნდა განვიხილოთ, რას გვეუბნება ქრისტიანული ზნეობა სექსუალურ ურთიერთობებზე და რა მიაჩნია მას უბიწოებად. ქრისტიანული უბიწოება არ უნდა აგვერიოს საზოგადოების მიერ დაწესებულ წესიერი ქცევის ნორმებში. წესიერი ქცევის ნორმები განსაზღვრავენ, თუ რა ზღვრამდეა დასაშვები ადამიანის სხეულის გაშიშვლება, რაზე შეიძლება ისაუბრო და რა გამოთქმებია მისაღები ამა თუ იმ სოციალური ფენისათვის. უბიწოების ნორმები ერთი და იგივეა ყველა დროის ქრისტიანისათვის, საზოგადოებრივი ქცევის წესები კი დროთა განმავლობაში იცვლება. წყნარი ოკეანის კუნძულებზე მცხოვრები თითქმის შიშველი გოგონა და კოჭებამდე გრძელ კაბაში გამოწყობილი ვიქტორიანელი ქალბატონი, რომელსაც საყელო ნიკაპამდე აქვს შეკრული, ერთნაირად წესიერად, მოკრძალებულად და მისაღებად გამოიყურებიან თავთავიანთ წრეში და ჩაცმულობის მიუხედავად, ორივე ერთნაირად უბიწო (ან გარყვნილი) შეიძლება იყოს. იმ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთაც შექსპირის ეპოქაში პატიოსანი ქალები ხმარობდნენ, მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ მეძავებისაგან თუ გაიგონებდით. როცა ადამიანები საზოგადოებაში მიღებული თავდაჭერის წესებს იმის გამო არღვევენ, რომ საკუთარი ან სხვათა ვნებები გააღვივონ, ისინი ზნეობრივ დანაშაულს სჩადიან, მაგრამ თუ ამას გაუფრთხილებლობისა ან უმეცრების გამო აკეთებენ, მაშინ მათ მხოლოდ ცუდი მანერების ქონაში თუ დავადანაშაულებთ. არიან ადამიანები, რომელებიც საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს სხვების ჯიბრზე, მათ ასაფორიაქებლად და საგონებელში ჩასაგდებად არღვევენ, თუმცა ეს გარყვნილების კი არა, უფრო გაბოროტების შედეგია. მხოლოდ გაბოროტებულ ადამიანს შეუძლია განიცადოს სიამოვნება, როცა სხვებს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

მე არა მგონია, რომ ზომაზე მეტად მკაცრი ქცევის წესები უბიწოებაზე მიუთითებდნენ, სწორედ ამიტომ ჩემი ცხოვრების ჟამს მომხდარ მათ გამარტივებასა და შერბილებას კარგ რამედ ვთვლი.

გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის, რომ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ადამიანებს ქცევის განსხვავებული სტანდარტები აქვთ.

ვფიქრობ, ასაკოვანმა და ძველმოდურმა ადამიანებმა ცოტა მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ახალგაზრდების განსჯისას. ახალგაზრდა და „ემანსიპირებული" ადამიანები მათ არ უნდა მიიჩნიონ წამხდრებად მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ძველი სტანდარტების თანახმად არ იქცევიან. და პირიქით, ახალგაზრდებმა პურიტანებად არ უნდა მონათლონ უფროსები იმის გამო, რომ ისინი ქცევის ახალ სტანდარტებს ვერ ეგუებიან. ჩვენ რომ სხვა ადამიანებში იმას ვხედავდეთ რაც მათში კარგია და მათთვის ცხოვრების გაიოლებას ვცდილობდეთ, ბევრი პრობლემა თავისით გადაიჭრებოდა.

უბიწოება — ერთ-ერთი ნაკლებ პოპულარული ქრისტიანული სათნოებაა. აქ გამონაკლისი არ არსებობს. ქრისტიანული ზნეობა მოგვიწოდებს: „ან იქორწინე და შეინახე ერთგულება ცოლის მიმართ (ან ქმრის მიმართ), ან დაიცავი სრული თავშეკავება". ეს იმდენად რთული და უცხოა ჩვენი ინსტინქტებისათვის, რომ ძალაუნებურად ფიქრობ: ან ქრისტიანობა ცდება, ან ჩვენი სექსუალური ინსტინქტები არ არის მთლად წესრიგში. ბუნებრივია, როგორც ქრისტიანი, მე ვფიქრობ, რომ ჩვენს სექსუალურ ინსტინქტებს რაღაც სჭირთ.

სხვა საფუძველიც მაქვს ამგვარი ფიქრისათვის. სექსუალურ ურთიერთობათა ბიოლოგიური დანიშნულება ახალი სიცოცხლის ჩასახვაა, ასევე როგორც კვების დანიშნულება ორგანიზმის აღდგენა გახლავთ. თუ ჩვენ რამდენსაც გვინდა, იმდენს შევჭამთ, შეიძლება, ცოტა მეტი მოგვივიდეს, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაიქცევა. ერთმა ადამიანმა შეიძლება ორის ულუფა შეჭამოს, მაგრამ ათასისას ვერ მოერევა. ჭამის მადა სცილდება ხოლმე ბიოლოგიური დანიშნულების ზღვარს, მაგრამ არა უსაშველოდ. აი, თუ ახალგაზრდა მამაკაცი ნებაზე მიუშვებს თავის სქესობრივ მადას და ყველა აქტის შედეგად ბავშვი გაჩნდება, ათი წლის განმავლობაში იგი მთელი ქალაქის დასახლებას შესძლებს საკუთარი შთამომავლობით. ეს მადა უსაშველოდ შეიძლება გასცდეს მისი ბიოლოგიური დანიშნულების საზღვრებს. მოდით, ახლა ამ საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ. სტრიპტიზის სეანსებზე უამრავი ხალხი იყრის თავს. ყოველთვის მოიძებნებიან იმისი ცქერის მსურველნი, თუ როგორ იხდის სცენაზე ქალი. ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ჩახვედით რომელიღაც ქვეყანაში, სადაც თეატრში უამრავი

მაყურებელი იყრის თავს საკმაოდ უცნაური სანახაობის საცქერლად: სცენაზე დგას ხელსახოცგადაფარებული სინი, შემდეგ ამ ხელსახოცს ნელნელა სწევენ და აჩვენებენ, თუ რა დევს სინზე; და სანამ ფარდა დაეშვება, ყველა მაყურებელი დაინახავს, რომ იქ ცხვრის ბარკალი ან შებოლილი ლორის ნაჭერი განისვენებს. არ იფიქრებთ, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებთა ჭამის მადა წესრიგში ვერ არის? არ ჩათვლიდა სხვა ცივილიზაციიდან მოსული ადამიანი სტრიპტიზის ნახვისას, რომ ჩვენ დაავადებული სექსობრივი ინსტინქტები გვაქვს?

ჩემთან კამათის დროს ერთმა ადამიანმა აღნიშნა, იმგვარი ქვეყანა რომ მენახა, სადაც ხალხი თეატრში ცხვრის ბარკლის საცქერლად დადის, ვიფიქრებდი, რომ ამ ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებსო. მას იმის თქმა უნდოდა, რომ სტრიპტიზით გატაცება სქესობრივი შიმშილის გამოხატულებაა და არა სიმახინჯის. ვეთანხმები იმ აზრს, რომ როცა ადამიანები ცხვრის ბარკლის მიმართ იჩენენ დაუოკებელ ინტერესს, ამის ერთ-ერთი მიზეზი შიმშილია. ახლა შევამოწმოთ ჩვენი ჰიპოთეზა იმის თაობაზე, ცოტას ჭამენ თუ ბევრს ამ შვეყნის მცხოვრებლები. თუ აღმოჩნდება, რომ აქ საჭმელს საკმარისად მიირთმევენ, მაშინ პირველ ჰიპოთეზაზე უარი უნდა ვთქვათ და რაიმე სხვა ახსნა გამოვძებნოთ. ასევე სტრიპტიზთან დაკავშირებითაც: უნდა გავარკვიოთ, ჩვენი დროის ადამიანები უფრო თავშეკავებულნი არიან სქესობრივ ურთიერთობებში, თუ წინა საუკუნეების ადამიანები, როდესაც სტრიპტიზი არ არსებობდა. რასაკვირველია, წინა საუკუნეების ადამიანები უფრო თავშეკავებულნი იყვნენ. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებმა საგრძნობლად შეამცირეს სქესობრივ თავაშვებულობასთან დაკავშირებული რისკი და პასუხისმგებლობა, როგორც ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში, ისე მის გარეთ. საზოგადოებრივი აზრი დღეს ბევრად უფრო ლმობიერად უყურებს უკანონო კავშირებს და თავად გაუკუღმართებულ სქესობრივ ურთიერთობებსაც კი, ვიდრე წინა საუკუნეებში, თუ, რასაკვირველია, წარმართობის ხანას გამოვრიცხავთ. ამას გარდა, „სექსუალური შიმშილის“ ჰიპოთეზა ერთადერთი ახსნა არ გახლავთ. ყველამ იცის, რომ მადა ჭამაში მოდის, სექსუალურ მადასაც სექსუალური აღვირახსნილობა აძლევს სტიმულს. ადვილი შესაძლებელია, რომ მშიერი მხოლოდ

ჭამაზე ფიქრობდეს, მაგრამ ღორმუცელაც ხომ ყოველთვის ჭამაზე ფიქრობს.

და კიდევ ერთი, მესამე მოსაზრება, მინდა შემოგთავაზოთ. ძალიან ცოტა ადამიანი თუ ჭამს იმას, რაც საჭმელად უვარგისია ან ასევე იშვიათი ადამიანი თუ გამოიყენებს საკვებს არადანიშნულებისამებრ. ერთი სიტყვით, გაუკუღმართებული დამოკიდებულება საჭმელთან ძალზე იშვიათად გვხვდება. უკუღმართი სქესობრივი მიდრეკილებები კი ძალზე ხშირია, ისინი შიშს იწვევენ და მკურნალობას ძნელად ემორჩილებიან. არ მინდა ამ ჭუჭყიანი თეთრეულის ქექვა, მაგრამ სხვა გზა არ არის. ამის გაკეთება იმიტომ მიხდება, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩვენ ტყუილებით გვკვებავდნენ სექსთან დაკავშირებით. გამუდმებით გვიმეორებდნენ, რომ სქესობრივი ლტოლვა ისეთივე ბუნებრივია, როგორც სხვა ნებისმიერი სურვილი; გვარწმუნებდნენ, რომ თუ უარს ვიტყოდით სულელურ ვიქტორიანულ თავშეკავებაზე და ამ ლტოლვას არ ჩავიხშობდით, ირგვლივ ყველაფერი თვალწარმტაცი გახდებოდა. ეს სიცრუეა. სიცრუე, რომელსაც ადვილად აღმოაჩენთ, თუ ზურგს შეაქცევთ პროპაგანდას და მზერას ფაქტებზე გადაიტანთ.

თქვენ გეუბნებიან, რომ სქესობრივი ლტოლვები აკრძალვების გამო გაუკუღმართდნენ. თუმცა უკანასკნელი ოცი წელია მათ არავინ არ კრძალავს, პირიქით, ოცდაოთხი საათი სულ სექსზე ლაპარაკობენ, მაგრამ სქესობრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას საშველი არ დაადგა. თუ ყველაფერი აკრძალვების ბრალი იყო, მაშინ სექსუალურ თავისუფლებას პრობლემა ადვილად უნდა გადაეჭრა. მაგრამ ეს არ მომხდარა. ჩემი აზრით, ყველაფერი პირიქითაა: ადამიანები იმიტომ გაურბოდნენ ამ საკითხზე საუბარს და აკრძალვებსაც იმიტომ აწესებდნენ, რომ კონტროლის აუცილებლობას გრძნობდნენ.

თანამედროვე ადამიანები ამბობენ: „სექსში არაფერია სამარცხვინო". ამ დროს შეიძლება მათ ორი რამ იგულისხმონ: პირველი — არაფერია სამარცხვინო იმაში, რომ ახალი სიცოცხლე ამგვარად ისახება და ეს პროცესი სიამოვნებასთანაც არის დაკავშირებული. ეს აზრი ქრისტიანობისათვისაც მისაღებია. თავად პროცესის ან სიამოვნების საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს.

ძველად ქრისტიანი სწავლულები ამბობდნენ: „ადამიანი რომ არ დაცემულიყო, ის უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებდა სქესობრივი ურთიერთობისაგან, ვიდრე ახლა იღებს“. გონებაშეზღუდული ქრისტიანები კი გვარწმუნებდნენ, რომ ქრისტიანული თვალთახედვით, სხეული, სექსუალური ურთიერთობები და ფიზიკური სიამოვნება თავისთავად ცუდი რამ გახლავთ. ეს ადამიანები მწარედ ცდებიან. ქრისტიანობა თითქმის ერთადერთი რელიგიაა, რომელიც კარგი თვალით უყურებს სხეულს, რადგან თვლის, რომ მატერია სიკეთეა; რომ თავად ღმერთმა შეიმოსა ერთხელ ადამიანური სხეული; რომ ჩვენც ახალ სხეულს მივიღებთ სასუფეველში, რომელიც ჩვენთან ერთად გაიზიარებს ზეცაში ყოფნის სიხარულს. ქრისტიანობამ ყველა რელიგიაზე უფრო მეტად განადიდა ქორწინება და სიყვარულზე შექმნილი თითქმის ყველა დიდი პოემა ქრისტიანების მიერაა დაწერილი. ქრისტიანობა არ მიიჩნევს სქესობრივ ურთიერთობას ბოროტებად. მაგრამ როცა ადამიანები ამბობენ: „სექსში არაფერია სამარცხვინო“, შესაძლოა, მათ დღევანდელი გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობები აქვთ მხედველობაში.

თუ ასეა, ისინი ჩემი აზრით მწარედ ცდებიან. დღევანდელი ვითარება სწორედ რომ ძალზე სამარცხვინოა. საკვებით ტკბობა დანაშაული არ არის, მაგრამ თავის მოჭრა იქნებოდა, რომ ადამიანთა უმრავლესობას თავისი ცხოვრების მთავარ ინტერესად საკვები ექცია და დრო მხოლოდ მის ჭვრეტასა და ნერწყვის ყლაპვაში გაეტარებინა. მე არ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ბრალია. ჩვენ წინაპართაგან მიღებული მახინჯი მემკვიდრეობის გამო ვიტანჯებით. გარდა ამისა, ჩვენ ხომ თავშეუკავებლობის პროპაგანდის აღზევების ეპოქაში აღვიზარდეთ. გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მოგების თვალსაზრისით დაინტერესებულნი არიან, რომ ჩვენი სექსუალური ინსტინქტები მუდამ აღგზნებულ მდგომარეობაში იყოს, ვინაიდან ასეთ ვითარებაში ფულს არ დავზოგავთ მათი დაკმაყოფილებისათვის. ღმერთმა იცის, რა დღეშიც ვართ და როცა განკითხვის დრო დადგება, გაითვალისწინებს, თუ რისი გადალახვა გვიხდებოდა. მთავარია, რომ ჩვენ მართლაც გულწრფელად და ჯიუტად გვსურდეს ამ დაბრკოლებათა დაძლევა.

ჩვენ ვერ განვიკურნებით მანამ, სანამ თავად არ მოვინდომებთ ამას. ვინც მართლა ეძიებს ხსნას, ის ღებულობს კიდეც. მაგრამ ბევრ ჩვენს თანამედროვეს ამისი სურვილი არა აქვს. ბევრი მათგანი კი მხოლოდ თავს იტყუებს. ერთი ცნობილი ქრისტიანი ყვებოდა, რომ როცა ახალგაზრდა იყო, გამუდმებით ლოცულობდა, რათა ღმერთს უბიწოებით დაეჯილდოვებინა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, რომ როცა მისი ბაგეები ჩურჩულებდნენ: „ო, ღმერთო, უბიწოდ მამყოფე", გული უნებლიედ ამატებდა: „ოღონდ ჯერ არა". იგივე შეიძლება დაგვემართოს, როცა სხვა სათნოებათა მიღებისათვის ვლოცულობთ.

უბიწოების თხოვნა ღვთისათვის (მის დაცვაზე აღარაფერს ვამბობ) განსაკუთრებით სამი მიზეზის გამო გვიჭირს.

პირველი — ჩვენი დამახინჯებული ბუნება, ეშმაკები, რომლებიც ჩვენს ცდუნებას ცდილობენ, და ვნებათა პროპაგანდა ერთიანი ძალით ჩაგვჩიჩინებენ, თქვენი სურვილები იმდენად ბუნებრივი და აუცილებელია, რომ მათი ჩახშობაა არანორმალური და თითქმის გარყვნილობას უტოლდებაო. თითქმის ყველა ფილმი და რომანი სექსუალურ აღვირახსნილობას შესანიშნავ ჯანმრთელობასთან, ბუნებრივ ქცევასთან, ახალგაზრდობასა და მხიარულ ხასიათთან აკავშირებენ.

ეს ყალბი პარალელია. როგორც ყველა დამაჯერებელი სიცრუე, ესეც სიმართლესთანაა წილნაყარი, რაზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით: სქესობრივი ლტოლვა თავისთავად (თავაშვებულობისა და უკუღმართობის გარეშე) ნორმალური და ჯანსაღი ინსტინქტია. სიცრუე ის არის, თითქოს სქესობრივი ურთიერთობის დამყარება ყოველ წუთას, როცა კი მოგესურვებათ, ჯანსაღი და ნორმალური მოვლენაა. ქრისტიანობასაც რომ თავი დავანებოთ, ეს ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისითაც არანორმალურია. ყველა სურვილის ასრულება ხომ იმპოტენციას, ავადმყოფობას, ეჭვიანობას, სიცრუეს და იმგვარ რაღაცეებს იწვევს, რაც ვერ შეუწყობს ხელს ჯანმრთელობასა და გულღია ხასიათს. ბედნიერად რომ იგრძნო თავი, ჯერ თავშეკავება უნდა ისწავლო. ამიტომ უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი ძლიერი სურვილი ბუნებრივი და გონივრულია. ყველა ჯანსაღად მოაზროვნე და ცივილიზებულ ადამიანს გარკვეული პრინციპები უნდა ჰქონდეს,

რომლის თანახმადაც უარი უნდა თქვას თავისი სურვილების რაღაც ნაწილზე. ზოგი ქრისტიანული მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, ზოგი — ჰიგიენურით, ხოლო ზოგიც — სოციალურით. ქრისტიანობა და ბუნება კი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ქრისტიანული პრინციპები და ბუნების კონტროლის პრინციპი. ბუნება ხომ (ანუ ბუნებრივი სურვილები) ასე თუ ისე უნდა ვაკონტროლოთ, თუ, რასაკვირველია, ცხოვრების დამახინჯება არ გვსურს. დიახ, ქრისტიანული პრინციპები სხვებზე უფრო მკაცრია, მაგრამ ქრისტიანობა თვითონ ეხმარება მორწმუნეს მათ დაცვაში, როცა სხვა პრინციპების დაცვისას თქვენ გარედან ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებთ.

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მრავალ ადამიანს აშინებს ქრისტიანული უბიწოების დაცვაზე ფიქრი, რადგან, მათი აზრით, ეს შეუძლებელია. რაიმეს გამოცდისას არ შეიძლება იმაზე ფიქრი, შესაძლებელია ეს საერთოდ თუ არა. როცა მათემატიკის გამოცდაზე მაგალითს ხსნით, მის სისწორეს კი არ ამოწმებთ, თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას ცდილობთ. ყველაზე არასრულყოფილი პასუხიც ხომ რაღაც ნიშნით ფასდება; თუ მაგალითს ხელუხლებლად დატოვებთ, შეფასებასაც ვერ მიიღებთ. არა მარტო გამოცდაზე, არამედ ომში, საციგურაო მოედანზე, მთებში; როცა ცურვას ან ველოსიპედით სიარულს ვსწავლობთ, მაშინაც კი, როცა საყელოს გაყინული თითებით ვიკრავთ, ხშირად ვაკეთებთ იმას, რაც მოსინჯვამდე შეუძლებელი გვეჩვენებოდა. გასაოცარია, რამდენი შეგვიძლია, როცა აუცილებლობა გვაიძულებს.

რასაკვირველია, სრული უბიწოება, ისევე როგორც სრული გულმოწყალება, მხოლოდ ადამიანური ძალისხმევით ვერ მიიღწევა, დახმარება ღმერთს უნდა ვთხოვოთ. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს დახმარება ძალზე უმნიშვნელოა, მაგრამ სულით ნუ დაეცემით; ყოველი უკან დახევის შემდეგ, ღმერთს პატიება სთხოვეთ, ძალღონე მოიკრიბეთ და ყველაფერი თავიდან დაიწყეთ. ხშირად ღმერთი პირდაპირ თქვენთვის სასურველი სათნოებით კი არ გაჯილდოვებთ, არამედ ძალას გაძლევთ, რომ სათნო ცხოვრება შესძლოთ. რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს თავად სათნოება, მისი მიღწევის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენში

უაღრესად ძვირფას სულიერ თვისებებს ავითარებს. ეს პროცესი ილუზიებისაგან გვათავისუფლებს და გვასწავლის, რომ ყველაფერში ღმერთს უნდა მივენდოთ. ჩვენ ვსწავლობთ, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობა არ შეიძლება და სასოწარკვეთაში ყველაზე საშინელმა წარუმატებლობამაც არ უნდა ჩაგვაგდოს, რადგან ყველაფერი მოგვეტევება. ერთადერთი საბედისწერო შეცდომა ისაა, რომ დავკმაყოფილდეთ იმით, რაც ვართ და არ ვცადოთ საკუთარი თავის სრულყოფა.

მესამე მიზეზი ის გახლავთ, რომ ადამიანებს ხშირად არასწორად ესმით ფსიქოლოგიური ტერმინი „დათრგუნვა". ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ „დათრგუნული სქესობრივი ინსტინქტები" სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. მაგრამ სიტყვა „დათრგუნული" მხოლოდ ტექნიკური ტერმინია, ის არ ნიშნავს „უარყოფას" ან „არად ჩაგდებას". დათრგუნული სურვილი ან აზრი არაცნობიერში ილექება (როგორც წესი, ძალიან ადრეულ ასაკში) და ცნობიერებაში საოცრად სახეცვლილი შეიძლება ამოტივტივდეს. დათრგუნული სქესობრივი ინსტინქტები შეიძლება ისეთ ქმედებებში გამოვლინდეს, რომელთაც სქესთან არავითარი კავშირი არა აქვთ. როცა მოზარდი ან ზრდასრული ადამიანი გაცნობიერებულ სურვილს ებრძვის, ის მას არავითარ შემთხვევაში არ „თრგუნავს". პირიქით, ვინც უბიწოებას იცავს, სხვა ადამიანებზე უკეთ აცნობიერებს თავის სექსუალურ ბუნებას. ისინი იცნობენ თავიანთ სურვილებს ისე, როგორც ველინგტონი იცნობდა ნაპოლეონს, ანდა როგორც შერლოკ ჰოლმსი — მორიარტს; ისე, როგორც მევირთხე ვირთხებს იცნობს, ანდა მეწყალსადენე გახვრეტილ მილებს. თუნდაც მიუღწეველ, მაგრამ ნანატრ სათნოებას სინათლისაკენ მივყავართ, თავაშვებულობა კი მხოლოდ გონებას გვიმღვრევს.

მე ბევრი ვილაპარაკე სექსზე, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ქრისტიანულ ზნეობაში ეს არაა მთავარი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ უბიწოების არქონას ქრისტიანები უდიდეს ბოროტებად მიიჩნევენ, ძალიან ცდება. ხორციელი ცოდვები დიდად საძაგელი, მაგრამ სხვა ცოდვებზე ნაკლებ სერიოზული რამ გახლავთ. ყველაზე საშინელი და მავნებელი სიამოვნებანი სულიერ ხასიათს ატარებენ: ესაა სხვების ბოროტებისაკენ მიდრეკით, მათი ნებისყოფის

დამორჩილებით, ადამიანებისათვის ბრალის დადებით, სიძულვილით, ძალაუფლების ხელში ჩაგდებით მიღებული სიამოვნებანი. ჩემში ორი საწყისი ებრძვის იმ ღვთისათვის სათნო ადამიანს, რომელიც მინდა, რომ აღვზარდო, ესაა ცხოველური და დემონური საწყისები. მეორე ბევრად უარესია. აი, რატომაა, რომ ცივი, თვითკმაყოფილი პედანტი, რომელიც რეგულარულად დადის ეკლესიაში, გაცილებით უფრო ახლოს იდგეს ჯოჯოხეთთან, ვიდრე მეძავი. ყველაზე უკეთესი კი, რა თქმა უნდა ისაა, რომ არც ერთი იყო და არც — მეორე.

6. ქრისტიანული ქორწინება

წინა თავი ძირითადად სქესობრივი ლტოლვის უარყოფით ასპექტებს განიხილავდა, ჩვენ არაფერი გვითქვამს ამ მოვლენის დადებით მხარეზე, კერძოდ ქრისტიანულ ქორწინებაზე.

ცოლ-ქმრული ურთიერთობების განხილვას ორი მიზეზის გამო ვერიდებოდი. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქრისტიანული სწავლება ქორწინების შესახებ არც თუ ისე პოპულარულია. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მე თვითონ უცოლო ვარ და, აქედან გამომდინარე, ჩემი საუბარი სხვის მონაყოლზე უნდა ავაგო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ქრისტიანულ ზნეობაზე საუბრისას ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით.

ქორწინების ქრისტიანული კონცეფცია ქრისტეს ნათქვამს ეყრდნობა, რომლის თანახმადაც, ცოლი და ქმარი ერთი სხეულია.[1] „ერთი ხორცი“ სწორედ ამას ნიშნავს. ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ ამ სიტყვების მთქმელმა ფაქტის კონსტატაცია მოახდინა, მსგავსად იმ ნათქვამებისა, რომ „ბოქლომი და გასაღები ერთი მექანიზმია“ ან „ვიოლინო და ხემი ერთი საკრავია“. მან, ადამიანის შემოქმედმა, გვითხრა, რომ ქალი და კაცი უნდა დაწყვილდნენ, მაგრამ არა მხოლოდ სქესობრივი ურთიერთობების

[1] იხ.: „...ამრიგად, ისინი უკვე ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი. ამიტომ ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ დააშორებს მათ“ (მათ. 19,6).

გამო, ეს კავშირი მრავალმხრივი უნდა იყოს. სქესობრივი ურთიერთობა ქორწინების გარეშე იმითაც არის მახინჯი, რომ ადამიანი ცდილობს ქალისა და კაცის ურთიერთობის ერთი მხარე სხვა მხარეებს მოსწყვიტოს, მაშინ, როდესაც სწორედ მათი განუყოფლობა წარმოადგენს სრულყოფილი კავშირის საფუძველს. ქრისტიანობას არ მიაჩნია, რომ სქესობრივი ურთიერთობების დროს მიღებული სიამოვნება რაიმეთი უფრო გაუმართლებელია, ვიდრე ჭამით მიღებული სიამოვნება, მაგრამ ის თვლის, რომ ამ ურთიერთობებს მხოლოდ სიამოვნების წყაროდ არ უნდა აღვიქვამდეთ: ეს ისევე არაბუნებრივია, როგორც მაგალითად, ისიამოვნო საჭმლის დაგემოვნებით ისე, რომ არ გადაყლაპო და არ მოინელო საკვები, ანუ მხოლოდ დაღეჭო და გადმოფურთხო.

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ქორწინებით ორი ადამიანი სამუდამოდ უკავშირდება ერთმანეთს. თუმცა ყველა ეკლესია ამ საკითხზე ერთნაირად როდი ფიქრობს. ზოგიერთი საერთოდ კრძალავს განქორწინებას, ზოგი კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში რთავს ამის ნებას. სამწუხაროა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ქრისტიანთა შორის არ არსებობს სრული თანხმობა, მაგრამ უბრალო ერისკაცის თვალით თუ შევხედეთ, ეკლესიები ქორწინების საკითხში ერთმანეთს უფრო ეთანხმებიან, ვიდრე გარემომცველ სამყაროს. განქორწინებას ნებისმიერი ეკლესია ცოცხალი ორგანოს ამპუტაციად, ქირურგიულ ოპერაციად მიიჩნევს. ზოგიერთი მას იმდენად არაბუნებრივად თვლის, რომ საერთოდ კრძალავს, სხვებს კი მხოლოდ უკიდურეს და განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებ ზომად მიაჩნიათ.

ყველა ეკლესია ერთნაირად თვლის, რომ განქორწინება ორივე ფეხის ამპუტაციას უფრო წააგავს, ვიდრე საქმიანი თანამეგობრობის დაშლას. თანამედროვე შეხედულება ამ საკითხზე მათთვის მიუღებელია; თანამედროვე ადამიანებს მიაჩნიათ, რომ გაყრისას ისინი ერთგვარ აუცილებელ რეორგანიზაციას ახდენენ, რადგან მათ აღარ უყვართ ერთმანეთი ან სხვა შეუყვარდათ.

სანამ ამ თანამედროვე თვალსაზრისის და უბიწოებასთან მისი კავშირის განხილვაზე გადავიდოდეთ, ყურადღება მივაქციოთ, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი მეორე სათნოებასთან, კერძოდ სამართლიანობასთან. სამართლიანობა სხვისთვის მიცემული პირო-

ბის შესრულებასაც გულისხმობს. ყველას, ვისაც კი ეკლესიაში ჯვარი დაუწერია, საზეიმო პირობა აქვს დადებული მეუღლის წინაშე, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული იქნებოდა. ეს პირობა არ არის დამოკიდებული სქესობრივ ურთიერთობაზე, ის სხვა დაპირებების მსგავსია. თუ სქესობრივი ლტოლვა არაფრით განსხვავდება ჩვენი სხვა იმპულსებისაგან, მაშინ მასაც დანარჩენებივით უნდა მოვეპყრათ. ისიც ყველა სხვა მოჭარბებული სურვილის მსგავსად უნდა ვაკონტროლოთ. მხოლოდ თუ სქესობრივი ინსტინქტი დანარჩენებისაგან იმით განსხვავდება, რომ ავადმყოფურად აღგზნებადია (პირადად მე სწორედ ასე მგონია), მაშინ მის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რომ უპატიოსნო საქციელისაკენ არ გვიბიძგოს.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ეკლესიაში მიცემული პირობა უბრალო ფორმალობაა, რომლის შესრულება არც უფიქრია. მაშ, ვის ატყუებდა? ღმერთს? ეს არც თუ ისე ჭკვიანურია. საკუთარ თავს? არც ესაა მაინცდამაინც გონივრული. საცოლეს და მის ნათესავებს? ეს ხომ ღალატია. უფრო ხშირად ახლად დაქორწინებულები (ან ერთ-ერთი მათგანი) საზოგადოების მოტყუებას ცდილობენ. მათ სურთ მოიპოვონ რესპექტაბელობა, რასაც ქორწინება ანიჭებთ, მაგრამ საფასურის გაღება კი ეძნელებათ. ასეთი ადამიანები მატყუარები და თვითმარქვიები არიან. ამასთან, თუ ისიც უხარიათ, რომ ვიღაც მოატყუეს, მათთან სალაპარაკო არაფერი მაქვს — ვინ დააკისრებს უბიწოების დაცვის მაღალ და მძიმე მოვალეობას იმას, ვისაც ჯერ პატიოსანი ქცევის სურვილიც კი არ გაღვიძებია? თუკი ისინი გონს მოეგებიან, მაშინ მიცემული პირობა შეაკავებს მათ და სამართლიანობის მოთხოვნას უფრო დაემორჩილებიან, ვიდრე უბიწოებისას. თუ ადამიანებს ქორწინებისა არ სწამთ, მაშინ სჯობს ჯვარდაუწერლად იცხოვრონ ერთად, ვიდრე იქორწინონ. ეს ბევრად უფრო პატიოსანი საქციელია, ვიდრე ფიცის მიცემა მაშინ, როცა მის შესრულებას არ აპირებ. რასაკვირველია, ქორწინების გარეშე თანაცხოვრება ქრისტიანული თვალსაზრისით მრუშობაა და ცოდვად ითვლება, მაგრამ ერთ სიმახინჯეს თავიდან ვერ ავიცილებთ, თუ მას მეორესაც მივუმატებთ; თავაშვებულობას ვერ გამოასწორებ, თუ მას ფიცის გატეხვასაც დაუმატებ.

დღეს ძალზე პოპულარულია აზრი, რომ ქორწინების ერთადერთი გამართლება — სიყვარული — ზედმეტად აქცევს საქორწინო აღთქმებს. თუ ყველაფერი სიყვარულზეა დამოკიდებული, მაშინ ყველანაირი დაპირება უაზრობაა. საინტერესოა, რომ შეყვარებულებს, სანამ მართლაც შეყვარებულები არიან, უკეთესად ესმით ეს, ვიდრე მათ, ვინც ამ საკითხზე მსჯელობს ხოლმე. ჩესტერტონმა ერთხელ თქვა, რომ შეყვარებულებს ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ აღთქმების დადებისაკენ. ყველა ხალხის სასიყვარულო სიმღერები ერთგულების ფიცითაა გაჯერებული. ქრისტიანობა ისეთ რამეს როდი ახვევს თავს შეყვარებულებს, რაც სიყვარულის ბუნებისათვის უცხოა; ის მოითხოვს, რომ შეყვარებულებმა სერიოზულად შეხედონ იმას, რასაც ვნება შთააგონებთ.

რასაკვირველია, იმ დროს მიცემული პირობა, როცა შეყვარებული ვარ, ერთგულებას მაშინაც მავალდებულებს, თუ სიყვარული გამივლის. ეს პირობა ხომ ჩემს მოქმედებასა და საქციელს ითვალისწინებს, ანუ იმას, რისი გაკონტროლებაც შემიძლია. ვერავინ დადებს იმის პირობას, რომ ყოველთვის ერთი და იმავე გრძნობით იქნება შეპყრობილი. ასეთივე წარმატებით შეგვიძლია აღვუთქვათ ვინმეს, რომ თავი არასოდეს აგვტკივდება ან არ მოგვშივდება. მაგრამ რაღა აზრი აქვს ორი ადამიანის ერთად ცხოვრებას, თუ მათ უკვე ერთმანეთი აღარ უყვართ? ამას რამდენიმე სერიოზული სოციალური ხასიათის მიზეზი აქვს: არ შეიძლება, რომ ბავშვებს ოჯახი წავართვათ; უნდა დავიცვათ ქალი (რომელმაც შეიძლება გათხოვების გამო უარი თქვა სამსახურზე) რომ, ქმარმა არ მიატოვოს, როგორც კი მობეზრდება. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თუმცა მისი ახსნა ჩემთვის საკმაოდ ძნელია.

ბევრ ადამიანს ვერ გაუგია, რომ თუ B უკეთესია C-ზე, მაშინ A კიდევ უფრო უკეთესი შეიძლება იყოს B-ზე. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ცნებებს „კარგი“ და „ცუდი“, მაშინ, როცა არსებობს „კარგი“, „უკეთესი“ და „ყველაზე უკეთესი“ ან „ცუდი“, „უარესი“ და „ყველაზე უარესი“. მათ უნდა იცოდნენ, მიგაჩნიათ თუ არა პატრიოტიზმი სანაქებო თვისებად. თქვენ პასუხობთ, რომ, რასაკვირველია, პატრიოტიზმი კარგი რამაა, ბევრად უკეთესი, ვიდრე ეგოიზმი, მაგრამ საყოველთაო ძმური სიყვარული

პატრიოტიზმზე მაღლა დგას, და თუ ეს ორი გრძნობა ერთმანეთს შეეჯახება, ძმურ სიყვარულს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. თქვენ დასმულ კითხვას სრული პასუხი გაეცით, მაგრამ ოპონენტები მას სიტყვის ბანზე აგდებად მიიჩნევენ. ისინი გეკითხებიან, თუ რას ფიქრობთ დუელის შესახებ. თქვენ პასუხობთ, რომ ბევრად უკეთესია ადამიანს შეურაცხყოფა აპატიო, ვიდრე მასთან ორთაბრძოლაში გახვიდე. თუმცა ისევ დუელი სჯობს იმას, რომ მთელი ცხოვრება ამ ადამიანისადმი სიძულვილს ატარებდე და ყოველთვის ცდილობდე, დაამცირო ან რაიმე ავნო მას. თქვენი თანამოსაუბრეები ამ პასუხსაც მიკიბ-მოკიბვად ჩაგითვლიან. იმედი მაქვს, რომ ჩემი მკითხველი ასე არ შეხვდება იმას, რის თქმასაც ახლა ვაპირებ.

„შეყვარებულობა“ საოცარი გრძნობაა და, ამასთან, ბევრი რამით სასარგებლოც. ის გვინერგავს დიდსულოვნებასა და სიმამაცეს, თვალს გვიხელს არა მარტო საყვარელი არსების, არამედ სამყაროში განფენილი სილამაზის აღსაქმელად და ბოლოს, აკონტროლებს (განსაკუთრებით დასაწყისში) ჩვენს ცხოველურ სქესობრივ ინსტინქტებს. ამ თვალსაზრისით, სიყვარული ავხორცობაზე გამარჯვებაა. ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ვერ უარყოფს, რომ სიყვარული უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი მგრძნობელობა ან ცივი თვითკმაყოფილება. მაგრამ, როგორც ადრე მოგახსენეთ, რომელიმე იმპულსის გაფეტიშება და მხოლოდ მისით არსებობა ძალზე სახიფათოა, კარგი რამაა, იყო შეყვარებული, თუმცა ცხოვრებაში ეს საუკეთესო რამ როდია. სიყვარულის გვერდით ბევრი რამ დაბლა დგას, მაგრამ ბევრი რამ უფრო მაღლაა, ვიდრე შეყვარებულობა. არ შეიძლება, რომ ეს გრძნობა დაუდოთ საფუძვლად მთელს თქვენ ცხოვრებას. სიყვარული ამაღლებული გრძნობაა, მაგრამ ის მხოლოდ და მხოლოდ გრძნობაა. ვერცერთ გრძნობაზე ვერ ვიტყვით, გაგვყვება თუ არა მთელი ცხოვრების მანძილზე. ცოდნა, პრინციპები და ჩვევები შეიძლება სამუდამოდ შემოგვრჩეს, მაგრამ გრძნობები როგორც მოდიან, ისე მიდიან. როგორც სჩანს, რაც არ უნდა ითქვას, „შეყვარებულად ყოფნა“ მარადიული არ გახლავთ. ალბათ, არც თუ ისე სახარბიელო პერსპექტივაა, რომ ადამიანები ისეთი ვნებით ელტვოდნენ ერთმანეთს ორმოცდაათი წლის განმავლობაში, თითქოს ეს მათი ქორწინების

პირველი დღე იყოს. ვის შეუძლია გამუდმებულად აღტაცებული ცხოვრებით იცხოვროს, თუნდაც ხუთი წლის მანძილზე? რა დაემართებოდა ჩვენს სამუშაოს, მადას, ძილს ან მეგობრულ ურთიერთობებს? როცა შეყვარებული აღარა ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიყვარული დამთავრდა; სწორედ სიყვარული და არა „შეყვარებულად ყოფნა" გახლავთ, არა უბრალო გრძნობა, არამედ ღრმა, ნებელობაზე დაყრდნობილი და ჩვევებით განმტკიცებული კავშირი. სიყვარული ქრისტიანულ ქორწინებაში იმ მადლითაც მტკიცდება, რომელსაც ითხოვენ და იღებენ ღვთისაგან ცოლი და ქმარი. სწორედ ამიტომაა, რომ მათ მაშინაც უყვართ ერთმანეთი, როცა ერთმანეთით უკმაყოფილონი არიან (მაშინაც ხომ გიყვართ საკუთარი თავი, როცა მისით უკმაყოფილო ხართ) და მაშინაც ინარჩუნებენ სიყვარულს, როცა სხვისი შეყვარება შეეძლოთ, საკუთარი თავისათვის ამისი ნება რომ მიეცათ. ვნებით აღძრულმა სიყვარულმა აიძულა ისინი თავის დროზე, ერთგულების ფიცი მიეცათ ერთმანეთისათვის, შემდეგ კი უკვე უფრო წყნარი გრძნობა აძლევთ ამ ფიცის აღსრულების ძალას. სწორედ ამ მშვიდ და წყნარ სიყვარულზე მუშაობს ქორწინების ძრავა. ვნება მხოლოდ ბიძგის მიმცემი აფეთქება იყო. თუ არ მეთანხმებით, ალბათ, იტყვით: „მან ამის შესახებ არაფერი იცის, რადგან უცოლოა". შეიძლება თქვენ მართალიც ხართ, მაგრამ სანამ ამას იტყოდეთ, დარწმუნდით, რომ თქვენი პირადი ან მეგობრების გამოცდილების საფუძველზე მსჯელობთ, რომანებისა და ფილმების მიხედვით ნუ განსჯით. დიდი მოთმინება და გონიერებაა საჭირო იმ გაკვეთილების ასათვისებლად, ცხოვრება რომ გვიტარებს.

წიგნებიდან ადამიანებს ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, თითქოს მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება იყო შეყვარებული, თუ სწორი არჩევანი გააკეთე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: რომ თუ ეს ასე არ არის, მაშინ შეცდომა მოგსვლია და პარტნიორი უნდა გამოიცვალო. ვინც ასე ფიქრობს, ვერ ხვდება, რომ ახალი სიყვარულის მიერ მოტანილი ვნებაც მალე გაქრება. ისევე როგორც სხვაგან, ცხოვრების ამ სფეროშიც, აღტაცებული მდგომარეობა დასაწყისი სტადიაა და არა მუდმივი. ის აღტაცება, რომელიც ეუფლება ბიჭუნას, როდესაც პირველად გადაწყვეტს, რომ მფრინავი უნდა გახდეს, თანდათან ნელდება, როცა ის

საავიაციო სკოლაში მიდის და ფრენას იწყებს. აღფრთოვანება, რომელიც სულს გიხუთავს, როდესაც თვალწარმტაც ადგილას პირველად მოხვდებით, თანდათან გაქრება, თუ თქვენ იქ დასახლდებით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ უმჯობესია, არასოდეს ისწავლო ფრენა და არც თვალწარმტაც ადგილას დასახლდე? არა. ორივე შემთხვევაში პირველი ფაზის გავლის შემდეგ იგრძნობთ, თუ როგორ იცვლება თავდაპირველი აღტაცება მშვიდი და მყარი ინტერესით. უფრო მეტიც (მე ძლივს ვპოულობ სიტყვებს იმის გამოსახატავად, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამას), მხოლოდ მათ, ვინც მზადაა, შეეგუოს თრთოლვის გაქრობას და ფხიზელი ინტერესით დაკმაყოფილდეს, შეუძლიათ ახალ-ახალი აღმაფრენების განცდა. ადამიანი, რომელმაც ფრენა ისწავლა და კარგი მფრინავი გახდა, სფეროთა მუსიკას ისმენს. ადამიანი, რომელიც თვალწარმტაც ადგილას დასახლდა, იქ ბაღის გაშენებით ხარობს.

ვგონებ, ქრისტეს ესეც ჰქონდა მხედველობაში, როცა თქვა, რომ ვერაფერი ვერ იცოცხლებს, სანამ არ მოკვდება.[1] ნუ შეეცდებით გაიხანგრძლიოთ აღმაფრენით გამოწვეული სიამოვნება, ეს სახიფათო შეცდომაა. დააცადეთ აღმაფრენას, რომ გაგიაროთ, აცალეთ მას სიკვდილი, გადაიტანეთ ეს და შებრუნდით მშვიდი ინტერესის ანუ ბედნიერებისაკენ. მოიქეცით ასე და დაინახავთ, რომ ახალ-ახალი აღფრთოვანებების სამყაროში გადასახლდებით. ხოლო თუ იმას შეეცდებით, რომ ხელოვნურად ჩართოთ აღფრთოვანება თქვენს ყოველდღიურ მენიუში, მალე შეამჩნევთ, როგორ გაიშვიათდება ის და ბოლოს საერთოდ გაქრება თქვენი ცხოვრებიდან; სიცოცხლეს კი ნაადრევად მობერებული, ილუზიებდაკარგული და მოწყენილი დაასრულებთ. ეს რომ ვერ გაუგია, სწორედ იმის გამო ბუზღუნებს უნაყოფოდ გატარებულ ახალგაზრდობაზე ირგვლივ ამდენი ხალხი. ხშირად გარდასულ ახალგაზრდობაზე იმ ასაკში ჩივიან, როცა წინ ახალი ჰორიზონტები უნდა გაიხსნას. ბევრად უფრო საინტერესოა, ისწავლო ცურვა, ვიდრე გამუდმებით (და უიმედოდ) ცდილობდე იმ გრძნობის დაბრუნებას, ლასტების ჩაცმისას პირველად რომ დაგეუფლა.

---

[1] იხ. იოან. 12,24.

რომანებსა და პიესებში ხშირად წააწყდებით აზრს, რომ ვნების დაოკება შეუძლებელია. ის სახადივით შეგეყრება და გცელავს. ზოგ კაცს მართლა სჯერა ეს და, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანია, გასაქანს აძლევს გრძნობებს ყველა მომხიბვლელ ქალთან შეხვედრისას. ჩემი აზრით, ამგვარი დაუოკებელი ვნებები ცხოვრებაში ბევრად იშვიათად გვხვდება (ყოველ შემთხვევაში, ზრდასრულ ადამიანებში მაინც), ვიდრე წიგნებში. როცა ლამაზ, გონიერ და მომხიბლავ ადამიანს ვხვდებით, ბუნებრივია, რომ შეგვიყვარდეს და აღვფრთოვანდეთ მისით. მაგრამ განა ჩვენზე არ არის დამოკიდებული, გადაიზრდება თუ არა ეს აღფრთოვანება ვნებიან სიყვარულში? რასაკვირველია, თუ რომანტიკული სიუჟეტებით და სასიყვარულო სიმღერებით გვაქვს თავი გამოტენილი და თანაც ცოტა გადავკარით, შეიძლება, ნებისმიერი აღფრთოვანება ვნებიან სიყვარულად ვაქციოთ. თუ გზას თხრილი მიუყვება, მაშინ წვიმის წყალი აქ დაგროვდება; თუ ცისფერ სათვალეს ვატარებთ, ყველაფერი ცისფრად გვეჩვენება. ერთი სიტყვით, თავად ვართ დამნაშავენი.

სანამ განქორწინებაზე საუბარს დავასრულებდეთ, მინდა გავმიჯნო ორი რამ, რასაც ხშირად ურევენ ხოლმე ერთმანეთში. ერთია ქორწინების ქრისტიანული პრინციპი. მაგრამ სულ სხვაა, რამდენად შორს შეიძლება შეტოპონ ქრისტიანებმა, როცა ისინი ამომრჩევლები ან პარლამენტის წევრები არიან და ცდილობენ თავიანთი შეხედულებები საზოგადოების დანარჩენ წევრებსაც მოახვიონ თავს. ბევრი თვლის, რომ თუ თქვენ ქრისტიანი ხართ, მაშინ გაყრის პროცესი სხვებისთვისაც უნდა გაართულოთ. მე ამ აზრს არ ვიზიარებ. ალბათ, აღვშფოთდებოდი, მაჰმადიანებს ჩვენთვის ღვინის სმა რომ აეკრძალათ. ჩემი აზრით, ეკლესიამ გულახდილად უნდა აღიაროს, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა უმრავლესობა ქრისტიანი არ არის და, აქედან გამომდინარე, მათგან ქრისტიანული ცხოვრების წესის გაზიარებასაც არ უნდა ველოდეთ. ორი ტიპის ქორწინების არსებობაა საჭირო: ერთი უნდა იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ იმ კანონებზე დაყრდნობით, რომელიც ყველა მოქალაქისათვის სავალდებულო იქნება; მეორე კი ეკლესიის მიერ იმ წესების საფუძველზე, რომელსაც მისი წევრები ემორჩილებიან. განსხვავება მათ შორის საკმაოდ მკვეთრი

უნდა იყოს, რადგან ადამიანებისათვის ცხადი გახდეს, თუ რომელი წყვილი ქორწინდება ქრისტიანულად და რომელი — არა.

მე მგონი, ქრისტიანული ქორწინების მდგრადობასა და ურყევობაზე საკმარისი ვილაპარაკეთ. ახლა კიდევ ერთი უფრო ნაკლებად პოპულარული საკითხი უნდა განვიხილოთ. ქრისტიანი ცოლები ქმრის მორჩილების პირობას დებენ. ქრისტიანული წესის თანახმად, ოჯახის უფროსი მამაკაცია. აქ ორი კითხვა იჩენს თავს: 1. რა საჭიროა ვინმეს გაუფროსება, რატომ არ უნდა ავაგოთ ოჯახი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე? 2. რატომ უნდა იყოს უფროსი მაინცდამაინც მამაკაცი?

1. ოჯახს უფროსი აუცილებლად უნდა ჰყავდეს, რადგან ქორწინება მუდმივი კავშირია. რასაკვირველია, როცა ცოლი და ქმარი ურთიერთთანხმობაში ცხოვრობენ, უფროსობის საკითხი არ დგას; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქრისტიანულ ქორწინებაში ასეც იქნება. მაგრამ თუ უთანხმოება ჩნდება, მაშინ? მეუღლეები სერიოზულად უნდა მოელაპარაკონ ერთმანეთს. დავუშვათ, რომ ასეც მოხდა, მაგრამ მაინც ვერ შეთანხმდნენ. რა უნდა ქნან ამის შემდეგ? კენჭისყრას ვერ დააწესებენ, რადგან მხოლოდ ორნი არიან. ან უნდა გაიყარონ, ან ერთ-ერთს უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი ხმის უფლება. რადგან ქორწინება მუდმივი კავშირია, უკიდურეს სიტუაციებში ერთ-ერთ მხარეს ოჯახის პრობლემების გადაწყვეტის უპირატესი უფლება უნდა ენიჭებოდეს. კონსტიტუციის გარეშე ვერც ერთი მუდმივი კავშირი ვერ იარსებებს.

2. თუ აუცილებელია, რომ ოჯახს უფროსი ჰყავდეს, რატომ უნდა იყოს ის მაინცდამაინც მამაკაცი? კარგით, ვინმეს ნამდვილად სურს, რომ ოჯახის უფროსი ქალი იყოს? როგორც უკვე მოგახსენეთ, მე უცოლო ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ იმ ქალებსაც კი, თავიანთ სახლში უფროსობას რომ ჩემულობენ, მეზობლის ოჯახში მსგავსი ვითარება არ აღაფრთოვანებთ. ნუთუ არ გსმენიათ მათი ნათქვამი:„საბრალო ბატონი X-ი! რატომ აძლევს ამ საშინელ ქალს უფროსობის უფლებას? ნამდვილად არ მესმის მისი!“ უფრო მეტიც, ქალს სულაც არ ეამება, რომ ვიღაცამ მისი ოჯახის უფროსობა შენიშნოს. ალბათ, არის რაღაც არაბუნებრივი იმაში, რომ ცოლი ხელმძღვანელობდეს ქმარს, რადგან თავად ქალები განიცდიან ამის გამო უხერხულობას და ეზიზღებათ ამგვარი ქმრები.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი; და აქ გამოგიტყდებით, რომ უკვე უცოლო კაცის პოზიციებიდან ვმსჯელობ, რადგან ეს მიზეზი შორიდან უფრო კარგად ჩანს. ოჯახის ურთიერთობას გარე სამყაროსთან — ასე ვთქვათ, საგარეო პოლიტიკას — ქმარი უნდა წარმართავდეს. რატომ? იმიტომ, რომ ის უნდა იყოს (და, როგორც წესი, არის კიდეც) უფრო სამართლიანი გარეშე პირებთან დამოკიდებულებაში. ქალი შვილებისა და ქმრის მხარეზე იბრძვის მთელი დანარჩენი სამყაროს წინააღმდეგ. ის მათი საგანგებო რწმუნებულია. ქმარი კი თვალყურს ადევნებს, რომ ეს ბუნებრივი გრძნობა მეტისმეტად არ გამძაფრდეს სხვებთან ურთიერთობისას. საბოლოო სიტყვა ქმარს უნდა ეკუთვნოდეს, რომ მან, საჭიროების შემთხვევაში, შესძლოს დაიცვას სხვა ადამიანები თავისი ცოლის ოჯახური პატრიოტიზმისაგან. თუ რომელიმე თქვენგანს ამაში ეჭვი ეპარება, ნება მომეცით, გკითხოთ. დავუშვათ, თქვენმა ძაღლმა მეზობლის ბავშვს უკბინა, ან თქვენმა ბავშვმა მეზობლის ძაღლი სცემა. ვისთან გირჩევნიათ დალაპარაკება, ოჯახის დიასახლისთან თუ ქმართან? თუ თქვენ გათხოვილი ქალი ხართ, გთხოვთ, მიპასუხოთ: რაც არ უნდა აღმერთებდეთ ქმარს, ხომ მიგაჩნიათ, რომ ერთი ნაკლი მას მაინც აქვს — ის ვერ იცავს თავის და თავისი ოჯახის ინტერესებს მეზობელთა შემოტევებისაგან?

7. მიტევება

ერთ-ერთ წინა თავში მოგახსენეთ, რომ უბიწოება ყველაზე ნაკლებად პოპულარული ქრისტიანული სათნოებაა. ახლა მიმაჩნია, რომ მართალი არ ვიყავი. მასზე უფრო ნაკლებ პოპულარული სათნოებაც არსებობს. ის შემდეგ ქრისტიანულ ფორმულაშია გამოხატული: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“[1] არაპოპულარული კი ის იმიტომაა, რომ ქრისტიანული ზნეობა „მოყვასის“ ცნებაში მტერსაც გულისხმობს. ამგვარად, მივუახლოვდით საშინლად მძიმე მოვალეობას — მივუტევოთ ჩვენს მტრებს. ნებისმიერი ადამიანი დაგეთანხმებათ, რომ მიმტევებლობა

[1] იხ. მათ. 22,39; მარკ. 12,31

საუკეთესო თვისებაა, სანამ თავად არ დადგება იმ ალტერნატივის წინაშე — მიუტევოს თუ არა. ალბათ, გახსოვთ, როგორ აღმოჩნდით ამგვარ სიტუაციაში, როცა ომი დაიწყო. როგორც წესი, ამ დილემის გახსენება დიდ ვნებათაღელვას იწვევს ხოლმე, იმიტომ კი არა, რომ ადამიანებს მიტევება მიუღწეველ და ძნელ სათნოებად ეჩვენებათ, არა, უბრალოდ დაუშვებლად მიაჩნიათ და მასზე ფიქრიც კი არ სურთ. „ჩვენ გულს გვირევს ამგვარი საუბრები", — ამბობენ ისინი. თქვენი უმრავლესობა, ალბათ, მზადაა მკითხოს: „რა თვალით შეხედავდით გესტაპოს, პოლონელი ან ებრაელი რომ ყოფილიყავით?"

მეც მინდა ვიცოდე ეს. ზუსტად ისევე, როგორც მინდა ვიცოდე, რა უნდა ვქნა, თუკი არჩევანის წინაშე დავდგები: მოწამეობრივი სიკვდილი ვარჩიო თუ რწმენას განვუდგე? ქრისტიანობა ხომ პირდაპირ მეუბნება, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა უარვყო რწმენა. ამ წიგნში იმის თქმას არ ვცდილობ, რისი გაკეთება შეიძლია, ალბათ, საკმაოდ ცოტას თუ შევძლებ. მე იმის ჩვენებას ვცდილობ, თუ რა არის ქრისტიანობა, ის კი ჩემი მოგონილი არ გახლავთ. ქრისტიანობის წიაღში მე ამ სიტყვებს ვაწყდები: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა ჩვენთა."[1] აქ მცირეოდენი მინიშნებაც კი არ არის იმის შესახებ, რომ მიტევებას რაღაც სხვა გზითაც მივიღებთ. აქ აშკარადაა ნათქვამი, რომ თუ ჩვენ არ მივუტევებთ, არც ჩვენ მოგვიტევებენ. სხვა გზა არ არსებობს. როგორ მოვიქცეთ?

რის გაკეთებასაც არ უნდა შევეცადოთ, ყველაფერი რთული იქნება. მაგრამ, ჩემი აზრით, ორ რამეს მაინც შევძლებთ და სწორედ ისინი გაგვიადვილებენ ამოცანას. როცა მათემატიკის სწავლას შეუდგებიან, დიფერენციალური გამოთვლით კი არ იწყებენ, არამედ უბრალო შეკრება-გამოკლებით. ზუსტად ასევე, თუ მართლაც გვინდა, რომ მივუტევოთ (ყველაფერი კი სწორედ სურვილზეა დამოკიდებული), ალბათ, ჯერ უფრო ოლი რამით უნდა დავიწყოთ, სანამ გესტაპოს მივადგებით. მაგალითად, იმით, რომ მივუტევოთ ქმარს ან ცოლს, მშობლებს ან შვილებს, ანდა უახლოეს მეზობლებს ის, რაც თქვეს ან გააკეთეს წინა კვირას.

---

[1] იხ. მათ. 6,12.

შეიძლება ამისთვის მთელი ჩვენი ყურადღების დაძაბვა დაგვჭირდეს. შემდეგ უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს „გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენი". როგორ მიყვარს საკუთარი თავი?

აი ახლა, როცა ამას ვწერ, მივხვდი, რომ საკუთარი თავის მიმართ განსაკუთრებულ სინაზესა და სიყვარულს არ განვიცდი. ხშირად საკუთარ თავთან ყოფნაც კი არ მსიამოვნებს. როგორც ჩანს, სიტყვები „გიყვარდეს მოყვასი" არ ნიშნავს „განსაკუთრებულ სინაზეს გრძნობდე მის მიმართ" ან „მომხიბლავად გეჩვენებოდეს". თუმცა ასეც უნდა იყოს, რაც არ უნდა ეცადოთ, ვერ აიძულებთ საკუთარ თავს, რომ სინაზეს განიცდიდეს ვინმეს მიმართ. კარგი თვალით ვუყურებ საკუთარ თავს? სასიამოვნო ადამიანად მიმაჩნია ჩემი თავი? ვშიშობ, რომ ხანდახან — კი (უეჭველია, რომ ჩემი ცხოვრების არც თუ ისე საუკეთესო წუთებში). მაგრამ ამის გამო როდი მიყვარს საკუთარი თავი; საკუთარი თავი იმიტომ კი არ მიყვარს, რომ მას სასიამოვნო ადამიანად ვთვლი, პირიქით, სწორედ სიყვარული მაიძულებს, რომ ასეთად მივიჩნიო თავი. აქედან გამომდინარე, მტრებიც შეგვიძლია გვიყვარდეს, როცა ისინი არც თუ ისე სასიამოვნო ადამიანებად მიგვაჩნია. რა კარგია! ბევრს ჰგონია, რომ როცა მტრებს მივუტევებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი არც ისე ცუდები არიან, მაშინ, როცა ისინი მართლაც ცუდები არიან და ეს ცხადზე უცხადესია.

მოდით, კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ წინ. რაღაც წუთებში სასიამოვნო კი არა, პირდაპირ საზიზღარი მგონია ჩემი თავი. ძრწოლა მიპყრობს, როდესაც ზოგიერთ ჩემს საქციელს ვიხსნებ. მაშასადამე, დასაშვებია, რომ ჩემი მტრების ზოგიერთი ქცევაც მაძრწუნებდეს. აქ მინდა გავიხსნეო სიტყვები, რომლებიც ქრისტიანმა მასწავლებლებმა დიდი ხნის წინათ წარმოთქვეს: „უნდა გძულდეს ბოროტება, მაგრამ არა მისი ჩამდენი". ანდა: „გძულდეს ცოდვა, მაგრამ არა ცოდვილი". დიდხანს მიმაჩნდა ამგვარი გამიჯნვა თითიდან გამოწოვილად: რანაირად შეიძლება, გძულდეს ის, რასაც ადამიანი აკეთებს და, ამასთან, არ შეიძულო ეს კაცი? მოგვიანებით მივხვდი, რომ უკვე დიდი ხანია სწორედ ამგვარი დამოკიდებულება მაქვს ერთ ადამიანთან, საკუთარ თავთან. რაც არ უნდა მძულებოდა საკუთარი სიმხდალე, სიცრუე და სიძუნწე, საკუთარი თავი მაინც მიყვარდა და ეს სრულებითაც არ იყო ძნელი.

საკუთარი თავი რომ მიყვარდა, სწორედ იმიტომ ვერ ვიტანდი ჩემს ცუდ თვისებებს. სწორედ ამიტომ მაღონებდა ის, რასაც ვაკეთებდი და როგორიც ვიყავი. აქედან გამომდინარე, ქრისტიანობა სულაც არ მოგვიწოდებს იმისაკენ, რომ სისასტიკე და ღალატი არ უნდა გვძულდეს. რასაკვირველია, უნდა გვძულდეს, მაგრამ ისევე, როგორც საკუთარი მანკიერებანი, ანუ სინანულს უნდა განვიცდიდეთ იმის გამო, რომ ის კაცი ასე მოიქცა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, რამენაირად, როდესმე, სადმე განიკურნება და კვლავ ადამიანად იქცევა.

საკუთარი თავი შეიძლება ამგვარად შევამოწმოთ: დავუშვათ, გაზეთში წაიკითხეთ საშინელი სისასტიკის ამბავი. მეორე დღეს კი თქვენ იგებთ, რომ გუშინდელი ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, საქმე მთლად ისე არ ყოფილა. საინტერესოა, თუ იტყვით: „მადლობა ღმერთს, ისინი ისეთი არამზადები არ ყოფილან, როგორიც მეგონა!“ შეიძლება, პირიქით, იმედი გაგიცრუვდეთ და ისევ იმ პირველი ვერსიის მომხრედ დარჩეთ, რადგან გსიამოვნებთ იმაზე ფიქრი, რომ ეს ადამიანები ასეთი საზიზღრები არიან. თუ მეორე გრძნობა დაგეუფლათ, მაშინ, ვშიშობ, იმ გზას ადგახართ, რომლის ბოლოშიც ეშმაკის მახე გელოდებათ. ეშმაკის სურვილიც ხომ ის არის, რომ შავი კიდევ უფრო შავად მოგაჩვენოთ.

საკმარისია, ამ გრძნობას გასაქანი მივცეთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ნაცრისფერი, მერე კი თეთრიც შავად მოგვეჩვენება. საბოლოოდ კი ყველაფერს, ღმერთს, მეგობრებს და საკუთარ თავსაც შავ ფერებში დავინახავთ. ასეთი გამძაფრებული გრძნობის ჩახშობა უკვე ძნელია. დაუოკებელი სიძულვილი შთანთქავს საუკუნოდ ამგვარ სულს.

ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ. ნიშნავს თუ არა „გიყვარდეს მტერი შენი“ იმას, რომ იგი არ უნდა დავსაჯოთ? არა. საკუთარი თავის სიყვარული არ ნიშნავს, რომ მას დამსახურებული სასჯელი ავაცილოთ. თუ მკვლელობა ჩაიდინეთ, ხელისუფლებას უნდა ჩაბარდეთ და ბოლომდე შესვათ თქვენთვის განკუთვნილი მწარე ფიალა. მხოლოდ ამგვარი ქცევაა სამართლიანი, ქრისტიანული თვალსაზრისით. ამიტომ მიმაჩნია, რომ ქრისტიანი მოსამართლე არ ცდება, როცა დამნაშავისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს; სწორია ქრისტიანი ჯარისკაციც, როცა ბრძოლის ველ-

ზე მტერს კლავს. ასე მიმაჩნია მას შემდეგ, რაც ქრისტიანი გავხდი, ჯერ კიდევ ომამდე. სიტყვებს „არა კაც კლა“ არასწორად განმარტავენ. ბერძნულ ენაში „მოკვლა“ ზმნის გამოსახატავად ორი სიტყვა იხმარება. ერთი მათგანი უბრალოდ „მოკვლას“ ნიშნავს, მეორე კი „მკვლელობის ჩადენას“. სამივე სახარებაში — მათეს, მარკოზის და ლუკას სახარებებში[1] — სადაც ქრისტეს ეს მცნებაა მოყვანილი, სწორედ მეორე სიტყვაა ნახმარი, რომელიც ნიშნავს: „არ ჩაიდინო მკვლელობა“. მე მითხრეს, რომ მსგავსი სხვაობა ძველებრაულ ენაშიც არსებობს.

“მოკვლა“ ყოველთვის იგივე არ არის, რაც „მკვლელობის ჩადენა“, ისევე როგორც სქესობრივი აქტი არ არის ყოველთვის სიძვა. როცა მეომრებმა ჰკითხეს იოანე ნათლისმცემელს, როგორ მოვიქცეთო,[2] მას არ უთქვამს, ჯარს თავი გაანებეთო. არც ქრისტეს მოუთხოვია მსგავსი რამ, როცა რომაელ ასისთავს შეხვდა.[3]

სიკეთის დასაცავად ამხედრებული, კბილებამდე შეიარაღებული რაინდი ქრისტიანულ ლიტერატურის ერთ-ერთი საყვარელი სახე-სიმბოლოა. ომი საზარელი რამ არის და მე გულწრფელად ვცემ პატივს ჭეშმარიტ პაციფისტს, თუმცა მგონია, რომ იგი ცდება. ჩვენი ნახევრად პაციფისტებისა კი ნამდვილად არ მესმის. ისინი ცდილობენ ჩააგონონ ხალხს, რომ თუ ომში წასვლამ მოგიწია, იბრძოლე, მაგრამ თან უნდა გრცხვენოდეს და არ მალავდე, რომ ამას იძულებით აკეთებ. ეს სირცხვილი ახალგაზრდა ქრისტიანებს სიმხნევის სიხარულისა და დიდსულოვნების უფლებას ართმევს, ეს თვისებები ხომ ყოველთვის თან ახლავს ვაჟკაცობას.

ხშირად ვფიქრობ, რა იქნებოდა, რომ, როცა პირველ მსოფლიო ომში ვიყავი, ბრძოლის ველზე მე და ახალგაზრდა გერმანელ ჯარისკაცს ერთდროულად დაგვეხოცა ერთმანეთი და სიკვდილის შემდეგ საიქიოში მაშინვე ერთმანეთს შევხვედროდით. არ შემიძლია იმის წარმოდგენა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი განაწყენდებოდა, გაბრაზდებოდა ან აფორიაქდებოდა მაინც. ჩემი აზრით, უბრალოდ გაგვეცინებოდა იმაზე, რაც მოხდა.

---

[1] იხ. მათ. 19,18; მარკ. 10,19; ლუკ. 18,20.
[2] იხ. ლუკ. 3,14.
[3] იხ. მათ. 5,13.

ვინმე, ალბათ, იტყვის: „თუ ადამიანს იმის უფლება ეძლევა, რომ მტრის საქციელი განსაჯოს, დასაჯოს და მოკლას კიდეც იგი, მაშინ რით განსხვავდება ქრისტიანული თვალსაზრისი ამ საკითხზე საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისისაგან?“ განსხვავება არის და საკმაოდ დიდიც. გახსოვდეთ: ჩვენ, ქრისტიანებს, გვჯერა, რომ ადამიანი მარადიული არსებაა, ამიტომ მნიშვნელობა მხოლოდ იმ ნაჭდევებსა აქვთ, ჩვენს სულს რომ აჩნდება, და საბოლოო ჯამში სწორედ ისინი აქცევენ ადამიანს ზეციურ ან ჯოჯოხეთურ არსებად. ჩვენ უნდა მოვკლათ, თუ ეს აუცილებელია, მაგრამ არ უნდა გვძულდეს და ვტკბებოდეთ სიძულვილით. თუ საჭიროა, უნდა დავსაჯოთ კიდეც, მაგრამ ამ დროს სიამოვნებას არ უნდა განვიცდიდეთ. ერთი სიტყვით, უნდა გავანადგუროთ ჩვენს არსებაში ღრმად გამჯდარი მტრული განწყობა, შურისძიებისაკენ მისწრაფება. მე იმის თქმა არ მსურს, რომ ადამიანები ახლავე შესძლებენ ამ გრძნობების ალაგმვას. ასე არ ხდება. მაგრამ ყოველთვის, როცა კი ისინი გაიფაჩუნებენ ჩვენს სულში, დღითი დღე, წლიდან წლამდე, მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ვამარცხებდეთ მათ. ეს მძიმე შრომაა, მაგრამ არა უნაყოფო. მაშინაც კი, როცა ვკლავთ ან ვსჯით, ისე უნდა ვუყურებდეთ მტერს, როგორც საკუთარ თავს, უნდა გვსურდეს, რომ ის ასეთი ცუდი არ იყოს და გვჯეროდეს, რომ ოდესმე უკეთესი გახდება. ერთი სიტყვით, მისთვის სიკეთე უნდა გვსურდეს. აი, რას გულისხმობს ბიბლია, როცა გვეუბნება, რომ ჩვენი მტრები უნდა გვიყვარდეს: ჩვენ მათთვის სიკეთე უნდა გვსურდეს, ისე რომ, განსაკუთრებულ სინაზეს არ განვიცდიდეთ მათ მიმართ და არ ვეუბნებოდეთ, რომ კარგი ადამიანები არიან.

დიახ, ჩვენ გვეთქვა, რომ ისეთი ადამიანებიც უნდა გვიყვარდეს, რომლებიც ამას არ იმსახურებენ. მაგრამ, მეორე მხრივ, განა ყველა ჩვენგანშია ის, რაც სიყვარულისა და აღტაცების ღირსია? არა, საკუთარი თავი მხოლოდ იმიტომ გვიყვარს, რომ ეს ჩვენა ვართ. ღმერთმა კი გვიბრძანა, რომ სწორედ იმ მიზეზის გამო უნდა გვიყვარდეს ყველა ადამიანი, რის გამოც საკუთარი თავი გვიყვარს. ჩანერგა რა ჩვენს არსებაში საკუთარი თავის სიყვარული, ღმერთმა ამით გვიჩვენა, თუ როგორ მოქმედებს ეს სიყვარული. უნდა ვისარგებლოთ ამ გამოცდილებით და სიყვარულის

მექანიზმი სხვა ადამიანებზე გადავიტანოთ. შეიძლება გაგვიადვილდეს ამის გაკეთება, თუ გავიხსენებთ, რომ ღმერთს ზუსტად ასევე ვუყვარვართ: არა იმ საუკეთესო თვისებებისათვის, რომლებიც, ჩვენი აზრით, გაგვაჩნია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები ვართ. ეს ჩვენი ერთადერთი ღირსებაა. ჩვენ იმდენ ტკბობას გვანიჭებს სიძულვილი, რომ მასზე უარის თქმა სიგარეტისა და ალკოჰოლის მიტოვებაზე მეტად გვეძნელება...

8. დიდზედიდი ცოდვა

ახლა ქრისტიანული ზნეობის იმ ნაწილზე გადავდივარ, რომელიც მკვეთრად მიჯნავს მას სხვებისაგან. არსებობს მანკიერება, რომელიც ერთნაირად სჭირს ყველა ადამიანს, მაგრამ თითოეულ მათგანს სძულს ის სხვა ადამიანში და ძნელად თუ ვინმე ამჩნევს მას, ქრისტიანის გარდა, საკუთარ თავში. ხშირად მსმენია, თუ როგორ აღიარებენ ადამიანები, რომ ცუდი ხასიათი აქვთ ან მშიშრები არიან, მაგრამ არ მახსოვს, რომ არაქრისტიანს ამ მანკიერებაში დაედანაშაულებინოს თავისი თავი. სამაგიეროდ იშვიათად შემხვედრიან ურწმუნოები, ლმობიერად რომ უცქერდნენ ამ მანკიერების გამოვლინებას სხვებში. არ არსებობს მანკი, რომელიც ასე გვზარავს ადამიანში და რომელსაც ასე ვერ ვამჩნევთ საკუთარ თავში. რაც უფრო დიდი დოზითა გვაქვს ჩვენ ეს მანკიერება, მით უფრო ვერ ვიტანთ მას სხვა ადამიანებში.

მე სიამაყეზე ანუ თვითკმაყოფილებაზე ვლაპარაკობ; მის საპირისპირო სათნოებას ქრისტიანები თავმდაბლობას უწოდებენ. როცა უბიწოებაზე ვსაუბრობდით, გაგაფრთხილეთ, რომ ქრისტიანულ ზნეობაში ის არ იყო უმთავრესი. ახლა ჩვენ სწორედ იმ უმთავრესს მივადექით. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ყველაზე საშინელი მანკიერება, ყველაზე საზარელი ბოროტება — სიამაყე და გულზვიადობაა. თავაშვებულობა, მემთვრალეობა და სიხარბე წვრილმანებია მასთან შედარებით. სწორედ ამ მანკის გამო იქცა ეშმაკი იმად, რაც არის. გულზვიადობას მივყავართ ყველა სხვა მანკიერებისაკენ; ეს სულის იმგვარი მდგომარეობაა, რომელიც სრულებით მიუღებელია ღვთისათვის.

შეიძლება გგონიათ, რომ მე ვაზვიადებ. მაშინ კიდევ ერთხელ დაუფიქრდით ჩემს სიტყვებს. რამდენიმე წამის წინ ვთქვი: რაც უფრო ამპარტავანია ადამიანი, მით უფრო მეტად სძულს ეს თვისება სხვებში. თუ საკუთარი გულზვიადობის გაზომვა გსურთ, საკუთარ თავს შემდეგი კითხვა დაუსვით: „ძალიან მაღიზიანებს, როცა მამცირებენ, არ მამჩნევენ, ჩემს საქმეებში ერევიან, დიდკაცურად მეპყრობიან ან ჩემი თანდასწრებით ყელყელაობენ და ტრაბახობენ ხოლმე?“ საქმე ის გახლავთ, რომ ერთი ადამიანის სიამაყე მეორე ადამიანის სიამაყეს უდგას კრიჭაში. სწორედ ამიტომ მინდა, რომ წვეულებაზე ყველაზე შესამჩნევად გამოვიყურებოდე, ძალიან ვბრაზობ, როცა სხვა იქცევს საყოველთაო ყურადღებას.

უნდა ვიცოდეთ, რომ სიამაყეს თან ახლავს მეტოქეობის სურვილი, ეს მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. სხვა მანკიერებანი მეტოქეობას სრულიად შემთხვევით ავლენენ ხოლმე. სიამაყე კი მხოლოდ მაშინ წყნარდება, როცა მას უფრო მეტი აქვს, ვიდრე მეზობელს. ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანები ამაყობენ სიმდიდრით, ჭკუა-გონებით, სილამაზით. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ისინი იმით ამაყობენ, რომ სხვებზე მდიდრები, ჭკვიანები და ლამაზები არიან. ყველა რომ ერთნაირად მდიდარი, გონიერი და ლამაზი გამხდარიყო, მათ საამაყო აღარაფერი ექნებოდათ. მხოლოდ შედარება აღძრავს ჩვენში სიამაყეს, სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ სხვებზე უკეთესი ხარ. იქ, სადაც ვერავის გაეჯიბრები, არც სიამაყე არსებობს. აი, რატომ აღვნიშნე, რომ მეტოქეობის სურვილი სიამაყეს ორგანულად ახასიათებს, მაშინ, როცა სხვა მანკიერებებზე ამას ვერ იტყვი. სქესობრივმა ლტოლვამ შეიძლება ორ მამაკაცს შორის მეტოქეობა წარმოშვას, თუ მათ ერთი და იგივე ქალი მოსწონთ. მაგრამ ეს შემთხვევითობაა, ხომ შეიძლებოდა, სხვადასხვა ქალი მოსწონებოდათ. მაშინ, როდესაც ამაყი მამაკაცი იმიტომ კი არ გართმევთ სატრფოს, რომ შეყვარებულია, არამედ იმის გამო, რომ თავისი უპირატესობა დაგიმტკიცოთ. სიხარბემაც შეიძლება გვიბიძგოს მეტოქეობისაკენ, თუკი რაღაც გვაკლია. ამაყი კაცი კი, თუნდაც ყველაფერი თავზე საყრელი ჰქონდეს, მხოლოდ იმიტომ შეეცდება უფრო მეტის შეძენას, რომ ძალაუფლება განიმტკიცოს. თითქმის ყველა ბოროტება, რომლებსაც ადამიანები სიხარბესა და ეგოიზმს მიაწერენ, სიამაყის ნაყოფია.

ავიღოთ თუნდაც ფული. ადამიანი მას იმიტომ ეხარბება, რომ შვებულების უკეთ გატარება, უკეთესი სახლის, საკვების ან სასმელის ყიდვა უნდა. მაგრამ ამასაც თავისი საზღვარი აქვს. რატომ ხდება, რომ ის, ვინც წელიწადში ორმოცი ათას დოლარს იღებს, ოთხმოცი ათასის მიღებას ცდილობს? ეს მხოლოდ სიამოვნებებს დახარბებული კაცი არ არის, ორმოცი ათასი დოლარი წლიური შემოსავალი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ფუფუნებით იცხოვრო. მას სიამაყის გამო სურს სხვებზე უფრო მდიდარი იყოს და, რაც ყველაზე მთავარია, ძალაუფლება მოიპოვოს, რადგან სწორედ ძალაუფლება ანიჭებს განსაკუთრებულ სიამოვნებას. არაფერი არ აღძრავს იმგვარი უპირატესობის გრძნობას, როგორც სხვა ადამიანების მართვა. რატომ თესავს ქალიშვილი უბედურებას ყველგან, საცა კი გამოჩნდება, ახალ-ახალი თაყვანისმცემლების მიზიდვით? რასაკვირველია, არა ავხორცობის გამო, ასეთი ქალიშვილები უმეტესად ცივები არიან. მას სიამაყე უბიძგებს აქეთკენ. რატომ მიელტვის გამუდმებით პოლიტიკური ლიდერი ან მთელი ერი ახალ-ახალ წარმატებებს და მიღწეულს არ სჯერდება? ისევ და ისევ სიამაყის გამო. სიამაყეს თან ახლავს მეტოქეობის სურვილი. აი, რატომ არის შეუძლებელი მისი დაკმაყოფილება. თუ მეც ეს მანკიერება მჭირს, სანამ ვინმეს უფრო მეტი ძალაუფლება, სიმდიდრე ან ჭკუა ექნება, ჩემს მტრად და მეტოქედ დავსახავ.

ქრისტიანობა მართალია: სწორედ სიამაყე იწვევდა ყველაზე საშინელ უბედურებებს ყველა ხალხისა და ოჯახის ცხოვრებაში. სხვა მანკიერებებმა შეიძლება ზოგჯერ გააერთიანონ კიდეც ადამიანები; ისინი, ვისაც სმა უყვარს ან უბიწოებასთან მწყრალად არის, მეგობრებს ადვილად პოულობენ. სიამაყე კი ყოველთვის მტრობას წარმოშობს. ის თვითონაა მტრობა, არა მარტო ადამიანებს, არამედ ადამიანებსა და ღმერთს შორისაც.

ღმერთი ყველა თვალსაზრისით ჩვენზე მაღლა დგას. სანამ თქვენ ამას ვერ გააცნობიერებთ და, მაშასადამე, ვერ მიხვდებით, რომ მასთან შედარებით არარაობა ხართ, ვერც მის შეცნობას მოახერხებთ, ე.ი. ღმერთს ვერ შეიცნობთ, თუ სიამაყეს არ უკუაგდებთ. ამაყი კაცი ხომ ყველას ზემოდან უყურებს და რანაირად შენიშნავს იმას, რაც მასზე უფრო მაღლაა?

აქ ერთი საშინელი კითხვა ჩნდება. რანაირად ხდება, რომ ამაყი და გულზვიადი ადამიანები თავს ღვთისმოსავებად მიიჩნევენ? ვშიშობ, რომ ისინი წარმოსახვით ღმერთს ეთაყვანებიან. თეორიულად ისინი აღიარებენ, რომ ამ მოჩვენებითი ღმერთის წინაშე არარაობანი არიან, მაგრამ გამუდმებით ელანდებათ, რომ ღმერთი მათ საქციელს უწონებს და ყველაზე უკეთეს ადამიანებად მიიჩნევს. ისინი მას წარმოსახვითი თავმდაბლობით პასუხობენ, სხვა ადამიანებს კი ზემოდან ქედმაღლურად დასცქერიან. ალბათ, მათაც გულისხმობდა ქრისტე, როდესაც ამბობდა, რომ ზოგიერთი მისი სახელით იქადაგებდა და მისი სახელითვე განდევნიდა დემონებს, სამყაროს აღსასრულის ჟამს კი გაიგებდნენ, რომ იესო მათ არასოდეს იცნობდა.[1] ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გაებას ამ მახეში. საბედნიეროდ, საკუთარი თავის შემოწმების საშუალება გაგვაჩნია. ყოველთვის, როცა კი მოგვეჩვენება, რომ ჩვენი მორწმუნეობა სხვებზე უკეთესებად გვხდის, უნდა ვიცოდეთ, ეს შეგრძნება ღვთისაგან კი არა, ეშმაკისაგან მოდის. დარწმუნებული იყავით, ღმერთი სინამდვილეში თქვენთან მხოლოდ მაშინ არის, როცა საერთოდ გავიწყდებათ საკუთარი თავი ან ყველაზე უმნიშვნელოდ გეჩვენებათ. უკეთესია, დავივიწყოთ საკუთარი თავი.

რაოდენ საშინელია, რომ ყველაზე საზარელ მანკიერებას თქვენი სულიერი ცხოვრების შუაგულში შეჭრის უნარი შესწევს, მაგრამ, ამავე დროს, ეს გასაგებიცაა. სხვა, ნაკლებ საშიში მანკიერებანი, იმ ეშმაკისაგან მოდიან, რომელიც ჩვენს ცხოველურ ბუნებაზე ზემოქმედებს; ეს კი უშუალოდ ჯოჯოხეთური გზებით გვიახლოვდება. ის ხომ სულიერი ხასიათის მოვლენაა და სწორედ ამიტომ მოქმედებს უფრო გონივრულად და მომაკვდინებლად. ამ მიზეზის გამოა, რომ სიამაყეს ხშირად სხვა მანკიერებანი შეუძლია გამოასწოროს. მაგალითად, მასწავლებლები მოსწავლეთა სიამაყესა და პატივმოყვარეობაზე თამაშობენ, როცა მათ წესიერი ქცევისაკენ მოუწოდებენ. ბევრი ადამიანი ამბობს უარს ცუდ ჩვევებზე, იმ მიზეზით, რომ ეს მის ღირსებას არ შეეფერება. ისინი საკუთარ თავში სიამაყის გაღვიძების წყალობით იმარჯვებენ, ეშმაკი კი ამ დროს სიცილით კვდება. მას ძალიანაც აწყობს, რომ გონიერი,

---

[1] იხ. მათ. 7,21-23.

მამაცი და მტკიცე გახდეთ, თუ ამ დროს თქვენს სულს სიამაყის დიქტატს დაუმორჩილებთ — ზუსტად ისევე, როგორც არაფერი ეჭნებოდა საწინააღმდეგო, რომ ციებ-ცხელებისაგან განკურნებულიყავით, თუ სამაგიეროდ კიბოთი დაგაავადებდათ. სიამაყე ხომ სულის კიბოა, ის ნთქავს სიყვარულს, სიხარულს და თვით ჯანსაღი აზროვნების უნარსაც კი.

სანამ ამ თემაზე საუბარს დავამთავრებდეთ, რამდენიმე რჩევა მინდა მოგცეთ მსგავსი შეცდომების თავიდან ასაცილებლად:

1. თუ სიამოვნებას განიცდით, როდესაც გაქებენ, ეს არ ნიშნავს, რომ ამაყი ხართ. ბავშვი, რომელიც კარგად დასწავლილი გაკვეთილის გამო შეაქეს; ქალი, რომლის სილამაზითაც აღფრთოვანებულია შეყვარებული; გადარჩენილი სული, რომელსაც ქრისტე ეუბნება: „კარგი, ერთგულო მონავ“, — გახარებულები არიან და ეს საკსებით კანონზომიერია. ისინი თვითკმაყოფილებას კი არ განიცდიან, არამედ სიამოვნებთ, რომ სხვისი გახარება შესძლეს.

უბედურება იქ იწყება, როცა იმის მაგივრად, რომ იფიქროთ: „მე ის გავახარე, რა კარგია!“ — ასეთი ფიქრი გიჩნდებათ: „როგორც ჩანს, მე ძალიან კარგი ვარ!“ რაც უფრო მეტად მოგწონთ საკუთარი თავი და რაც უფრო ნაკლებ სიამოვნებას განიცდით შექებისას, მით უფრო უარესი ხდებით. თუ ქება საერთოდ აღარ მოქმედებს თქვენზე და მხოლოდ საკუთარი თავით ტკბობა ხდება თქვენი სიამოვნების ერთადერთი წყარო, მაშინ ჩათვალეთ, რომ უკვე ფსკერზე დაეშვით. აი, რატომაა, რომ პატივმოყვარეობა, ის სიამაყე, რაც ზედაპირზე ტივტივებს, გაცილებით უფრო ნაკლებ საშიში და მისატევებელია.

პატივმოყვარე ადამიანს სწყურია ქება, აპლოდისმენტები, აღფრთოვანება და კომპლიმენტებს ითხოვს. ეს ნაკლია, მაგრამ საკმაოდ ბავშვური და, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, არც თუ ისე საზიანო. ის მოწმობს, რომ საკუთარი თავის გაღმერთება ჯერჯერობით არ გაკმაყოფილებთ. თქვენ ჯერ კიდევ საკმაოდ აფასებთ სხვა ადამიანებს, რადგან მათი ყურადღების მიპყრობას ცდილობთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არის თქვენში რაღაც ადამიანური. შავი, დემონური სიამაყე მხოლოდ მაშინ გიპყრობთ, როცა სხვები უღირს არსებებად მიგაჩნიათ და

სულაც არ გაღელვებთ, რას ფიქრობენ თქვენზე. თუ ჩვენს ცხოვრებას სწორად წარვმართავთ, ზოგჯერ მართლაც არ არის საჭირო სხვებზე ორიენტირება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ჩვენზე ღმერთი. ამაყი ადამიანი სულ სხვა მიზეზის გამო არ აქცევს სხვებს ყურადღებას. ის ამბობს: „რაში მჭირდება ამ ბრბოს წაქეზება? ნუთუ მათი აზრი რაიმეს ნიშნავს? თუნდაც ასე იყოს, საცეკვაოდ პირველად გაწვეული ქალიშვილივით ხომ არ გავწითლდები? მე დამოუკიდებელი, ზრდასრული ადამიანი ვარ. ყველაფერი, რაც საკუთარი იდეალების სამსახურში მყოფს გამიკეთებია, ჩემი განსაკუთრებული ნიჭის წყალობაა, ან იმისა, რომ განსაკუთრებულ ოჯახში დავიბადე, ან იმიტომ, რომ ასეთი ვარ და მორჩა. ბრბოს მოსწონს ეს? მისი საქმეა! ჩემთვის კი ისინი არ არსებობენ“. აქ შეიძლება უკიდურესი სიამაყე პატივმოყვარეობას დაუპირისპირდეს. როგორც მოგახსენეთ, ეშმაკს უყვარს წვრილწვრილი უარყოფითი თვისებების განკურნება, მათი მსხვილი მანკიერებებით შეცვლის მიზნით. პატივმოყვარეობისაგან განკურნების მცდელობისას საშველად სიამაყეს არ უნდა მოვუხმოთ.

2. ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ვიღაც ამაყობს შვილით, მამით, თავისი სკოლით ან სამსახურით. ცოდვად ითვლება თუ არა ამგვარი სიამაყე? ჩემი აზრით, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აზრს ვდებთ სიტყვა „სიამაყეში“, ჩვენთვის ის ხშირად „აღფრთოვანების“ სინონიმია. აღფრთოვანება კი, რასაკვირველია, ცოდვა არ არის.

მაგრამ სხვანაირადაც ხდება: სიტყვა „სიამაყე“ შეიძლება ნიშნავდეს, რომ ადამიანი თავს მნიშვნელოვან პერსონად გრძნობს, რადგან სახელგანთქმული მამა ჰყავს ან ცნობილ გვარს ეკუთვნის. არც ეს არის კარგი, მაგრამ საკუთარი თავით ტკბობას სჯობია. როცა საკუთარი თავის გარდა ვინმე გვიყვარს და აღფრთოვანებულები ვართ მისით, ერთი ნაბიჯით მაინც ვანელებთ საკუთარი სულის ნგრევის პროცესს. თუმცა სრული განკურნებისაგან შორს ვიქნებით მანამ, სანამ ღმერთზე მეტად გვიყვარს და თაყვანს ვცემთ რაიმეს.

3. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ღმერთი იმიტომ კრძალავს სიამაყეს, რომ ეს მისთვის შეურაცხმყოფელია; ჩვენგან თავმდაბლობას იმიტომ როდი ითხოვს, რომ საკუთარ სიდიადეს გაუსვას

ხაზი, თითქოს თავად იყოს სიამაყით დაავადებული. ვფიქრობ, ღმერთს საკუთარი ღირსება ნაკლებად აღელვებს, უბრალოდ სურს, რომ ჩვენ შევიცნოთ იგი. მას უნდა, რომ საკუთარი თავი გვიბოძოს. და თუ ჩვენ მართლაც მივუახლოვდებით მას, უნებლიედ და სიხარულით დავმორჩილდებით და შვებით ამოვისუნთქავთ, როცა გავთავისუფლდებით საკუთარი ღირსებების შესახებ შეთხზული მითისაგან, რომელიც მთელი ცხოვრება არ გვასვენებდა და სიხარულის უნარს გვართმევდა. ის მორჩილებისაკენ იმიტომ მოგვიწოდებს, რომ ცხოვრება გაგვიადვილოს. მას უნდა ის ზიზილ-პიპილო და მახინჯი სამოსი შემოგვაძარცვოს, რომლითაც ვიკაზმებით და ვიბღინძებით. მეც მინდა, რომ მორჩილი და თავმდაბალი ვიყო. მე რომ ამისათვის მიმეღწია, უფრო მეტს გიამბობდით იმ შემსუბუქებასა და სილაღეზე, რომელიც გვეწვევა, როცა სამასკარადო კოსტუმს გავიხდით და ჩამოვიცილებთ ყალბ „მეს" მისი პოზებითა და პრეტენზიებით: „აბა, შემომხედეთ, განა მაგარი ბიჭი არა ვარ?" ამ შემსუბუქებისაკენ გადადგმული ერთი ნაბიჯი იგივეა, რაც ცივი წყალი უდაბნოს პაპანაქებაში.

4. არ იფიქროთ, რომ ნამდვილი მორჩილება სიბეჩავესა და სიგლახაკეს ნიშნავს, როცა ჩვენს არარაობას განგებ ვუსვამთ ხაზს. როცა ნამდვილად მორჩილ ადამიანს შეხვდებით, ნახავთ, რომ ის მხიარულია, გონიერი და ძალიან აინტერესებს, რასაც ეუბნებით. თუ ის არ მოგეწონებათ, ალბათ, იმიტომ, რომ შური გაგკენწლავთ — რანაირად ახერხებს ასე მსუბუქად და მხიარულად აღიქვას ცხოვრება? იგი სულაც არ ფიქრობს თავის მორჩილებაზე; იგი საერთოდ არ ფიქრობს საკუთარ თავზე.

ვისაც მორჩილად გახდომა სურს, შემიძლია პირველი ნაბიჯი ვუკარნახო: შეიგნეთ, რომ ამაყი ხართ. ეს ნაბიჯი ყველაზე მნიშვნელოვანია. ვერაფერს გააწყობთ, სანამ მას არ გადადგამთ. თუ ფიქრობთ, რომ სიამაყე არ გახასიათებთ, მაშინ ნამდვილად ამაყი ყოფილხართ.

9. სიყვარული

წინა თავებში მოგახსენეთ, რომ არსებობს ოთხი ძირითადი და სამი თეოლოგიური სათნოება. თეოლოგიურ სათნოებათა რიცხვს მიეკუთვნებიან რწმენა, სასოება, სიყვარული. რწმენაზე ორ უკანასკნელ თავში ვისაუბრებ. სიყვარულზე უკვე მე-7 თავში ვილაპარაკე, მაგრამ იქ მთელი ყურადღება სიყვარულის იმ მხარეზე გავამახვილე, რომელიც პატიების უნარში მეღავნდება. ახლა მინდა, ნათქვამს ცოტა რამ კიდევ დავუმატო.

სიყვარული გრძნობის კი არა, უფრო მეტად ნებელობის გამოხატულებაა, რომელსაც ბუნებრივად აღვიქვამთ, როცა ის ჩვენსკენაა მომართული და ვსწავლობთ (იმედი მაქვს), როგორ გავავრცელოთ იგი სხვებზე.

იმ თავში, რომელშიც მიტევებაზე ვლაპარაკობდი, ვთქვი, რომ საკუთარი თავის სიყვარული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ის მოგვწონს, უბრალოდ ჩვენ სიკეთე გვსურს მისთვის. ასევე არ გვაკალდებულებს მოყვასისადმი სიყვარული იმას, რომ ჩვენ მისით აღფრთოვანებულები ვიყოთ. ზოგი ადამიანი შეიძლება მოგვწონდეს, ზოგი — არა. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები არც ცოდვაა და არც სათნოება, ისევე როგორც რომელიმე კერძის სიყვარული ან სიძულვილი. ეს უბრალოდ ფაქტია. ხოლო ის, თუ რანაირად გამოვხატავთ მათ ცხოვრებაში, შეიძლება ცოდვად ან სათნოებად იქცეს.

თუ ვინმე მოგვწონს, ადვილია, მის მიმართ შემწყნარებელი ვიყოთ, ყოველნაირად უნდა წავაქეზოთ ჩვენში ბუნებრივი კაცთმოყვარეობა (ისევე, როგორც სპორტისა ან ჯანსაღი საკვებისაკენ მიდრეკილება), რადგან ის ხელს უწყობს ქრისტიანული სიყვარულის გაღვივებას. მეორე მხრივ, ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ზოგიერთი ადამიანის მიმართ სიმპათია სხვების სიყვარულზე არ აისახოს და უსამართლო საქციელისაკენ არ გვიბიძგოს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩვენი მიდრეკილება ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სიყვარულს იგივე ადამიანის მიმართ. მაგალითად, სიყვარულით დაბრმავებულ დედას შეუძლია, ბუნებრივი სინაზის გამო, შვილი გაანებივროს — შვილისადმი გრძნობებს ის გაუცნობიერებლად იკმაყოფილებს მისი მომავალი კეთილდღეობის ხარჯზე.

მართალია, სხვათა მიმართ ბუნებრივი სიმპათიის გაძლიერება სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი. ზოგიერთი ადამიანი ბუნებით ცივია. შეიძლება, ეს უბედურებაა, მაგრამ ისეთივე ცოდვაა, როგორც ცუდი საჭმლის მომნელებელი სისტემა. თუმცა ასეთი ტემპერამენტი მათ სიყვარულის სწავლის მოვალეობისაგან არ ათავისუფლებს. წესი, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ, გარკვევით გვეუბნება: ნუ დაკარგავთ დროს იმაზე ფიქრში, გიყვართ თუ არა მოყვასი; უბრალოდ მოიქეცით ისე, თითქოს გიყვართ და დროთა განმავლობაში შეამჩნევთ, რომ მართლაც იწყებთ მის შეყვარებას. როცა ჩვენთვის არასასურველ ადამიანს რაღაცას ვუშავებთ, ვამჩნევთ, რომ ამის გამო კიდევ უფრო გვეჯავრება იგი; ხოლო თუ სიკეთეს გავუკეთებთ, ვიგრძნობთ, რომ ჩვენი ანტიპათია ნელ-ნელა ქრება. მაგრამ ამ წესსაც აქვს ერთი გამონაკლისი. თუკი კეთილი საქციელი ღმერთის საამებლად, სიყვარულის კანონის თანახმად, კი არ ჩაიდინეთ, არამედ იმის გამო, რომ სხვებისათვის თავი კარგ ადამიანად მოგეჩვენებინათ ან თქვენგან „გაბედნიერებული" ადამიანი თქვენს სამუდამო მოვალედ გექციათ, მაშინ დიდი იმედგაცრუება გელით. ადამიანები სულელები არ არიან. ისინი უმალ ხვდებიან, თუ რა კეთდება ანგარების მიზნით და თავის გამორჩენის მიზნით.

სამაგიეროდ, ყოველთვის, როცა სიკეთეს ვუკეთებთ ვინმეს იმიტომ, რომ ისიც ადამიანია, ჩვენსავით ღვთისაგან შექმნილი, და იმიტომ, რომ მისთვისაც ისევე გვსურს კარგი, როგორც საკუთარი თავისათვის, ცოტა უფრო მეტად გვიყვარდება ეს კაცი. ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი სიყვარული მის მიმართ არ მცირდება.

მართალია, ქრისტიანული სიყვარული ცოტა ცივ გრძნობად ეჩვენებათ მათ, ვინც ზედმეტად მგრძნობიარეა, რადგან ის არ ჰგავს მგზნებარე სიმპათიას და სინაზეს, მაგრამ მას სწორედ სიმპათიისა და სინაზისაკენ მივყავართ. ქრისტიანი სხვა ადამიანებისაგან იმით კი არ განსხვავდება, რომ მას ქრისტიანული სიყვარული ახასიათებს, ამ უკანასკნელთ კი — სიმპათია. არა, განსხვავება იმაშია, რომ თუ სხვა ადამიანები კეთილად ექცევიან მათ, ვინც მოსწონთ, ქრისტიანი ცდილობს, ყველას მიმართ კეთილი იყოს და ნელ-ნელა ამჩნევს, რომ უფრო და უფრო მეტად მოსწონს ადამიანები, ისინიც კი, ვისაც ადრე თბილად ვერ მოიხსენიებდა.

ეს კანონი საწინააღმდეგო მიმართულებითაც ასევე მოქმედებს. შესაძლებელია, გერმანელები თავიდან იმის გამო სდევნიდნენ ებრაელებს, რომ მართლაც ეჯავრებოდათ ისინი. მოგვიანებით კიდევ უფრო შეიჯავრეს სწორედ იმის გამო, რომ სდევნიდნენ და ანადგურებდნენ. რაც უფრო ცუდად ექცევით ადამიანს, მით უფრო გიმძაფრდებათ სიძულვილი მის მიმართ. რაც უფრო გიმძაფრდებათ სიძულვილი, მით უფრო ცუდად ექცევით. მანკიერი წრე იკვრება.

სიკეთე და ბოროტება გეომეტრიული პროგრესიით იზრდებიან. აი, რატომ აქვთ განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჩვენს მიერ ყოველდღიურად მიღებულ პატარ-პატარა გადაწყვეტილებებს. ერთი შეხედვით, დღეს თითქოს შეუმჩნეველი რამ გააკეთეთ — სინამდვილეში კი აიღეთ ციხესიმაგრე, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ გაილაშქრებთ, რაც ადრე თქვენთვის მიუღწეველი იყო. მაგრამ უმნიშვნელო დათმობაც კი ბიწიერი ზრახვის ან მრისხანების წინაშე, გამაგრებული სიმაღლის ან საკვანძო სადგურის დაკარგვად შემოგიბრუნდებათ, საიდანაც მტერი ისეთ შეტევას განახორციელებს, სხვა მხრიდან რომ ვერაფრით ვერ შესძლებდა.

ზოგიერთები „სიყვარულის“ ცნებას მხოლოდ ადამიანთა შორის არსებული ქრისტიანული სიყვარულის აღსანიშნავად როდი იყენებენ, ისინი ამით ღმერთის ადამიანისადმი და ადამიანის ღმერთისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ. ადამიანის სიყვარული ღვთისადმი დღეს ერთ-ერთი დამაფიქრებელი პრობლემაა. ადამიანებმა იციან, რომ ღმერთი უნდა უყვარდეთ, მაგრამ ვერ პოულობენ თავიანთ გულში ამ სიყვარულს. რა უნდა ქნან? პასუხი იგივეა. ისე უნდა მოიქცნენ, თითქოს უყვართ ღმერთი. უნდა დაუსვან საკუთარ თავს კითხვა: „როგორ მოვიქცეოდი, თუ უეჭველად მეცოდინებოდა, რომ ღმერთი მიყვარს?“ ხოლო როცა პასუხს მიაგნებენ, მის ცხოვრებაში განხორციელებას შეეცადონ.

ღვთის სიყვარული ჩვენს მიმართ უფრო ნაკლებად სახიფათო პრობლემაა განსჯისათვის, ვიდრე ჩვენი ღვთისადმი სიყვარული. შეუძლებელია, ვინმეს ერთთავად ღვთისმოსავი გრძნობები ჰქონდეს. რომც გვქონდეს, ღმერთი გრძნობებს როდი მოითხოვს ჩვენგან. ქრისტიანული სიყვარული ღვთისა და ადამიანის მიმართ

ნებელობითი აქტია. უფლის ნების თანახმად, ჩვენ ვცდილობთ აღვასრულოთ მისი აღთქმა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი“.[1] ის თვითონ გვიბოძებს სიყვარულს, თუკი საჭიროდ ჩათვლის. ჩვენ არ ძალგვიძს საკუთარი ძალისხმევით მისი გამომუშავება და ვერც მოვითხოვთ, როგორც ჩვენს კანონიერ კუთვნილებას. გახსოვდეთ უდიდესი ჭეშმარიტება: ჩვენი გრძნობები ჩნდებიან და ქრებიან, ღვთის სიყვარული კი უცვლელია. ის არ მცირდება ჩვენი ცოდვების ან გულგრილობის გამო, ამიტომაც არ იცვლება მისი გადაწყვეტილება, განგვკურნოს ცოდვებისაგან, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს ჩვენ და რაც არ უნდა დაუჯდეს ეს ღმერთს.

10. იმედი

იმედი ერთ-ერთი თეოლოგიური სათნოებაა. გამუდმებული ფიქრი მარადისობაზე სინამდვილიდან გაქცევა კი არ არის (როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ), არამედ ქრისტიანის ერთ-ერთი აუცილებელი მოვალეობაა. ეს არ ნიშნავს, რომ სამყაროს დღევანდელი მდგომარეობა არ უნდა გაღელვებდეს. ისტორიიდან ცხადად ჩანს, რომ ქრისტიანები, რომელთაც ამქვეყნიერი ცხოვრებისათვის ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს, ყველაზე მეტს ფიქრობდნენ მომავალ სასუფეველზე. თავად მოციქულებმა, რომლებმაც რომის იმპერიის გაქრისტიანებას ჩაუყარეს საფუძველი, შუა საუკუნეების კულტურის შემქმნელმა დიდმა ადამიანებმა და ინგლისელმა ევანგელისტებმა, რომლებმაც მონებით ვაჭრობას მოუღეს ბოლო, ამქვეყნად კვალი იმიტომ დატოვეს, რომ მათი გონება საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრობდა გამუდმებით. რაც უფრო ნაკლებს ფიქრობდნენ ქრისტიანები სასუფეველზე, მით უფრო მცირდებოდა მიწიერ ცხოვრებაზე მათი გავლენა. მიზანში ამოიღეთ ზეცა და მიწასაც მოარტყამთ; მიწას თუ დაუმიზნებთ, ვერც ერთს მოინადირებთ და ვერც მეორეს. ეს წესი ცოტა უცნაური ჩანს, მაგრამ ჰგავს, რომ სხვა სფეროებშიც მოქმედებს. მაგალითად, ჯანმრთელობა დიდი სიკეთეა, მაგრამ როგორც კი თქვენს

---

[1] იხ. მათ. 22,37.

მთავარ საზრუნავად გადააქცევთ მას, მოგეჩვენებათ, რომ რაღაც დაემართა. მეტი იფიქრეთ სამუშაოზე, გართობაზე, სუფთა ჰაერზე, გემრიელ საჭმელზე და თქვენი ჯანმრთელობაც წესრიგში იქნება. და კიდევ: თუ მთელ ძალისხმევას ჩვენი ცივილიზაციის გაუმჯობესებისაკენ მივმართავთ, ამ საქმეს ვერაფერში წავადგებით. ამისათვის სხვა რამეზე უნდა იფიქროთ და, რაც მთავარია, სხვა სურვილი უნდა გქონდეთ.

ძალიან ბევრი ჩვენგანი არც თუ ისე დიდი სიხარულით მიისწრაფვის ზეცისაკენ, იქ ყოფნის ერთადერთ სიამოვნებად მათ გარდაცვლილი ახლობლების ნახვა მიაჩნიათ. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ სასუფეველზე ფიქრს არ გვაჩვევენ; მთელი ჩვენი განათლების სისტემა ადამიანის გონებას მხოლოდ ამ წუთისოფლისაკენ მიმართავს. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამგვარი სურვილი თუ გაგვიჩნდება, ჩვენ მას ვერც კი გავაცნობიერებთ. ყველა ადამიანი, ვინც კი საკუთარი გულის სიღრმეში ჩახედვას ისწავლიდა, მიხვდებოდა, რომ ის, რაც ყველაზე ძალიან სურს, ამ წუთისოფელში არ მოიპოვება. აქ თითქოს ბევრი რამ გვიქადის ნანატრ მდგომარეობას, მაგრამ ეს დანაპირები არ სრულდება. ყმაწვილურ ოცნებებს პირველ სიყვარულზე და ზღვის გაღმა მხარეზე, აღელვებას, რომლითაც ახალ საქმეს ვიწყებთ ხოლმე, ვერ დაგვიკმაყოფილებს ვერც ცოლის შერთვა, ვერც მოგზაურობა და ვერც მეცნიერება. უიღბლო ქორწინებას, ჩაშლილ არდადეგებსა და წარუმატებელ სამეცნიერო კარიერას როდი ვგულისხმობ, მე წარმატებით განხორციელებულ ოცნებებზე გელაპარაკებით. თავდაპირველად, როცა ჩვენი ოცნება დაგვირგვინდება, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ლურჯ ფრინველს წავატანეთ ხელი, მაგრამ ის იქვე გაგვისხლტება და გაქრება. ვფიქრობ, გესმით, რაზეც ვსაუბრობ. ცოლი შეიძლება ძალიან კარგი გამოგვადგეს, სასტუმროები და პეიზაჟებიც საუცხოო იყოს, ხოლო ქიმია უაღრესად საინტერესო, მაგრამ მაინც ეს ის არ არის, რაღაც საგულისხმო მაინც გვისხლტება ხელიდან.

ამას სწორი ან არასწორი რეაგირება შეიძლება მოჰყვეს.

1. *ბრიყვის დამოკიდებულება.* ის ყველას და ყველაფერს ადანაშაულებს. მას არ ასვენებს ფიქრი, სხვა ქალთან რომ დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება ან სხვა მოგზაურობა წამომეწყო, მაშინ

შევძლებდი იმ საიდუმლო ბედნიერების მოხელთებას, რასაც დავეძებო. თითქმის ყველა მოწყენილობით შეპყრობილი და იმედგაცრუებული მდიდარი ამ ტიპის ადამიანებს მიეკუთვნება. მთელი ცხოვრების მანძილზე იცვლიან ქალებს, გადადიან კონტინენტიდან კონტინენტზე, ხან ერთი ჰობი აქვთ, ხან — მეორე და არ კარგავენ იმედს, რომ, აჰა, ეს-ესაა წაატანეს ხელი იმ ბედნიერებას, რომელსაც დაეძებდნენ.

2. *იმედგაცრუებული, „საღადმოაზროვნე“ ადამიანის დამოკიდებულება.* ის მალე ხვდება, რომ ყველა იმედი მხოლოდ ცარიელი ოცნება იყო. რასაკვირველია, ამბობს იგი, როცა ახალგაზრდა ხართ, დიდი იმედებით სულდგმულობთ, მაგრამ მიაღწევთ ჩემს ასაკს და თავს დაანებებთ ქარის დევნას. ამით ის მშვიდდება, ცდილობს ბევრი არ მოითხოვოს ცხოვრებისაგან და ყურადღებას არ აქცევს ხმას, რომელიც ჯადოსნური შორეთისაკენ ეზიდება. ეს, რასაკვირველია, უკეთესია, ადამიანი თავადაც შედარებით ბედნიერად გრძნობს თავს და არც სხვებს უწუხებს გულს. ის, როგორც წესი, ერთგვარი მფარველობით ექცევა ახალგაზრდებს; მისი ცხოვრება კი საკმაოდ მშვიდად მიედინება. ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, საუკუნო ცხოვრებისათვის რომ არ ვიყოთ გაჩენილი. იქნებ უსაზღვრო ბედნიერება მართლაც არსებობს და სადღაც გველოდება? იქნებ მართლა შეიძლება ლურჯი ფრინველის დაჭერა? ძალიან სამწუხარო იქნებოდა, თუ აღმოვაჩენდით (სიკვდილის შემდეგ), რომ „საღმა აზროვნებამ“ ამ ბედნიერებით ტკბობის შესაძლებლობა წაგვართვა.

3. *ქრისტიანის დამოკიდებულება.* ქრისტიანი ამბობს: „ყველა ცოცხალი არსება ამ ქვეყნად იმ სურვილებით იბადება, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლებელია. ბავშვს შია, მაგრამ საჭმელი ხომ იმისათვის არსებობს, რომ ეს შიმშილის გრძნობა დაკმაყოფილდეს. ბატის ჭუკს ცურვა უნდა და, აჰა, წყალიც. ადამიანები საწინააღმდეგო სქესის მიმართ განიცდიან ლტოლვას, სექსუალური ურთიერთობებიც ხომ ამისათვის არის მოგონილი. თუ მე ისეთი სურვილები მიჩნდება, რომელთა დაკმაყოფილებაც ამ სამყაროში არ შეიძლება, მაშინ სხვა სამყაროსთვის ვყოფილვარ გაჩენილი. თუ მიწიერ სიამოვნებებს ბედნიერება არ მოაქვთ, ეს არ ნიშნავს, რომ სამყარო მოჩვენებითია. შეიძლება, ამქვეყნიური სიამოვნებანი

შეუწყნარებელი სურვილის დაკმაყოფილებისათვის კი არ არსებობენ, არამედ აღგვაგზნებენ და იმ შორეული მხარისაკენ გვეზიდებიან, სადაც ჭეშმარიტება უნდა შევიტყოთ. თუ ასეა, სასოს არასოდეს წარვიკვეთ და მადლიერების გრძნობით ავივსები ამ მიწიერი სიკეთეების მიმართ; მეორე მხრივ კი, მეცოდინება, რომ ისინი ჭეშმარიტი ბედნიერების მხოლოდ მკრთალ ანარეკლებს წარმოადგენენ. მე უნდა შევინარჩუნო ეს გაუცნობიერებელი ლტოლვა ჩემი ნამდვილი სამშობლოსაკენ, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიხილავ. არ უნდა დავუშვათ, რომ ის თვალს მიეფაროს ან ჩვენ თვითონ გადავუხვიოთ სხვა მხარეს. მე მინდა, მივაღწიო ამ ქვეყანას და სხვებსაც დავეხმარო ამაში. ეს იქნება ჩემი ცხოვრების მიზანი."

განა ღირს ყურადღება მივაქციოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მასხარად იგდებენ ქრისტიანთა ოცნებას სასუფეველზე, როდესაც ამბობენ, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ მარადისობა ქნარის კვრაში გაატარონ? ასეთ ხალხს ვეტყოდი, რომ თუ არ შეუძლიათ ზრდასრული ადამიანებისათვის დაწერილი წიგნების გაგება, მაშინ არც უნდა იმსჯელონ მათზე. საღმრთო წერილის ყველა სახე-სიმბოლო (ქნარები, გვირგვინები, ოქრო) მხოლოდ გამოუთქმელის გამოხატვის მცდელობაა და მეტი არაფერი. მუსიკალური საკრავები ბიბლიაში იმიტომ იხსენიება, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის (მაგრამ ყველასათვის არა), მუსიკა ყველაზე უკეთ გამოხატავს ამაღლებულობისა და უსასრულობის განცდას. გვირგვინი იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთთან შერწყმული ადამიანები მის დიდებასა და ძლიერებას გაიზიარებენ. ოქრო კი მარადიულობისა (ის ხომ არ იჟანგება) და წარუვალი ფასეულობის სიმბოლოა. ვისაც ეს სიმბოლოები პირდაპირი მნიშვნელობით ესმის, იქნებ ისიც ჰგონია, რომ როცა ქრისტემ გვითხრა, მტრედებივით იყავითო, მას სურდა, რომ კვერცხები დაგვედო?

11. რწმენა

ამ თავში იმაზე უნდა ვისაუბროთ, რასაც ქრისტიანები რწმენას ეძახიან. აშკარაა, რომ ამ სიტყვას ისინი ორი მნიშვნელობით ხმარობენ. პირველი მნიშვნელობით ის ქრისტიანული მოძღვრების მიღებას ან მის ჭეშმარიტად მიჩნევას აღნიშნავს. თითქოს აქ რთული არაფერია, მაგრამ ადამიანებს ერთი რამ აფიქრებთ (ერთ დროს მეც მაფიქრებდა): რწმენას, ამ მნიშვნელობით, ქრისტიანები სათნოებად მიიჩნევენ. მახსოვს, როგორ ვკითხულობდი, რატომ, რის საფუძველზე შეიძლება იყოს ის სათნოება — რა არის ზნეობრივი ან არაზნეობრივი გარკვეული მტკიცების მიღებაში? მე ვამბობდი, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი იღებს ან უარყოფს რაღაცას არა იმიტომ, რომ მას ასე სურს, არამედ იმის გამო, რომ მოყვანილი არგუმენტები რაიმეში არწმუნებენ ან ვერ არწმუნებენ. თუ ის შეცდა და არგუმენტების ძალა ვერ შეაფასა, ეს არ ნიშნავს, რომ ის ცუდი ადამიანია, თუმცა, შეიძლება, არც თუ ისე გონიერი იყოს. თუ არგუმენტები არადამარწმუნებლად მიაჩნია და მაინც ცდილობს, რომ ირწმუნოს, ეს სისულელეა.

რას იზამ, მე დღესაც ასე ვფიქრობ, მაგრამ მაშინ ვერ ვხედავდი იმას, რასაც ბევრი დღესაც ვერ ხედავს. მე ვთვლიდი, რომ თუ ადამიანის გონებამ ერთხელ რაღაც ჭეშმარიტად სცნო, ის ჭეშმარიტებად ჩათვლის მას მანამ, სანამ ერთხელ ჩამოყალიბებული აზრის გადასინჯვის მნიშვნელოვანი მიზეზი არ გამოუჩნდება. კერძოდ, მიმაჩნდა, რომ ადამიანის ლოგიკას მხოლოდ გონება მართავს. მაგრამ ეს ასე არ არის. ვთქვათ, დამაჯერებელი მტკიცებების საფუძველზე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები ხუთვას არ იწვევენ, გამოცდილი ქირურგი კი მანამ არ დაიწყებს ოპერაციას, სანამ არ დავიძინებ. თუმცა, როცა საოპერაციო მაგიდაზე მაწვენენ და სახეზე იმ საშინელ ნიღაბს ვგრძნობ, ბავშვივით პანიკა მიპყრობს. მეჩვენება, რომ საცაა დავიხრჩობი; მეშინია, რომ მანამ გამჭრიან, სანამ ჩემი ცნობიერება გამოითიშება. სსვაგვარად რომ ვთქვათ, მე მეკარგება ანესთეზიის რწმენა არა იმიტომ, რომ ის ჯანსაღ აზრს ეწინააღმდეგება, პირიქით, სწორედ მასზეა დაფუძნებული. მე რწმენას ემოციებისა და წარმოსახვის გამო ვკარგავ. ბრძოლა მიმდინარეობს, ერთი მხრივ,

რწმენასა და გონებას, ხოლო, მეორე მხრივ, ემოციებსა და წარმოსახვას შორის.

როცა ამ საკითხზე დაფიქრდებით, გონებაში ბევრი მაგალითი წამოგიტივტივდებათ. ყმაწვილმა სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით იცის, რომ მისი ნაცნობი ქალიშვილი მატყუარაა, საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია და ამიტომ არ უნდა ენდო, მაგრამ როცა მასთან ერთადაა, მისი გონება კარგავს ამ რწმენას და ბიჭი ფიქრობს: „შეიძლება, ის გამოსწორდა", და კიდევ ერთხელ ვარდება სულელურ მდგომარეობაში, რადგან ქალიშვილს ისეთ რამეს უყვება, რისი მოყოლაც მისთვის არ შეიძლებოდა. გრძნობებმა და ემოციებმა დაუნგრიეს ყმაწვილს სიმართლის რწმენა.

ანდა ავიღოთ სხვა მაგალითი: ბიჭი ცურვას სწავლობს. მან იცის, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ადამიანის სხეული ჩაიძიროს, თუ მას წყლის ზედაპირზე საყრდენის გარეშე დავტოვებთ, მას ხომ ათობით მოცურავე ადამიანი უნახავს, მაგრამ შეინარჩუნებს ის ამ რწმენას, როცა მწვრთნელი ხელს გაუშვებს და წყალზე საყრდენის გარეშე დატოვებს? თუ რწმენას დაკარგავს, შეეშინდება და ჩაიძირება?

დაახლოებით იგივეს ვაწყდებით ქრისტიანობასთან დაკავშირებითაც. მე არ ვთხოვ ვინმეს, ქრისტე იწამოს, თუკი მისი გონება, რაღაც მტკიცებების საფუძველზე, საწინააღმდეგოს ეუბნება. რწმენა ასე არ მოდის. მაგრამ, დავუშვათ, რომ გონების ხმა, ისევ და ისევ გარკვეული მტკიცებების საფუძველზე, ქრისტეს სასარგებლოდ ლაპარაკობს. შემიძლია ვთქვა, თუ რა მოხდება რამდენიმე კვირის შემდეგ. დადგება მომენტი, როცა რაღაც ცუდ ამბავს გაიგებთ, უბედურებაში გაეხვევით ან შეხვდებით ადამიანებს, რომლებსაც არ სწამთ ის, რაც თქვენ იწამეთ და თქვენს რწმენას მაშინვე შეეჯახებიან საპირისპირო გრძნობები. ან დადგება ისეთი წუთი, რომ ქალისადმი ლტოლვა დაგეუფლებათ, სიცრუის თქმა დაგჭირდებათ, საკუთარი თავით ტკბობა მოგინდებათ, ფულის შოვნის არც თუ ისე პატიოსანი გზა გამოჩნდება — ერთი სიტყვით, წუთი, როცა უკეთესი იქნებოდა, რომ ქრისტიანული რწმენა საერთოდ არ არსებულიყო და თქვენს რწმენას კვლავ ბრძოლის გადატანა მოუწევს. მე არ ვლაპარაკობ იმ შემთხვევებზე, როცა ქრისტიანობის საწინააღმდეგო ლოგიკურ არგუმენტებს გადააწყდე-

ბით. ამგვარ არგუმენტებსა და ფაქტებს თამამად უნდა შეხედოთ, მაგრამ ახლა ამაზე არაა საუბარი. მე იმ შემთხვევებზე ვლაპარაკობ, როცა ჩვენს რწმენას ჩვენივე განწყობა და გრძნობები ეწინააღმდეგებიან.

რწმენა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც მე ახლა ამ სიტყვას ვხმარობ, — ესაა ხელოვნება, დაიცვა გონების მიერ ერთხელ აღიარებული შეხედულებები, განწყობილების ცვალებადობის მიუხედავად; განწყობილება რომ ნამდვილად შეგეცვლებათ, ეს პირადი გამოცდილებიდან ვიცი. რაც ქრისტიანი გავხდი, ხანდახან მეუფლება ხოლმე ისეთი განწყობა, როცა ქრისტიანული ჭეშმარიტებები ნაკლებ დამაჯერებლად მეჩვენება; ათეისტად ყოფნისას კი ზოგჯერ იმგვარ ხასიათზე ვიყავი, რომ ისინი სავსებით დამაჯერებლად მეჩვენებოდა. გრძნობათა და განწყობილებათა ამგვარ ამბოხს თქვენი შინაგანი „მეს“ წინააღმდეგ ვერსად გაექცევით. აი, რატომაა რწმენა ასე აუცილებელი. სანამ თქვენი განწყობილებების მართვას არ ისწავლით, ვერც მტკიცე ქრისტიანი გახდებით და ვერც ურყევი ათეისტი. თქვენ იქნებით მუდმივად აფორიაქებული არსება, რომლის შეხედულებებიც ამინდზე ან კუჭის მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ ამიტომ უნდა გამოიმუშავოს ადამიანმა რწმენის ჩვევა.

პირველ ნაბიჯს მაშინ გადადგამთ, როცა აღიარებთ, რომ თქვენი განწყობა გამუდმებით იცვლება. შემდეგ: თუ თქვენ ქრისტიანობა მიიღეთ, იზრუნეთ იმაზე, რომ ყოველდღე მიუბრუნდეთ გონებით მის ძირითად დებულებებს. აი, რატომაა, რომ ყოველდღიური ლოცვები, რელიგიური წიგნების კითხვა და ეკლესიაში სიარული ქრისტიანული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყოველ წამს უნდა შევახსენოთ ჩვენს თავს, რა გვწამს. არც ქრისტიანული შეხედულებები და არც სხვა რაიმე თვალსაზრისი ავტომატურად არ განმტკიცდება. ისინი აუცილებლად უნდა ვკვებოთ. ამოარჩიეთ ქრისტიანობისაგან განმდგარი ასი ადამიანი და ჰკითხეთ, თუ რამდენმა მათგანმა დაჰკარგა რწმენა გონების მიერ წამოყენებული არგუმენტების გავლენით? დაინახავთ, რომ უმრავლესობა ქრისტიანობას ისე, უბრალოდ, ინერციის გამო განუდგა.

ახლა კი სიტყვა „რწმენის“ უფრო ამაღლებულ მნიშვნელობაზე უნდა გადავიდე და ეს ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ყველაფერი ის, რაზეც აქამდე ვილაპარაკე. დასაწყისში ისევ მორჩილებას დავუბრუნდეთ. თუ გახსოვთ, გითხარით, რომ ამ გზაზე პირველი ნაბიჯი საკუთარი სიამაყის აღიარებაა. მეორე ნაბიჯია — სერიოზულად შეეცადო ქრისტიანულ სათნოებათა მიხედვით ცხოვრებას. ერთი კვირა ამ საქმისათვის ძალზე ცოტა დროა — დროის ეს მცირე მონაკვეთი ვერაფერს გვიჩვენებს. ამ გზაზე შედგომას ექვსი კვირის განმავლობაში მაინც უნდა ცდილობდეთ. თუ სრული მარცხი განიცადეთ, შეიძლება იმაზე დაბლა დაეშვათ, ვიდრე გზის დასაწყისში იყავით და საკუთარი თავიც უკეთ შეიცნოთ. არც ერთმა ადამიანმა არ იცის, როგორი ცუდია, სანამ კარგად გადაქცევას არ შეეცდება.

ჩვენს დროში, რაც არ უნდა სულელურად ჩანდეს, ფიქრობენ, რომ კარგმა ადამიანებმა არ იციან, რა არის ცდუნება. ეს სიცრუეა. ცდუნების ჭეშმარიტი ძალა მხოლოდ მათ იციან, ვინც ცდილობს, რომ წინ აღუდგეს მას. თქვენ ნახეთ, თუ რაოდენ ძლიერი იყო გერმანელთა ჯარი, ბრძოლისას და არა ტყვეთა ბანაკში ყოფნისას. ქარის ძალას მხოლოდ მაშინ შეიგრძნობთ, როცა მის წინააღმდეგ წახვალთ და არა მიწაზე წოლისას. ადამიანმა, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ დაემორჩილა ცდუნებას, არ იცის, რა სახეს მიიღებდა ის ერთი საათის შემდეგ. აი, რატომ არის, რომ ცუდმა ადამიანებმა ძალიან ბუნდოვნად იციან, თუ რა არის ბოროტება. ისინი თავს იმით იცავენ, რომ ნებესმიერ ცდუნებას მაშინვე ნებდებიან. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ ბოროტი იმპულისის ძალას, თუ არ შევეწინააღმდეგებით მას. ქრისტე ერთადერთი ადამიანი იყო დედამიწაზე, რომელიც ცდუნებას არასოდეს დანებებია; ამიტომ სწორედ იგი იცნობდა მას მთელი სიგრძე-სიგანით.

ამრიგად, როცა სერიოზულად ვცდილობთ არ გადავუხვიოთ ქრისტიანულ სათნოებებს, ამით იმის აღიარებას ვსწავლობთ, რომ მათთან თანხმობაში ცხოვრება არ შეგვიძლია. უნდა უკუვაგდოთ ის აზრი, რომ ღმერთი გამოცდას ისეთს გვიწყობს, რომელშიც კარგი ნიშნის მიღება შეგვიძლია. არც ის წარმოდგენა ვარგა, თითქოს ადამიანსა და ღმერთს შორის რაღაც გარიგება არსებობს

და თუ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას შევასრულებთ, ღმერთიც იძულებული გახდება, თავისი დანაპირები შეგვისრულოს.

ჩემი აზრით, ყველას, ვისაც ღმერთის ბუნდოვანი რწმენა ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანი გახდებოდა, ალბათ, უფიქრია ამგვარ გამოცდასა ან გარიგებაზე. მაგრამ როცა ქრისტიანები ვხდებით, ასეთი აზრი ქარწყლდება. და როცა იგი ქარწყლდება, მაშინ ზოგიერთი ასკვნის, რომ თავად ქრისტიანობა ხელმოცარვაა და უარს ამბობს მასზე. მათ, როგორც ჩანს, ღმერთი ბრიყვად წარმოუდგენიათ. მაგრამ ის ყველაფერს ხედავს. ქრისტიანობის ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ზემოთ ხსენებული წარმოდგენები გააქარწყლოს. ღმერთი იმ წამს ელოდება, როცა დავინახავთ, რომ გამსვლელ ქულებს ამ გამოცდაზე ვერ მოვაგროვებთ და მას ჩვენს მოვალედ ვერ გადავაქცევთ. შემდეგ ახალ აღმოჩენას აქვს ადგილი. ნებისმიერი უნარი ღვთის ბოძებულია და ჩვენი ცხოვრების ყოველი წამი რომ მის სამსახურში გავატაროთ, ვერაფერს მივცემთ ისეთს, რაც თავად მას არ ეკუთვნის. როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანი ღმერთისათვის აკეთებს რამეს, იმ პატარა ბიჭივით ვიქცევით, მამასთან რომ მიდის და ეუბნება: „მამა, მომეცი ფული, რომ საჩუქარი გიყიდო". რასაკვირველია, მამა მისცემს და საჩუქარიც ძალიან გაუხარდება, ეს ყველაფერი სწორია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ სულელი თუ იფიქრებს, რომ მამა მოგებული დარჩა. როცა ადამიანი ამ აღმოჩენას გააკეთებს, ღმერთიც მაშინ მოხედავს მას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მისთვის ნამდვილი ცხოვრება. ადამიანი იღვიძებს_ ახლა შეგვიძლია, „რწმენის" მეორე მნიშვნელობაზე გადავიდეთ.

12. რწმენა (გაგრძელება)

მინდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ იმას, რით დავიწყებ საუბარს. საუბარი კი ვარაუდით უნდა დავიწყო. თუ ეს თავი საინტერესოდ არ მოგეჩვენებათ, თუ ჩათვლით, რომ მე ისეთ კითხვებზე ვცდილობ პასუხის გაცემას, რომლებიც არ დაგისვამთ, ნუ წაიკითხავთ მას. ქრისტიანობაში არის ისეთი რამ, რაც ქრისტიანად გახდომამდეც შეიძლება გაიგო. მაგრამ არის რაღაცეები,

რასაც ვერ გაიგებ, სანამ გზის ნაწილს მაინც არ გაივლი. ეს პრაქტიკული საკითხები გახლავთ, თუმცა ერთი შეხედვით სხვაგვარად გამოიყურებიან. ისინი თითქოს მიმართულებას გიჩვენებენ, გზაჯვარედინებს ნიშნავენ და გაფრთხილებენ იმ წინააღმდეგობათა შესახებ, რომლებიც გზაზე შეგხვდებათ. ბუნებრივია, მას, ვისაც ჯერ გზაჯვარედინამდე არ მიულწევია და არც რაიმე დაბრკოლება გადაულახავს, ისინი ვერაფერს ეტყვიან. ყოველთვის, როცა ქრისტიანულ ლიტერატურაში ისეთ რამეს წააწყდებით, რასაც თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, დაუფიქრებლად აუარეთ გვერდი. შეიძლება, არც იყო საჭირო, ეს საკითხი რომ ძალიან ადრე გაგეგოთ.

ზემოთ ნათქვამი, შეიძლება, ჩემს წინააღმდეგ შემობრუნდეს. იქნებ მე იმის ახსნას ვაპირებ, რაც ჯერ თავადაც ვერ გამიგია? ამიტომ ვთხოვ იმ ქრისტიანებს, რომლებიც კარგად იცნობენ ქრისტიანული მოძღვრების ფაქიზ ნიუანსებს, ჩემი აზრის მდინარებას ყურადღება მიაქციონ და შეცდომებზე მიმითითონ. დანარჩენებს კი ვთხოვ, რომ რასაც ვიტყვი, აღიქვან ჭეშმარიტების მცირე ნაწილად, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც არ ვარ საკუთარ სიმართლეში მყარად დარწმუნებული.

შევეცდები, „რწმენის“ მეორე, უფრო ამაღლებულ მნიშვნელობაზე ვილაპარაკო. ამის გააზრების მოთხოვნილება მანამ არ გაგიჩნდებათ, სანამ ყველაფერს არ მოიმოქმედებთ ქრისტიანულ სათნოებათა აღსასრულებლად და არ დაინახავთ, რომ ეს შეუძლებელია; სანამ არ მიხვდებით, რომ შეგძლებოდათ კიდეც, ღმერთს მხოლოდ იმას მიაგებდით, რაც მას ისედაც ეკუთვნის. ერთი სიტყვით, ეს მოთხოვნილება მაშინ ჩნდება, როცა თავს მთლიანად გაკოტრებულად ვცნობთ.

ნება მომეცით, კიდევ გავიმეორო: ღმერთისთვის ჩვენს ქმედებებზე უფრო მნიშვნელოვანი ჩვენი სულიერი მდგომარეობაა. მას სურს, რომ ჩვენ განსაკუთრებული არსებები ვიყოთ, ისეთები, როგორადაც თავიდან ჩაგვიფიქრა, ანუ გარკვეული სახით მასთან კავშირში მყოფნი. არ არის აუცილებელი დავამატოთ „ერთმანეთთან კავშირში მყოფნიც“, რადგან ეს თავისთავად იგულისხმება. თუ თქვენ სწორ ურთიერთობას დაამყარებთ ღმერთთან,

მაშინ ასეთივე ურთიერთობა გექნებათ ირგვლივ მყოფ თანამოძმეებთანაც. მაგრამ სანამ ადამიანი ღმერთს იმ გამომცდელად მიიჩნევს, რომელიც შესამოწმებელ დავალებას გვთავაზობს, ან ორმხრივი გარიგების ერთ-ერთ მხარედ აღიქვამს მას; სანამ თვლის, რომ ჩვენ ერთმანეთს მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, ღმერთთან სწორ ურთიერთობაზე ლაპარაკიც ნაადრევია. ამ ადამიანს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რას წარმოადგენს თვითონ და რა არის ღმერთი.

ადამიანი შემოქმედთან ნამდვილ ურთიერთობას ვერ დაამყარებს, სანამ საკუთარ გაკოტრებას არ აღმოაჩენს. ეს ვითარება თავად უნდა აღმოაჩინოს, თორემ სხვისი ფეხის ხმის აყოლა არ გამოადგება. გარკვეული რელიგიური განათლების მიღების შემდეგ ბავშვმაც კი შეიძლება დაიწყოს იმის გამეორება, რომ ჩვენ ისეთს ვერაფერს შევთავაზებთ ღმერთს, რაც მას ისედაც არ ეკუთვნის, და ამ რაღაცასაც ვერ გავიღებთ მთლიანად, ისე, რომ ჩვენთვისაც არ დავიტოვოთ. მე კი მხედველობაში მაქვს ნამდვილი აღმოჩენა, როცა ადამიანი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე რწმუნდება, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

ღვთის კანონების მიხედვით ცხოვრება რომ არ ძალგვიძს, ამის აღმოჩენას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა გულწრფელად და მთელი ძალით შევეცდებით მათ აღსრულებას. სანამ მთელ გულისყურს არ მოვიკრებთ, გულის სიღრმეში მაინც გვექნება იმედი, რომ შემდეგში, უფრო წარმატებული მცდელობისას, მაინც გავხდებით უცოდველნი. ამგვარად, ღმერთთან დაბრუნება, ერთი მხრივ, დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ძალისხმევა როდი მიგვიყვანს ნანატრ მიზანთან. სამაგიეროდ, მას იმ მნიშვნელოვან წამთან მივყავართ, როცა ღმერთისაკენ შემოვბრუნდებით და ვთხოვთ: „შენ გააკეთე, მე ამის ძალა არ შემწევს". და ძალიან გთხოვთ, ნუ შემეკითხებით, მივაღწიე თუ არა მე ამას. ნუ დაიწყებთ ქექვას თქვენს შეგრძნებებში იმის გასაგებად, დგება თუ არა ეს მნიშვნელოვანი წამი. როდესაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, ჩვენ ხშირად ვერც კი ვამჩნევთ მას. ადამიანი არასოდეს ამბობს: „რა კარგია, მე ვიზრდები!" გაზრდას ის საკუთარ თავს მხოლოდ მაშინ შეატყობს, როცა უკან მოიხედავს. ამგვარი ვითარება უფრო მარტივ სიტუაციებშიც შეიძლება შევნიშნოთ.

ადამიანი, რომელიც მთელი მონდომებით ცდილობს ძილს მისცეს თავი, მოსალოდნელია, რომ ვერ დაიძინოს. ეს მნიშვნელოვანი წამი, შეიძლება, ისე მეხის დაცემასავით არ მოიწიოს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ეს პავლე მოციქულსა და ბუნიანს დაემართათ. ზოგჯერ ეს ნელ-ნელა, თანდათანობით ხდება და ადამიანი ვერც საათს მიგითითებთ და ვერც წელს, თუ როდის მოხდა მასში მნიშვნელოვანი გარდატეხა. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხდა და არა ის, რომ ჩვენ ვიგრძენით. გარდატეხა იმაში იჩენს თავს, რომ საკუთარი ძალების რწმენა იმგვარი მდგომარეობით შეგვეცვლება, როცა სასოწარკვეთილნი ღმერთს მივანებებთ ყველაფერს.

ვიცი, რომ სიტყვებმა „ღმერთს მივანებებთ ყველაფერს", შეიძლება, შეცდომაში შეგიყვანოთ. და მაინც, მათი წარმოთქმა აუცილებელია. ქრისტიანისათვის ეს ნიშნავს — „ყველაფერი ქრისტეს მიანდოს", ასე გამოხატავს ის იმ სასოებას, რომ ქრისტე რაღაცნაირად გვაზიარებს სრული მორჩილების მისეულ უნარს, რომელიც ახასიათებდა მას შობიდან ჯვარცმამდე. ამ სიტყვებში გაისმის იმედი, რომ ქრისტე მიიმსგავსებს ადამიანს, განკურნავს მას სისუსტისა და მანკიერი თვისებებისაგან. როგორც ქრისტიანები ამბობენ, ძე ღვთისა გვაზიარებს თავის ღვთაებრივ ბუნებასთან და თავისი ძეობის თანამონაწილეებად გაგვხდის. მეოთხე წიგნში შევეცდები, უფრო უკეთ განვმარტო ამ სიტყვების მნიშვნელობა.

ამრიგად, ქრისტე გვთავაზობს რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანს და თანაც უსასყიდლოდ; უფრო მეტიც, ის უსასყიდლოდ გვთავაზობს ყველაფერს. ქრისტიანული ცხოვრება გარკვეული თვალსაზრისით იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად განსაკუთრებულ წინადადებას ვიღებთ. ძნელია იმის აღიარება, რომ ყველაფერი, რაც გავაკეთეთ და რის გაკეთებასაც მომავალში შევძლებთ — არსებითად არარაობაა. თუმცა ჩვენი საზრუნავის ქრისტესთვის გადაბარება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოქმედება უნდა შევწყვიტოთ და ყოველგვარ მცდელობაზე ხელი ავიღოთ. მასზე მინდობილებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რასაც გვიკარნახებს. რა აზრი აქვს იმაზე ლაპარაკს, რომ თქვენ ვიღაცას ენდობით, თუკი მის რჩევებს არ შეასრულებთ? თუ თქვენ მართლაც მიენდეთ ღმერთს, მაშინ, შეძლებისდაგვარად, კიდეც უნდა

დაემორჩილოთ მას. მაგრამ თქვენ ახლა სხვანაირად უნდა სცადოთ, დიდი მღელვარების გარეშე. თქვენ ამას შეასრულებთ არა იმის გამო, რომ გადარჩეთ, არამედ იმიტომ, რომ იგი უკვე შეუდგა თქვენს გადარჩენას. თქვენ იმოქმედებთ არა იმის გამო, რომ ზეცაში მოხვდეთ, არამედ იმიტომ, რომ ზეციური სხივის მკრთალი ათინათი უკვე თქვენშია.

ქრისტიანები ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, თუ რას მიჰყავს ადამიანი სასუფეველში — კეთილ საქმეებს თუ ქრისტეს რწმენას. არ ვიცი, მაქვს თუ არა ასეთი რთული საკითხის განსჯის უფლება, მაგრამ ეს ივივეა, რომ ვიკითხოთ, მაკრატლის რომელი პირი უფრო მნიშვნელოვანია. მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი ძალისხმევა დაგეხმარებათ იმის მიხვედრაში, რომ მთელი თქვენი ძალისხმევა ამაოა; მაშინ მხოლოდ ქრისტეს რწმენას ძალუძს სასოწარკვეთისაგან გადაგარჩინოთ. ეს რწმენა კი აუცილებლად კეთილ საქმეებთან მიგიყვანთ.

არსებობს ორი პაროდია იმ ჭეშმარიტებებზე, რომლებსაც აღიარებდა ქრისტიანთა გარკვეული ნაწილი და რომლებიც სხვა ქრისტიანებმა დაგმეს. თუ ამ პაროდიებზე დავფიქრდებით, შეიძლება, უფრო ცხადი შეიქნეს თავად ჭეშმარიტება.

ერთ-ერთი აზრი, რომელიც დაგმობილ იქნა, ასეთია: „მნიშვნელოვანია მხოლოდ კეთილი საქმეები. მათგან ყველაზე უკეთესი კი ქველმოქმედებაა. ქველმოქმედების საუკეთესო ფორმა კი — ფულადი შემოწირულობა. ვის უნდა შესწიროს ადამიანმა ფული თუ არა ეკლესიას? ასე რომ, გაიღეთ ეკლესიისათვის 10 000 გირვანქა სტერლინგი და ის იზრუნებს თქვენი სულისათვის“. ამ უაზრობას, ალბათ, შემდეგი პასუხი უნდა გავცეთ: „ზეცის მოსყიდვის მიზნით ჩადენილი კეთილი საქმეები სულაც არ გახლავთ სიკეთე. ეს უბრალოდ სავაჭრო ხელშეკრულებაა.“

მეორე მცდარი აზრი მოგვიწოდებდა: „მნიშვნელოვანია მხოლოდ რწმენა. აქედან გამომდინარე, თუ რწმენა გაქვთ, თქვენს საქციელს მნიშვნელობა აღარ ენიჭება. შესცოდეთ რამდენიც გნებავთ, გაერთეთ, დასტკბით ცხოვრებით, ქრისტე კი იზრუნებს იმაზე, რომ ეს ყველაფერი თქვენს საუკუნო ცხოვრებაზე არ აისახოს“. ამ ბოდვას კი ამგვარი პასუხი შეიძლება გაეცეს: „თუ ის, რასაც თქვენ ქრისტეს რწმენას ეძახით, არ გაიძულებთ ყურადღება

მიაქციოთ მის რჩევებს, მაშინ მას რწმენას ვერ ვუწოდებთ. თქვენ არც ნდობა გაქვთ მისი და არც რწმენა, მხოლოდ გარკვეული ცოდნა გაგაჩნიათ."

რომელი უფრო მნიშვნელოვანია, საქმე თუ რწმენა, ამ კითხვაზე ბიბლია ერთი შესანიშნავი ფრაზით პასუხობს. მის პირველ ნახევარში ვკითხულობთ: „შიშით და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად." და ასე გვგონია, რომ თითქოს ყველაფერი ჩვენზე და ჩვენს საქმეებზეა დამოკიდებული; მაგრამ ფრაზის მეორე ნაწილში ნათქვამია: „ღმერთი იქმს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით" (ფილ. 2,12-13). ამით ცხადი ხდება, რომ ღმერთი აკეთებს ჩვენს მაგივრად ყველაფერს. სწორედ ამ დილემას ვაწყდებით ქრისტიანობაში.

ხანდახან მეც ჩიხში ვექცევი, მაგრამ არ მიკვირს. ჩვენ ახლა გაგებას და ორგვარ განმარტებას ვცდილობთ იმისას, რაც განმარტებას საერთოდ არ ექვემდებარება, კერძოდ: რას აკეთებენ ღმერთი და კაცი, როცა ისინი შეერთებულად მოქმედებენ? გონებაში ჩვენ მათ ორ ერთად მომუშავე ადამიანს ვადარებთ, როცა შეიძლება თქვა, რომ „ერთმა ეს გააკეთა, მეორემ კი, აი, ეს". მაგრამ ასეთი შედარება ზუსტი არ არის, რადგან ღმერთი ადამიანი არაა. ის ჩვენშიც მოქმედებს და გარე სამყაროშიც. კიდეც რომ მოვახერხოთ იმის გაგება, ვინ რას აკეთებს, ალბათ, ადამიანის ენა მის გამოხატვას ვერ შესძლებს.

მაინც ცდილობენ ამის გამოხატვას და სხვადასხვა ეკლესია სხვადასხვა რამეს ამბობს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი, რომლებიც განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ კეთილი საქმეების მნიშვნელობას, რწმენის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ; ისინი კი, ვინც რწმენას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, კეთილ საქმეებსაც აუცილებლად მიიჩნევენ. ეს არის, რისი თქმაც ამ საკითხზე შემიძლია.

ვფიქრობ, ყველა ქრისტიანი დამეთანხმება, რომ, მართლაც ერთი შეხედვით, ქრისტიანობა ზნეობაზე, მოვალეობაზე, ადათწესების დაცვაზე, ცოდვა-ბრალზე და სათნოებებზე დაიყვანება, მაგრამ მას უფრო შორს, ამ ცნებათა საზღვრებს მიღმა გავყავართ. ადამიანი ხედავს უცხო სამყაროს გამონათებას, სადაც ამ საკითხებზე სერიოზულად არავინ ლაპარაკობს. იმ სამყაროში

ყველა სავსეა სიკეთით, ისევე როგორც სარკე სინათლით. მაგრამ არავინ ეძახის ამას სიკეთეს, არც რაიმე სხვა სახელს, მასზე უბრალოდ არ ფიქრობენ. იქ მისი სათავის ჭვრეტით არიან დაკავებულნი. ჩვენ ახლა იმ ადგილს მივუახლოვდით, საიდანაც სხვა სამყაროში მიმავალი გზა იწყება. ბევრის მზერა ვერ აღწევს იქ, თუმცა ბევრი ჩემზე უფრო შორს იხედება.

წიგნი მეოთხე

პიროვნების მიღმა
ანუ
პირველი ნაბიჯები
სამების მოძღვრებაში

1. „შექმნა“ არ ნიშნავს „შობას“

მე ხშირად მაფრთხილებდნენ, რომ არ მელაპარაკა თქვენთან იმ თემაზე, რაზეც ამ წიგნში ვაპირებ საუბარს. მეუბნებოდნენ, რომ „ჩვეულებრივ მკითხველს თეოლოგია არ სჭირდება, მიეცით მას უბრალო, პრაქტიკული რელიგია.“ მე უარვყავი ეს რჩევები. არ მიმაჩნია, რომ ჩვეულებრივი მკითხველი ამდენად სულელია. სიტყვა „თეოლოგია“ ნიშნავს „მეცნიერებას ღმერთზე“; მე ვთვლი, რომ ყველა ადამიანს, ვისაც სამყაროს შემოქმედზე ცოტა მაინც უფიქრია, ენდომება, შეძლებისდაგვარად, ნათელი და ზუსტი წარმოდგენა მიიღოს მასზე. თქვენ ზრდასრული ადამიანები ხართ, მაშ რატომ უნდა მოგექცეთ ბავშვებივით?

ნაწილობრივ მესმის, თუ რატომ უნდოდა ზოგიერთს, რომ თეოლოგიისათვის გვერდი ამევლო. მახსოვს ერთ-ერთი ჩემი საუბრის დროს ხანშიშესული ოფიცერი, რომელსაც ჩანდა, რომ ბევრი რამ ენახა ცხოვრებაში, ადგა და თქვა: „მე ეს ლაქლაქი არ მჭირდება, მაგრამ მოგახსენებთ, რომ მეც რელიგიური ადამიანი ვარ. ვიცი, რომ ღმერთი არსებობს. ერთხელ ღამით, უდაბნოში, მე ვიგრძენი მისი სიახლოვე. ეს უდიდესი საიდუმლოა. სწორედ ამიტომაც არა მწამს თქვენი გამოწკიპული ფორმულებისა და დოგმების. ყველას, ვისაც რეალურად განუცდია ღმერთთან შეხვედრა, ისინი საცოდავად, მშრალად და ყალბად მოეჩვენება.“

გარკვეული თვალსაზრისით მე ვეთანხმები ამ ადამიანს. სავსებით შესაძლებელია, რომ მან მართლაც იგრძნო ღმერთის სიახლოვე იმ უდაბნოში. და როცა პირადი გამოცდილებიდან ქრისტიანული მოძღვრებისაკენ შემობრუნდა, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ რაღაც რეალურიდან და ხელშესახებიდან განყენებულზე და არცთუ ისე მნიშვნელოვანზე გადავიდა. ალბათ, მსგავსი განცდა დაეუფლებოდა ადამიანს, რომელიც ოდესღაც ატლანტიკის ოკეანის ნაპირზე იდგა, ახლა კი მას რუკაზე დაჰყურებს. განა შეიძლება ოკეანის ტალღების გაფერადებულ ქაღალდის ნაგლეჯთან შედარება? მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ რუკა მართლაც გაფერადებული ქაღალდის ნაგლეჯია, მაგრამ თქვენ ორი რამ უნდა გააცნობიეროთ. პირველ რიგში, ის შედგენილია ასეულობით მკვლევარის აღმოჩენების საფუძველზე, რომლებიც ნამდვილ ოკეანეში ცურავდენენ, ანუ ისეთივე მდიდარი და რეალური გამოცდილება ჰქონდათ, როგორც იმ ადამიანს, ოკეანის ნაპირზე რომ იდგა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გამონაკლისს. ის ადამიანი ოკეანეს მხოლოდ ერთი, მისთვის მისაწვდომი რაკურსით უცქერდა. რუკაზე კი ყველა მკვლევარის გამოცდილებაა თავმოყრილი. მეორეც, თუ სადმე გამგზავრებას აპირებთ, რუკა თქვენთვის აუცილებელია. სანამ ნაპირზე დასეირნობთ, თქვენს წინ გადაშლილი ხედის ჭვრეტა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე რუკის თვალიერება, მაგრამ ამერიკაში გამგზავრება თუ გსურთ, ის შეუდარებლად მეტ სარგებლობას მოგიტანთ, ვიდრე თქვენი გასეირნებები.

თეოლოგიაც რუკას წააგავს. უბრალოდ ფიქრი ქრისტიანულ მოძღვრებაზე, გნებავთ მისი შესწავლა, თუ თქვენ აქ აპირებთ შეჩერებას, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო, როგორც ის, რაც ოფიცერმა უდაბნოში ყოფნისას განიცადა. მოძღვრება ღმერთი არ არის, ის რუკას უფრო წააგავს. ის ასეულობით ადამიანის განცდილის საფუძველზეა შედგენილი, რომლებმაც რეალურად იგრძნეს ღმერთთან შეხება. მათთან შედარებით ნებისმიერი განცდა, რომელიც მე ან თქვენ გადავიტანეთ, ძალზე პრიმიტიული და ბუნდოვანია.

და კიდევ, თუ წინსვლა განგიზრახავთ, რუკა აუცილებლად გჭირდებათ. ის, რამაც ასე განაცვიფრა ოფიცერი უდაბნოში, მთელი რეალურობის მიუხედავად, თავად მისთვისაც კი უსარგებლოა.

ამ განცდას არსად არ მივყავართ, ის მხოლოდ ემოციურ შეძრწუ-ნებაზე დაიყვანება და არანაირ თანაშემოქმედებას არ მოითხოვს. ეს იგივეა, ნაპირზე მდგომი ოკეანის ტალღებს უჭვრეტდე. თქვენ ვერ მოხვდებით ნიუფაუნდლენდში, თუ თქვენი კონტაქტი ატ-ლანტიკის ოკეანესთან ამით ამოიწურება. თქვენ ვერ მოიპოვებთ საუკუნო ცხოვრებას, მხოლოდ იმის გამო, რომ ყვავილებსა და მუსიკაში ღმერთის სიახლოვეს გრძნობთ. თუმცა ვერსად ვერ მოხ-ვდებით იმ შემთხვევაშიც, თუ რუკას შეისწავლით, მაგრამ გაშლილ ზღვაში გასვლა შეგეშინდებათ. რუკის გარეშე გამგზავრების შემ-თხვევაში კი, თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობთ.

ერთი სიტყვით, თეოლოგია პრაქტიკული მეცნიერებაა, განსა-კუთრებით ჩვენს დროში. ძველად, როცა განათლებას ასეთი სა-ყოველთაო ხასიათი არ ჰქონდა და არც დისკუსიები იყო ასე პოპუ-ლარული, ადამიანები შეიძლებოდა მარტივი ჭეშმარიტებებით და-კმაყოფილებულიყვნენ ღმერთის შესახებ. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ყველა კითხულობს, ყველა ისმენს იმას, რაზე კამა-თობენ. ისინი არ მონაწილეობენ თეოლოგიურ საუბრებში, მაგ-რამ გარკვეული წარმოდგენა ღმერთზე მაინც აქვთ. თუმცა ეს ერთგვარად უსისტემო და მოძველებული წარმოდგენებია. ბევრ მათგანს დღეს თანამედროვედ ასაღებენ, მაგრამ რამდენიმე ასეუ-ლი წლის წინ ისინი განიხილეს და უარყვეს ცნობილმა თეოლო-გებმა. მათ რიცხვს ეკუთვნის რელიგიის რამდენიმე პოპულარული ფორმაც; მათი აღიარებით თანამედროვე ინგლისში ერთი ნაბი-ჯით უკან ვიხევთ, თითქოს ვუბრუნდებით იმ აზრს, რომ დედამიწა ბრტყელია.

დააკვირდით ქრისტიანული მოძღვრების ჩვენში გავრცელე-ბულ განმარტებას და დაინახავთ, რომ ის შემდეგ დასკვნამდე და-დის: იესო ქრისტე ზნეობის დიდი მასწავლებელია; ჩვენ რომ მის რჩევებს მივყოლოდით, უკეთეს სოციალურ წყობას შევქმნიდით და კიდევ ერთ ომსაც ავიცილებდით თავიდან. რას ვიზამთ, ეს მართ-ლაც ასეა, მაგრამ აქ მხოლოდ ქრისტიანული ჭეშმარიტების მცი-რე ნაწილია წარმოჩენილი და, რაც არ უნდა უცნაურად მოგვე-ჩვენოს, პრაქტიკული ღირებულება ამას არ გააჩნია.

დიახ, ქრისტეს რჩევები რომ გაგვეთვალისწინებინა, უფრო ბედნიერ მსოფლიოს შევქმნიდით. თუმცა შეიძლება, ქრისტემდეც

არ დაგვჭირდებოდა წასვლა. ჩვენ რომ ის მაინც გაგვეკეთებინა, რასაც პლატონი, არისტოტელე ანდა კონფუცი გვირჩევდნენ, მაშინაც ბევრად უკეთესად იქნებოდა ჩვენი საქმე, ვიდრე ახლა. მაშ, რა მოხდა? ის, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ არასოდეს ვუგდებდით ყურს მათ რჩევებს. მაშ, ახლა რაღატომ უნდა დაუგდოთ მათ ყური? რატომ დავიჯერებთ უფრო ქრისტეს რჩევებს, ვიდრე სხვებისას? იმიტომ, რომ ის ზნეობას უკეთ გვასწავლიდა? თუ ასეა, მაშინ იმის შესაძლებლობა, რომ სწორედ მას გავყვებით, კიდევ უფრო მცირდება. თუ ჩვენ დაწყებითი კლასებისათვის განკუთვნილი გაკვეთილის ათვისება არ შეგვიძლია, უფრო რთულს როგორღა ავითვისებთ? თუ ქრისტიანობა მხოლოდ კიდევ ერთი კეთილი რჩევაა, მაშინ მისი ღირებულება არც ისე დიდი ყოფილა. ბოლო ოთხი ასწლეულის მანძილზე კაცობრიობას არ მოჰკლებია კარგი რჩევები. რამდენიმე დამატებითი რჩევა მდგომარეობას ვერ შეცვლის.

მაგრამ როგორც კი რომელიმე ნამდვილ ქრისტიანულ ნაშრომს გაეცნობით, დაინახავთ, რომ მასში და ხსენებულ პოპულარულ ვერსიაში სრულიად სხვადასხვა რამეზეა საუბარი. ქრისტიანი ავტორები წერენ, რომ ქრისტე არის ღვთის ძე (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს). ისინი, ვინც მას მიენდობიან, თვითონაც შესძლებენ ღვთის ძეებად გახდომას (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს). და ბოლოს, ისინი წერენ, რომ ქრისტეს სიკვდილმა გვიხსნა ჩვენ ცოდვებისაგან (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს).

უაზრობაა იმაზე წუწუნი, რომ ამის გაგება საკმაოდ რთულია. ქრისტიანობა არ გვიმალავს, რომ ის სხვა სამყაროზე გველაპარაკება, იმაზე, რაც ხილული სამყაროს მიღმაა. თქვენ შეგიძლიათ ეს სიცრუედ მიიჩნიოთ; მაგრამ თუ მართლაც ჭეშმარიტებაა ის, რასაც ქრისტიანობა ამბობს, მისი გაგება ადვილი არ იქნება, უკიდურეს შემთხვევაში, ისეთივე ძნელი იქნება, როგორც თანამედროვე ფიზიკა.

უსიამოვნო განცვიფრებას ყველაზე მეტად ის იწვევს, რომ ქრისტეს მინდობილებს შეგვიძლია ღვთის ძეებად ვიქცეთ. ვიღაც იკითხავს: „განა ჩვენ ისედაც ღვთის შვილები არა ვართ? განა ქრისტიანობის მთავარი აზრი ის არ არის, რომ ღმერთი ყველას მამაა?“ გარკვეული გაგებით, ჩვენ მართლაც ღვთის შვილები ვართ. ღმერთმა მოგვანიჭა ჩვენ არსებობა. მას ვუყვარვართ და

მამასავით ზრუნავს ჩვენზე. მაგრამ როდესაც ბიბლია გვეუბნება, რომ ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ღვთის ძეები, ის რაღაც სხვას გულისხმობს. ამ საკითხს კი პირდაპირ თეოლოგიური სიღრმეებისაკენ მივყავართ.

ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი სიმბოლო აცხადებს, რომ „ქრისტე, ღვთის ძე, შობილია ღვთისაგან და არა ქმნილი", შემდეგ: „შობილი მამისაგან უწინარეს საუკუნეთა" (ანუ სამყაროს შექმნამდე). გთხოვთ, კარგად დააკვირდეთ: ამ გამოცხადებას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რომ შემდეგ ქრისტე ადამიანის სახით მოევლინა დედამიწას და ქალწულის ძედ იშვა. ახლა ჩვენ უბიწო ჩასახვაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენი საუბრის თემაა ის, რაც ჯერ კიდევ სამყაროს გაჩენამდე ხდებოდა. „ქრისტე იყო ნაშობი უწინარეს საუკუნეთა და არა ქმნილი." რას ნიშნავს ეს?

შვა — ნიშნავს, მამად გადაიქცე, შექმნა ნიშნავს — გააკეთო. ამ ორ ცნებას შორის ის განსხვავებაა, რომ თქვენგან შობილს იმგვარივე ბუნება ექნება, როგორიც თქვენ. ადამიანს ბავშვი უჩნდება, ჩიტი ბარტყებს ჩეკავს. მაგრამ როცა რაიმეს აკეთებთ, თქვენს ქმნილებას თქვენგან განსხვავებული ბუნება აქვს. ჩიტი ბუდეს წნავს, ადამიანი რადიომიმღებს ან ვთქვათ, ქანდაკებას აკეთებს. თუ ის დახელოვნებული მოქანდაკეა, შეიძლება, ადამიანის მსგავსი ქანდაკებაც შექმნას; მაგრამ უსიცოცხლო ქანდაკება ვერასოდეს იქცევა ადამიანად, რადგან მას არ შეუძლია არც სუნთქვა და არც ფიქრი; ის მხოლოდ წაგავს ადამიანს.

ეს ყველაფერი ძალიან კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ის, რაც ღვთისაგან იშვა, ღმერთია, რაც ადამიანისაგან — ადამიანი. რაც ღმერთმა შექმნა, ღმერთი არ არის, ისევე როგორც ადამიანის მიერ შექმნილი არ არის ადამიანი. აი, რატომ არ არიან ადამიანები ღვთის ძეები იესო ქრისტეს მსგავსად. ადამიანები შეიძლება ღვთის მსგავსნი იყვნენ, მაგრამ ისინი სხვა კატეგორიის არსებები არიან. ისინი უფრო მეტად იმ ქანდაკებას ან სურათს მოგვაგონებენ, რომლებიც ღმერთს გამოხატავენ.

ისევე, როგორც ქანდაკება, რომელიც ადამიანს ჰგავს, მაგრამ უსიცოცხლოა, ადამიანიც (რაღაც გარკვეული თვალსაზრისით, რის ახსნასაც ვცდილობ) წაგავს ღმერთს, მასში ის სიცოცხლე არაა, რაც ღმერთს ახასიათებს.

მოდით, ჯერ პირველი პუნქტი განვიხილოთ (ადამიანის მსგავსება ღმერთთან). ის, რაც ღვთის მიერაა შექმნილი, რაღაცით წააგავს კიდეც მას. კოსმოსი წააგავს მას თავისი უსაზღვროებით, თუმცა მისი უსაზღვროება იგივე არ არის, რაც ღვთისა, ის მხოლოდ მის სიმბოლურ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. მატერია იმ თვალსაზრისით ემსგავსება ღმერთს, რომ მასაც გააჩნია ენერგია, თუმცა ფიზიკური ენერგია, რასაკვირველია, განსხვავდება ღვთისათვის დამახასიათებელი ენერგიისაგან. მცენარეული სამყარო იმით მიაგავს ღმერთს, რომ მასაც ახასიათებს სიცოცხლე, თუმცა ბიოლოგიური სიცოცხლე ღვთიური სიცოცხლის სიმბოლოდ ან აჩრდილად შეიძლება მივიჩნიოთ. როცა ცხოველურ სამყაროზე გადავდივართ, აქ სხვა სახის მსგავსებას ვაწყდებით. მწერების გაცხოველებული ქმედითუნარიანობა და ნაყოფიერება, შეიძლება, შორეული მინიშნებაა ღვთის დაუცხრომელ შემოქმედებით აქტივობაზე. ძუძუმწოვრებთან უკვე ინსტინქტურ კავშირებს ვხედავთ, რასაკვირველია, ეს იგივე არ არის, რაც ღვთისთვის დამახასიათებელი სიყვარული, მაგრამ იგი წააგავს მას, როგორც წააგავს ბრტყელ ტილოზე დახატული სურათი პეიზაჟს.

და, აი, ჩვენ მივუახლოვდით ადამიანს, ცხოველთა სამყაროს ყველაზე განვითარებულ არსებას. სწორედ მასში ვპოულობთ ყველაზე სრულ მსგავსებას ღმერთთან. ადამიანი არა მარტო ცხოვრობს, არამედ უყვარს და ფიქრობს კიდეც; ბიოლოგიური სიცოცხლე მასში უმაღლეს დონეს აღწევს. თუმცა ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი მოკლებულია სულიერ სიცოცხლეს, ანუ სიცოცხლის იმ განსაკუთრებულ და უმაღლეს ფორმას, რომელიც ღმერთს ახასიათებს. როგორც ერთის, ისე მეორის გამოსახატავად ჩვენ ერთი და იმავე სიტყვას „სიცოცხლეს" ვხმარობთ; მაგრამ თუ აქედან იმ დასკვნას გამოიტანთ, რომ ეს ერთი და იგივე რამეა, მწარედ შეცდებით. ეს ერთი და იგივე არ არის, ისევე, როგორც ერთი და იგივე არაა სამყაროსა და ღმერთის უსაზღვრობა. განსხვავება ბიოლოგიურ და სულიერ სიცოცხლეს შორის იმდენად დიდია, რომ ვაპირებ შემდგომში მათ სხვადასხვა სახელი ვუწოდო.

ბიოლოგიურ სიცოცხლეს, რომელსაც ბუნებიდან ვიღებთ და რომელიც თანდათანობითი ქრობისა და ხრწნისაკენ არის მიდრეკილი, და ამიტომ მუდმივ დასაყრდენს საჭიროებს (იღებს კიდეც მას

ბუნებისაგან ჰაერის, წყლის და საკვების სახით), მე ვუწოდებ „ბიოს“ (ბერძნული სიტყვაა); მარადისობიდან მომდინარე სულიერ სიცოცხლეს კი, რომელიც ღმერთშია და რომლითაც შეიქმნა მთელი ფიზიკური სამყარო, „ძოე“-ს დავარქმევ (ესეც ბერძნული სიტყვაა და სიცოცხლეს ნიშნავს). ბიოსი, რასაკვირველია, წააგავს ძოეს, როგორც მისი ჩრდილი და სიმბოლო. ეს იმგვარი მსგავსებაა, როგორიც ქანდაკებასა და ადამიანს შორის შეიძლება იყოს. ცვლილება, რომელიც ხდება ჩვენში, როცა ბიოსი ძოედ გარდაიქმნება, მარმარილოს ქანდაკების ადამიანად გადაქცევის ტოლფასია.

სწორედ ეს არის ყველა ქრისტიანული გამოცხადების არსი; ჩვენი სამყარო გენიალური მოქანდაკის სტუდიაა. ჩვენ ქანდაკებები ვართ და დადის ხმები, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზოგიერთი ჩვენგანი გაცოცხლდება.

2. სამპიროვანი ღმერთი

წინა თავში განვიხილეთ, თუ რა განსხვავებაა „შობასა“ და „შექმნას“ შორის. ადამიანი ბავშვს შობს, ქანდაკებას კი ქმნის. ღმერთი ქრისტეს შობს, ადამიანს — ქმნის. ამ სათქმელით მე ღმერთის შესახებ არსებული ერთ-ერთი ჭეშმარიტების ილუსტრაცია მოვახდინე: ის, რაც მამა ღმერთისაგან იშობა, თავადაც ღმერთია, იმავე ბუნების მქონე არსებაა. ნაწილობრივ ეს ისეთი ურთიერთობაა, როგორიც ადამიანებს (მამასა და ძეს) შორის გვხვდება ხოლმე, თუმცა მსგავსება სრული არ არის. შევეცდები, ეს უფრო დეტალურად აგიხსნათ.

ჩვენს დროში ბევრი ამბობს: „მწამს, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ არ მჯერა, რომ ის პიროვნებაა.“ ისინი გრძნობენ, რომ ის საიდუმლო რაღაც, რაც სამყაროს მიღმა არსებობს, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პიროვნება. ამ აზრს ქრისტიანებიც იზიარებენ, მაგრამ მათ გარდა არავინ ამბობს, რას შეიძლება ჰგავდეს პიროვნების მიღმა მყოფი არსება. დანარჩენები თვლიან, რომ რადგან ღმერთი პიროვნების ფარგლებში არ თავსდება, ის უპიროვნოა. თუ თქვენ ღმერთში ზეპიროვნებას ხედავთ, საწყისს, რომელიც

პიროვნებაზე მაღლა დგას, მაშინ ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებას იზიარებთ, რადგან მსოფლიოში არსებულ მოძღვრებათა შორის სწორედ ის განმარტავს ღმერთს ამგვარად.

ზოგიერთის აზრით, ერთი ან რამდენიმე სიცოცხლის შემდეგ ადამიანთა სულებს ღმერთი იწოვს, მაგრამ თუ ამ შეხედულების უფრო უკეთ განმარტებას სთხოვთ, აღმოჩნდება, რომ ეს პროცესი ერთი ნივთიერების მიერ მეორე ნივთიერების შთანთქმას წაგავს. ადამიანთა სულებს ისინი იმ წვეთებად მიიჩნევენ, რომლებიც ოკეანეს უერთდებიან. როცა წვეთი ოკეანეს უერთდება, მისი არსებობა მთავრდება. თუ ჩვენც ეს გველის, ე.ი. აღარც ჩვენ ვიქნებით. მხოლოდ ქრისტიანობაში შეიძლება იპოვოთ სწავლება იმის შესახებ, რომ ადამიანთა სულები ახალ სიცოცხლეს იღებენ უფალში, თანაც ამ დროს ისინი საკუთარ თავს არ კარგავენ, უფრო მეტიც, მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ ხოლმე საკუთარ თავს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

მე გაგაფრთხილეთ, რომ თეოლოგია პრაქტიკული მეცნიერებაა. ჩვენი სიცოცხლის მიზანი კი ის არის, რომ უფლის სიცოცხლეში შევიდეთ. არასწორი წარმოდგენები ამ სიცოცლეზე ხელს გვიშლიან მიზნის მიღწევაში.

ახლა კი გთხოვთ მთელი ყურადღება მოიკრიბოთ.

თქვენ იცით, რომ სივრცეში სამი მიმართულებით შეგიძლიათ მოძრაობა: მარცხნივ ან მარჯვნივ, უკან ან წინ, ქვემოთ ან ზემოთ. ნებისმიერი მიმართულება ან ერთ-ერთია ამ სამიდან, ან მათ კომბინაციას წარმოადგენს. ჩვენ ამას სამ განზომილებას ვეძახით. ახლა კარგად დააკვირდით. თუ მარტო ერთი განზომილებით ისარგებლებთ, მხოლოდ სწორი ხაზის გავლებას შესძლებთ. ორი განზომილებით სარგებლობისას უკვე ფიგურა შეიძლება დახაზოთ, მაგალითად კვადრატი. კვადრატი ოთხი სწორი ხაზისაგან შესდგება. მოდით, კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ. თუ ჩვენს განკარგულებაში სამი განზომილებაა, მაშინ სივრცითი ფიგურა შეიძლება ავაგოთ, მაგალითად კუბი, რომელიც კამათელს ან შაქრის ნატეხს წააგავს. კუბი ექვსი კვადრატისაგან შესდგება.

ხვდებით, რა ხდება? სამყარო, რომელშიც მხოლოდ ერთი განზომილებაა, სწორი ხაზი იქნება. ორგანზომილებიან სივრცეში ისევ სწორ ხაზებს ვხედავთ, მაგრამ რამდენიმე სწორი ხაზი უკვე

ფიგურას ქმნის. სამგანზომილებიან სივრცეში ბრტყელი ფიგურებია, მაგრამ ერთად მოცულობის მქონე სხეულს ქმნიან. ერთი სიტყვით, უფრო რთულ დონეებზე გადასვლისას, თქვენ ინახავთ იმ მარტივ ელემენტებს, რომლებიც წინა დონეებზე გქონდათ და მათი კომბინაციით ისეთ ფორმებს ქმნით, რომლებსაც ვერასოდეს მოიფიქრებდით, მხოლოდ საწყის დონეზე რომ დარჩენილიყავით.

ქრისტიანული მოძღვრება ღმერთზე სწორედ ამ პრინციპით იგება. ადამიანური დონე ეს მარტივი და შედარებით ცარიელი დონეა. მასზე მხოლოდ ერთი პიროვნება — ერთი არსებაა, ორი პიროვნება უკვე ორი არსება იქნება. ასევე ორგანზომილებიანობის შემთხვევაში (მაგალითად ქაღალდის ფურცელზე) ერთი კვადრატი ერთი ფიგურა იქნება, ორი კვადრატი — ორი. ღვთაებრივ დონეზე თქვენ ჯერ ისევ პიროვნებათა სამყაროში ხართ; მაგრამ ეს პიროვნებანი იქ სრულიად სხვაგვარად, სრულიად სხვა ხერხებით უკავშირდებიან ერთმანეთს. ჩვენ, ვისაც იქ არასოდეს გვიცხოვრია, ვერ წარმოვიდგენთ, თუ რანაირად ხდება ეს.

ღვთაებრივ განზომილებაში თქვენ სამპიროვან არსებას აწყდებით, რომელიც, ამავე დროს, ერთ მთლიან არსებად რჩება; ექვსი კვადრატისაგან აგებული კუბიც ხომ ერთიანი ფიგურაა. ამ არსების მთლიანი შემეცნება ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია. ორგანზომილებიან სივრცეში კუბის წარმოდგენასაც ვერ შევძლებდით. თუმცა ერთგვარი ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც შეიძლება შევიქმნათ. მის საფუძველზე ჩვენ პირველად, თუმცა არც თუ ისე ნათლად, ვიწყებთ ზეპიროვნების შემეცნებას. ეს ისეთი რამაა, რასაც ჩვენით ვერასოდეს მოვიფიქრებდით და, მიუხედავად ამისა, როცა მის შესახებ შევიტყვეთ, ვიგრძენით, რომ თავადაც უნდა მოგვსვლოდა ეს აზრად, რადგან იგი უნაკლოდ შეესატყვისება იმას, რაც უკვე ვიცით.

თქვენ იკითხავთ: „თუკი ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არსება, რომელიც თავის თავში სამ პიროვნებას მოიცავს, მაშინ რაღა აზრი აქვს მასზე ლაპარაკს?“ თითქოს მართლაც ასეა. მაგრამ ამაზე ლაპარაკს ის აზრი აქვს, რომ ჩვენ შევიდეთ ამ სამპიროვანი არსების სიცოცხლეში, ეს კი შეიძლება ნებისმიერ დროს დაიწყოს, გნებავთ, დღესაც.

აი, მე რას ვგულისხმობ. ჩვეულებრივი, რიგითი ქრისტიანი მუხლს იყრის სალოცავად. ის ცდილობს კავშირი დაამყაროს ღმერთთან, მაგრამ თუ ეს ადამიანი ქრისტიანია, მან იცის, რომ ძალა, რომელმაც სალოცავად დააყენა, თავად არის ღმერთი, ღმერთი მასშია. კიდევ მან იცის, რომ ღმერთის შემეცნება ქრისტეს მეშვეობით შეიძლება, ადამიანისა, რომელიც ღმერთი იყო. სწორედ ქრისტე უდგას გვერდში ლოცვის დროს და თავადაც ლოცულობს მისთვის. ხვდებით, რა ხდება? ღმერთი ისაა, ვის წინაშეც ლოცულობს, ღმერთია მისი მიზანი, რომლის მიღწევასაც ცდილობს. ამავე დროს, ღმერთი მის სულშიცაა, ესაა ის ძალა, რომელიც მას ლოცვის სურვილს აღუძრავს. ღმერთია ის გზა, რომლისაკენაც უბიძგებს მას ეს ძალა. და სამპიროვანი არსების ეს სამჯერადი მოქმედება ჩვეულებრივ, პატარა საძინებელ ოთახში ხდება, სადაც ჩვეულებრივი ადამიანი ლოცულობს. ეს ადამიანი განმსჭვალულია სიცოცხლის უმაღლესი ფორმით, იმ ფორმით, რომელსაც მე „ძოე" ვუწოდე. ღმერთის ძალითაა ის შერწყმული ღმერთთან და ამავე დროს თავისთავადობასაც ინარჩუნებს.

ასე ეურებოდა საფუძველი თეოლოგიას. ადამიანებს უკვე ჰქონდათ ბუნდოვანი წარმოდგენა ღმერთზე. შემდეგ მოვიდა ადამიანი, რომელმაც თქვა, რომ ღმერთი იყო. ეს ადამიანი გიჟს არ ჰგავდა და მას დაუჯერეს. სიკვდილის შემდეგ ის კვლავ მოგვევლინა. მოგვიანებით, როცა მისი მოწაფეები პატარა ჯგუფად გაერთიანდნენ, მათ აღმოაჩინეს, რომ ღმერთი რაღაც გამოუთქმელი და უცნაური სახით თავად მათშია; ის მართავდა მათ და ისეთი საქმეების ჩადენის ძალას ანიჭებდა, რასაც ადრე ვერც წარმოიდგენდნენ. როცა მათ კარგად გაიაზრეს ეს ყველაფერი, სამპიროვანი ღმერთის არსებობის ქრისტიანულ იდეამდე მივიდნენ.

ეს ცნება ადამიანთა მიერ არ გახლავთ მოგონილი; ადამიანები მხოლოდ პრიმიტიულ რელიგიებს იგონებენ. თეოლოგია, გარკვეული თვალსაზრისით, ექსპერიმენტული მეცნიერებაა. როცა ვამბობ, გარკვეული თვალსაზრისით–მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ თეოლოგია წააგავს ექსპერიმენტულ მეცნიერებებს, მაგრამ ბოლომდე არა. თუ გეოლოგი ხართ და მთის ქანებს სწავლობთ, მაშინ ექსპედიციებში უნდა იაროთ, რადგან ისინი თავად არ მოვლენ თქვენთან, მაგრამ არც გაგექცევიან, როცა თქვენ თვითონ მიად-

გებით. აქ მთელი ინიციატივა თქვენ გეკუთვნით. მთის ქანები ვერც ხელს შეგიშლიან და ვერც დაგეხმარებიან. მაგრამ, დავუშვათ, ზოოლოგი ხართ და ბუნებრივ გარემოში გარეული ცხოველების ფოტოფირზე აღბეჭდვა გინდათ. ამ შემთხვევაში გეოლოგთან შედარებით განსხვავებული მდგომარეობა გეჭნებათ. გარეული ცხოველები თვითონ არ მოვლენ თქვენთან, მაგრამ შეუძლიათ გაიქცნენ და აუცილებლად გაიქცევიან, თუ შეგნიშნეს. აი, მათი ინიციატივის პირველი ნიშნები.

კიდევ ერთი დონით მაღლა ავიწიოთ. დავუშვათ, ადამიანის ახლოს გაცნობა გსურთ. თუ მან ამის ნება არ დაგრთოთ, არაფერი გამოგივათ. თქვენ უნდა შესძლოთ მისი ნდობის მოპოვება. ამ შემთხვევაში ინიციატივა თანაბრად ნაწილდება — ორი ადამიანის დამეგობრებისათვის ორმხრივი ინიციატივაა აუცილებელი.

რაც შეეხება ღმერთის შემეცნებას, აქ ინიციატივა მისგან მოდის. თუ ის თავად არ გამოგიცხადებთ თავს, თქვენ ვერაფერს გააწყობთ. ასეც ხდება; ზოგიერთს ის უფრო მეტად უცხადებს თავს, ვიდრე სხვებს, არა იმიტომ, რომ მას თავისი ფავორიტები ჰყავს, უბრალოდ ის ვერ გამოეცხადება ადამიანს, ვისი გონება და ხასიათი შესატყვის მდგომარეობაში არ იმყოფება. დამტვერილი სარკე მზის სხივს ისე ვერ აირეკლავს, როგორც სუფთა.

ეს აზრი შეიძლება სხვანაირადაც განვმარტოთ: სხვა მეცნიერებებში თქვენ კვლევის ინსტრუმენტები გჭირდებათ (მიკროსკოპები ან ტელესკოპები); ის ინსტრუმენტი კი, რომლის საშუალებითაც ღვთის აღქმა შეიძლება, მთელი თქვენი არსებაა. თუ ადამიანი თავის თავს სუფთად არ შეინახავს, ღვთის სახე მასში ისე ბუნდოვნად აისახება, როგორც მთვარე გამოჩნდება ჭუჭყიან ტელესკოპში. აი, რატომ აქვთ ველურ ხალხებს ბარბაროსული რელიგიები — ისინი ღმერთს ჭუჭყიანი ლინზებით უჭვრეტენ.

ღმერთი თავისი ჭეშმარიტი სახით მხოლოდ ნამდვილ ადამიანებს ეცხადება — უბრალოდ კარგ ადამიანებს კი არა, მათ, ვინც ერთ ოჯახში გაერთიანდა, მხარს უმაგრებენ ერთმანეთს და ღმერთის შეცნობაში ეხმარებიან. კაცობრიობა ხომ ღმერთმა ერთი ორკესტრის მუსიკოსებად ან ერთი მთლიანი ორგანიზმის ორგანოებად ჩაიფიქრა.

ამგვარად, ღვთის შემეცნების ერთადერთი ინსტრუმენტი — ქრისტიანული ძმობაა, ღმერთთან შეხვედრის მომლოდინე ქრისტიანთა ერთობა. აი, რატომ არის, რომ ადამიანები, რომლებიც დრო და დრო ჩნდებიან ჰორიზონტზე და ქრისტიანული ტრადიციის მაგივრად თავიანთ შეთხზულ რელიგიებს გვთავაზობენ, დროს ტყუილ-უბრალოდ კარგავენ. ისინი იმ ადამიანს ჰგვანან, ვინც ძველი საველე დურბინდით ცდილობს ასტრონომებისთვის ჭკუის დარიგებას. ის შეიძლება გონიერი იყოს, უფრო გონიერიც, ვიდრე ზოგიერთი პროფესიონალი, მაგრამ საველე დურბინდი შესაფერისი ინსტრუმენტი არ არის და მისით ვერავის ვერაფერს ვერ შეასწავლი. ერთი-ორი წლის შემდეგ მას დაივიწყებენ, ჭეშმარიტი მეცნიერება კი თავისი გზით წავა. ქრისტიანობა რომ ჩვენს მიერ შეთხზული იყოს, ალბათ, მის გამარტივებასაც შევძლებდით, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ, ჩვენ, ქრისტიანები, ვერ გავეჯიბრებით იმ ადამიანებს, რომლებიც მსუბუქ და მარტივ რელიგიებს თხზავენ. ან რანაირად მოვახერხებთ? ჩვენ ხომ ფაქტებს ვეყრდნობით. მისი გამარტივების უფლებას მხოლოდ ის მისცემს თავს, ვინც ფაქტებს არ იცნობს და არც აინტერესებს ისინი.

3. დრო და დროის მიღმა

ზოგიერთს ჰგონია, რომ წიგნის კითხვისას არაფერი არ უნდა გამოტოვო. მე კი მიმაჩნია, რომ ის გვერდები და თავები, რომლებიც, შენი აზრით, სარგებლობას ვერ მოგიტანენ, არც უნდა წაიკითხო. მე ერთხელ უკვე ვურჩიე ეს ჩემს პოტენციურ მკითხველებს და რადგანაც ამ თავში ისეთ რამეზე უნდა ვისაუბრო, რაც ზოგიერთისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს, ზოგისთვის კი — ზედმეტი და უინტერესო, ვიმეორებ ჩემს რჩევას: გამოტოვეთ ეს თავი, თუ საინტერესოდ არ მოგეჩვენებათ, და შემდეგზე გადადით.

წინა თავში ლოცვა ვახსენე და ახლა იმ სიახლეებზე მინდა გესაუბროთ, რომლებსაც ზოგიერთი ადამიანი აწყდება ხოლმე. მახსოვს, ერთერთმა მათგანმა მითხრა: „მე შემიძლია ღმერთის არსებობა ვიწამო, მაგრამ არ მჯერა, რომ ღმერთი უსმენს მილიონობით ადამიანს, რომლებიც ერთდროულად მიმართავენ მას“. როგორც ჩანს, არც თუ ისე ცოტა ადამიანი ფიქრობს ამგვარად.

მოდით, გავაანალიზოთ ეს საკითხი. მთავარ სირთულეს აქ, ალბათ, სიტყვა „ერთდროულად“ ქმნის. ბევრ ჩვენგანს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ღმერთს განუსაზღვრელი დრო აქვს და მთხოვნელთა უსასრულო რაოდენობა შეუძლია მიიღოს, თუკი ისინი მასთან ცალ-ცალკე, ერთი მეორის მიყოლებით მივლენ. ასე რომ, როგორც ჩანს, ჩვენ არ გვესმის, თუ როგორ ახერხებს ღმერთი ერთდროულად ურიცხვი საქმეების გარჩევას.

ჩვენთვის ეს სირთულე მართლაც დაუძლეველი იქნებოდა. ჩვენი ცხოვრება ხომ დროის მდინარებას მიჰყვება. წამს წამი მისდევს და თითოეულს ძალიან ცოტა რამის დატევა თუ შეუძლია. აი, რა არის დრო. რასაკვირველია, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარი წესრიგი, ეს თანმიმდევრობა — წარსული, აწმყო, მომავალი — მხოლოდ დედამიწისა და მისი მცხოვრებლებისათვის არსებული რეალობა კი არ არის, არამედ მთელს კოსმოსზეც ვრცელდება. ჩვენი აზრით, მთელი სამყარო და თავად ღმერთიც გამუდმებით მოძრაობენ ჩვენსავით წარსულიდან აწმყოსაკენ. ამ დროს თანამედროვე მეცნიერებამ იცის, რომ ეს ასე არ გახლავთ. პირველად თეოლოგებმა დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ზოგიერთი რამ დროის მიღმა არსებობს. მოგვიანებით ეს აზრი ფილოსოფოსებმა აიტაცეს, ჩვენს დროში კი — მეცნიერებმაც.

ყველაზე უფრო სარწმუნოა, რომ ღმერთი დროის მიღმა დგას. მისი სიცოცხლე არ შესდგება დროის ერთმანეთს მიმყოლი მონაკვეთებისაგან. თუ მილიონი კაცი ღამის ათ საათზე ლოცულობს, არ არის აუცილებელი, რომ ღმერთი თითოეულს ზუსტად დროის ამ მონაკვეთში უსმენდეს. ეს წამი, ისევე როგორც დროის სხვა ნებისმიერი მონაკვეთი, სამყაროს გაჩენიდან მოყოლებული, მისთვის ერთი უსასრულო აწმყოა. მის განკარგულებაში მთელი მარადისობაა იმისათვის, რომ მოუსმინოს მფრინავს, რომელიც თვითმფრინავის დაღუპვის მომენტში ლოცულობს.

ვიცი, რომ ამის წარმოდგენა ძნელია. ნება მომეცით, ამგვარი მაგალითი შემოგთავაზოთ. დავუშვათ, მოთხრობას ვწერ და ასეთი წინადადებები დავწერე: „მერიმ საქარგავი გვერდზე გადადო. იმავე წამს კარზე კაკუნი გაისმა.“ მერისთვის, რომელიც იძულებულია წარმოსახვით დროში იცხოვროს, საქარგავს გადადებასა და კარის კაკუნს შორის ინტერვალი არ არსებობს. მაგრამ მე, ავტორი,

რომელმაც მერი გამოვიგონე, ამ დროში არ ვცხოვრობ, პირველი წინადადების დაწერის შემდეგ შეიძლება სამი საათიც კი გავატარო მერიზე ფიქრში, სანამ მეორე წინადადებას ჩავწერდე. მე შემიძლია ვიფიქრო მასზე იმდენი, რამდენიც მომესურვება, თითქოს ის წიგნის ერთადერთი გმირი იყოს. მაგრამ ის საათები, რომელსაც მე მასზე ფიქრში გავატარებ, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს იმ დროზე, რომელშიც მერი ცხოვრობს (ანუ რომელშიც მოთხრობის სიუჟეტი იშლება). ეს არც თუ ისე სრულყოფილი ილუსტრაციაა, მაგრამ რაღაც სინათლე მაინც შეაქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხში. დროის მდინარება, რომელშიც ჩვენი სამყარო ცხოვრობს, იმაზე მეტად არ აისახება ღმერთის სიცოცხლის რიტმზე, როგორც მოთხრობის წარმოსახვითი დრო მისი ავტორის შემოქმედებით საქმიანობაზე. ღმერთს შეუძლია უსაზღვროდ ბევრი დრო დაუთმოს ნებისმიერ ჩვენგანს. მას არ სჭირდება ჩვენ ისე მოგვეპყროს, როგორც ხალხის ერთიან მასას. მისთვის თქვენ ცალკე აღებული, განსაკუთრებული ადამიანი ხართ, თითქოს მის მიერ შექმნილი ერთადერთი არსება იყოთ. როცა ქრისტე მოკვდა, ის თითოეული ჩვენგანის მაგივრად მოკვდა, თითქოს ყოველი ჩვენგანი ერთადერთი იყო სამყაროში.

ჩემი ილუსტრაცია არც თუ ისე ზუსტია და, აი, რატომ: ავტორი გამოდის დროის ერთი ნაკადიდან (რომელიც მოთხრობაში მიედინება) მხოლოდ იმის გამო, რომ მეორეში, რეალურში, შედის. ღმერთი კი, ჩემი ღრმა რწმენით, საერთოდ არ ცხოვრობს დროში. მისი სიცოცხლე არ მიედინება წვეთ-წვეთად, წამებად და წუთებად, ისე როგორც ჩვენი. მისთვის ჯერ კიდევ 1940 წელი არ გათავებულა და უკვე 1990-ც დაუდგა. მისი სიცოცხლე ხომ ის თავად არის.

თუ დროს სწორი ხაზის სახით წარმოიდგენთ, რომლის გასწვრივაც ჩვენ ვმოძრაობთ, ღმერთი იმ ფურცლის სახით უნდა წარმოიდგინოთ, რომელზეც ეს ხაზია გასმული. ჩვენ ვუახლოვდებით. ამ ხაზის ცალკეულ წერტილებს: A უნდა გავიაროთ, სანამ B-ს მივაღწევდეთ, C-ს კი მანამ ვერ მივაღწევთ, სანამ B-ს უკან არ ჩამოვიტოვებთ. ღმერთი ზემოდან, შიგნიდან, ან ყოველი მხრიდან მოიცავს ამ ხაზს და მთლიანობაში ჭვრეტს მას.

ეს საკითხი გააზრებად ნამდვილად ღირს, მისი დახმარებით ქრისტიანობაში ბევრი მოჩვენებითი სიძნელის გადალახვა შეიძ-

ლება. სანამ ქრისტიანი გავხდებოდი, არაფრით არ მესმოდა, აი, რა: ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ მარადიული და ყველგანმყოფი ღმერთი, რომელიც ამ სამყაროს ამოძრავებს, ერთხელ ადამიანად გადაიქცა. რა მდგომარეობაში იყო სამყარო, როცა ის ჩვილი იყო ან ეძინა? — ვკითხულობდი მე. რანაირად შეეძლო, რომ ის ერთდროულად ყოფილიყო ღმერთიც, რომელმაც ყველაფერი იცის, და ადამიანიც, რომელიც თავის მოწაფეებს ეკითხებოდა: „ვინ შეგეხოო?"[1] ნახეთ, როგორ ვიხლართებით დროის აღმნიშვნელ სიტყვებში: „როცა ჩვილი იყო", „რანაირად შეეძლო *ერთდროულად*". ერთი სიტყვით, მე ვვარაუდობდი, რომ ქრისტეს, როგორც ღმერთის, ცხოვრება დროში მიმდინარეობდა, ხოლო მისი, როგორც ადამიანის, იესოს, ცხოვრება პალესტინაში, ამ დროის მცირე მონაკვეთი გახლდათ, ისევე როგორც ჩემი ჯარში სამსახური იყო ჩემი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი. შეიძლება, ბევრი ადამიანი ფიქრობს ამგვარად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღმერთი დროში ცხოვრობდა მანამდეც, სანამ მისი მიწიერი ცხოვრება დაიწყებოდა. შემდეგ მას ამ ცხოვრებაში ვხედავთ. შემდეგ, ჩვენი აზრით, მას შეეძლო ისე შეევლო თვალი თავისი მიწიერი ცხოვრებისათვის, როგორც წარსულისათვის. ამ ჩვენს წარმოდგენებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვთ. ჩვენ არ შეგვიძლია, ქრისტეს მიწიერი ცხოვრება დროის თვალსაზრისით მივუსადაგოთ მისი, როგორც ღმერთის, ცხოვრებას, რომელიც სივრცისა და დროის მიღმაა. ქრისტეს ადამიანური ბუნება, მისთვის დამახასიათებელი სისუსტეებითა თუ მოთხოვნილებებით, როგორღაც მის ღვთაებრივ სიცოცხლეშია ჩართული. მისი ადამიანური ცხოვრება მხოლოდ ჩვენი, ადამიანური, თვალსაზრისით არის მსოფლიო ისტორიის გარკვეული პერიოდი (ქრისტეს დაბადებიდან ჯვარცმამდე).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დროის ეს მონაკვეთი ღვთის ისტორიაშიც წარმოადგენს გარკვეულ პერიოდს; მაგრამ ღმერთს ისტორია არა აქვს. ის ძალზე რეალურია იმისათვის, რომ ისტორია ჰქონდეს. ისტორიის ქონა ხომ რეალური არსებობის რაღაც ნაწილის დაკარგვას ნიშნავს (ისტორია ხომ ჩვენი ცხოვრების ის ნაწილია,

---

[1] იხ. მარკ. 5,31.

რომელმაც ჩაიარა და წარსულში გადაინაცვლა), მის მეორე ნაწილს კი გარკვეულ დრომდე ვერ იხილავ (ის ჯერ კიდევ მომავალშია). ფაქტიურად ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია აწმყოს პაწაწინა ნამცეცის გარდა, რომელიც მანამ გაქრება, სანამ მასზე ლაპარაკს დავიწყებდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს იმისი ფიქრისაგან, რომ ღმერთის ცხოვრებაშიც ასეა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მარადისობაში ჩვენც გავთავისუფლდებით ამისაგან.

თუ მიგაჩნიათ, რომ ღმერთი დროში ცხოვრობს, კიდევ ერთი სიძნელის წინაშე აღმოჩნდებით. თითოეულ ადამიანს, რომელსაც ღმერთი სწამს, ისიც სჯერა, რომ მან წინასწარ იცის, თუ რა შეგვემთხვევა ხვალ. მაგრამ თუ მან იცის, რის გაკეთებას ვაპირებ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მე სხვა რამის გაკეთება აღარ შემიძლია?

სირთულეს აქ იმ წარმოდგენის გამო ვაწყდებით, რომ ღმერთი ცხოვრობს და თავს ავლენს დროის მდინარებაში, ისევე როგორც ჩვენ; ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მას მომავლის წინასწარ ჭვრეტა შეუძლია, ჩვენ კი — არა. მართლაც, თუ ეს აზრი სწორია, თუ ღმერთს წინასწარ შეუძლია ჩვენი საქციელის განჭვრეტა, მაშინ ძნელი გასაგებია, რანაირად შეგვეძლო ეს საქციელი არ ჩაგვედინა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ღმერთი ზემოდან დასცქერის დროის ზღვარს. ამ შემთხვევაში, ის ისევე კარგად ხედავს იმას, რასაც „ხვალეს“ ვეძახით, როგორც იმას, რასაც „დღეს“ ჰქვია. მისთვის ყველაფერი „ახლაა“. ის კი არ იხსენებს იმას, რაც გუშინ გავაკეთეთ, არამედ სწორედ ახლა ხედავს მას; „გუშინ“, რომელიც ჩვენთვის უკვალოდ გაქრა, მისთვის იგივეა, რაც „ახლა“. ის წინასწარ კი არ ჭვრეტს იმას, რასაც ხვალ გავაკეთებთ, უბრალოდ ხედავს, როგორ ვაკეთებთ. ჩვენთვის „ხვალე“ ჯერ არ დამდგარა, მისთვის კი ახლავეა ეს „ხვალე“. ჩვენ არასოდეს არ მოგვივიდოდა აზრად, რომ ახლა არ შეგვიძლია არჩევანის გაკეთება, რადგან ღმერთმა იცის, რას ვაკეთებთ. რაღაც თვალსაზრისით, მისთვის უცნობია ჩვენი ქმედებანი, სანამ მათ არ ჩავიდენთ, მეორე მხრივ კი, როცა არ უნდა ჩავიდინოთ, მისთვის ეს „ახლაა“.

ეს მოსაზრება ძალიან დამეხმარა. თუ თქვენ არ გეხმარებათ, შეგიძლიათ დაივიწყოთ. ეს აზრი სავსებით ქრისტიანულია, რადგან მას ქრისტიანობის ბრძენი წარმომადგენლები იზიარებდნენ და ის ქრისტიანობის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. მაგრამ

თქვენ მას ვერც ბიბლიაში და ვერც საეკლესიო დოგმატებში ვერ ნახავთ. და თქვენ შეგიძლიათ კარგი ქრისტიანი იყოთ იმ შემთხვევაშიც, თუ მას არ მიიღებთ, ან საერთოდ არ დაფიქრდებით ამ საკითხზე.

4. სასიკეთო ინფექცია

ამ თავს თხოვნით ვიწყებ. შეეცადეთ წარმოიდგინოთ ასეთი სურათი: მაგიდაზე მოსჩანს ორი წიგნი, ერთი ზემოდან ადევს მეორეს. სავსებით ცხადია, რომ ქვემოთ მოქცეული წიგნი იჭერს ზემოდან დადებულს. მხოლოდ მისი წყალობაა, რომ მეორე წიგნი მაგიდის ზედაპირს ხუთი სანტიმეტრითაა აცილებული და მას არ ეხება. ქვემოთ მოქცეული წიგნი A ასოთი აღვნიშნოთ, ზემოდან დადებული კი B-თი. A-ს პოზიცია B-ს პოზიციას უზრუნველყოფს. ეს ცხადია, არა? ახლა წარმოვიდგინოთ (ასეთი რამ სინამდვილეში არ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ილუსტრაციისათვის გამოდგება), რომ ორივე წიგნი დასაბამიდან ასეთ მდგომარეობაში იყო. ამ შემთხვევაში B პოზიცია მუდამ A პოზიციაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ A პოზიცია არ არსებობდა B პოზიციამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედეგი აქ მიზეზს კი არ მოსდევს, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე: ჯერ კიტრი ჭამეთ და კუჭი მერე აგეშალათ. ეს პრინციპი ყოველთვის არ მოქმედებს. ერთი წუთი კიდევ მოითმინეთ და მიხვდებით, თუ რატომ მიმაჩნია ეს ასე მნიშვნელოვნად.

მე უკვე გითხარით, რომ ღმერთი ეს არის სამი პირისაგან შემდგარი არსება, რომელიც ამავე დროს ერთ არსებად რჩება (და მიახლოებით ილუსტრაციად დაგისახელეთ კუბი, რომელიც ექვსი კვადრატისაგან შესდგება, მაგრამ მაინც ერთ ფიგურას წარმოადგენს). მაგრამ როცა იმის ახსნას ვცდილობ, თუ როგორ უკავშირდება ეს სამი პირი ერთმანეთს, მაშინვე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთ-ერთი მათგანი დანარჩენებზე ადრე არსებობდა. იძულებული ვარ გამოვიყენო სიტყვები, რომლებიც ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნიან. ამ სამსახოვანი არსების პირველ პირს მამა ეწოდება, მეორეს — ძე. ჩვენ ვამბობთ, რომ პირველი შობს

მეორეს. ჩვენ ამას ვეძახით „შობას“ და არა „შექმნას“, რადგან ის თავის მსგავს არსებას წარმოშობს. მოცემულ მომენტში ერთადერთი შესაფერისი სიტყვაა „მამა“. მაგრამ ეს სიტყვა, სამწუხაროდ, გულისხმობს იმას, რომ მამა უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ძე. სინამდვილეში ეს ასე არ არის. აქ არ არსებობს ცნებები „ადრე“ და „შემდეგ“. აი, რატომ მიმაჩნია მნიშვნელოვნად იმის გაგება, რომ ერთი მოვლენა შეიძლება იყოს სათავე და მიზეზი მეორისა, მაგრამ მასზე ადრე არ იყოს წარმოშობილი. ძე არსებობს იმიტომ, რომ არსებობს მამა; მაგრამ არ არსებობდა ისეთი წამი, რომელიც წინ უსწრებდა ძის შობას.

უკეთესია, ამ საკითხს ასე შევხედოთ: მე გთხოვეთ, წარმოგედგინათ ორი წიგნი. შეიძლება ბევრმა თქვენგანმა გააკეთა ეს, შეასრულა წარმოსახვის აქტი და თქვენს წინ წარმოსახული სურათი აღმოცენდა. წარმოსახვა, ბუნებრივია, მიზეზია და არა შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ჯერ წარმოიდგინეთ და სურათი კი შემდეგ მიიღეთ. იმ მომენტში, როცა თქვენმა წარმოსახვამ მოქმედება დაიწყო, სურათიც მაშინვე აღმოცენდა თქვენს წარმოდგენაში. მთელი ამ დროის მანძილზე თქვენი ნებელობა აკავებდა მას თქვენს ცნობიერებაში. თუმცა ნებელობის აქტი და სურათი ერთდროულად აღმოცენდნენ და ერთადვე გაქრნენ. რომ ყოფილიყო რომელიღაც უკვდავი არსება და მას გამუდმებით ჰყოლოდა წარმოსახვაში ერთი და იგივე რამ, მუდმივად იარსებებდა რაღაც აზრობრივი სახე, რომელიც ასევე მარადიული იქნებოდა.

ჩემი აზრით, ასე უნდა წარმოვიდგინოთ ძე, რომელიც გამუდმებით მოედინება მამისაგან, როგორც მოედინება სინათლე ნათურიდან, სითბო ცეცხლიდან და აზრი გონებიდან. ძე არის მამის თვითგამოხატვა, ის, რისი თქმაც სურს მამას, და არასოდეს არ ყოფილა ისეთი წამი, როცა მამა არ წარმოთქვამდა თავის სიტყვას.

შეამჩნიეთ რა ხდება? ეს სინათლისა თუ სითბოს მაგალითები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ მამა და ძე ორი სუბსტანციაა და არა ორი პიროვნება. როგორც ჩანს, ახალ აღთქმაში მოცემული მამისა და ძის სახე ბევრად უფრო ზუსტია, ვიდრე ნებისმიერი ჩვენს მიერ მოწოდებული ილუსტრაცია.

ასე ხდება ყოველთვის, როცა დასცილდებით იმას, რაც ბიბლიაშია ნათქვამი. ზოგჯერ გამართლებულია ტექსტიდან გადახვევა

მისი უკეთ გააზრების მიზნით, მაგრამ შემდეგ ისევ უნდა მიუბრუნდეთ მას. ღმერთმა, ბუნებრივია, უფრო უკეთ იცის, როგორ აღწეროს საკუთარი თავი, ვიდრე ნებისმიერმა ჩვენგანმა. მან იცის, რომ მამა-ძეობა სამების პირველსა და მეორე პირს შორის არსებულ ურთიერთობას უკეთ გამოხატავს, ვიდრე ჩვენს მიერ ნაფიქრალი ნებისმიერი სხვა რამ. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ ეს სიყვარულით აღსავსე ურთიერთობაა. მამა ხარობს ძით, ძეს კი თავდადებით უყვარს მამა. სანამ საუბარს გავაგრძელებდეთ, ყურადღება მიაქციეთ ამ სიტყვების უდიდეს მნიშვნელობას.

ადამიანებს მოსწონთ შემდეგი ქრისტიანული დებულების გამეორება: „ღმერთი სიყვარულია". მაგრამ ისინი თითქოს ვერც კი ამჩნევენ, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ მაშინა აქვთ მნიშვნელობა, როცა ღმერთი თავის თავში ორ პიროვნებას მაინც მოიცავს. სიყვარული ხომ ის გრძნობაა, რომელსაც ერთი პირი განიცდის მეორის მიმართ. ღმერთი რომ ერთპიროვანი არსება ყოფილიყო, ის ვერ იქნებოდა სიყვარული სამყაროს გაჩენამდე. ცხადია, როცა ადამიანები ამბობენ „ღმერთი სიყვარულია", მათ მხედველობაში აქვთ სხვა რამ, კერძოდ: „სიყვარული ღმერთია". მათ, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ სიყვარულის გრძნობა, მიუხედავად იმისა, თუ სად და როდის ჩნდება და რა შედეგებამდე მივყავართ, პატივისცემას იმსახურებს. შესაძლებელია, ისინი მართალნი არიან, მაგრამ ქრისტიანებს სულ სხვაგვარად ესმით სიტყვები: „ღმერთი სიყვარულია". მათ სწამთ, რომ სიყვარულის ცოცხალი, დინამიური ენერგია მუდმივად მოქმედებს ღმერთში და სწორედ ესაა ყოველივე არსებულის სათავე.

შეიძლება სწორედ ეს არის ქრისტიანობის უმთავრესი თავისებურება სხვა რელიგიებთან შედარებით: ღმერთი სტატიკური არსი არ არის და არც მხოლოდ პიროვნება. ესაა დინამიური, ცოცხალი, მფეთქავი ენერგია, რაღაც თითქმის დრამატული და (თუ შეიძლება, უპატივცემულობაში ნუ ჩამომართმევთ) ცეკვის მსგავსი. მამისა და ძის ერთობა იმდენად ცოცხალი და რეალურია, რომ ეს ერთობაა თავად პიროვნება. ვიცი, რომ განმაცვიფრებლად ჟღერს, მაგრამ მოდით, სხვა კუთხიდან შეხედეთ. როცა ადამიანები კლუბში ან პროფკავშირში იყრიან თავს, ოჯახის, კლუბის ან პროფკავშირის განწყობა იქმნება, რომელიც ადამიანებს ქცევის

გარკვეული მანერისაკენ უბიძგებს, რაც ცალ-ცალკე ყოფნისას მათთვის დამახასიათებელი არ არის (ეს კოლექტიური ქცევა შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც, ინდივიდუალურ ქცევასთან შედარებით). ერთი სიტყვით, ადამიანთა გაერთიანება კოლექტიურ პიროვნებას ქმნის. ბუნებრივია, ეს არ გახლავთ პიროვნება, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ მისი მსგავსი წარმონაქმნი. სწორედ ეს არის ღმერთსა და ჩვენს შორის არსებული ერთ-ერთი სხვაობა. ის, რაც მამისა და ძის გაერთიანებით იქმნება, არის პიროვნება, სამსახოვანი ღმერთის მესამე პირი, რომელიც, რასაკვირველია ღმერთია.

პროფესიულ, თეოლოგიურ ენაზე ამ მესამე პირს სულიწმიდას ან ღვთის სულს უწოდებენ. არ გაგიკვირდეთ და ნუ იღელვებთ, თუ თქვენი წარმოდგენა მასზე გაცილებით უფრო ბუნდოვანია, ვიდრე სამპიროვანი ღმერთის პირველ ორ პირზე. ჩემი აზრით, ამ ფაქტს თავისი კანონიერი მიზეზი აქვს. თქვენი ქრისტიანული ცხოვრების მდინარების პროცესში თქვენ მას ვერ ხედავთ; ის გამუდმებით მოქმედებს თქვენში და თქვენი მეშვეობით. თუ მამა ღმერთი წარმოგიდგენიათ იმ პირად, რომელიც გეხმარებათ ლოცვისას და ცდილობს, კიდევ ერთ ღვთის ძედ გაქციოთ, მესამე პირზე ისე უნდა იფიქროთ, როგორც თქვენში და თქვენს უკან არსებულზე. შეიძლება სამპიროვანი ღმერთის შემეცნების დაწყება ზოგიერთს მესამე პირიდან უფრო გაუადვილდეს: ღმერთი სიყვარულია, ეს სიყვარული ადამიანების მეშვეობით მოქმედებს, განსაკუთრებით მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა გაერთიანების მეშვეობით. მარადისობიდან მომდინარე სიყვარულის სული გახლავთ სიყვარული მამასა და ძეს შორის.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს ჩვენთვის? ამქვეყნად ყველაზე უდიდესი. მთელი ეს დრამა, ანუ სამპიროვანი ღმერთის ცხოვრების წესი, ყველა ჩვენთაგანში უნდა გათამაშდეს. ანუ თითოეული ჩვენთაგანი (თუ საწინააღმდეგო მხრიდან შევხედავთ) უნდა მიუახლოვდეს ამ ცხოვრების წესს და დრამაში თავისი პოზიცია დაიკავოს. ბედნიერებას, რისთვისაც შეგვქმნეს, სხვა გზით ვერ მივაღწევთ. ყველაფერი, კარგი თუ ცუდი, გარედან ზემოქმედებას ემორჩილება. თუ გათბობა გინდათ, ცეცხლთან ახლოს უნდა დადგეთ, დასასველებლად წყალში უნდა შეხვიდეთ. თუ თქვენ

სიხარულს, ძლიერებას, მშვიდობას და საუკუნო ცხოვრებას მიელ-ტვით, უნდა მიუახლოვდეთ და შეხვიდეთ კიდეც მასში, რაც ამ ყველაფერს მოიცავს. სიხარული, მშვიდობა, უკვდავება — ჯილდო-ები არ არის, რომლებიც ღმერთს სურვილის მიხედვით შეუძლია დაარიგოს. ეს ენერგიისა და სილამაზის უდიდესი წყაროა, რო-მელიც სინამდვილის შუაგულში მოსჩქეფს. თუ მასთან ახლოს დგახართ, წვეთები თქვენც მოგწვდებათ; თუ არა და — მშრალი დარჩებით. როგორ არ იცხოვრებს ადამიანი სამუდამოდ, თუკი ღმერთს შეუერთდება? და რანაირად შეიძლება, რომ ღმერთს მოწყვეტილი ადამიანი არ დაჭკნეს და არ მოკვდეს?

მაგრამ რანაირად უერთდება ის ღმერთს? რანაირად უნდა შევერწყათ სამპიროვან სიცოცხლეს?

გახსოვთ, რა გითხარით მეორე თავში დაბადებისა და შექმნის თაობაზე? ჩვენ ღმერთს არ უშობივართ, მან მხოლოდ შეგვქმნა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ქანდაკებები ვართ და არა ღვთის ძენი. ჩვენში არ არის „ძოე", ანუ სულიერი სიცოცხლე, ჩვენ მხოლოდ „ბიოს"-ი, ბიოლოგიური სიცოცხლე გაგვაჩნია, რომელიც უსა-თუოდ ჭკნობადია და სიკვდილით უნდა დამთავრდეს. მაგრამ ქრი-სტიანობა გვეუბნება, რომ ჩვენ, თუ ღვთის ნებას არ შევეწინა-აღმდეგებით, ქრისტეს სიცოცხლეს შეიძლება შევუერთდეთ. თუ ეს მოხდება, ჩვენ იმ სიცოცხლის ნაწილნი შევიქმნებით, რომელიც იშვა და არ შექმნილა, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება. ქრი-სტე ღვთის ძეა. ჩვენ გვეყვარება მამა, ისევე როგორც მას უყვარს და სულიწმიდა დაივანებს ჩვენში. ქრისტე ჩამოვიდა მიწაზე და ადამიანად იქცა იმის გამო, რომ სხვა ადამიანთა შორის გაევრ-ცელებინა სიცოცხლის ის უმაღლესი ფორმა, რომელიც მისთვის არის დამახასიათებელი. მე ამას „სასიკეთო ინფექციას" ვეძახი. ყვე-ლა ქრისტიანი პატარა ქრისტედ უნდა იქცეს, სწორედ ამას ნიშ-ნავს ქრისტიანად ყოფნა.

5. ჯიუტი სათამაშო ჯარისკაცები

ღვთის ძე ადამიანად იმიტომ იქცა, რომ ადამიანებისათვის ღვთის შვილებად გახდომის ნიჭი ებოძებინა. ჩვენ არ ვიცით, ყო-ველ შემთხვევაში, მე არ ვიცი, რა მოხდებოდა, კაცობრიობა ღვთის

წინააღმდეგ რომ არ აჯანყებულიყო და მტრის ბანაკს არ მიმხრობოდა. შესაძლებელია, მაშინ თითოეული ადამიანი იცოცხლებდა ქრისტეში და დაბადებისთანავე მისი სიცოცხლის თანამონაწილე იქნებოდა. შესაძლებელია, ბიოსი თანდათან გადაზრდილიყო ძოეში, ანუ სიცოცხლის უმაღლეს ფორმაში. მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოტეზაა, ჩვენ კი ის გვაინტერესებს, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ახლა.

სიცოცხლის ორი ფორმა არა მარტო განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ უპირისპირდებიან კიდეც ერთიმეორეს. ბუნებრივ სიცოცხლეს ეგოცენტრულობა ახასიათებს, ის ყურადღებას და აღფრთოვანებას ითხოვს. ის სხვათა ხარჯზე უპირატესობის მოპოვებისა და მათი ექსპლოატირებისკენაა მიდრეკილი. ყველაზე მეტად კი ამ სიცოცხლეს ის სურს, რომ თავი დაანებონ და განზე იდგეს იმისაგან, რაც მასზე უკეთესი, ძლიერი ან მაღალია, ანუ გაერიდოს ყველაფერს, რის წინაშეც თავს პაწაწკინტელად და უმნიშვნელოდ გრძნობს. მას სულიერი სინათლის ისევე ეშინია, როგორც სიბინძურეში გაზრდილ ადამიანებს ეშინიათ აბაზანის. რაღაც თვალსაზრისით ის მართალიც არის. მან იცის, რომ თუ სულიერმა სიცოცხლემ ის თავის ორბიტაში ჩართო, მთელი მისი ეგოცენტრულობა და თვითნებობა ჩაკვდება. ამიტომ არის ის მზად, ბოლომდე იბრძოლოს, ოღონდ თავიდან აიცილოს ასეთი მომავალი.

გიფიქრიათ ბავშვობაში იმაზე, თუ რა საინტერესო იქნებოდა, თქვენი სათამაშოები რომ გაცოცხლებულიყვნენ? წარმოვიდგინოთ, რომ ისინი მართლაც გაცოცხლდნენ. აი, კალისაგან გაკეთებული სათამაშო ჯარისკაცები თქვენს თვალწინ ადამიანებად გადაიქცნენ. კალა ხორცად იქცა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ჯარისკაცს ეს არ მოსწონს, რადგან ფიქრობს, კალა გაფუჭდა და მკლავენო. სათამაშო კაცუნა ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელი შეგიშალოთ. ის არასოდეს გადაიქცეოდა ადამიანად, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული.

მე არ ვიცი, რას უზამდით თქვენ ასეთ ჯიუტ სათამაშო კაცუნას, ღმერთმა კი, აი რა გააკეთა: ღვთაებრივი სამების მეორე პირი, ღვთის ძე, ადამიანად გადაიქცა. ის დაიბადა, როგორც ნამდვილი ადამიანი, რეალური ადამიანი, რომელსაც გააჩნია გარკვეული

სიმაღლე, თმის ფერი, წონა და გარკვეულ ენაზე ლაპარაკობს. ის, მარადმყოფი, რომელმაც შექმნა სამყარო და ყველაფერი იცის, მხოლოდ ადამიანად კი არა, ჩვილად, უფრო ადრე კი ჩანასახად იქცა ქალის წიაღში. თუ გსურთ, იცოდეთ, რას ნიშნავდა ეს მისთვის, წარმოიდგინეთ, როგორ მოგეწონებოდათ, ლორწოდ ან კიბორჩხალად რომ გადაქცეულიყავით.

ასე გამოჩნდა ჩვენს ადამიანურ ოჯახში კაცი, რომელშიც აღსრულდა ის, რაც თითოეულ ჩვენთაგანში უნდა აღსრულებულიყო — კაცი, რომელშიც დედისაგან მიღებული ბიოლოგიური სიცოცხლე მთლიანად და სრულად გარდაიქმნა სულიერ სიცოცხლედ. კაცობრიობამ, შეიძლება ითქვას, ერთ წამში მიაღწია თავისი დანიშნულების პუნქტს, ქრისტეს სიცოცხლეს შეუერთდა. და რადგან ჩვენთვის სირთულეს ბიოლოგიური სიცოცხლის კვდომა წარმოადგენს, ქრისტემ ცხოვრების ისეთი გზა აირჩია, რომელიც ყოველ ნაბიჯზე კლავდა მასში ადამიანურ სურვილებს. მან განიცადა სიღატაკე, ოჯახისაგან განდგომა, უახლოესი მეგობრის ღალატი; მას სდევნიდნენ და შეურაცხყოფდნენ, ბოლოს კი ტანჯვა-წამებით მოჰკლეს. მას შემდეგ კი, რაც იგი მოჰკლეს, მისი ადამიანური ბუნება, ღვთის ძესთან ორგანული ერთიანობის წყალობით, კვლავ აღსდგა სასიცოცხლოდ. ადამიანი აღსდგა ქრისტეში მკვდრეთით. ადამიანი და არა მხოლოდ ღმერთი! ეს არის მთავარი. პირველად ვნახეთ ნამდვილი ადამიანი. ერთმა სათამაშო ჯარისკაცმა — ისეთივემ, როგორებიც სხვები არიან — გაიმარჯვა და გაცოცხლდა.

და აქაც უკვე მივუახლოვდით იმ წერტილს, სადაც ჩემი მაგალითი აღარ გამოდგება. იმას, რომ ერთ-ერთი სათამაშო ჯარისკაცი გაცოცხლდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხვებისათვის. ისინი თავისთავად არსებობენ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ადამიანებთან დაკავშირებით სხვა ვითარება გვაქვს. ისინი მხოლოდ გამოიყურებიან ცალკეულ ორგანიზმებად, რადგან ხედავთ, რომ დამოუკიდებლად დადიან და მოძრაობენ. თუმცა ჩვენ იმგვარად ვართ შექმნილნი, რომ მხოლოდ აწმყოს ჭვრეტა შეგვიძლია.

ჩვენ რომ წარსულის დანახვა შეგვეძლოს, ყველაფერი სხვაგვარად გამოჩნდებოდა. თითოეული ადამიანი ოდესღაც საკუთარი

დედის ნაწილი იყო. უფრო ადრე კი მამისა, ისინი კი, თავის მხრივ, მისი ბაბუებისა და ბებიებისა. თქვენ რომ კაცობრიობას ერთბაშად, დროის მთელი მონაკვეთის მანძილზე ხედავდეთ, ისევე როგორც ღმერთი ხედავს მას, ის აქა-იქ გაფანტული ცალკეული წერტილების მასად კი არ წარმოგიდგებოდათ, არამედ ერთიან ორგანიზმად, რომელიც უფრო მეტად გიგანტურ, რთულად განტოტვილ ხეს წააგავს. თქვენ დაინახავდით, რომ თითოეული ადამიანი დაკავშირებულია ყველა დანარჩენთან. და არა მარტო ეს. თითოეული მამაკაცი და ქალი, თითოეული ბავშვი სამყაროში გრძნობს და სუნთქავს ამჟამად, სწორედ ამ წუთას, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი ამაგრებს მასში სიცოცხლეს. აქედან გამომდინარე, ქრისტეს ადამიანად ქცევა იგივე არ იყო, რაც სათამაშო კაცუნას გაცოცხლება. ქრისტეს მოვლინებაზე შეიძლება ამგვარი რამ ვთქვათ: რაღაცამ, რომელიც გამუდმებით ზემოქმედებდა კაცობრიობაზე, გარკვეულ მომენტში სხვაგვარად დაიწყო მასზე ზემოქმედება. ეს ზემოქმედება იმ ადამიანებზეც ვრცელდება, ვინც ქრისტეს მოვლინებამდე ცხოვრობდა და მათზეც, ვისაც არაფერი სმენია მის შესახებ, ისევე როგორც ჭიქაში ჩაგდებული რომელიღაც ნივთიერების წვეთი ანიჭებს მთელ წყალს ახალ გემოსა და ფერს. უეჭველია, არც ერთი ეს ილუსტრაცია არ ასახავს ზუსტად ჭეშმარიტ ვითარებას. ღმერთს ვერაფერს შევადარებთ. მის საქციელს ანალოგი არ ეძებნება და ტყუილად ცდილობთ, ის რაიმეს მიამსგავსოთ.

როგორ შეცვალა მან კაცობრიობა? მან ადამიანი ღვთის ძედ აქცია, შექმნილი არსება მისგან ნაშობად გარდაიქმნა; დროებითი ბიოლოგიური სიცოცხლე მარადიულ სულიერ სიცოცხლედ აქცია. და ეს ყველაფერი ჩვენს გამო და ჩვენთვის მოიმოქმედა. კაცობრიობა არსებითად უკვე გადარჩენილია. ახლა ცალკეულმა ადამიანებმა უნდა ისარგებლონ ამ გადარჩენით, თითოეულმა მათგანმა თავად უნდა იმოქმედოს. ამ პროცესის ყველაზე რთული ნაწილი, ის, რომელსაც ჩვენ ვერ შევასრულებდით, ღმერთმა ითავა ჩვენს მაგივრად. არ არის საჭირო, რომ ჩვენ საკუთარი ძალისხმევით ვცდილობდეთ სულიერ სიცოცხლესთან მიახლოებას. ეს სიცოცხლე უკვე დაეშვა მიწაზე. თუ გულს გავუხსნით ადამიანს, რომელშიც სუფევს ეს სიცოცხლე მთელი თავისი სისრულით, და

რომელიც ღმერთად ყოფნასთან ერთად, ნამდვილი ადამიანიც არის, ის მოიმოქმედებს ამას ჩვენში და ჩვენს მაგივრად. გახსოვთ, რა ვთქვი „სასიკეთო ინფექციის" თაობაზე? ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთ წარმომადგენელს აქვს ეს სიცოცხლე და ჩვენც გადაგვედება, თუკი ახლოს მივალთ მასთან.

იგივე აზრი შეგიძლიათ სხვანაირადაც გამოხატოთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვების გამო, ან მამამ შეგვინდო, რადგან ქრისტემ გააკეთა ჩვენს მაგივრად ის, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა; ანუ ის, რომ ჩვენ განბანილნი ვართ კრავის სისხლით. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი. და ეს ყველაფერი სწორი იქნება. რომელი ფორმულაც მოგეწონებათ, ის ამოარჩიეთ, მაგრამ ნუ წაეჩხუბებით ადამიანებს იმის გამო, რომ მათ რომელიმე სხვა ფორმულას მიანიჭეს უპირატესობა.

6. ორი შენიშვნა

მინდა, შენიშვნები დავურთო ბოლო თავში განხილულ ორ საკითხს:

1. ერთმა ალღოიანმა კრიტიკოსმა მომწერა: ღმერთს თუ სურდა, რომ „სათამაშო ჯარისკაცების" ნაცვლად შვილები ჰყოლოდა, რატომ არ შობა ისინი თავიდანვე, იმის მაგივრად, რომ ღვთის ძეებად გახდომის ასეთი რთული და მტკივნეული პროცესი დაეწესებინა მათთვის?

ამ კითხვის ერთ ნაწილს პასუხი ადვილად მოეძებნება; მეორე ნაწილზე პასუხის გაცემა კი ადამიანური ცნობიერების ფარგლებს სცილდება. ჯერ მარტივ ნაწილს ვუპასუხებ. ადამიანების ღვთის ძეებად გადაქცევა არც რთული და არც მტკივნეული არ იქნებოდა, კაცობრიობა რომ ღმერთს არ განდგომოდა. ადამიანებმა ეს მოახერხეს, რადგან ღმერთისაგან ნების თავისუფლება ჰქონდათ ბოძებული. ღმერთმა მათ თავისუფალი ნება მისცა, ვინაიდან რობოტებით დასახლებული სამყარო ვერასოდეს შეიცნობდა სიყვარულს და, აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტ, უსაზღვრო ბედნიერებას.

ახლა შევეცადოთ, კითხვის რთულ ნაწილსაც გავცეთ პასუხი. ყველა ქრისტიანი იზიარებს იმ აზრს, რომ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის თანახმად, მხოლოდ ერთი ღვთის ძე არსებობს. თუ დავიჟინებთ იმის გამორკვევას: „შეიძლებოდა კი, რომ ღმერთს მრავალი ძე ჰყოლოდა?“ — ისეთ უღრან ტევრში აღმოვჩნდებით, რომ უკან ვეღარ გამოვაღწევთ. განა აქვს რაიმე აზრი სიტყვებს: „შეიძლებოდა კი...?“ როცა ღმერთზე ვლაპარაკობთ? ასე შეიძლება იმ საგნებისა და მოვლენების შესახებ ვიმსჯელოთ, რომლებსაც დასაწყისი და დასასრული გააჩნიათ, იმიტომ, რომ ისინი სხვაგვარი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, თუ რომელიმე სხვა საგანი იქნებოდა სხვანაირი, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, იმ შემთხვევაში შესძლებდა სხვაგვარად ყოფნას, თუ მესამე საგანი იქნებოდა სხვანაირი და ა.შ. მაგრამ როცა ღმერთზე ვლაპარაკობთ, ანუ პირველ მიზეზზე, უცვლელ რეალობაზე, რომელიც დანარჩენ რეალობას, ფაქტებსა და მოვლენებს განაპირობებს, საკითხის ამგვარად დაყენება, რომ შეიძლებოდა თუ არა, რაღაც სხვაგვარად ყოფილიყო, უაზრობაა. ის არის, რაც არის და ამით ყველაფერია ნათქვამი.

გარდა ამისა, მე ვერ წარმომიდგენია ღმერთი, რომელიც მარადიულად შობს ძეებს. იმისათვის, რომ ისინი ბევრნი ყოფილიყვნენ, მათ სხვადასხვა იერსახე უნდა ჰქონოდათ. ორი ერთპენსიანი სრულიად ერთნაირად გამოიყურება. მაშ, რატომღა არიან ისინი ორნი? ცხადია, იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას არიან და სხვადასხვა ატომებისაგან შესდგებიან. მაშასადამე, მათზე რომ ისე ვისაუბროთ, როგორც ცალკეულ, განსხვავებულ ერთეულებზე, ისეთ ცნებებს უნდა მივმართოთ, როგორიც სივრცე და დროა, ანუ შექმნილ სამყაროს. მე შემიძლია გავიგო განსხვავება მამასა და ძეს შორის ისე, რომ სივრცისა და დროის კატეგორიებს არ დავეყრდნო, რადგან ამ შემთხვევაში ერთი შობს, ხოლო მეორე იბადება. მამა ის არ იქნება ძესთან მიმართებაში, რაც ძე მამასთან მიმართებაში. მაგრამ რომ არსებულიყო რამდენიმე ძე და მათი დამოკიდებულება მამასთან, ისევე როგორც ერთმანეთთან, ერთნაირი ყოფილიყო, რანაირად განვასხვავებდით მათ ერთმანეთისაგან? ერთი შეხედვით ამ პრობლემას ვერც ამჩნევენ. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ რამდენიმე ძის ყოლის აზრი სავსებით გონივრულია.

როცა კარგად ჩავუკვირდები, ამ დასკვნამდე მივდივარ. ეს აზრი რეალურად იმიტომ გამოიყურება, რომ ჩვენ ბუნდოვნად წარმოგვიდგენია ეს ძეები სივრცეში ერთმანეთის გვერდით მდგომი ადამიანების სახით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალია, ჩვენ გვეჩვენება თითქოს სამყაროს გაჩენამდე არსებულ რაღაცაზე ვფიქრობთ, მაგრამ მაინც ვცდილობთ კონტრაბანდის სახით ამ სამყაროს შემოტანას და ღვთის ძეთა მასში განლაგებას. ხოლო როცა ამას აღარ ვაკეთებთ და მაინც ვცდილობთ ვიფიქროთ მამაზე, რომელიც შობს უამრავ ძეს სამყაროს შექმნამდე, უცებ აღმოვაჩენთ, რომ არსებითად არაფერზე არ ვფიქრობთ. სახეები ქრებიან, აზრი კი სიტყვის გროვად იქცევა. შემდეგ ახალი აზრი ჩნდება: იქნებ თვით ბუნება, სივრცე, დრო და მატერია იმისათვის შეიქმნა, რომ ეს სიმრავლე შესაძლებელი ყოფილიყო? შეიძლება ერთადერთი გზა იმისათვის, რომ უკვდავ სულთა „ლეგიონი" მიიღო, სამყაროში წინასწარ უამრავი ფიზიკური არსების შექმნა და შემდეგ მათი გასულიერებაა? მაგრამ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ვარაუდად რჩება.

2. როცა მთელ კაცობრიობას ერთი უზარმაზარი ორგანიზმის სახით წარმოვიდგენთ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რომ ინდივიდუალურ სხვაობას მნიშვნელობა არ ენიჭება და რეალური ადამიანები უფრო ნაკლებ ღირებულებებს წარმოადგენენ, ვიდრე ისეთი კოლექტიური დაჯგუფებები, როგორიცაა კლასები და რასები. ფაქტიურად ეს ცნებები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ორგანიზმის ცალკეული ნაწილები შეიძლება ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდებოდნენ, მაშინ როდესაც ცალკეული ელემენტები, რომლებიც ერთ ორგანიზმში არ შედიან, შესაძლებელია, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ექვსი ერთპენსიანი მონეტა არაფრით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ ერთნაირად გამოიყურება. ჩემი ცხვირი და ფილტვები გარეგნულად არაფრით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ იმის წყალობით არსებობენ, რომ ჩემს ორგანიზმს ეკუთვნიან და მის სიცოცხლეში იღებენ მონაწილეობას.

ქრისტიანობა ცალკეულ ადამიანებს ერთი ჯგუფის წევრებად კი არ განიხილავს, არამედ ერთი სხეულის ორგანოებად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თითოეული მათგანი იმ

ფუნქციას ასრულებს, რომელსაც სხვა ვერ შეასრულებდა. როცა შეამჩნევთ თქვენ თავს სურვილს, რომ შვილები, მოწაფეები ან მეზობლები დაიმსგავსოთ, გაიხსენეთ, ეს ღმერთს სრულიადაც არ მოეწონება. თქვენ და ისინი განსხვავებული ორგანოები ხართ და თქვენ თქვენი ფუნქცია უნდა შეასრულოთ. მეორე მხრივ კი, თუ იმის ცდუნება გეწვევათ, რომ სხვების გაჭირვებას ყურადღება არ მიაქციოთ, რადგან ეს „თქვენი საქმე" არ არის, გაიხსენეთ: მართალია, სხვები თქვენ არ გგვანან, მაგრამ ისინიც იმავე ორგანიზმის ნაწილები არიან. თუ დაივიწყებთ, რომ ადამიანები იმავე ორგანიზმს ეკუთვნიან, რომელსაც თქვენ, ინდივიდუალისტად იქცევით. თუ ის დაგავიწყდებათ, რომ სხვები იგივე ორგანოები არ არიან, რაც თქვენ და შეეცდებით ყველანაირი განსხვავება დათრგუნოთ ადამიანებში, რათა ისინი ერთმანეთს დაემსგავსონ, ტოტალიტარისტი გახდებით, მაშინ, როცა ქრისტიანი არც ინდივიდუალისტი და არც ტოტალიტარისტი არ უნდა იყოს.

ძალიან მინდა გითხრათ — და თქვენც ძალიან გინდათ მკითხოთ — თუ რომელია ამ შეცდომებიდან უფრო საშიში. მაგრამ ეს ეშმაკი გიბნევთ თავგზას. ის ცდუნებებს წყვილ-წყვილად გვიგზავნის, რათა თავი ვიმტვრიოთ, თუ რომელია ამ ურთიერთგამომრიცხავი უკიდურესობებიდან უფრო უარესი. თქვენ, რასაკვირველია, გესმით, თუ რატომ? ის იმედოვნებს, რომ ზიზღი ერთ-ერთი ცდუნებისადმი მეორისაკენ გვიბიძგებს. მაგრამ ჩვენ არ უნდა მოვტყუვდეთ. ჩვენ მიზნისაკენ უნდა მივდიოდეთ და ფხიზლად მივიკვლევდეთ გზას ამ ორ შეცდომას შორის, ისე, რომ არც ერთს და არც მეორეს არ გავაბრიყვებინოთ თავი.

7. წარმოსახვა

ნება მომეცით, ეს თავიც მაგალითებით დავიწყო, უფრო ზუსტად, ორი ამბავი შემოგთავაზოთ, რომლებსაც მინდა, რომ კარგად ჩაუფიქრდეთ. ერთ-ერთი მათგანი — ზღაპარი „ალისფერი ყვავილი" — ყველას წაგიკითხავთ. ამ ზღაპარში ქალიშვილი რატომღაც ურჩხულს უნდა გაჰყოლოდა ცოლად. იგი ასეც მოიქცა, მაგრამ ჯერ ურჩხულის სიყვარული ირწმუნა, გამოსცადა მისი

სიკეთე და შეეცადა მისთვის სიყვარულითვე ეპასუხა. როცა ქალიშვილი ურჩხულს ეამბორა, იგი მის თვალწინ მშვენიერ ყმაწვილად გადაიქცა.

მეორე ამბავი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც იძულებული იყო ნიღაბი ეტარებინა, რადგან მასში უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა. იგი ამ ნიღაბს წლების მანძილზე ატარებდა და როცა მოიხსნა, აღმოაჩინა, რომ სახეს ნიღბის გამომეტყველება მიეღო, გალამაზებულიყო. ის, რაც თავდაპირველად ყალბი, მოჩვენებითი სილამაზე გახლდათ, რეალურად გადაიქცა.

ჩემი აზრით, ეს ამბები იმის ილუსტრაციას ახდენენ, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. აქამდე ფაქტების აღწერას ვცდილობდი, კერძოდ, ვინ არის ღმერთი და რა გააკეთა მან, ახლა კი პრაქტიკულ საკითხზე მინდა გადავიდე: რა უნდა ვქნათ ჩვენ? რაში გვჭირდება მთელი ეს თეოლოგია? შეიძლება, მალე ამას მივხვდეთ. თუ მოთმინება გეყოთ და წიგნი აქამდე წაიკითხეთ, ალბათ, იმის ნებისყოფაც გექნებათ, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგათ და ილოცოთ. თქვენს ლოცვაში, ალბათ, იმ სიტყვებსაც გაიმეორებთ, უფალმა რომ გვასწავლა.[1]

გახსოვთ, რა სიტყვებით იწყება? — „მამაო ჩვენო". ახლა თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს ეს მიმართვა. ის მოწმობს, რომ თქვენ ღვთის ძის მდგომარეობაში აყენებთ საკუთარ თავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრისტეს შეიმოსავთ, ანუ ქრისტედ წარმოიდგენთ თავს. იმ წამს, როცა ამ სიტყვებს გაიაზრებთ, ხვდებით, რომ სინამდვილეში თქვენ არა ხართ ღვთის ძე. თქვენ სრულიადაც არა ხართ ისეთი, როგორიც ის ძე, რომლის სურვილები და ნება შერწყმულია მამის სურვილებთან და ნებასთან. თქვენა ხართ საკუთარ თავში ჩაკეტილი შიშის, იმედის, სიხარბის, შურისა და პატივმოყვარეობის გორგალი. და ეს ყველაფერი, მთელი თქვენი არსება, სასიკვდილოდაა განწირული. თქვენი სითამამე, კერძოდ ის, რომ ქრისტეს გინდათ მიემსგავსოთ, აღმაშფოთებელი თავდაჯერებულობაა. მაგრამ, უცნაურია, რომ მან სწორედ ამის გაკეთება გვიბრძანა.

---

[1] იხ. მათ. 6,9-14.

რატომ, რა აზრი აქვს საკუთარი თავის სხვად წარმოდგენას ან გასაღებას? თუმცა, როგორც იცით, თვით ადამიანურ დონეზეც თვალთმაქცობის ორი სახეობა არსებობს — ცუდი და კარგი. პირველ შემთხვევაში ადამიანი ვიღაცის მოტყუებას ცდილობს: მაგალითად, ის თავს ისე გაჩვენებთ, თითქოს გეხმარებათ, იმის მაგივრად, რომ მართლა მოგეხმაროთ. თვალთმაქცობის მეორე, სასარგებლო სახეობას კი სულ სხვა მიზნისაკენ მივყავართ. მაგალითად, თქვენ არ გინდათ X-ის მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინოთ, მაგრამ იცით, რომ ასე უნდა მოიქცეთ; ასეთ შემთხვევაში სწორი იქნება ისე მოიქცეთ, თითქოს უკეთესი ხართ, ვიდრე სინამდვილეში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მართლაც იგრძნობთ X-ისადმი კეთილგანწყობას.

ეს განცდა ყველასათვის ნაცნობია. ძალიან ხშირად შეუძლებელია რაღაცის განცდა, თუ ისე არ მოიქცევი, რომ თითქოს უკვე განიცდი მას. აი, რატომა აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ბავშვისათვის თამაშს, ბავშვები ხომ თავს დიდებად წარმოიდგენენ ხოლმე, როცა ომობანას ან მაღაზიობანას თამაშობენ. ამ დროს მათი კუნთები მაგრდება და გონება მახვილდება, ასე რომ წარმოსახვა მართლა ზრდის მათ.

და კიდევ: როცა გაცნობიერებულად ეტყვით საკუთარ თავს: „აი, მე წარმოვიდგენ, თითქოს ქრისტე ვარ," — იქვე იგრძნობთ, თუ როგორ ცდილობთ, რომ ეს წარმოდგენა რეალობას მიუახლოვოთ. თქვენ ისეთ რამეებზე ფიქრობთ, რაზეც არ იფიქრებდით, მართლა რომ ღვთის ძე ყოფილიყავით; შეეცადეთ, ჩამოიშოროთ ეს ფიქრები. შეიძლება, უცებ იგრძნოთ, რომ ახლა ლოცვის დრო არ არის და უმჯობესია, წერილი მისწეროთ დედას ან სამზარეულოში გახვიდეთ და ცოლს ჭურჭლის რეცხვაში მიეხმაროთ. ადექით და გააკეთეთ ის, რასაც შინაგანი ხმა გკარნახობთ.

ხედავთ, რა ხდება? თავად ქრისტე, ძე ღვთისა, ადამიანი (ისეთივე, როგორც ჩვენ) და ღმერთი (ისეთივე, როგორც მამა), დგას ჩვენს გვერდით და ჩვენს წარმოსახვას რეალობათ აქცევს. ის, რომ ამას თქვენი სინდისი გკარნახობთ, მაღალფარდოვანი სიტყვები არ გახლავთ. თუ პირდაპირ დაეკითხებით თქვენს სინდისს, გარკვეულ პასუხს მიიღებთ. თუკი თქვენ გახსოვთ, რომ ქრისტეს როლს თამაშობთ, მაშინ პასუხი სხვაგვარი იქნება. ბევრი რამ არის ისეთი,

რასაც სინდისი მაშინვე ვერ განსჯის, მაგრამ თქვენ მათ უმალვე უკუაგდებთ, თუ ნამდვილად ცდილობთ, რომ ქრისტეს მიბაძოთ. მაშინ მხოლოდ იმაზე კი არ იფიქრებთ, თუ რა არის კარგი და რა — ცუდი, არამედ შეეცდებით, რომ მისგან „სასიკეთო ინფექცია" შეგეყაროთ. ასე წესებს კი არ ემორჩილებიან, არამედ პორტრეტს ხატავენ. საინტერესოა, რომ გარკვეული კუთხით ეს უფრო რთულია, ვიდრე წესებისადმი მორჩილება, მაგრამ სხვა მხრივ — ბევრად იოლი.

ჭეშმარიტი ღვთის ძე თქვენს გვერდით იქნება. ის იწყებს თქვენს გარდაქმნას თავის მსგავს არსებად. ის იწყებს თქვენში თავისი ცხოვრების წესისა და აზროვნების დანერგვას, გაზიარებთ მისთვის დამახასიათებელ ძოეს. ის იწყებს სათამაშო ჯარისკაცის ცოცხალ ადამიანად გარდაქმნას. და, რასაკვირველია, თქვენი ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ სათამაშო კაცუნად რჩება, წინააღმდეგობას გაუწევს მას.

ზოგიერთმა თქვენგანმა შეიძლება შენიშნოს, რომ მსგავსი არაფერი განუცდია. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „მე არასოდეს მქონია იმის განცდა, რომ უხილავი ქრისტე მეხმარება, სამაგიეროდ ადამიანები ხშირად მეხმარებოდნენ". აქ მახსენდება პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ანეგდოტი ქალზე, რომელმაც თქვა: „ჩემს ოჯახს არ აღელვებს პურის უკმარისობა, ჩვენ ხომ მხოლოდ ორცხობილას ვჭამთ". თუ თქვენ პური არა გაქვთ, არც ორცხობილა გექნებათ. ქრისტე რომ არ გეხმარებოდეთ, ვერც ადამიანებისაგან ეღირსებოდით დახმარებას. ის სხვადასხვა ხერხებით ახდენს ჩვენზე ზემოქმედებას და არა მარტო „რელიგიური ცხოვრების" ფარგლებში. ის მოქმედებს ბუნების, ჩვენი სხეულის, წიგნების და ზოგჯერ გარემოებების მეშვეობითაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, ანტიქრისტიანულადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს. როცა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ეკლესიაში ჩვევის გამო დადიოდა, მიხვდება, რომ მას არ სწამს ქრისტეს მოძღვრება და შეწყვეტს ეკლესიაში სიარულს, თუ ამას პატიოსნება აიძულებს და არა მშობლებთან დაპირისპირების სურვილი, ის შეიძლება უფრო ახლოს მივიდეს ქრისტეს სულთან, ვიდრე ადრე იყო.

უფრო ხშირად ქრისტეს სული ჩვენი ერთმანეთთან ურთიერთობების მეშვეობით ახდენს ჩვენზე ზემოქმედებას. ადამიანები

სარკეები და ქრისტეს „გადამტანები“ არიან. ხანდახან „სასიკეთო ინფექცია“ იმასაც კი გადააქვს, ვინც თვითონ არ არის ამით დაავადებული. მე, მაგალითად, ქრისტიანობასთან მისვლაში ის ადამიანები დამეხმარნენ, რომლებიც თვითონ ქრისტიანები არ იყვნენ. მაგრამ, როგორც წესი, ქრისტესთან იმათ მიყავთ სხვები, ვინც თავად იცნობს მას. აი, რატომ არის ეკლესიის, ყველა ქრისტიანის ერთობის როლი ასე მნიშვნელოვანი. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ორ ქრისტიანში, რომლებიც ერთად მიუყვებიან ქრისტეს გზას, ქრისტიანობა ორჯერ კი არა, თექვსმეტჯერ უფრო მტკიცდება.

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვილისათვის ბუნებრივია, ისე სწოვდეს რძეს, რომ დედას არ იცნობდეს. დასაწყისში ჩვენც შეიძლება ვხედავდეთ ადამიანს, რომელიც გვეხმარება და ვერ ვგრძნობდეთ მის უკან მდგომ ქრისტეს. თუმცა სამუდამოდ ჩვილებად არ უნდა დავრჩეთ. უნდა გავიზარდოთ და გავაცნობიეროთ, თუ ვინ გვეხმარება. ამის არდანახვა და არგაგება უბრალოდ უგუნურებაა. მაშინ მხოლოდ ადამიანებს უნდა დავეყრდნოთ, ამას კი ადრე თუ გვიან დიდ იმედგაცრუებამდე მივყავართ. მათ შორის ყველაზე საუკეთესონიც კი უშვებენ შეცდომებს და ყველას სიკვდილი უწერია. მადლიერნი უნდა ვიყოთ ყველასი, ვინც დახმარება გაგვიწია, პატივს უნდა ვცემდეთ და გვიყვარდეს ისინი, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავეყრდნოთ მთლიანად ერთ ადამიანს, თუნდაც ის მსოფლიოში ყველაზე ბრძენი და კარგი იყოს. ქვიშისაგან ბევრი მშვენიერი რამ კეთდება, მაგრამ ქვიშაზე სახლის აგებას ნუ შეეცდებით.

ახლა ცოტათი მაინც ვხედავთ იმას, რაზეც ხშირად გვესაუბრება ახალი აღთქმა. ახალი აღთქმა ბევრგან ახსენებს „ხელახლა შობას“[1] „ქრისტეთი შემოსვას“ ანუ ქრისტე შემოსილ ადამიანებს,[2] იმას, რომ ქრისტე „ჩვენში გამოისახება“,[3] ჩვენ კი „ქრისტეს აზრს“[4] ვიძენთ.

---

[1] იხ. იოან. 3,3-7.
[2] იხ.: „...შეიმოსეთ უფალი იესო ქრისტე...“ (რომ. 13,14).
[3] იხ. გალ. 4,19.
[4] იხ. კორ. 2,16.

თავიდანვე უკუაგდეთ ის აზრი, რომ ეს მხოლოდ რთული მეტაფორული ფორმაა, რომელიც უბრალოდ იმას გამოხატავს, რომ ქრისტიანებმა ქრისტეს მცნებები უნდა იკითხონ და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ისინი ისევე, როგორც კითხულობენ პლატონს ან მარქსს და ცხოვრებაში მათი იდეალების ხორცშესხმას ცდილობენ. სხვადასხვა ფორმით გამოთქმული ახალი აღთქმისეული ეს აზრი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს: რეალური ქრისტე აქ, ახლა, ამ ოთახში, სადაც ლოცულობთ, აკეთებს რაღაცას თქვენთვის და თქვენთან ერთად. თანაც აქ ლაპარაკია არა შესანიშნავ ადამიანზე, რომელიც ორი ათასი წლის წინ გარდაიცვალა, არამედ ცოცხალ კაცზე, ისეთივეზე, როგორებიც ჩვენ ვართ, მაგრამ ამასთანავე ღმერთზეც, იმ ღმერთზე, რომელმაც სამყარო შექმნა. და ეს ცოცხალი ღმერთკაცი მოდის თქვენთან და ირჯება თქვენი შინაგანი „მეს" გარდასაქმნელად, კლავს თქვენში ძველ „მეს" და ახლით ცვლის, იმის მსგავსით, როგორიც თავად გააჩნია; თავდაპირველად რამდენიმე წამით, შემდეგ კი უფრო დიდი ხნის მანძილზე. და ბოლოს, თუკი ყველაფერი კარგად წარიმართება, ის სამუდამოდ გაქცევთ ახალ არსებად — ახალ პატარა ქრისტედ, არსებად, რომელიც თავისი შეძლებისდაგვარად ღვთის სიცოცხლეს იძენს; არსებად, რომელიც ღვთის ძლიერებას, სიხარულს, ცოდნასა და უკვდავებას ეზიარება. ცოტა მოგვიანებით ორ სხვა აღმოჩენას ვაკეთებთ.

1. ჩვენ ვიწყებთ არა მარტო ჩვენი ცოდვილი საქციელის, არამედ ჩვენი ცოდვიანობის გაცნობიერებასაც. გვაწუხებს არა მარტო ის, თუ რას ვაკეთებთ, არამედ ისიც, თუ რას წარმოვადგენთ საერთოდ, როგორები ვართ. ეს ცოტა არ იყოს რთულად ჟღერს და შევეცდები, იგივე აზრი მარტივად აგიხსნათ საკუთარ მაგალითზე. როცა საღამოს ლოცვისათვის ვემზადები და ვცდილობ, დღის განმავლობაში ჩადენილი ცოდვები გავიხსენო, ათიდან ცხრა შემთხვევაში, ყველაზე აშკარა მოყვასისადმი სიყვარულის მცნების დარღვევაა: მე ან ვბრაზობდი, ან ვყვიროდი და აღშფოთებას გამოვხატავდი. და ჩემს გონებაში უმალ ჩნდება საკუთარი თავის გასამართლებელი საბუთი: მე გამომიწვიეს, უცებ მომვარდნენ და დამაბნიეს, დრო არ მქონდა, რომ გონება მომეკრიბა. ეს თითქოს ერთგვარი შემამსუბუქებელი გარემოებაა, რადგან ბევრად უარესი

იქნებოდა, ამგვარი რამ შეგნებულად, წინასწარგანზრახვით რომ გამეკეთებინა.

მეორე მხრივ კი, ის, რასაც ადამიანი სპონტანურად, დაუფიქრებლად აკეთებს, ყველაზე უკეთ არ აჩვენებს ეს რა კაციც არის? ის, რაც წამოგცდებათ, სანამ საკუთარ თავს შეინიღბავდეთ, ყველაზე უკეთ არ გამოხატავს თქვენს ჭეშმარიტ შინაგან ბუნებას? თუ სარდაფში ვირთხები ბუდობენ, მათი დანახვა ყველაზე სავარაუდოა მაშინ, როცა მოულოდნელად შეაღებთ კარს. მაგრამ ვირთხებს მოულოდნელობა კი არ აჩენს, მხოლოდ დამალვაში უშლის ხელს. ზუსტად ასევე, საბაბის მოულოდნელობა კი არ მაქცევს ფიცს და თავშეუკავებელ ადამიანად, ის მხოლოდ ააშკარავებს ჩემს სიფიცხეს. ვირთხები სარდაფში მუდამ არიან, მაგრამ თუ იქ ხმაურითა და ყვირილით შეხვალთ, მანამ დაიშლებიან, სანამ შუქს აანთებდეთ.

როგორც ჩანს, წინააღმდეგობისა და შურისძიების ვირთხები მუდმივად ცხოვრობენ ჩემი სულის სარდაფში. ჩემი ცნობიერი ნება ამ სარდაფამდე ვერ აღწევს. გარკვეულ ზღვრამდე მე ვაკონტროლებ ჩემს ქცევებს, მაგრამ ჩემი ტემპერამენტის პირდაპირი კონტროლი მე არ შემიძლია. და თუ ის, როგორები ვართ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი საქციელი; თუ ჩვენი ქცევები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩვენს შინაგან არსს გამოხატავენ, აქედან გამომდინარეობს, რომ გარდაქმნას, რომელიც აუცილებელია, ჩემი საკუთარი ძალებით ვერ შევძლებ. ეს კარგ ქცევებსაც ეხება. ბევრი სიკეთე ჩამიდენია კეთილი ძრახვებიდან გამომდინარე? რამდენჯერ ყოფილა, რომ უბრალოდ საზოგადოებრივი აზრის შემშინებია ან საკუთარი თავის კარგად წარმოჩენა მდომებია? რამდენი მათგანი ჩამიდენია მხოლოდ სიჯიუტის გამო, რაც სხვა ვითარებაში, ალბათ, ცუდ საქციელამდე მიმიყვანდა? მე არ შემიძლია, რომ ზნეობრივი ძალისხმევით გავაღვიძო ჩემში ახალი სტიმულები. გადავდგამთ თუ არა რამდენიმე ნაბიჯს ქრისტიანის სავალ გზაზე, ვხვდებით, რომ ყველა აუცილებელი ცვლილება ჩვენს სულში მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოახდინოს. ამ მსჯელობას იმასთან მივყავართ, რაც ჩემს გადმოცემაში მთლად ზუსტად ვერ გამოხატავდა ჭეშმარიტებას.

2. ჩემი სიტყვებიდან შეიძლებოდა ისეთი შთაბეჭდილება შეგქმნოდათ, რომ ყველაფერს ჩვენ თვითონ ვაკეთებთ. სინამდვილეში ყველა ცვლილებას ღმერთი ახდენს. საუკეთესო შემთხვევაში ჩვენ წინააღმდეგობას არ ვუწევთ მას. რაღაც თვალსაზრისით, შეიძლება, ისიც ითქვას, რომ ეს ჩვენ კი არა, ღმერთი მიმართავს წარმოსახვას. მართლაც, სამპიროვანი ღმერთი ხედავს ხარბ, ბუზღუნა და დაუმორჩილებელ არსებას, მაგრამ ამბობს: „მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ეს უბრალო არსება კი არ არის, არამედ ჩვენი ძეა. ის წააგავს იესოს იმ თვალსაზრისით, რომ იესოც ადამიანია, იგი ხომ ადამიანად იქცა. მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი სულიერადაც წააგავს ქრისტეს და ისე მოვიქცეთ, თითქოს ეს ჭეშმარიტება იყოს, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. მაგრამ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი წარმოსახვა რეალობად იქცა“.

ღმერთი ისე გვიყურებს, როგორც პატარა ქრისტეს; ქრისტე კი გვერდით გვიდგას, რათა დაგვეხმაროს, როცა მის მსგავს არსებად გარდაქმნას დავიწყებთ. აზრი იმის შესახებ, რომ ღმერთი წარმოსახვას მიმართავს, ცოტა უცნაურად ჟღერს. მაგრამ განა უცნაურია ეს? განა ასე არ ზრდის უფრო მაღალი რანგის არსება მასზე დაბლა მდგომს? დედა საუბრის საშუალებით ასწავლის ბავშვს ლაპარაკს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბავშვს არ ესმის, თუ რას ეუბნებიან. ჩვენ ისე ვექცევით ძაღლებს, როგორც ადამიანებს. აი, რატომ ხდება, რომ ბოლოს და ბოლოს ისინი ლამის არის „ადამიანებად“ იქცნენ.

8. იოლია ქრისტიანობა, თუ ძნელი?

წინა თავში ვისაუბრე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევიმოსოთ ქრისტე, ანუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ თავი ღვთის ძედ, რათა ბოლოს და ბოლოს მართლაც იმად ვიქცეთ. ახლა კი მინდა გარკვევით გითხრათ, რომ ეს ქრისტიანის მხოლოდ ერთ-ერთი მოვალეობა ან სხვა სამყაროში გადასასვლელი აუცილებელი სავარჯიშო არ არის. ესაა ქრისტიანობის არსი და აზრი. ქრისტიანობა სხვას არაფერს გვთავაზობს. მინდა გაჩვენოთ, თუ რა განსხვავებაა ქრისტიანობასა და ჩვეულებრივ ზნეობას ან სიკეთეს შორის.

ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენები, რომლებსაც ჯერ კიდევ ქრისტიანობაზე მოქცევამდე ვიზიარებთ, ასეთია: ვიღებთ ჩვენს ჩვეულებრივ „მეს“ მისი მრავალრიცხოვანი სურვილებითა და ინტერესებით, შემდეგ ვაღიარებთ, რომ რაღაც — დაარქვით მას, გნებავთ „ზნეობა“, „ქცევის წესები“ ან „საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოთხოვნები“ — უყენებს ჩვენს „მეს“ თავის მოთხოვნებს და აქ იწყება მისი კონფლიქტი საკუთარ სურვილებთან. „იყო კარგი“ — ნიშნავს ამ მოთხოვნებს ასრულებდე. ზოგიერთი რამ, რაც ჩვენ „მეს“ მოესურვება, ის აღმოჩნდება, რასაც ბოროტებას ვუწოდებთ. ასეთ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, რომ უარი ვთქვათ მასზე. ხოლო სხვა რაღაცეები, რისი გაკეთებაც ჩვენ „მეს“ არ სურს, პირიქით, სიკეთე აღმოჩნდება და ჩვენც მისი გაკეთება გვიწევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვიმედოვნებთ, რომ როცა ყველა ამ მოთხოვნას შევასრულებთ, ჩვენს საცოდავ „მეს“ კიდევ დარჩება შესაძლებლობა და დრო, თავისი საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილოს, თავისი ცხოვრებითა და თავისი სიამოვნებისათვის იცხოვროს. ერთი სიტყვით, ჩვენ ძალიან ვგავართ წესიერ კაცს, რომელიც პატიოსნად იხდის გადასახადებს. ის კეთილსინდისიერად იხდის მათ და თან იმედოვნებს, რომ კარგი ცხოვრებისთვისაც საკმარისი ფული დარჩება. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ამოსავალ წერტილად ჩვენს ჩვეულებრივ „მეს“ მივიჩნევთ.

სანამ ასე ვფიქრობთ, ძირითადად ორ შედეგს ვაღწევთ. ან აღარ ვცდილობთ, რომ კარგი ვიყოთ, ან მართლაც უბედურ ადამიანად ვიქცევით. რატომ? იმიტომ, რომ თუ მართლა ყველა მოთხოვნის შესრულებას აპირებთ, თქვენს „მეს“ აღარ დარჩება აღარც დრო და აღარც ძალა, საკუთარი თავისთვის რომ იცხოვროს. რაც უფრო მეტად მისდევთ სინდისის ხმას, ისიც მით უფრო მომთხოვნი ხდება. თქვენი ბუნებრივი „მე“, რომელსაც შია, დაბრკოლებებს აწყდება და ტვირთის ქვეშ გმინავს, თანდათან აღშფოთდება. აი, რატომ ხდება, რომ თქვენ ან შეწყვეტთ ამ მოთხოვნების შესრულებას, ან ერთ-ერთ იმ ადამიანად იქცევით, რომლებიც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სხვებისათვის ცხოვრობენ“, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის უკმაყოფილონი არიან და ბუზღუნებენ, თანაც უკვირთ, სხვები რატომ ვერ ამჩნევენ მათ თავგანწირვასა და მოწამეობრივ ყოფას. როცა ასეთ არსებად ჩამოყალიბ-

დებით, უფრო აუტანლად იქცევით ირგვლივ მყოფთათვის, ვიდრე აშკარა ეგოისტობის შემთხვევაში.

ქრისტიანობა სხვა გზას გვთავაზობს. ეს გზა ძნელიც არის და იოლიც. ქრისტე ამბობს: „მე მომიძღვენით ყველაფერი. მე არ მჭირდება თქვენი ამდენი და ამდენი დრო, ამდენი და ამდენი ფული ან შრომა, მე თქვენ მინდიხართ. მე არ მოვსულვარ იმისათვის, რომ თქვენი ბუნებრივი „მე" ვტანჯო, მე მისი მოკვდინება მსურს. სანახევრო ზომები აქ არ გამოგვადგება. მე არ ვაპირებ აქა-იქ ტოტების გამოკაფვას, მე მთელი ხის მოჭრა მინდა. არ ვაპირებ კბილის გაბურღვას და დაპლომბვას, მე ის უნდა ამოვიღო. მომიძღვენით მთელი თქვენი „მე" განუყოფლად, მისი უბიწო და მანკიერი სურვილებით. სამაგიეროდ მე ახალ „მეს" მოგცემთ. უფრო სწორად, ჩემს თავს გიბოძებთ და ყველაფერი ჩემი თქვენი გახდება".

ეს უფრო ძნელიც არის და უფრო იოლიც. იმასთან შედარებით, რის გაკეთებასაც ვცდილობთ. იმედი მაქვს, შეამჩნიეთ, რომ თვითონ ქრისტე აღწერს ქრისტიანულ გზას ხან როგორც მძიმეს და ხან როგორც მსუბუქს. ის ამბობს: „აიღე შენი ჯვარი",[1] თითქოს რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკში მოწამეობრივი სიკვდილისაკენ მოგვიწოდებდეს. მაგრამ იქვე ამასაც გვეუბნება: „...ჩემი უღელი საამურია და ტვირთი — მსუბუქი".[2] ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რატომაა სწორი ერთიც და მეორეც.

მასწავლებელმა შეიძლება გითხრათ, რომ ყველაზე ზარმაცი მოწაფე ისაა, ვინც წლის ბოლოს ყველაზე მეტს მეცადინეობს. ეს ხუმრობა არ გახლავთ. თუ ორ მოწაფეს გეომეტრიულ თეორემებს მისცემთ დასამტკიცებლად, ის, რომელიც მზად არის, რომ საქმეს შეუდგეს, ჯერ ამ თეორემის გაგებას მოინდომებს. ზარმაცი მოწაფე კი უბრალოდ დაიზეპირებს მას, რადგან იმ წამში ეს ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, როცა გამოცდებისათვის მზადებას დაიწყებენ, ზარმაცს საათები დასჭირდება იმის ასათვისებლად, რასაც ბეჯითი მოწაფე რამდენიმე წუთში გააკეთებს. საბოლოო ჯამში ზარმაცს უფრო მეტი შრომა უწევს.

---

[1] მათ.16,24.
[2] მათ. 11,30.

ანდა მოდით, ამ საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ. ბრძოლაში ან მთაზე ასვლისას ზოგჯერ საკმაოდ რთული რაღაცეების გაკეთებაა საჭირო, რაც ფიზიკურ დაძაბვასა და ვაჟკაცობას მოითხოვს, თუმცა სწორედ ეს უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ უსაფრთხოებას. თუ ამას არ გააკეთებთ, დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებით, სიმხდალე ამ დროს უგუნურება იქნება.

სწორედ ასე ხდება ქრისტიანობაშიც. ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ მთლიანად გასცე საკუთარი თავი და შენი სურვილები თუ ცხოვრება ქრისტეს მიანდო. მაგრამ ეგ ბევრად იოლია, ვიდრე ის, რის გაკეთებასაც ჩვენ ვცდილობთ. ჩვენ ხომ „საკუთარ თავად" დარჩენას ვცდილობთ, უარს არ ვამბობთ პირად ბედნიერებაზე, როგორც ჩვენი ცხოვრების მიზანზე და ამავე დროს ვცდილობთ, რომ „კარგები ვიყოთ". ვცდილობთ, არ შევეწინააღმდეგოთ ჩვენს გულსა და გონებას, როცა ისინი სიმდიდრეზე, წარმატებაზე და სიამოვნებაზე ოცნებობენ, და ამავე დროს ვიმედოვნებთ, რომ პატიოსნად, გონივრულად და თავმდაბლად მოვიქცევით. სწორედ ამის თაობაზე გვაფრთხილებდა იესო. ის გვეუბნებოდა, რომ ეკლიდან ლეღვს ვერ მოკრეფ.[1] მინდორზე, სადაც ბალახია დათესილი, ხორბალს ვერ მოვიყვანთ. თუ თქვენ გამუდმებით მოთიბავთ ბალახს, ის დიდი არ გაიზრდება, მაგრამ ხორბალი ამ მინდორზე მაინც არ ამოვა. ხორბლის მოსავალი რომ მოვიყვანოთ, მიწა თავიდან უნდა გადავხნათ და თესლიც თავიდან უნდა დავთესოთ.

აი, რატომ ხდება, რომ ქრისტიანული ცხოვრების ჭეშმარიტი პრობლემა იქ იჩენს თავს, სადაც ადამიანები მასთან შეჯახებას არ მოელიან. ის ჩნდება მაშინ, როცა დილით ვიღვიძებთ. გარეული მხეცივით გვეტაკება ხოლმე ახალ დღესთან დაკავშირებული ყველა ჩვენი სურვილი და იმედი. ჩვენი უპირველესი მოვალეობა კი ისაა, რომ უბრალოდ განვდევნოთ ისინი; ჩვენ სხვა ხმას უნდა გავყვეთ, სხვა თვალსაზრისი უნდა გავიზიაროთ, ხელი არ უნდა შევუშალოთ, რომ უფრო დიდი, უფრო ძლიერი და მშვიდი სიცოცხლის ნაკადმა აგვავსოს. და ასეა მთელი დღის განმავლობაში:

---

[1] იხ. ლუკ. 6,44.

ვზღუდავთ ჩვენს ჭირვეულობასა და ღელვას და ქარისაგან დაცულ ხაზზე გადავდივართ.

დასაწყისში ამგვარ სულისკვეთებას მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ შეინარჩუნებთ. მაგრამ ამ წუთებში ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ორგანიზმს ახალი ტიპის სიცოცხლის ნაკადი ავსებს, რადგან ნებას ვაძლევთ ქრისტეს თავისი საქმე შეასრულოს. არის განსხვავება ზეთის საღებავს, რომელიც მხოლოდ ზედაპირს ფარავს, და ისეთ საღებავს შორის, რომელიც საგანს მთლიანად ჟღინთავს. ქრისტეს არასოდეს წარმოუთქვამს ბუნდოვანი იდეალისტური ფრაზები. როცა გვეუბნებოდა: „იყავით სრულყოფილნი“,[1] სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში. ის გულისხმობდა, რომ ჩვენ მკურნალობის სრული კურსი უნდა გაგვევლო. ეს ძნელია, მაგრამ იმ კომპრომისის მიღწევა, ჩვენ რომ გვსურს, საერთოდ შეუძლებელია. კვერცხს, ალბათ, უჭირს ფრინველად გადაქცევა, მაგრამ ბევრად უფრო გაუჭირდებოდა ფრენის სწავლა, კვერცხად რომ დარჩენილიყო. ჩვენც კვერცხის მდგომარეობაში ვართ, მაგრამ არ შეიძლება სამუდამოდ ჩვეულებრივ, წესიერ კვერცხებად დავრჩეთ. ან უნდა გამოვიჩეკოთ, ან არა და კვერცხი ლაყდება.

ახლა ნება მომეცით, გავიმეორო, რომ სწორედ ეს არის ქრისტიანობის არსი. ვუშვებ, რომ ამან შეიძლება ერთგვარი გაოცება გამოიწვიოს. ხომ აშკარაა, რომ ეკლესიას ბევრი სხვა საზრუნავი აქვს — განათლება, ახალი შენობების შენება, მისიონერული სამუშაო, წირვა-ლოცვა. ისიც ცხადია, რომ სახელმწიფოც ბევრი საზრუნავითაა დაკავებული: ესაა თავდაცვა, პოლიტიკა, ეკონომიკა და ბევრი სხვა. სინამდვილეში კი ყველაფერი ბევრად უფრი მარტივია. სახელმწიფო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ უზრუნველყოს და დაიცვას ჩვენი ადამიანური კეთილდღეობა. ცოლი და ქმარი ბუხართან მიმსხდრები საუბრობენ; მეგობრები პაბში დარტის თამაშით[2] იქცევენ თავს; ადამიანი თავის ოთახში კითხულობს ან საკუთარ ბაღში მუშაობს, — სახელმწიფო კი მათ იცავს. ყველა კანონს, პარლამენტს, ჯარს, სასამართლოს, პოლიტიკას,

---

[1] მათ. 5,48.

[2] პაბი — საზოგადოებრივი თავშეყრისა და გართობის ადგილი; დარტი — ინგლისური თამაშის სახეობა.

ეკონომიკას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ამის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მხოლოდ დროისა და ფულის ხარჯვად შემოგვიბრუნდებიან.

რაც შეეხება ეკლესიას, ის მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ადამიანები ქრისტესთან მიიყვანოს, პატარა ქრისტეებად აქციოს ისინი. თუ ის ამას არ აკეთებს, ყველა კათედრალური ტაძარი, ეკლესიის მსახური, მისიები, ქადაგებები და თვით ბიბლიაც კი დროის უბრალო ფლანგვაა, რადგან ღმერთი სწორედ ამ მიზნის შესასრულებლად იქცა ადამიანად. და იცით, რა? იქნებ სამყაროც მხოლოდ ამ მიზნით შეიქმნა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ სამყარო ქრისტესთვის შეიქმნა და ყველაფერი მას უნდა შეერწყას.[1] ვფიქრობ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაიგებს, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს სამყაროს მასშტაბით. ჩვენ არ ვიცით, ვინ ცხოვრობს (თუკი საერთოდ ცხოვრობს იქ ვინმე) მის იმ ნაწილებში, რომლებიც დედამიწიდან მილიონი კილომეტრით არიან დაშორებულნი. ამ მიწაზეც კი არ ვიცით, რა მოუვა ადამიანის გარდა სხვა სულდგმულს. მაგრამ, აბა, რას ველოდით? ჩვენ მხოლოდ გეგმის ის ნაწილი გაგვაცნეს, რაც პირადად გვეხება. ხანდახან მიყვარს იმის წარმოდგენა, თუ რა დაემართებათ სხვა არსებებსა და საგნებს. ჩემი აზრით, უმაღლესი ცხოველები რაღაც თვალსაზრისით ადამიანებს დაუახლოვდებიან იმ სიყვარულის წყალობით, რომელსაც ადამიანი მათ მიმართ იჩენს და რაც მათ უფრო ადამიანურებად ხდის, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდნენ, ადამიანი რომ არ ყოფილიყო. მე ისიც მეჩვენება, რომ გასულიერებული საგნები და მცენარეებიც ადამიანისაკენ მიიწევენ იმდენად, რამდენადაც ადამიანს სჭირდება და აფასებს მათ. სხვა სამყაროებიც რომ გონიერი არსებებით იყვნენ დასახლებულნი, იქაც იგივე მოხდებოდა. შეიძლება, როცა გონიერი არსებები ქრისტეს შეერწყმიან, მათ დანარჩენი სამყაროც შეიტანონ მასში, მაგრამ მე არ ვიცი, რანაირად მოხდება ეს სინამდვილეში და მხოლოდ ჩემს ვარაუდებს გიზიარებთ.

ჩვენ მხოლოდ ის გვეთქვა, თუ როგორ გავერთიანდებით ქრისტეში, როგორ ვიქცევით მისი საოცარი ძღვენის ნაწილად,

---

[1] ებრ. 1,2.

რომელსაც სამყაროს ახალგაზრდა უფლისწული თავის მამას უძღვნის, იმ ძღვნად, რომელიც თვითონ არის და, აქედან გამომდინარე, ჩვენც მასთან ერთად, მხოლოდ ამის გამო ვართ შექმნილნი. ბიბლიაში არის მინიშნება იმის შესახებ, რომ როცა ჩვენ მას შევუერთდებით, ბუნებაში ყველაფერი თავის თავდაპირველ, ჭეშმარიტ აზრს შეიძენს. საშინელი სიზმარი დასრულდება და გათენდება.

9. საფასურის დაანგარიშება

ბევრი თურმე შეუშფოთებია იმას, რაც უფლის სიტყვების — „იყავით სრულყოფილნი"-ს შესახებ ვთქვი. მაშ, ალბათ, ჰგონიათ, რომ ეს სიტყვები შემდეგს ნიშნავს: „სანამ სრულყოფილნი არ გახდებით, არ მოგეხმარებით", — და რადგან ჩვენ სრულყოფილნი ვერასოდეს გავხდებით, მაშასადამე, გამოუვალ მდგომარეობაში ვყოფილვართ. მე ვთვლი, რომ ეს ასე არ გახლავთ. ჩემი აზრით, უფალმა ეს გვითხრა: „მე მხოლოდ ერთ რამეში დაგეხმარებით — სრულყოფილების მიღწევაში. თქვენ, შეიძლება, უფრო ნაკლები რამ გაწყობდეთ, მაგრამ ამაზე ნაკლებს ვერაფერს შემოგთავაზებთ".

ნება მომეცით, განვმარტო ჩემი თვალსაზრისი. ბავშვობაში ხშირად მტკიოდა კბილები და ვიცოდი: საკმარისია დედასთან მივსულიყავი, რომ ის ტკივილდამაყუჩებელს მომცემდა და მშვიდად დავიძინებდი. მაგრამ მე ასე არ ვიქცეოდი, უკიდურეს შემთხვევაში მანამ, სანამ ტკივილი აუტანელი არ გახდებოდა. დედასთან ტკივილდამაყუჩებელის სათხოვნელად იმიტომ არ მივდიოდი, რომ ვიცოდი, ის მარტო ამას არ დასჯერდებოდა და მეორე დღეს კბილის ექიმთან წამიყვანდა. მე არ შემეძლო მიმეღო მისგან, რაც მინდოდა და თავიდან ამეცილებინა ის, რაც არ მინდოდა. მე ტკივილისაგან განთავისუფლება მინდოდა, მაგრამ ამავე დროს ყველა კბილის შემოწმებაც მომიწევდა. არადა ვიცნობდი ამ კბილის ექიმებს. ვიცოდი, რომ იმ კბილებსაც დაიწყებდნენ კირკიტს, რომლებიც ჯერ არ მტკიოდა. ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ ხოლმე, თითს თუ გაუწევდი, მთელ ხელს ჩაბღუჯავდნენ.

ჩვენი უფალიც, თუკი ამგვარი შედარების უფლებას მომცემთ, რაღაცნაირად ამ კბილის ექიმებს მაგონებს. თუ თითს გაუწვდით, მთელ ხელს წაგართმევთ. ათეულობით ადამიანი მიდის მასთან, რომ რომელიღაც ერთი ცოდვისაგან განიკურნონ, რისიც მათ განსაკუთრებულად რცხვენიათ (მაგალითად, სიმხდალისაგან), ან რაც მათ ცხოვრებას უმწარებს (ვთქვათ, სიფიცხის ან ლოთობისაგან). ის მართლაც მოგაცილებთ ამ ნაკლს, მაგრამ ამაზე როდი შეჩერდება. თქვენ, შეიძლება, სხვა არაფერი გითხოვიათ, მაგრამ თუ მასთან მიხვედით, აუცილებლად მკურნალობის მთელ კურსს ჩაგიტარებთ.

აი, რატომ აფრთხილებს ის ადამიანებს, რომ სანამ ქრისტიანები გახდებიან, კარგად აწონ-დაწონონ, რის ფასად მიიღწევა ეს. „სწორად გამიგეთ, — გვეუბნება ის — თუ ნებას მომცემთ, სრულქმნილად გაქცევთ. იმ წამს, როცა საკუთარ თავს მომანდობთ, იცოდეთ, რომ სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებ. თუმცა თქვენი ნება თავისუფალი რჩება. თუ მოგინდებათ, შეგიძლიათ თავიდან მომიშოროთ, მაგრამ თუ თავიდან არ მომიშორებთ, მაშინ გახსოვდეთ: საქმეს ბოლომდე მივიყვან. რა ტანჯვა-წამებადაც არ უნდა დაგიჯდეთ ეს თქვენს მიწიერ ცხოვრებაში და რადაც არ უნდა დამიჯდეს მე, არ დავმშვიდდები და არც მოგეშვებით მანამ, სანამ მართლაც სრულქმნილი არ გახდებით — სანამ მამაჩემი არ იტყვის, რომ კმაყოფილია თქვენით, როგორც ჩემზე თქვა. მე შემიძლია ეს გავაკეთო და გავაკეთებ კიდეც. მაგრამ უფრო ნაკლებს მე არ მოვიმოქმედებ“.

და მიუხედავად ამისა (და ეს ძალზე მნიშვნელოვანია!), დამხმარე, რომელსაც თქვენი სრულყოფის გარდა ვერაფრით დააკმაყოფილებთ, სიხარულით შეხვდება იმ სუსტ მცდელობასაც, რომელსაც განახორციელებთ ხვალ თქვენი უმარტივესი მოვალეობის შესასრულებლად. როგორც ქრისტიანი მწერალი ჯორჯ მაკდონალდი ამბობდა, ყველა მამა კმაყოფილია, როცა შვილი პირველი გაუბედავი ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს, მაგრამ არც ერთი არ იქნება კმაყოფილი, თუ მისი ზრდასრული შვილი გაბედული და თავისუფალი ნაბიჯით არ ივლის. ზუსტად ასევე, ამბობს იგი, „ადვილია უფლისაგან ქების დამსახურება, მაგრამ ძნელია მისი დაკმაყოფილება“.

აქედან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნა: თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს იმან, რომ ღმერთი ჩვენგან სრულყოფილებას ითხოვს, როცა კარგად მოქცევას ვცდილობთ, ისევე, როგორც არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთაში, როცა ამ მცდელობის დროს არაფერი გამოგვდის. ყოველთვის, როცა დაეცემით, ის კვლავ ფეხზე წამოგაყენებთ. მან შესანიშნავად იცის, რომ საკუთარი ძალისხმევით თქვენ ვერასოდეს გახდებით სრულყოფილი. თქვენც თავიდანვე უნდა გესმოდეთ, რომ მიზანი, რისკენაც ის გიბიძგებთ, აბსოლუტური სრულყოფილებაა და ვერანაირი ძალა ვერ შეუშლის მას ხელს თავად თქვენს გარდა. ამისი ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია. თუ ამას ვერ გავიგებთ, შეიძლება, რაღაც წუთებში წინააღმდეგობის გაწევაც კი დავუწყოთ მას. ბევრი ჩვენგანი უკვე საკმაოდ კარგ ადამიანად მიიჩნევს თავს, მას შემდეგ, რაც ქრისტემ ერთი ან ორი ისეთი მანკიერებისაგან განკურნა, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებდნენ. მათი აზრით, ქრისტემ ყველაფერი გააკეთა, რასაც მისგან ითხოვდნენ და მეტი აღარაფერი სურთ. ჩვენთან მიღებულია ასეთი აზრის გამოთქმა: „მე წმინდანად გადაქცევას არ ვაპირებდი, უბრალოდ წესიერ კაცად ყოფნა მინდოდა". ისიც კი გვეჩვენება, რომ ეს აზრი თავმდაბლობის გამოხატულებაა.

მაგრამ ჩვენ ვცდებით და ეს შეცდომა ფრიად სამწუხაროა. რასაკვირველია, ჩვენ არც გვინდოდა და არც გვითხოვია, რომ სრულქმნილ არსებად გადავქცეულიყავით. მაგრამ მთავარი ჩვენი სურვილები კი არ არის, არამედ ის მიზნები, რომელიც მან ჩვენი შექმნის დროს დასახა. ის გამომგონებელია, ჩვენ კი მხოლოდ მანქანები. ის მხატვარია, ჩვენ კი მხოლოდ სურათები ვართ. საიდან შეიძლება ვიცოდეთ, რას გვიპირებს იგი ჩვენ? შეამჩნიეთ, რომ უკვე გვაქცია იმად, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რა ვიყავით? დიდი ხნით ადრე, დაბადებამდე, როცა ჯერ კიდევ დედის საშოში ვიყავით, ჩვენ განვითარების სხვადასხვა საფეხური გავიარეთ. ჯერ მცენარეს ვგავდით, მერე თევზებს და მხოლოდ განვითარების ბოლო საფეხურზე დავემსგავსეთ ადამიანს. ჩვენ რომ იმ ადრეული საფეხურების გაცნობიერება შეგვძლებოდა, ადვილი შესაძლებელია, მცენარეების ან თევზებისათვის დამახასიათებელ არსებობას დავჯერებოდით და ადამიანად გადაქცევა არ მოგვეწადინებინა. მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე უფალს

თავისი გეგმა ჰქონდა და მტკიცედ ჰქონდა განზრახული მისი შესრულება. ზუსტად იგივე ხდება ახლაც, ოღონდ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ვუშვებ, რომ სავსებით დაგვაკმაყოფილებდა „ჩვეულებრივ ადამიანებად“ ყოფნა, მაგრამ უფალს თავისი განზრახვა აქვს. ამ განზრახვაში მონაწილეობის მიღებაზე უარს თავმდაბლობის კი არა, სიზარმაცისა და სიმხდალის გამო ვამბობთ. ხოლო თანხმობა პატივმოყვარეობასა და განდიდების მანიაზე კი არ მოწმობს, არამედ მორჩილებაზე.

ჭეშმარიტების ეს წახნაგები სხვაგვარადაც შეიძლება გავაშუქოთ. ერთი მხრივ, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ წესიერი ადამიანის ამპლუაში საკუთარ ძალებზე დაყრდნობით თუნდაც ერთი დღე და ღამე მაინც გავძლებთ. უფალი რომ არ გვედგას გვერდით, ვერავინ აიცილებდა თავიდან სერიოზულ შეცდომებსა და დანაშაულს. მეორე მხრივ, ის სიწმინდე და გმირობა, რომლითაც დიდი წმიდანები გამოირჩეოდნენ, იმაზე მეტი არ არის, რის ბოძებასაც ის თითოეული ჩვენთაგანისათვის აპირებს. ჩვენი გარდაქმნის პროცესი ამ ცხოვრებაში არ დამთავრდება. თითოეული ჩვენგანი აქ სრულყოფის იმ დონეს მიაღწევს, რამდენიც მის სიკვდილამდე იყო შესაძლებელი.

აი, რატომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა სიძნელეებს ვაწყდებით. როცა ადამიანი ქრისტეს მიენდობა და ჰგონია, რომ ყველაფერი კარგად მიდის (ცუდი მიდრეკილებებისაგან განკურნებას ვგულისხმობ), მისი აზრით, გარემო პირობებიც მის სასარგებლოდ უნდა განვითარდეს. მაგრამ თავს იჩენენ სიძნელეები, ავადმყოფობა, სიღარიბე, სხვადასხვა ცდუნებები — და ამ ადამიანსაც გული უტყდება. ეს ყველაფერი აუცილებელი იყო ჩემში სინდისის გაღვიძებისა და სინანულის გრძნობის აღძვრისათვის, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა? იმიტომ, რომ ღმერთი მას წინ მიერეკება და უფრო მაღალ დონეზე ასვლისაკენ უბიძგებს. უფალი მას იმგვარ სიტუაციებში აგდებს, სადაც მას უფრო მეტი სიმამაცის, მოთმინების ან სიყვარულის გამომჟღავნება უხდება, ვიდრე ოდესმე წარმოიდგენდა. ჩვენ ეს ყველაფერი ზედმეტად გვეჩვენება, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა საუცხოო არსებად გადაქცევას გვიპირებს იგი.

ვფიქრობ, ჯორჯ მაკდონალდისაგან კიდევ ერთი შედარების სესხება დამჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ საცხოვრებელი სახლი ხართ. ღმერთი შედის ამ სახლში, რათა გადააკეთოს ის. თავიდან, შეიძლება, გესმით, რას აკეთებს. იგი წყალსადენის მილებს ასწორებს, სახურავის იმ ადგილებს აკეთებს, საიდანაც წყალი ჩამოდის, და ასე შემდეგ. თქვენ გესმით, რომ ეს სამუშაოები ჩასატარებელია, ამიტომ მისი საქციელი სულაც არ გაკვირვებთ. მაგრამ, ახლა ხედავთ, მან სახლს ისეთი ბაგა-ბუგი აუტეხა გარშემო, რომ თქვენ აუტანელ ტკივილს განიცდით და თან ვერ გაგიგიათ, რატომ გექცევათ იგი ასე. რას გიპირებთ? ამის ახსნა ეს არის: იგი, თქვენ რომ წარმოგედგინათ, ისეთ სახლს არ აშენებს. იგი ახალ ფლიგელს უმატებს შენობას, ახალ იატაკს აგებს, კოშკებს აშენებს, შიდა ეზოებს მართავს. გეგონათ, პატარა მშვენიერ კოტეჯად გადაკეთებას გიპირებდნენ, მაგრამ ის სასახლეს აგებს და თავად ემზადება შიგ საცხოვრებლად.

მცნება „იყავით სრულქმნილნი“ — მხოლოდ იდეალისტური და მაღალფარდოვანი მოწოდება არ არის. ეს არც შეუძლებლის გაკეთების ბრძანებაა. ის ჩვენ იმგვარ არსებებად ქცევას გვიპირებს, რომლებსაც ამ ბრძანების შესრულება შეუძლიათ. მან გვითხრა (ბიბლიაში), რომ ჩვენ ღმერთები ვართ და თავისი სიტყვების სიმართლეს დაამტკიცებს. თუკი ჩვენ ხელს არ შევუშლით — ხელის შეშლა შეგვიძლია, თუ მოვისურვებთ — ის ჩვენს შორის ყველაზე სუსტსა და უღირსსაც კი გადააქცევს ღმერთად, ბრწყინვალე, ელვარე, უკვდავ არსებად, რომელიც იმგვარ ენერგიას, სიხარულს, სიბრძნეს და სიყვარულს ასხივებს, ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდით. ის სუფთა, ლაპლაპა სარკეებად გვაქცევს, რომლებიც სრულყოფილად (თუმცა უფრო პატარა მასშტაბით) აირეკლავენ უფლის უსაზღვრო ძლიერებას, სიხარულსა და სიკეთეს. ეს ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია, მაგრამ ჩვენი დანიშნულება მისი გავლაა. უფრო ნაკლებზე არ უნდა გვეჭიროს გეზი. ის, რაც ღმერთმა თქვა, ხუმრობა როდია.

10. კარგი ხალხი თუ ახალი ადამიანები?

დიახ, ღვთის სიტყვები ხუმრობა როდია. ისინი, ვინც მას მიანდობენ თავს, ისეთივე სრულქმნილნი გახდებიან, როგორიც თავად არის — სრულქმნილნი სიყვარულში, სიბრძნეში, სიხარულში, სილამაზესა და უკვდავებაში. ეს გარდაქმნა ჩვენს მიწიერ ცხოვრებასთან ერთად არ მთავრდება, რადგან სიკვდილი მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია. რამდენად შორს წავა ეს პროცესი ქრისტიანის მიწიერ ცხოვრებაში, არავინ უწყის.

ახლა, ვფიქრობ, დროა ის კითხვაც განვიხილო, რომელსაც ხშირად მისვამენ ხოლმე: თუ ქრისტიანობა მართალია, მაშინ რატომ არის, რომ ქრისტიანები, ერთად აღებულნი, არაქრისტიანებზე უკეთესნი არ არიან? ეს კითხვა, ერთი მხრივ, მართებულია, მეორე მხრივ კი, სავსებით გაუმართლებელი. აი, რას ეფუძნება იგი: თუ ქრისტიანად მოქცევა არანაირ გავლენას არ ახდენს ადამიანზე, ის ისეთივე ქედმაღალ, შურიან და პატივმოყვარე კაცად რჩება, როგორიც იყო, მაშინ, ვფიქრობ, უნდა ჩავთვალოთ, რომ მისი „მოქცევა" არსებითად მოჩვენებითი იყო. ახლად მოქცეულს, რომელიც თვლის, რომ რაღაცას მიაღწია, სწორედ ამ თვალსაზრისით შეუძლია თავის შემოწმება. მშვენიერი გრძნობები, დიდი გამჭრიახობა, რელიგიისადმი გაზრდილი ინტერესი არაფერს ნიშნავს, თუ თქვენი საქციელი უკეთესობისაკენ არ შეიცვლება, ისევე, როგორც არაფერს ნიშნავს ის, რომ ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს, თუკი მისი სხეულის ტემპერატურა უწინდებურად მატულობს. ამ თვალსაზრისით, ადამიანები სწორად სჯიან, როცა ქრისტიანობას შედეგების მიხედვით აფასებენ. ქრისტე გვეუბნება, რომ სწორედ ამის მიხედვით უნდა განვსაჯოთ.[1] ხე ნაყოფით იცნობა. „რომ გაიგო, კარგია თუ არა პუდინგი, უნდა შეჭამო". როცა ჩვენ, ქრისტიანები, უღირსად ვიქცევით, ან ჩვენი მცდელობიდან, ისე მოვიქცეთ, როგორც საჭიროა, არაფერი გამოგვდის, ამით ადამიანებს ქრისტიანობისადმი ნდობას ვაკარგვინებთ. ომის დროინდელ პლაკატებზე ვკითხულობთ: „დაუფიქრებელ ლაყბობას შეუძლია, დაღუპვამდე მიგვიყვანოს". ამ სიტყვების ანალოგიით

---

[1] იხ. მათ. 7,16.

უნდა ვთქვა, რომ დაუფიქრებელმა ცხოვრებამ შეიძლება, ბოროტ ჭორებამდე მიგვიყვანოს. ამის საფუძველს კი ჩვენ თვითონ ვიძლევით, როცა ქრისტიანობის ჭეშმარიტებას ეჭვქვეშ ვაყენებთ.

მეორე მხრივ კი, გარემომცველი სამყარო საკმაოდ ალოგიკურ მოთხოვნებს უყენებს ქრისტიანობას. ზოგჯერ ადამიანებს საკმარისად არ მიაჩნიათ ის, რომ ქრისტიანობაზე მოქცეული ადამიანის ცხოვრება უკეთესობისაკენ შეიცვალა. ისინი ცდილობენ, მანამ, სანამ თვითონ მივლენ რწმენასთან, სამყარო ორ მტრულ ბანაკად გაყონ — ქრისტიანებად და არაქრისტიანებად; ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ ქრისტიანული ბანაკის ყველა წევრი ნებისმიერ დროს უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე მეორე ბანაკის წარმომადგენელი. ეს მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია რამდენიმე მიზეზის გამო:

1. უპირველეს ყოვლისა, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ბევრად უფრო რთულია. სამყარო არ შედგება ასპროცენტიანი ქრისტიანებისა და ასპროცენტიანი არაქრისტიანებისაგან. არიან ადამიანები (და არც ისე ცოტა), რომლებიც ნელ-ნელა სცილდებიან ქრისტიანულ გზას, მაგრამ ჯერ ისევ ქრისტიანებს უწოდებენ თავიანთ თავს, ზოგიერთი მათგანი ღვთისმსახურიც კია. სხვები კი თანდათან უახლოვდებიან ქრისტიანული ცხოვრების წესს, თუმცა თავიანთ თავს ჯერ ქრისტიანებად არ მიიჩნევენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ჯერ მთლიანად არ იზიარებენ ქრისტეს მოძღვრებას, მაგრამ იმდენად მოხიბლულნი არიან მისი პიროვნებით, რომ უფრო მეტად ეკუთვნიან მას, ვიდრე აცნობიერებენ. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც სხვა რელიგიას აღიარებს, ღვთაებრივი გავლენის წყალობით თავისი აღმსარებლობის იმ დებულებებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ქრისტიანობას ეთანხმებიან. მაგალითად, კეთილი ნების ბუდისტმა, რომელიც ღვთის ამგვარ ზეგავლენას განიცდის, უფრო მეტი ყურადღება შეიძლება დაუთმოს, სხვებთან შედარებით, ბუდისტურ მოძღვრებას გულმოწყალების შესახებ (თუმცა მას ჯერ კიდევ ბუდიზმის მიმდევრად მიაჩნია თავი). ამგვარ მდგომარეობაში იყვნენ კეთილისმყოფელი წარმართებიც ქრისტეს დაბადებამდე კარგა ხნით ადრე. და რამდენი ადამიანია მსოფლიოში ისეთი, რომლებსაც თავში ქაოსი აქვს და მისი რწმენა სხვადასხვა რელიგიის ნამსხვრევებისაგან შედგება. ე.ი. უაზრობაა სამყაროს ორ მკვეთრად გამიჯნულ ბანაკად — ქრის-

ტიანებად და არაქრისტიანებად — დაყოფა. ერთმანეთისაგან ასე შეიძლება ძაღლები და კატები ან ქალები და მამაკაცები გავმიჯნოთ, რადგან აქ ყველასათვის ცხადია, თუ ვინ ვინ არის. ცხოველთა ერთი სახეობის მეორე სახეობად გარდაქმნა არ ხდება (არც უცებ და არც თანდათან). როცა ჩვენ ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს ვადარებთ ერთმანეთს, როგორც წესი, ჩვენთვის ნაცნობ რეალურ ადამიანებზე კი არ ვფიქრობთ, არამედ რაღაც ბუნდოვან იდეებზე, რომლებიც წიგნებში ან გაზეთებში ამოვიკითხეთ. თუ გსურთ, რომ ცუდი ქრისტიანი კარგ ათეისტს (კარგ ადამიანს, რომელიც ამავე დროს ათეისტია) დაუპირისპიროთ, ორი კონკრეტული ადამიანი აიღეთ, რომლებსაც ნამდვილად იცნობდით. სანამ საქმის არსს ღრმად არ ჩავწვდებით, დროს ტყუილად დაკარგავთ.

2. დავუშვათ, მართლაც ჩავწვდით საქმის არსს და წარმოსახულ ქრისტიანებზე და არაქრისტიანებზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ ორ კონკრეტულ ადამიანზე, რომლებიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობენ. ამ შემთხვევაშიც კი საკმაოდ ფრთხილი განსჯა გვმართებს. თუ ქრისტიანობა ჭეშმარიტი რელიგიაა, აქედან უნდა გამომდინარეობდეს, რომ: ა) ნებისმიერი ქრისტიანი უფრო უკეთესია იმაზე, რაც იქნებოდა, არაქრისტიანად რომ დარჩენილიყო; ბ) ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებს, უკეთესია, ვიდრე მანამდე იყო. ნება მომეცით, შედარება მოვიყვანო. თუ კბილის პასტის რეკლამა არ გვატყუებს, მაშინ: ა) ყველას, ვინც მას ხმარობს, უკეთესი კბილები აქვს, ვიდრე ექნებოდა იმ შემთხვევაში, ეს პასტა რომ არ ეხმარა; ბ) თუ ვინმე დაიწყებს მის ხმარებას, კბილები უკეთესი გაუხდება. მაგრამ ის, რომ ამ პასტის ხმარების გამო ჩემი ცუდი კბილები (რომლებიც მემკვიდრეობით მივიღე დედმამისაგან) ისეთივე ლამაზი არ გახდება, როგორიც ჯანმრთელ, ახალგაზრდა ზანგს აქვს, რომელსაც საერთოდ არ უხმარია არანაირი პასტა, არ ნიშნავს იმას, რომ რეკლამა ტყუის. შესაძლებელია, ქრისტიან მის ბეიტს უფრო ცუდი ენა აქვს, ვიდრე ურწმუნო დიკ ფერკინსს, მაგრამ ეს ფაქტი არ მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტიანობა არაფრის მაქნისია. კითხვა ასეთნაირად უნდა დავსვათ: როგორი იქნებოდა დიკი, მორწმუნე რომ გამხდარიყო? მის ბეიტსსა და დიკს მემკვიდრეობით მიღებული თვისებებისა და აღზრდის გამო განსხვავებული ტემპერამენტი და ხასიათები აქვთ.

ქრისტიანობას შეუძლია, რომ მათი ხასიათი და ტემპერამენტი გააკონტროლოს, თუკი ამის ნებას მისცემენ. მართებული მხოლოდ ამგვარი კითხვა იქნება: უკეთესებად აქცევს ეს მის ბეიტსსა და დიკს? ყველასათვის ცხადია, რომ დიკის ხასიათის კონტროლი ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე მის ბეიტსისა, მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ. იმის განსჯისას, კარგად მართავენ თუ არა ქარხანას, მხედველობაში მხოლოდ პროდუქციის ხარისხი კი არ უნდა მივიღოთ, არამედ ტექნიკური აღჭურვილობაც. შეიძლება, A ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა იმგვარია, რომ ის რაღაც სასწაულის წყალობით ახერხებს პროდუქციის გამოშვებას. ან პირიქით, ვთქვათ, B ქარხანას ბრწყინვალე აღჭურვილობა აქვს, მაგრამ მისი მაღალი ხარისხის პროდუქცია კიდევ უფრო უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. უეჭველია, რომ კარგი ხელმძღვანელი A ქარხანაში, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, ახალ დანადგარებს დააყენებს, თუმცა ეს სწრაფად არ მოხდება. მანამდე კი პროდუქციის დაბალი ხარისხი არ მიანიშნებს იმას, რომ ამ ქარხანას ცუდი ხელმძღვანელი ჰყავს.

3. ახლა კიდევ უფრო ჩავღრმავდეთ. ხელმძღვანელი ახალი აღჭურვილობის დადგმას აპირებს და მის ბეიტსიც, სანამ ქრისტე მასზე ზემოქმედებას დაამთავრებდეს, მართლაც შესანიშნავ ადამიანად გადაიქცევა. მაგრამ აქ თუ შევჩერდებით, ყველაფერი ისე გამოჩნდება, თითქოს ქრისტეს ერთადერთი მიზანი იყო, მის ბეიტსი იმ დონემდე აეყვანა, რა დონეზეც დიკი თავიდანვე გახლდათ. შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ, რომ დიკთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს, ქრისტიანობა მხოლოდ ცუდი ხასიათის მქონე ადამიანებს სჭირდებათ, კარგი, სასიამოვნო ადამიანები კი მშვენივრად გაიტანენ თავს მის გარეშეც, თითქოს ღმერთი ჩვენგან მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ სასიამოვნო ადამიანები ვიყოთ. ამგვარი ფიქრი საბედისწერო შეცდომაა. დიკ ფერკინსს ხსნა ისევე ესაჭიროება, როგორც მის ბეიტსს. რაღაც თვალსაზრისით (მოგვიანებით აგიხსნით, თუ კერძოდ, რა თვალსაზრისით), საეჭვოა, რომ კარგ ხასიათს საერთოდ რაიმე კავშირი ჰქონდეს გადარჩენის პრობლემასთან.

ღმერთი ისე როდი შესცქერის დიკის კარგ თვისებებს, როგორც ჩვენ. ეს თვისებები ხომ ძირითადად ბუნებრივი მიზეზებით (კარგი

მემკვიდრეობით) არის განპირობებული, ანუ, საბოლოო ჯამში, თავად ღვთისაგანაა ბოძებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ტემპერამენტს უკავშირდებიან, მაშასადამე, მყარ ღირებულებას არ წარმოადგენენ და უმალ გაქრებიან, თუ დიკს, ვთქვათ საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა დაერღვევა. კარგი ხასიათი ღმერთის საჩუქარია დიკისადმი და არა პირიქით. ზუსტად ასევე დაუშვა ღმერთმა, რომ სამყაროში მოქმედი ბუნებრივი მიზეზების გამო, რასაც თავისთავად ბიძგი პირველცოდვამ მისცა, მის ბეიტსის გონება შეზღუდული, ხოლო ნერვები დაძაბული ყოფილიყო, რამაც განაპირობა მისი აუტანელი ხასიათი. ღმერთი აპირებს, რომ თავის დროზე ეს ნაკლი გამოასწოროს. თუმცა ღმერთისათვის ეს არ არის ყველაზე მთავარი და რთული, ამის გამო როდი ზრუნავს იგი. ის, რასაც ღმერთი თვალს ადევნებს, რასაც ელის და რისთვისაც შრომობს, მისთვისაც კი ძნელი მისაღწევია, რადგან თავისუფალი ნების პრინციპიდან გამომდინარე, ის ძალას ვერავის დაატანს. ის ელის, რომ „იმან", რაც მას სურს, ნებაყოფლობით იჩინოს თავი მის ბეიტსში და დიკ ფერკინსში და მხოლოდ მათი კეთილი ნებით იყოს განპირობებული. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, გადადგამენ ამ ნაბიჯს, თუ უარს იტყვიან მასზე, მოიქცევიან ღმერთისაკენ, თუ არა. ასე მიიღწევა ის მიზანი, რის გამოც მოევლინენ ისინი ქვეყანას. მათი თავისუფალი ნება კომპასის ისარივით მერყეობს. ამ ისარს არჩევნის უფლება აქვს, მას შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული, რომ ზუსტად შემობრუნდეს ჩრდილოეთისაკენ. შემობრუნდება კი ისარი, დადგება და ღმერთისაკენ მიიქცევა? ღმერთს შეუძლია, მას დაეხმაროს, მაგრამ ძალას ვერ დაატანს. ღმერთს არ ძალუძს ხელი გაიწოდოს და ისარი შემოაბრუნოს, რადგან ისარს თავისუფალი ნება აქვს ბოძებული. მიიქცევა კი ისარი ჩრდილოეთისაკენ? ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი. მიანდობენ კი მის ბეიტსი და დიკი თავიანთ ადამიანურ ბუნებას ღმერთს? მთავარი ეს არის. ხოლო ის, რომ ერთს სასიამოვნო ხასიათი აქვს, მეორეს კი — ცუდი, მეორეხარისხოვანია. ღმერთისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

გთხოვთ, არასწორად ნუ გამიგებთ. ღმერთს ადამიანის ცუდი, აუტანელი ბუნება ბოროტებად და უბედურებად მიაჩნია, კარგი ხასიათი კი მის თვალში სიკეთეა, ისევე, როგორც კარგი პური, მზის

შუქი ან სუფთა წყალი, მაგრამ ეს ყველაფერი ის სიკეთეა, რომელსაც ის გვაძლევს, ჩვენ მხოლოდ ვიღებთ. მან დიკს კარგი ნერვები და საჭმლის მომნელებელი სისტემა მისცა და ამით არაფერი დაჰკლებია იმ სათავეს, საიდანაც ეს სიკეთე მოდის, რადგან სიკეთის ქმნა ღვთისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ იმისათვის, რომ აჯანყებული ადამიანური ნება სწორ გზას დაბრუნებოდა, ის ჯვარს ეცვა. რადგანაც ეს ნება თავისუფალია, როგორც კარგ, ისე ცუდ ადამიანებში, მას შეუძლია, მიიღოს ღმერთი ან უარყოს იგი. უკანასკნელ შემთხვევაში დიკის ყველა სასიამოვნო თვისება, რომლებიც მხოლოდ ადამიანური ბუნების მახასიათებლებია, არარაობად იქცევა, რადგან თავად მათი ბუნება გაქრება. ბუნებრივი მიზეზების შერწყმა უდევს საფუძვლად დიკის სასიამოვნო ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, ისევე, როგორც ცისარტყელას ფერთა შეხამებას ნაწვიმარზე. მაგრამ ბუნების კანონის თანახმად, ეს შერწყმა მალევე ირღვევა და ქრება. დიკს მიეცა შესაძლებლობა, რომ ეს წამიერი შერწყმა მარადიული სულის უკვდავ სილამაზედ ექცია (უფრო სწორად, ღვთისათვის არ შეეშალა ხელი ამის გაკეთებაში), მაგრამ მან ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა.

ჩნდება პარადოქსი. სანამ დიკი ღვთისაკენ არ მიიქცევა, ის იფიქრებს, რომ მისი სასიამოვნო ხასიათი მხოლოდ მისი საკუთრებაა (როგორც წარმოშობის, ისე კუთვნილების თვალსაზრისით). მაგრამ სანამ ასე ფიქრობს, ეს თვისებები მას არ ეკუთვნიან. მხოლოდ მაშინ, როცა მიხვდება, რომ ეს თვისებები მისი დამსახურება კი არაა, არამედ ღვთის საჩუქარია და უკან შესთავაზებს მათ ღმერთს, გადაიქცევიან ისინი მის საკუთრებად. მხოლოდ იმის შენარჩუნება შეგვიძლია, რასაც ღმერთს ნებაყოფილობით გადავცემთ. იმას კი, რისი დატოვებაც ჩვენთვის გვინდა, აუცილებლად დავკარგავთ.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, როცა ქრისტიანთა შორის აუტანელ ადამიანებს ვხვდებით. თუ დავუფიქრდებით, მივხვდებით, რატომ შეიძლება, რომ არასასიამოვნო ადამიანებისაგან უფრო სწრაფ მოქცევას ველოდეთ, ვიდრე კარგებისაგან. გახსოვთ, როგორი აღშფოთებულნი იყვნენ ქრისტეს თანამედროვენი, როდესაც იესო ყველაზე დამცირებულ და საშინელ ადამიანებს იკრებდა

ირგვლივ? იგივე აღაშფოთებს ჩვენს თანამედროვეებსაც. ასე იქნება ხვალაც და ყოველთვის. ხვდებით, რატომ? გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები: „ძნელია მდიდრისათვის ცათა სასუფეველში შესვლა". და კიდევ: „ნეტარ არიან სულით ღარიბნი". ცხადია, რომ მას სიმდიდრისა და სიღარიბის ორი სახეობა — მატერიალური და სულიერი — ჰქონდა მხედველობაში. მატერიალური სიმდიდრის მფლობელ ადამიანებს ის საფრთხე ემუქრებათ, რომ ფულით მოტანილ ბედნიერებას სჯერდებიან და არ ესმით, თუ რა ძალიან სჭირდებათ ღმერთი. როცა ყველაფერი ხელმისაწვდომია და ჩეკზე ხელმოწერით შეიძლება მიიღოთ, რასაც მოისურვებთ, ადვილად გავიწყდებათ, რომ ყოველ წამს ღმერთზე ხართ დამოკიდებული. არანაკლებ საფრთხეს ქმნის ბუნებრივი ნიჭიერებაც. თუ თქვენ ღმერთისაგან მაგარი ნერვები, ორიგინალური გონება და შესანიშნავი ჯანმრთელობა მიიღეთ, თანაც კარგად აღზრდილი ხართ და საზოგადოების სულად და გულად ითვლებით, რატომ არ იქნებით თქვენი ხასიათითა და მდგომარეობით კმაყოფილი? „რა საჭიროა ყველაფერ ამაში ღმერთის გარევა?" — შეეკითხებით თქვენს თავს. კარგი მანერები და ქცევა თქვენ თითქმის თან დაგყვათ. არც იმ უბედურ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, სხვადასხვა „კომპლექსებით" რომ იტანჯებიან: არ გაწუხებთ სექსთან დაკავშირებული პრობლემები, არც ალკოჰოლისადმი მიდრეკილება, არც სიფიცხე და ცუდი ხასიათი. ირგვლივ ყველას მოსწონხართ და თქვენც (გულში, რა თქმა უნდა) იზიარებთ მათ აზრს. სავსებით მოსალოდნელია, გჯერათ, რომ თქვენი კარგი თვისებები მხოლოდ თქვენივე დამსახურებაა და არავითარი სურვილი არა გაქვთ, უფრო უკეთესი გახდეთ, უკეთესი ახლებურად, ამ სიტყვის უფრო ღრმა მნიშვნელობით. ძალზე ხშირად ადამიანები, რომლებიც უხვად არიან ბუნებისაგან დაჯილდოებულნი, ვერ ხვდებიან, თუ როგორ სჭირდებათ ქრისტე, მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოჩნდება, რომ მათი ნიჭიერება არარაობაა და იმედგაცრუება არ დაეუფლებათ, რასაკვირველია, თვითკმაყოფილებაც მაშინვე გაქრება. ერთი სიტყვით, ბუნებრივი ნიჭით მდიდარი ადამიანებისთვისაც ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა.

სხვა ვითარება გვაქვს არასასიამოვნო, პატარა, დამცირებული, მშიშარა, გაფუჭებული, სუსტი, მარტოხელა ან აღვირახსნილი,

ვნებიანი, გაუწონასწორებელი ადამიანების შემთხვევაში. როგორც კი ცოტა უკეთესებად გახდომას მოისურვებენ, მაშინვე მიხვდებიან, რომ დახმარების გარეშე ვერაფერს გააწყობენ. მათ ქრისტეს იქით სხვა გზა არა აქვთ და მხოლოდ ერთადერთი არჩევანი დარჩენიათ: ან უნდა აიღონ თავიანთი ჯვარი და მის გზას გაჰყვნენ, ანდა გამუდმებულ სასოწარკვეთაში იცხოვრონ. ისინი გზააბნეული ცხვრები არიან, უფალი კი მათ მოსაძებნად ჩამოვიდა დედამიწაზე.[1] სწორედ ისინი არიან „ღარიბნი", ამ სიტყვის ყველაზე ღრმა გაგებით. სწორედ ისინი დალოცა ღმერთმა. მათგან შედგებოდა ის საშინელი ბრბო, რომელთანაც საუბრობდა უფალი. და, ბუნებრივია, რომ ფარისევლები დღესაც იმასვე ამბობენ, რასაც მაშინ: „ქრისტიანული მოძღვრება რომ ჭეშმარიტებას ეფუძნებოდეს, ეს ადამიანები ქრისტიანები არ იქნებოდნენ."

ჩემი ნათქვამი გაფრთხილებაცაა და გამხნევებაც თითოეული ჩვენგანისათვის. თუ სასიამოვნო ადამიანი ხართ და არც კარგად მოქცევა გიჭირთ — გაფრთხილდით! ვისაც ბევრი ებოძა, მას ბევრსაც მოსთხოვენ. თუ საკუთარ დამსახურებად მიიჩნევთ იმას, რაც ღმერთმა გიბოძათ; თუ კმაყოფილი ხართ თქვენი სასიამოვნო ხასიათით, მაშასადამე, ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებით ღმერთს და როცა იქნება, თქვენი ნიჭიერება უფრო საშინელ და დახვეწილ დაცემას შეუწყობს ხელს. ცუდი მაგალითი კი განსაკუთრებით მომაკვდინებელი იქნება. თავად სატანაც ოდესღაც მთავარანგელოზი იყო; მისი ბუნებრივი ნიჭიერება იმდენად აღემატებოდა თქვენსას, რამდენადაც თქვენი აღემატება მაიმუნისას. მაგრამ თუ უბედური არსება ხართ, ოჯახში არასწორი აღზრდით დამახინჯებული, სადაც მეფობდა მდაბალი შურიანობა და არ წყდებოდა უაზრო აყალმაყალი, თუ თქვენ, არა საკუთარი ნებით, რასაკვირველია, ტვირთად გაწევთ საზიზღარი სქესობრივი სიმახინჯე და ყოველდღე არასრულფასოვნების კომპლექსით იტანჯებით, თქვენს საუკეთესო მეგობრებსაც კი ეჩხუბებით და უყვირით — სასოწარკვეთაში ნუ ჩავარდებით. ღმერთმა თქვენს შესახებ ყველაფერი იცის. თქვენ ერთ-ერთი იმ ღარიბთაგანი ხართ, მან რომ დალოცა. მან იცის, რა უბადრუკი მანქანის მართვასაც ცდილობთ. იმედს ნუ

[1] იხ. მათ. 18,12-13.

გადაიწურავთ. გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ. ერთ მშვენიერ დღეს ღმერთი სანაგვეზე გადააგდებს თქვენს უბადრუკ მანქანას და ახალს გიბოძებთ. მაშინ კი, შესაძლებელია, რომ ყველანი გაგვაოცოთ და თავადაც განცვიფრებული დარჩეთ, რადგან თქვენ ხომ მართვის ურთულესი სკოლა განვლეთ („ბევრნი პირველნი უკანასკნელნი იქნებიან, ხოლო უკანასკნელნი — პირველნი“[1]).

შესანიშნავია, სასიამოვნო ხასიათი გქონდეს და მაღალზნეობრივი არსება იყო. ჩვენ ყველა ხელმისაწვდომი საშუალება უნდა გამოვიყენოთ — მედიცინა, განათლება, ეკონომიკა, პოლიტიკა — იმისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრი ადამიანი იყოს ასეთი, ისევე, როგორც ვცდილობთ, შევქმნათ სამყარო, სადაც ყველას საკმარისი საკვები ექნება. მაგრამ ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს: ყველა ადამიანის სათნო არსებად გადაქცევაც რომ მოახერხოთ, მათ სულებს ჩვენ ვერ გადავარჩენთ. სასიამოვნო ადამიანებით დასახლებული სამყარო, რომლებიც კმაყოფილნი არიან თავიანთი სიკარგით და სხვა არაფერი არ სურთ, ანუ ღმერთისაკენ ზურგშექცეული სამყარო, ისევე საჭიროებს გადარჩენას, როგორც საცოდავი, უბედური ადამიანებით დასახლებული სამყარო — და შეიძლება, ბევრად უფრო ძნელიცაა მისი გადარჩენა. უბრალო, მექანიკური გაუმჯობესება გამოსყიდვა არაა, თუმცა გამოსყიდვა გამუდმებით აუმჯობესებს ადამიანებს, აი, აქ, ახლა და ამ წუთასაც, და საბოლოო ჯამში ისე სრულყოფს მათ, რომ წარმოდგენაც კი არ შეგვეძლო. ღმერთი განკაცდა, რათა მის მიერ შექმნილი არსებები თავის შვილებად ექცია, ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესების მიზნით კი არა, სრულიად ახალი ტიპის ადამიანის შესაქმნელად. ეს იგივე არ არის, რაც ცხენის წვრთნა, როცა მას სულ უფრო და უფრო მაღალი ბარიერის გადალახვას ასწავლიან, ეს მის მფრინავ რაშად გადაქცევას უდრის. რასაკვირველია, როდესაც ცხენს ფრთები გაეზრდება, ის ისეთ ბარიერებს გადალახავს, რასაც ჩვეულებრივი ცხენი ვერასოდეს გადაახტებოდა. თუმცა დასაწყისში, სანამ ფრთები მთლად არ წამოეზრდება, ვერ გააკეთებს ამას. ზურგზე ამობურცული წამონაზარდები უცნაური და სასაცილო

[1] მათ. 19,30.

იქნება და ვერავინ მიხვდება, რომ მათგან ფრთები შეიძლება გაიზარდოს.

შეიძლება ამ საკითხზე უკვე ზომაზე მეტიც ვილაპარაკეთ. თუ თქვენ ქრისტიანობის საწინააღმდეგო არგუმენტს ეძებთ (კარგად მახსოვს, როგორი გაფაციცებით ვეძებდი ამგვარ არგუმენტს, როცა შიშმა შემიპყრო, ვაითუ ქრისტიანობა მართლა ჭეშმარიტებას ქადაგებს მეთქი), ადვილად აღმოაჩენთ გონებაშეზღუდულ და საკმაოდ უსიამოვნო ქრისტიანს და იტყვით: „აი, თქვენი საქებარი ადამიანი! ამას ისევ ძველი მერჩივნა!" მაგრამ თუ თქვენ ერთხელ მაინც იგრძნობთ, რომ ქრისტიანობის გასაღები აქ არ არის, გულის სიღრმეში მიხვდებით, რომ თქვენი წინააღმდეგობა და არგუმენტები, მხოლოდ გაქცევის მცდელობაა. რა შეიძლება იცოდეთ სხვა ადამიანთა სულებზე? მათ ცდუნებებზე, შესაძლებლობებზე და ბრძოლაზე? თქვენ მხოლოდ ერთადერთ სულს იცნობთ ამქვეყნად და ეს ის სულია, თავად რომ გაბარიათ. თუ ღმერთი არსებობს, თქვენ პირისპირ დგახართ მასთან. თქვენ თავს ვერ აარიდებთ მას მეზობლების ღირსებებსა და ნაკლზე ფილოსოფოსობით ან წიგნებში ამოკითხულის გახსენებით. რა აზრი ექნება მთელ ამ სჯა-ბაასსა და არგუმენტებს (თუკი საერთოდ გაგახსენდებათ ისინი), როცა გაიფანტება ანესთეზიის გონებადამბინდავი ნისლი, რომელსაც „ბუნებას" ან „რეალურ სამყაროს" ვეძახით და ის, რომ თქვენ თურმე მუდამ ღვთის წინაშე ყოფილხართ, აშკარა, უშუალო და გარდაუვალ ფაქტად იქცევა?

11. ახალი ადამიანები

ქრისტეს მიერ ახალი ადამიანის შექმნა წინა თავში ჩვეულებრივი ცხენის მფრინავ რაშად გადაქცევას შევადარე. ამ მაგალითის საშუალებით მინდოდა მეჩვენებინა, რომ იქ საუბარი ადამიანის გაუმჯობესებაზე კი არ იყო, არამედ მის მთლიან გარდაქმნაზე. მსგავს მოვლენას ვხვდებით ბუნებაში გარკვეული დასხივების შედეგად მწერთა განსაცვიფრებელი გარდაქმნის სახით. ზოგიერთის აზრით, სწორედ ამგვარად მიმდინარეობს ევოლუციის პროცესი. ცვლილებები, რომლებიც ევოლუციის დროს ხდება, შეიძლება

კოსმოსიდან მომდინარე სხივებს გამოეწვია (ცხადია, როგორც კი ეს ცვლილებები ხდება, მაშინვე ამოქმედდება ის, რასაც „ბუნებრივ გადარჩევას“ უწოდებენ — სახეობა, რომელმაც სასარგებლო ცვლილება განიცადა, რჩება, სხვები კი იღუპებიან).

შეიძლება თანამედროვე ადამიანმა უკეთ გაიგოს ქრისტიანობის მთავარი აზრი, თუკი მას ევოლუციის თეორიასთან კავშირში განიხილავს. ამ თეორიას ყველა იცნობს (თუმცა ზოგიერთი განათლებული ადამიანი მას არ იზიარებს). თითოეულ ჩვენგანს ასწავლეს სკოლაში, რომ ადამიანი ევოლუციის გზით წარმოიშვა სიცოცხლის უფრო დაბალი ფორმებიდან. ამიტომ ხშირად გავიგონებთ კითხვას: „როგორი იქნება შემდგომი ეტაპი?“ ფანტასტიკის ჟანრში მოღვაწე მწერლები დრო და დრო ცდილობენ ხოლმე ამ მომდევნო ეტაპის წარმოდგენას, როცა რაღაც ზეადამიანს გვიხატავენ. ეს ქმნილებანი, როგორც წესი, ბევრად უფრო უსიამო არსებები არიან, ვიდრე დღევანდელი ადამიანი და ამიტომ მათი შემქმნელები შთაბეჭდილების განეიტრალებას იმით ცდილობენ, რომ თავიანთ ქმნილებებს დამატებითი ხელებით ან ფეხებით აჯილდოვებენ. რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ შემდგომი ეტაპი პრინციპულად განსხვავდება ყველაფრისაგან, რისი წარმოდგენაც ყველაზე დახვეწილ ფანტაზიას შეუძლია? მოსალოდნელია, რომ ეს ასეც იქნება. ათასწლეულების წინ წარმოიშვნენ უზარმაზარი, ჯავშნის მაგვარი ქერცლით დაფარული არსებები. თუ იმ დროს ვინმე ევოლუციის პროცესს აკვირდებოდა, ალბათ, იფიქრებდა, რომ მომდევნო ეტაპზე უფრო საიმედოდ დაცული და ძლიერი არსება გაჩნდებოდა. მაგრამ მომავალი საიმედოდ მალავდა თავის თულფს (კოზირს), რომელიც საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა: კბილებამდე შეიარაღებული ურჩხულის ნაცვლად, პატარა, შიშველი, უიარაღო ცხოველები გაჩნდნენ, რომლებიც საკმაოდ მოქნილი გონებით იყვნენ დაჯილდოებულნი. სწორედ ამ გონების საშუალებით უნდა დაეპყროთ მათ მთელი პლანეტა. ამ არსებებს პრეისტორიულ ურჩხულებზე უფრო მეტი ძალაუფლების დაპყრობა როდი ეწერათ მხოლოდ, მათი ძალაუფლება სრულიად ახალი ტიპისა უნდა ყოფილიყო. ევოლუციის მომდევნო ეტაპი უბრალოდ შემდეგი კი არ გახლდათ, არამედ განსხვავებულიც.

ევოლუციის პროცესი სხვა გზით განვითარდა, ვიდრე ეს ჩვენს წარმოსახვით დამკვირვებელს წარმოედგინა.

დღესაც, მე მგონი, როდესაც ევოლუციის მომდევნო ეტაპზე ფიქრობენ, იგივე შეცდომას უშვებენ. ადამიანები ხედავენ (ან ეჩვენებათ, რომ ხედავენ), როგორ იხვეწება მათი ინტელექტი, როგორ იზრდება ადამიანის ძალაუფლება ბუნებაზე. მათი აზრით, ევოლუცია სწორედ ამ გზით მიემართება. მე კი მიმაჩნია, რომ ევოლუციის მომდევნო ეტაპი სრულიად წარმოუდგენელი იქნება; ის ისეთ მიმართულებას მიიღებს, რისი გათვალისწინებაც დღეს ყოვლად შეუძლებელია. ასე რომ არ იყოს, ალბათ, არც ახალი ეტაპი ერქმეოდა. მე ველი არა უბრალოდ ცვლილებებს, არამედ ახალ მეთოდს, რომელიც პრინციპულად ახალი ტიპის ცვლილებებს გამოიწვევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევოლუციის ახალი სტადია მის ფარგლებს გასცილდება; ევოლუციას, როგორც ცვლილებების გამომწვევ მეთოდს, რაღაც სხვა ხერხი შეცვლის. და სულაც არ გამიკვირდება, როცა ეს მოხდება, ძალიან ცოტა ვინმემ შეამჩნიოს.

თუკი თქვენ თანახმა ხართ, რომ საუბარი ამ მიმართულებით გავაგრძელოთ, ანუ ევოლუციის ჩვენთვის ნაცნობ გაგებას დავეყრდნოთ, მაშინ ქრისტიანული თვალსაზრისის თანახმად, მომდევნო ეტაპი უკვე დადგა. ის მართლაც არსებითად ახალია. ეს არ არის გონიერი ადამიანისაგან კიდევ უფრო გონიერის წარმოშობის პროცესი, ეს სრულიად განსხვავებული სახის ცვლილებაა, რომელიც ღვთის ქმნილებებს ღვთის შვილებად გარდაქმნის. მისი დასაწყისი ორი ათასი წლის წინ პალესტინაში დაფიქსირდა. გარკვეული აზრით, ეს ცვლილება ევოლუციური ხასიათისა არ გახლავთ, რადგან ის ბუნებრივი პროცესებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ბუნებაში გარედან შემოდის. მე ასეც ვფიქრობდი. ევოლუციის იდეა ჩვენ წარსულზე დაკვირვების შედეგად დაგვებადა. თუ მომავალი რაღაც ახალს გვპირდება, მაშინ, ბუნებრივია, ჩვენი წარმოდგენა, რომელიც წარსულს ეფუძნება, ამ ახალს ვერ გაითვალისწინებს, მით უმეტეს, როცა ეს ეტაპი წინამორბედისგან იმით განსხვავდება, რომ ბუნებაში რაღაც გარედან შემოაქვს.

1. ახალი ცვლილებები არ გადაეცემა თაობიდან თაობას და არ არის დაკავშირებული სქესთან. უნდა გვაცებდეს ეს? იყო დრო,

როცა სქესი არ არსებობდა, მაშინ სხვაგვარად მრავლდებოდნენ და ვითარდებოდნენ. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ისევ დადგება დრო, როცა სქესი გაქრება, ანდა (სინამდვილეში ასეც ხდება) კვლავ იარსებებს, მაგრამ განვითარების მთავარი არხი ის აღარ იქნება.

2. საწყის ეტაპზე ცოცხალ ორგანიზმებს არ ჰქონდათ არჩევანის შესაძლებლობა, მათ არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ, გადაედგათ თუ არა ახალი ნაბიჯი. ისინი პროგრესის ობიექტები იყვნენ და არა სუბიექტები. ახალი ნაბიჯი — შექმნილ არსებათა ღვიძლ შვილებად გადაქცევის პროცესი — ნებაყოფლობითია, ყოველ შემთხვევაში ერთი მიმართულებით მაინც. ის ნებაყოფლობითი არ არის იმ გაგებით, რომ ჩვენ თვითონ ვერასოდეს მოვიფიქრებდით და ამოვირჩევდით მას, თუ არ შემოგვთავაზებდნენ. ხოლო ნებაყოფლობითია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ მასზე, როცა მის გადადგმას გვთავაზობენ. ჩვენ, ასე ვთქვათ, შეგვიძლია უკან დავრჩეთ, ფეხებით მივეზარდოთ მიწას, ახალი კაცობრიობა კი წინ უჩვენოდაც წავა.

3. მე ქრისტეს ახალი ადამიანის „პირველი გაელვება" ვუწოდე. ის, რასაკვირველია, ბევრად უფრო მეტია, ვიდრე პირველი გაელვება, უბრალოდ ერთ-ერთი ახალ ადამიანთაგანი კი არაა, არამედ იგია ახალი ადამიანი. იგია სათავე, ცენტრი და სიცოცხლე ახალი ადამიანებისა. ის მოვიდა მის მიერვე შექმნილ სამყაროში საკუთარი ნებით და ახალი ცხოვრება, ძოე მოიტანა (ახალი ჩვენთვის, თორემ სადაც ქრისტე სუფევს, იქ ის ყოველთვის იყო). ახალ ცხოვრებას ჩვენ ის მემკვიდრეობით კი არ გადმოგვცემს, არამედ იმ ხერხით, რომელსაც მე „სასიკეთო ინფექცია" ვუწოდე. ეს ინფექცია მხოლოდ ქრისტესთან უშუალო კონტაქტის შედეგად ვრცელდება, ახალ ადამიანად მისი შეყრის შედეგად გარდაიქმნები.

4. ეს ეტაპი წინა ეტაპებისაგან თავისი სისწრაფით გამოირჩევა. ადამიანის განვითარების პერიოდთან შედარებით ქრისტიანობის გავრცელება წამიერ გაელვებას მიაგავს, რადგან ორი ათასი წელი სამყაროს მასშტაბებში თითქმის არაფერს ნიშნავს (არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ადრეული ქრისტიანები ვართ). არასასიკეთო ძალ-ღონის ფუჭად გამფლანგველი დაყოფა, იმედი ვიქონიოთ, რომ მხოლოდ საყმაწვილო სენია: ჩვენ ჯერ კბილების

ამოსვლის ასაკში ვართ. გარე სამყარო სხვა აზრისაა. ის თვლის, რომ ჩვენ სულს ვღაფავთ სიბერის გამო, ადრეც არა ერთხელ უფიქრია ამგვარად. წუთისოფელი ბევრჯერ მისულა იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანობა კვდება გარედან შემოტევებისა და შინაგანი ხრწნის შედეგად, კერძოდ მუსლიმთა თავდასხმების, მეცნიერების განვითარებისა თუ რევოლუციური მოძრაობების გამო. ეს მოლოდინი არასოდეს გამართლებულა. პირველი დარტყმა მან ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ განიცადა: ადამიანი კვლავ გაცოცხლდა! გარკვეული თვალსაზრისით, — მე კარგად მესმის, თუ რა საშინელ უსამართლობად შეიძლება მოეჩვენოს ეს კაცს, — იქიდან მოყოლებული აღდგომა დღემდე გრძელდება. საქმეს, რომელიც ქრისტემ დაიწყო, გამუდმებით კლავენ და ყოველთვის, როცა მის საფლავზე მიწას მოასწორებენ, ირხევა ხმა, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია და ახალ ადგილზეც კი გამოჩნდა. არ არის გასაკვირი, რომ ჩვენ ვერ გვიტანენ.

5. მოცემული პროცესი ბევრად უფრო დიდ რისკთანაა დაკავშირებული. განვითარების წინარე ეტაპზე დაბრუნების შედეგად ქმნილება ყველაზე უარეს შემთხვევაში მიწიერი ცხოვრების რამდენიმე წელს კარგავდა, ხშირად ამასაც არ კარგავდა ხოლმე. ახალი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა: ახლა, უკან დახევის შემთხვევაში, ჩვენ ვკარგავთ ჯილდოს, რომელიც (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ფასდაუდებელი და უსაზღვროა — დღეს ხომ განვითარების კრიტიკული ჟამი დადგა. საუკუნეების მანძილზე მიჰყავდა ღმერთს ბუნება იმ წერტილამდე, სადაც მას იმგვარი არსებების წარმოქმნის უნარი უნდა შეეძინა, რომლებიც, თუკი მოისურვებდნენ, გადალახავდნენ მის საზღვრებს და „ღმერთებად" გადაიქცეოდნენ. მისცემდნენ კი ისინი ღმერთს იმის შესაძლებლობას, რომ ბუნების წიაღიდან გამოიყვანოს? რაღაც თვალსაზრისით, ეს პროცესი მშობიარობის კრიტიკულ წამს წააგავს. მანამ, სანამ არ ავმაღლდებით და ქრისტეს არ გავყვებით, მატერიალური ბუნების წიაღში დავრჩებით, ჩვენი დიდი დედის საშოში გავაგრძელებთ არსებობას. მისი ფეხმძიმობა ხანგრძლივია, მტკივნეული და საგანგაშო, მაგრამ მან უკვე თავის კრიტიკულ წერტილს მიაღწია. დადგა დიადი წამი. ყველაფერი მზადაა. ექიმი მოვიდა. მშვიდობიანად დასრულდება მშობიარობა? არ უნდა

დავივიწყოთ, ეს მშობიარობა ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ ბავშვს არჩევანის უფლება აქვს.

საინტერესოა, რას იზამდა ჩვეულებრივი ბავშვი, არჩევანის უფლება რომ ჰქონოდა? შეიძლება, მას სიბნელესა და სითბოში, დედის უსაფრთხო წიაღში დარჩენა აერჩია. მას, რასაკვირველია, მოეჩვენებოდა, რომ იქ დარჩენა მისი უსაფრთხოების გარანტიაა. და აქ ის საბედისწერო შეცდომას დაუშვებდა, რადგან დედის წიაღში დარჩენა მის გარდაუვალ დაღუპვას გამოიწვევდა.

სწორედ იმიტომ გადაიდგა ახალი ნაბიჯი, რომლის მოქმედების სფეროც თანდათან ფართოვდება. ახალი ადამიანები ჩნდებიან აქაც და იქაც, დედამიწის ყოველ კუთხეში. ზოგიერთი მათგანის ამოცნობა, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ძნელია. მაგრამ ისეთებიც არიან, ადვილად რომ იცნობთ. ზოგიერთი მათგანი ჩვენც გვხვდება ცხოვრებაში. მათ ხმა და სახეც კი განსხვავებული აქვთ ჩვენგან: ისინი უფრო ძლიერები, მშვიდნი, ბედნიერები და გაბრწყინებულები არიან. მათი აქტიურობა იქ იწყება, სადაც ბევრი ჩვენგანი ჩერდება. მათი გამოცნობა შეიძლება, მაგრამ ამისთვის ზუსტად უნდა იცოდეთ, ვის ეძებთ. ისინი არ ჰგვანან იმ რელიგიურ ადამიანებს, რომელთა ხატებაც წაკითხული წიგნებიდან გახსოვთ. ეს ადამიანები ყურადღებას არ იქცევენ. ხშირად გგონიათ, რომ მათ მიმართ სიკეთეს ავლენთ, მაშინ, როცა სინამდვილეში ისინი არიან კეთილნი თქვენს მიმართ. მათ უფრო მეტად უყვარხართ, ვიდრე სხვა ადამიანებს, მაგრამ უფრო ნაკლებად სჭირდებით (ჩვენ უნდა დავძლიოთ ის მიდრეკილება, რომ ვიღაცისათვის აუცილებელნი და შეუცვლელნი გავხდეთ. ზოგიერთ კარგ ადამიანს, განსაკუთრებით ქალებს, ეს ძალიან უჭირთ). ისე ჩანს, თითქოს მათ ყველაფრისთვის ჰყოფნით დრო, თქვენ განცვიფრებული ხართ, თუ როგორ ახერხებენ ამას. როცა ერთ-ერთ მათგანს გაიცნობთ, მეორე ასეთივე ადამიანის გამოცნობა აღარ გაგიჭირდებათ. ასე მგონია (თუმცა საიდან უნდა ვიცოდე?), რომ მათ უმალ და უშეცდომოდ შეუძლიათ ერთმანეთის ამოცნობა რასობრივი, სქესობრივი, კლასობრივი, ასაკობრივი და, თქვენ წარმოიდგინეთ, რელიგიური ბარიერების მიუხედავადაც. წმიდანად გახდომა რაღაცით საიდუმლო საზოგადოებაში გაერთიანებას წააგავს. სხვა ყველაფერთან ერთად ეს ძალზე საინტერესოცაა.

თუმცა თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ ყველა ახალი ადამიანი ერთნაირია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ვშიშობ, რომ ბევრი რამ, რაც ამ წიგნში ვთქვი, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას შეგიქმნიდათ. ახალ ადამიანად რომ იქცე, ამისათვის შენი ძველი „მე" უნდა დაჰკარგო; საკუთარი თავიდან უნდა გამოხვიდე და ქრისტეში შეხვიდე. მისი ნება ჩვენს ნებად უნდა იქცეს, მისი აზრები — ჩვენს აზრებად. ჩვენ უნდა შევიძინოთ „ქრისტეს აზრი", როგორც ამას ბიბლია გვეუბნება. და რადგან მხოლოდ ერთი ქრისტე არსებობს და მხოლოდ ის უნდა სუფევდეს ჩვენში, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ სრულიად ერთნაირები უნდა გავხდეთ? ჩანს, რომ ასე უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის.

ჩემთვის ძნელია შესაფერისი მაგალითების მოძიება ამ აზრის განსამარტავად, რადგან არაფერი შეედრება იმ ურთიერთობას, რა ურთიერთობაც აქვთ ერთმანეთთან შემოქმედსა და ქმნილებას. და მაინც შევეცდები, ორი საკმაოდ არასრულყოფილი შედარება მოვიყვანო, რომლებიც, ვიმედოვნებ, რომ მოგეხმარებიან იმის გაგებაში, რის ახსნასაც ვაპირებ. წარმოიდგინეთ ადამიანები, რომლებმაც მთელი ცხოვრება სრულ სიბნელეში გაატარეს. თქვენ მიდიხართ მათთან და ცდილობთ აუხსნათ, რა არის სინათლე. ეუბნებით, რომ თუ გარეთ გავლენ, ერთი და იგივე შუქი დაეცემა თითოეულ მათგანს, ყველანი აირეკლავენ მას და ხილულნი გახდებიან. ამის გაგონებაზე ადვილი შესაძლებელია, მათ იფიქრონ: თუ ჩვენ ერთი და იმავე შუქს დავინახავთ და თითოეული ჩვენგანი ერთნაირ რეაგირებას მოახდენს მასზე (ან ჩვენ ყველანი ავირეკლავთ მას), ხომ არ დავემსგავსებით ყველანი ერთმანეთს? მაშინ, როცა ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ შუქი მხოლოდ გამოავლენს იმას, თუ როგორ არ ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

ან დავუშვათ, შეგვხვდათ ისეთი ადამიანი, რომელსაც არასოდეს გაუსინჯავს მარილის გემო. თქვენ მარილის პატარა ნამცეცს აძლევთ გასასინჯად და ისიც ძლიერ, მკვეთრ გემოს გემულობს. შემდეგ ეუბნებით, რომ თქვენს ქვეყანაში ადამიანები მარილს საჭმელში ყრიან. ადვილი შესაძლებელია, მან თქვას: „მაშასადამე, თქვენი კერძები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, რადგან ამ ფხვნილს ისეთი მკვეთრი გემო აქვს, რომ ყველა დანარჩენს გადაფარავს". მაშინ, როცა ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მარილი

სწორედ საწინააღმდეგო გავლენას ახდენს. იმის მაგივრად, რომ კვერცხის, ხორცის ან კომბოსტოს გემო გადაფაროს, მარილი, პირიქით, ავლენს მათ. ეს ყველაფერი უგემური მოგეჩვენებათ მანამ, სანამ მარილს არ დაუმატებთ (რასაკვირველია, როგორც გაგაფრთხილეთ, ეს შედარება არც ისე ზუსტია, რადგან ყველანაირ გემოს გადაფარავს, თუ საჭმელში ძალიან ბევრ მარილს ჩაყრით, მაშინ, როცა ადამიანის პიროვნების თავისებურებას ვერ წაშლით, რაც არ უნდა ბევრი მიიღოს მან ქრისტეს პიროვნებისაგან).

მართლაც რაღაც ამგვარი ხდება ჩვენსა და ქრისტეს შორის. რაც უფრო მეტად ჩამოვიცილებთ გზიდან ჩვენ საკუთარ „მეს" და ქრისტეს მივენდობით, მით უფრო მეტად ვავლენთ საკუთარ მეობას.

ქრისტე ისეთ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას მოიცავს საკუთარ თავში, რომ მილიონობით „პატარა ქრისტე", რომელთაგან არც ერთი მათგანი არ ჰგავს მეორეს, არ იქნება საკმარისი მისი მთლიანი გამოხატვისათვის. მან შექმნა ყველა ჩვენგანი, ისე, როგორც მწერალი ქმნის თავისი რომანის გმირებს, ყველანაირი და სხვადასხვაგვარი, როგორებიც უნდა გავმხდარიყავით. ამ აზრით, ჩვენი ჭეშმარიტი „მე" ჯერ კიდევ ელოდება ქრისტეში გამჟღავნებას. უაზრობაა მისი გვერდის ავლით სცადო, იყო ის, რაც ხარ. რაც უფრო მეტად ვეწინააღმდეგები მას და ვცდილობ, ჩემებურად ვიცხოვრო, მით უფრო მეტად ბატონობენ ჩემზე მემკვიდრეობითობა და აღზრდა, გარემო და ჩემში არსებული მზარდი შიშები და სურვილები.

ფაქტიურად ის რასაც სიამაყით ვუწოდებ „ჩემს თავს", მხოლოდ ის წერტილია, სადაც იმ მოვლენათა, შემთხვევათა და ბუნებრივ პროცესთა შედეგები გადაიკვეთნენ, რომლებიც მე არ დამიწყია და ვერც შევწყვეტ. „ჩემი სურვილები" უბრალოდ ჩემი ფიზიკური ორგანიზმის მოთხოვნილებებით ან სხვა ადამიანების, შეიძლება, თავად ეშმაკის მიერაცაა ნაკარნახევი. მე მადიანად მივირთვი, კარგად გადავკარი და მშვენივრად გამოვიძინე, აი, სათავე იმ წამიერი ვნებისა, რომელიც მატარებლის კუპეში პირდაპირ მჯდომი ქალიშვილის მიმართ განვიცადე; მაშინ, როდესაც ამ განცდას გულუბრყვილოდ მივაწერ ჩემს „ფაქიზ გემოვნებას და დამოუკიდებელ, ამაღლებულ გადაწყვეტილებას". პროპაგანდა — აი, რა

გახლავთ ჭეშმარიტი სათავე იმისა, რასაც მე ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს ვეძახი. ჩემს ბუნებრივ მდგომარეობაში სულაც არა ვარ ისეთი პიროვნება, როგორადაც თავი წარმომიდგენია. უდიდესი ნაწილი იმისა, რასაც ჩემს „მეს" ვეძახი, გარეგანი მიზეზებით აიხსნება. მხოლოდ მაშინ, როცა ქრისტესკენ მოვიქცევი, როცა საკუთარ თავს მის პიროვნებას მივანდობ, ვიწყებ საკუთარი, ჭეშმარიტი „მეს" მოპოვებას.

დასაწყისში მე ვთქვი, რომ ღმერთი თავის თავში პიროვნებებს მოიცავს. ახლა ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მინდა ვისაუბრო. მხოლოდ უფალში არსებობენ ჭეშმარიტი პიროვნებები. სანამ მას არ გადასცემთ საკუთარ თავს, თქვენ ჭეშმარიტ „მეს" ვერ მოიპოვებთ.

ერთმანეთს ჰგვანან ძირითადად ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები და არა ისინი, ვინც ქრისტეს ნებდებიან. ისევე, როგორ მოსაწყენად ჰგვანან ერთმანეთს დიდი დამპყრობლები და ტირანები, როგორ დიდებულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წმიდანები.

თქვენ ნამდვილად უნდა მიანდოთ მას თქვენი „მე". დაუფიქრებლად მოიწყვიტეთ იგი თავიდან, სამაგიეროდ ქრისტე თქვენს ნამდვილ „მეს", ჭეშმარიტ პიროვნებას გიბოძებთ. თუმცა მხოლოდ ამისათვის არ უნდა მივიდეთ მასთან. თუ მხოლოდ თქვენი პირადი „მე" გაღელვებთ, მაშინ თქვენი გაქრისტიანება ჯერ არ დაწყებულა. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე საკუთარი თავის დავიწყებაა. თქვენი ჭეშმარიტი ახალი „მე" (ქრისტეს პირადი „მე" და ამავე დროს თქვენიც, და თქვენი მხოლოდ იმიტომ, რომ ის მისიცაა), არ მოვა თქვენთან მანამ, სანამ მის მოპოვებას ცდილობთ. მას მაშინ მიიღებთ, როცა ქრისტეს ძიებას შეუდგებით. ეს მართლაც უცნაურად ჟღერს, არა?

მაგრამ იგივე პრინციპი მოქმედებს სხვა სფეროებშიც. ვერც საზოგადოებაში შესძლებთ კარგი შთაბეჭდილების მოხდენას მანამ, სანამ თავს არ დაანებებთ იმაზე ფიქრს, რომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროშიც: ის, ვინც მხოლოდ ორიგინალურობაზე ფიქრობს, ვერასოდეს გახდება ორიგინალური; და, პირიქით, თუ თქვენ მხოლოდ ჭეშმარიტების დახატვას ცდილობთ (და არ ფიქ-

რობთ იმაზე, თუ რამდენი ულაპარაკიათ იმავე თემაზე სხვებს), დიდი შანსია, რომ მართლაც ორიგინალური გახდეთ, მაშინაც კი, თუ თავად ვერ ამჩნევთ ამას.

ეს პრინციპი ცხოვრების ყველა სფეროში მოქმედებს. გაეცით საკუთარი თავი და მოიპოვებთ მას. მსხვერპლად გაიღეთ სიცოცხლე და გადაარჩენთ მას.[1] მოაკვდინეთ თქვენი პატივმოყვარეობა, სურვილები და სხეული — ბოლოს გაეცით თქვენი არსების თითოეული ნაწილი — და საუკუნო ცხოვრებას მოიპოვებთ. არ დაიტოვოთ არაფერი. ის, რაც არ მოკვდება თქვენში, ვერც მკვდრეთით აღსდგება. მხოლოდ საკუთარი თავის ძიებაში თუ იქნებით, შედეგად სიძულვილს, მარტოობას, სასოწარკვეთას, მრისხანებასა და დაღუპვას მოიმკით. ხოლო თუ ქრისტეს ძიებას შეუდგებით, მასაც იპოვით და მასთან ერთად სხვა ყოველივე მოგეცემათ.

ცოტა რამ კლაივ ს. ლიუისის შესახებ

კლაივ სტეიპლზ ლიუისი დაიბადა 1898 წელს ირლანდიაში. იგი ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა მალვერნის კოლეჯში, შემდეგ კი განათლება კერძო მასწავლებლებთან განაგრძო. ოქსფორდის უნივერსიტეტმა სამ საგანში მიანიჭა ლუისს სამეცნიერო ხარისხი, 1925 წლიდან 1954 წლამდე იგი საბჭოს წევრი და სემინარის ხელმძღვანელი იყო მაგდალენ კოლეჯში, 1954 წელს კი კემბრიჯში გადადის შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ლიტერატურის პროფესორად. ლუისს, როგორც უაღრესად პოპულარულ ლექტორს, დიდი გავლენა ჰქონდა თავის სტუდენტებზე.

დიდი ხნის მანძილზე კ.ს. ლიუისი ათეისტი იყო. თავისი მოქცევა მან აღწერა თხზულებაში, რომელსაც „სიხარულით შეძრული" დაარქვა. „1929 წელს, საზაფხულო სემესტრის დროს, მე დავნებდი და ვაღიარე, რომ ღმერთი არის ღმერთი. შესაძლებელია, რომ მთელს ინგლისში ყველა მოქცეულზე უფრო ნაკლები სიამოვნებით მე ვუახლოვდებოდი მას". სწორედ პირადი გამოცდილება დაეხმარა ლუისს, რომ გაეგო ბევრი სხვა ადამიანის არა მხოლოდ აპათიური, არამედ უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ რელიგიის მიმართ. როგორც ბრწყინვალე მჭევრმეტყველსა და ცინცხალი სტილის მქონე ქრისტიან მწერალს, მას ტოლი არ ჰყავდა. „ტანჯვის პრობლემა", „ონავარას წერილები", „ეს ქრისტიანობაა", „ოთხი სიყვარული" და სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული „ლოცვა: წერილები მალკოლმს" — მხოლოდ რამდენიმე თხზულებაა მის ბესტსელერებს შორის. მას დაწერილი აქვს აგრეთვე შესანიშნავი წიგნები ბავშვებისათვის და სამი ფანტასტიკური, უფრო სწორედ კი — ზღაპრული რომანი, ასევე უამრავი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომი. მისი თხზულებები მრავალ ენაზე ითარგმნა და ცნობილი გახდა მილიონობით ადამიანისათვის მთელს მსოფლიოში.

კ.ს. ლიუისი გარდაიცვალა 1963 წელს 22 ნოემბერს, ოქსფორდში, საკუთარ სახლში.

სარჩევი

რედაქტორებისგან	5
წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის	6
ავტორის წინასიტყვაობა	7

წიგნი I. სიკეთე და ბოროტება, როგორც გასაღები სამყაროს საზრისის შემეცნებისათვის

1. ადამიანური ბუნების კანონი	17
2. ზოგიერთი საწინააღმდეგო მოსაზრების გამო	22
3. კანონის რეალურობა	28
4. რა იმალება ბუნებრივ კანონს მიღმა	32
5. ჩვენ შეწუხების საბაბი გვაქვს .	38

წიგნი II. რა სწამთ ქრისტიანებს

1. ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები ღმერთზე	43
2. შეჭრა	46
3. გამაოგნებელი ალტერნატივა	53
4. სრულყოფილი მონანული	59
5. პრაქტიკული დასკვნა	65

წიგნი III. ქრისტიანული ქცევა

1. ზნეობის სამი ნაწილი	71
2. „კარდინალური სათნოებანი“	77
3. ქცევის საზოგადოებრივი ნორმები .	82
4. ზნეობა და ფსიქოანალიზი	87
5. სექსუალური ზნეობა	93
6. ქრისტიანული ქორწინება	101
7. მიტევება	110
8. დიდ ზედიდი ცოდვა .	116
9. სიყვარული	123
10. იმედი	126
11. რწმენა	130
12. რწმენა (გაგრძელება).	134

წიგნი IV. პიროვნების მიღმა ანუ პირველი ნაბიჯები სამების მოძღვრებაში

1. „შექმნა“ არ ნიშნავს „შობას“ 141
2. სამპიროვანი ღმერთი 147
3. დრო და დროის მიღმა . 152
4. სასიკეთო ინფექცია 157
5. ჯიუტი სათამაშო ჯარისკაცები 161
6. ორი შენიშვნა 165
7. წარმოსახვა 168
8. იოლია ქრისტიანობა, თუ ძნელი? 175
9. საფასურის დაანგარიშება . 181
10. კარგი ხალხი თუ ახალი ადამიანები? 186
11. ახალი ადამიანები 195

ცოტა რამ კლაივ ლიუისის შესახებ 205